ეკონომიკური აზრის ისტორია

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Jemal Kharitonashvili

History of Economic Thought

Second Revised Edition

Tbilisi
2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჯემალ ხარიტონაშვილი

ეკონომიკური აზრის ისტორია

მეორე გადამუშავებული გამოცემა

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

წიგნში განხილულია მსოფლიო ეკონომიკური აზრის წარმოშობის, განვითარებისა და ცვლის ისტორიული პროცესი. სასწავლო კურსი თანმიმდევრულად ასახავს და ***რეტროსპექტულად*** *განიხილავს იმ ძირითად ეკონომიკურ შეხედულებებს, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბდა მსოფლიო ეკონომიკური აზროვნების ისტორია. ნაშრომში გაანალიზებულია კაცობრიობის ისტორიაში არსებული უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური იდეები და გამოვლენილია მათი გენეტიკური კავშირი თანამედროვეობასთან.*

წიგნი ***განკუთვნილია სახელმძღვანელოდ*** *საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის, პედაგოგებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული სხვა მკითხველისთვის.*

რედაქტორი – ეკონომიკის დოქტორი **ჯემალ კახნიაშვილი**

რეცენზენტები: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ის პროფესორი **პარმენ ლემონჯავა**

ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი **ლელა ბახტაძე**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი **შოთა ვეშაპიძე**

© ჯ. ხარიტონაშვილი, 2019

ISBN 978-9941-13-872-0

შინაარსი

შესავალი 13

ეკონომიკური აზრის ისტორიის შესწავლის საგანი და მეთოდი.. 15

ნ ა წ ი ლ ი I

საბაზრომდელი ეპოქის ეკონომიკური აზრი 17

თავი I. ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკური აზრი 17

1. ძველი ეგვიპტის და ბაბილონის ეკონომიკური აზრი 18
2. ძველი ინდოეთის ეკონომიკური აზრი 20
3. ძველი ჩინეთის ეკონომიკური აზრი 21

თავი II. ანტიკური საბერძნეთის და რომის ეკონომიკური აზრი 25

1. საბერძნეთის პოლისის ეკონომიკური აზრი 25
   ქსენოფონტე, პლატონი, არისტოტელე 25
2. რომის ლატიფუნდიური მეურნეობის პრობლემები კატონის, ვარონისა და კოლუმელას აგრონომიულ ტრაქტატებში 31
3. ტიბერიუს და გაიუს გრაკჰუსების აგრარული მოძრაობის ეკონომიკური იდეები 34
4. ანტიკური ქრისტიანობის ეკონომიკური შეხედულებები .. 36

თავი III. შუა საუკუნეების ეკონომიკური შეხედულებები 38

1. შუა საუკუნეების არაბული ეკონომიკური აზრი 38
2. ადრეული შუა საუკუნეების ეკონომიკური შეხედულებანი ევროპაში „სალიკური კოდექსი“. „კაპიტულარები ვილების შესახებ“ 40
3. შუასაუკუნებრივი კათოლიციზმის ეკონომიკური შეხედულებანი 42

თომა აქვინელი 42
4. ეკონომიკური აზრის განვითარება შუა საუკუნეების საქართველოში 46
შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი. „ვახტანგის კანონები.“ ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ („ხუმარსწავლა“) 46

თავი IV. მერკანტილიზმი..... 52
1. მერკანტილიზმის წარმოშობა და განვითარების ორი სტადია 52
2. მერკანტილიზმის თავისებურებანი სხვადასხვა ქვეყანაში 55
3. ინგლისური მერკანტილიზმი 56
უილიამ სტაფორდი, თომას მენი 56
4. ფრანგული მერკანტილიზმი. კოლბერტიზმი..... 57
ანტუან მონკრეტიენი 57
5. მერკანტილისტური იდეები XVIII საუკუნის საქართველოში. ალექსანდრე ამილახვარი 60

ნ ა წ ი ლ ი II
ეკონომიკური აზრის პირველი სისტემების განვითარება 63

თავი V. კლასიკური სკოლის ეკონომიკური მოძღვრების წარმოშობა ინგლისსა და საფრანგეთში 63
1. კლასიკური სკოლის წარმოშობის ისტორიული პირობები და ზოგადი დახასიათება..... 63
2. იულიამ პეტი – პოლიტიკური ეკონომიის კოლუმბი 63
3. პიერ ბუაგილბერის ეკონომიკური შეხედულებები საფრანგეთში 68
4. „ლესე ფერ“ დოქტრინის წარმოშობა..... 70

თავი VI. ფიზიოკრატების ეკონომიკური აზრი 73
1. ფიზიოკრატიზმის წარმოშობა 73
2. ფრანსუა კენე და მისი შეხედულებები 74
3. ფიზიოკრატიული შეხედულებების შემდგომი
განვითარება ან რობერ ჟაკ ტიურგოსთან 81
4. სულხან-საბა ორბელიანის ფიზიოკრატიული ანალოგია ... 84

**თავი VII. კლასიკური ეკონომიკური სკოლის მამამთავრები –
ადამ სმითი და დევიდ რიკარდო** 87
1. ადამ სმითი – მანუფაქტურული პერიოდის
ეკონომისტი 87
ა) ეკონომიკური ლიბერალიზმი 88
ბ) ა. სმითის ნაწარმოები „გამოკვლევა ხალხთა
სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ 89
გ) ა. სმითის დამოკიდებულება მერკანტილიზმთან და
ფიზიოკრატიზმთან 90
დ) ა. სმითის მოძღვრება შრომის დანაწილების,
გაცვლის და ფულის შესახებ 91
ე) ღირებულების სხვადასხვაგვარი განსაზღვრა 94
ვ) მოძღვრება კლასებისა და შემოსავლების შესახებ 96
ზ) მოძღვრება კაპიტალის, მისი სტუქტურისა და
კვლავწარმოების შესახებ 99
თ) ა. სმითი ნაყოფიერი და უნაყოფო შრომის შესახებ ... 102
ი) „უხილავი ხელის“ და „ეკონომიკური ადამიანის“
ცნება 103
კ) აბსოლუტურ უპირატესობათა პრინციპი 107
2. დევიდ რიკარდო სამრეწველო გადატრიალები ეპოქის
ეკონომისტი 108
ა) ღირებულების თეორია 110
ბ) კაპიტალის გაგება 111
გ) მოძღვრება მოგებისა და ხელფასის შესახებ..... 112
დ) მოძღვრება ფულისა და კრედიტის შესახებ 113
ე) მიწის რენტის თეორია 115

ვ) რეალიზაციის და კრიზისების პრობლემის გაგება ... 116
ზ) შედარებითი უპირატესობის თეორია 116

თავი VIII. პესიმისტური ეკონომიკური აზრი. თომას რობერტ მალთუსი 121
1. მოსახლეობის მალთუსური თეორია და თანამედროვე მალთუსელობა 122
2. თ. მალთუსი ეკონომიკური კატეგორიების შესახებ 125

თავი IX. ოპტიმისტური ეკონომიკური აზრი. ჟან ბატისტ სეი. ჯონ სტიუარტ მილი 128
ა) ჟან ბატისტ სეის ოპტიმისტური მოძღვრება წარმოების სამი ფაქტორის შესახებ 129
ბ) რეალიზაციის თეორია, ავტომატური წონასწორობის თეორია 131
გ) ჯონ სტიუარტ მილის ეკონომიკური აზრი 133

თავი X. ეკონომისტ-რომანტიკოსების აზრი 136
1. სიმონდ დე სისმონდის ეკონომიკური რომანტიზმი 137
ა) ღირებულების და ფულის განსაზღვრა 139
ბ) მოგებისა და ხელფასის თეორია 139
გ) რეალიზაციისა და კრიზისების თეორია 140
2. პიერ ჟოზეფ პრუდონის რეფორმიზმი 142
ა) პ. პრუდონის ეკონომიკური კონცეფცია 143
ბ) „კონსტიტუირებული ღირებულების“ თეორია 144

თავი XI. სოციალისტ-ჰუმანისტთა ეკონომიკური იდეები 146
1. სოციალისტური იდეების წარმოშობა 146
2. სენ-სიმონიზმი და კოლექტივიზმის წარმოშობა 149
ა) ა. სენ-სიმონის ისტორიული კონცეფცია 149
ბ) კაპიტალიზმის კრიტიკა 150
გ) ახალი ინდუსტრიული სისტემის პროექტი 151
3. შარლ ფურიეს თეორია 152

ა) შ. ფურიეს ისტორიული კონცეფცია 153
ბ) კაპიტალიზმის კრიტიკა 154
გ) მოძღვრება ასოციაციის შესახებ 155
4. რ. ოუენის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა 158

ნ ა წ ი ლ ი III
XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ეკონომიკური აზრი 164

თავი XII. კარლ მარქსის ეკონომიკური მოძღვრება 164
კარლ მარქსის „კაპიტალი“ 166

თავი XIII. გერმანული დისიდენტური სკოლის ეკონომიკური მოძღვრება 171
1. ეროვნული ეკონომიკა. ფრიდრიხ ლისტი 171
2. ისტორიული სკოლა 175
ა) ძველი ისტორიული სკოლა 177
ბ) ახალი ისტორიული სკოლა 178
3. სახელმწიფო სოციალიზმი..... 181
4. სოციალური მიმართულება 182

თავი XIV. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ეკონომიკური აზრი 185
1. ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზების შესახებ 185
2. ი. ჭავჭავაძე ეკონომიკური კატეგორიების შესახებ..... 192
3. ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური აზრი 194
4. ნ. ნიკოლაძე საქართველოში ვაჭრობის, საბანკო საქმის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ..... 198
თავი XV. მარჟინალიზმის წარმოშობა. ნეოკლასიციზმი 204
1. უ. ჯევონსის და ლ. ვალრასის მარჟინალიზმი..... 204
2. ავსტრიული სკოლა. კარლ მენგერი, ფრიდრიხ

ფონ ვიზერი, ოუგენ ბემ-ბავერკი. ფასეულობის სუბიექტური თეორია. ფასეულობის ობიექტური თეორია 205
3. კემბრიჯის სკოლა. ალფრედ მარშალი..... 213
4. ამერიკული სკოლა. ჯონ ბეისტ კლარკი..... 217

ნაწილი IV
თანამედროვე ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი 222

თავი XVI. ინსტიტუციონალური მოძღვრებები 222
1. ამერიკული ინსტიტუციონალიზმი XXს-ის 20-30-იან წლებში 222
ა) ტ. ვებლენის სოციალურ-ფსიქოლოგიური ინსტიტუციონალიზმი 223
ბ) ჯონ კომონზის სოციალურ-სამართლებრივი ინსტიტუციონალიზმი 227
გ) უესლი კლერ მიტჩელის კონიუნქტურულ-აღწერილობითი ინსტიტუციონალიზმი..... 229
2. ინსტიტუციურ-სოციალური მიმართულება 231
ა) ინდუსტრიული საზოგადოების თეორიები. როი არონი, ჟაკ ელიული, ჯონ ჰელბრეითი..... 231
ბ) პოსტინდუქტრიული საზოგადოების თეორია 235
გ) კონვერგენციის თეორია 238

თავი XVII. რეგულირებადი ეკონომიკის კეინზური და ნეოკეინზური მოძღვრებები..... 240
1. ჯონ მეინარდ კეინზის მაკროეკონომიკური მოდელი 240
2. ამერიკული კეინზელობა 248
3. ეკონომიკური ზრდის ნეოკეინზური თეორიები 251
ა) როი ჰაროდის ეკონომიკური დინამიკის თეორია 253
ბ) ევსეი დომარის ეკონომიკური ზრდის თეორია..... 255
გ) ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური თეორია..... 256
დ) ნეოკლასიკური სინთეზი. პოლ სამუელსონი..... 257

ე) ეკონომიკური ზრდის ინსტიტუციური თეორია..... 258
4. ეკონომეტრიკული მოდელები. ვასილ ლეონტიევი 260

თავი XVIII. ახალი ლიბერალური მოძღვრებები (ნეოლიბერალიზმი)..... 268
1. ახალი ლიბერალიზმის (ნეოლიბერალიზმის) წარმოშობა..... 268
2. ნეოლიბერალიზმის გავრცელება გფრ-ში. ვ. ოიკენი, ლ. ერჰარდი 270
ა) სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორია 272
ბ) გლობალური რეგულირების კონცეფცია..... 274
გ) ნეოლიბერალიზმიდან ნეოკეინზელობისაკენ..... 276
დ) ნეოლიბერალიზმის აღორძინება XX ს-ის 80-იან წლებში. ნეო-ნეოლიბერალიზმი 278
3. ნეოლიბერალიზმის სხვადასხვა მიმიდნარეობები 282
ა) ავსტრიული ნეოლიბერალიზმი. ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი 282
ბ) ამერიკული ნეოლიბერალიზმი. ჩიკაგოს სკოლა. მილთონ ფრიდმენი 283
გ) რაციონალური მოლოდინის თეორია. რობერტ ლუკასი 287

თავი XIX. მოძღვრებები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის შესახებ 291
1. ნაადრევი დამოუკიდებლობის დოქტრინა 293
2. ვაკუუმის დოქტრინა..... 294
3. ურთიერთდამოკიდებულების თეორია 294
4. სიღატაკის მოჯადოებული წრის თეორია..... 296
5. წარმოების შედარებითი ხარჯების თეორია..... 297
6. შეხედულებანი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს როლის შესახებ..... 298
7. პერიფერიული ეკონომიკის თეორია. პ. პრებიში, ს. ფურტადო 302

ეკონომიკური აზრის განვითარების სქემა



თავისუფალი დროის ყოველი წუთი
ადამიანმა სწავლას უნდა მოახმაროს.

კონ ფუ ცი

შესავალი

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ეკონომისტთა ერთი ნაწილიც კი იზიარებდა თეზისს – ფილოსოფიის ისტორია ბრძნული აზრების ისტორიაა, ეკონომიკური აზრის ისტორია კი ეკონომიკური იდეების სასაფლაოაო. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები ამ თეზისის მეორე ნაწილს საფუძვლიანად აცლის ნიადაგს.

ეკონომიკური აზრის ისტორია გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური იდეები დავიწყებას არ ეძლევა. ცხოვრება დღის წესრიგში პერიოდულად აყენებს წინარე ეპოქაში არსებული ეკონომიკური იდეების ახლებურად გამოყენების საჭიროებას.

ეკონომიკური იდეების მემკვიდრეობითობა განსაკუთრებული რელიეფურობით ეკონომიკური ლიბერალიზმის მოძღვრებაში წარმოჩინდება. უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში ეკონომისტები ბევრჯერ მიუბრუნდნენ თავისუფალი მეწარმეობის თეორიებს. ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეისადმი დამოკიდებულება რამდენჯერმე შეიცვალა. გარკვეულ პერიოდში კი იგი საყოველთაოდ აღიარებულიც იყო. შემდეგ ეს მოძღვრება ავანსცენიდან ჩამოვიდა და მისი მიმდევრები მოქმედების პრინციპს პროტექციონული თეორიებიდან იღებდნენ. მაგალითად, XX საუკუნის 70-იან წლებში დასავლეთგერმანელმა ეკონომისტებმა ნეოკეინზური მოდელი გადაიღეს.

XX საუკუნის დამლევს კვლავ აღორძინდა ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპი საბაზრო ეკონომიკის მოძღვრებაში. მას ფართოდ იყენებენ გერმანიაში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვაგან. საქართველოშიც ყოფილა ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპის დანერგვის მცდელობა, თუმცა არც პროტექციონისტული პრინციპი მისცემია დავიწყებას. სუვერენი-

ტეტის გზაზე დამდგარი საქართველოს პირველი მთავრობის ერთ-ერთი ეკონომიკური ღონისძიება იყო საგარეო ვაჭრობის რეგლამენტაცია, რაც პროტექციონიზმის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. მომდევნო მთავრობამ კი წარმოებისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციისაკენ აიღო გეზი. **ბოლო ხანებში მსოფლიოში კვლავ აღდგა რეგულირების პრინციპი**.[1]

ბევრი მაგალითის გახსენება შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ ძველი ეკონომიკური აზრი სხვადასხვა სიტუაციაში ახალი ძალითა და ფორმით წარმოჩინდება ხოლმე. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური აზრის სათანადოდ ცოდნა დღეს დიდ მნიშვნელობას იძენს. იგი საშუალებას იძლევა სხვადასხვა დასაშვები ვარიანტიდან, საჭიროების შემთხვევაში, ესა თუ ის მოძღვრება დროულად იქნეს ამორჩეული და მისი სათანადო რეალიზაციით ხელი შეეწყოს საკაცობრიო პროგრესს.

ეკონომიკურ მოძღვრებებს ყველაზე მეტად უნდა ჰქონდეს ობიექტური სახე, რათა ეფექტიანად ემსახუროს საზოგადოების განვითარებას. აქედან გამომდინარე, ნაშრომში შევეცდებით განსახილველი პრობლემები, შეძლებისდაგვარად, მიუკერძოებლად, ლოგიკური თანმიმდევრობით გავაშუქოთ.

---

[1] Kharitonashvili Jemal, Regulation again, Материалы Международной научно-практической Конференции, Минск, 2016.

ეკონომიკური აზრის ისტორიის შესწავლის საგანი და მეთოდი

ყოველ მეცნიერულ დისციპლინას გააჩნია თავისი კვლევის საგანი – რა უნდა შეისწავლოს, და მეთოდი – როგორ უნდა შეისწავლოს.

ეკონომიკური აზრის ისტორია შეისწავლის სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში არსებულ საზოგადოებებში ეკონომიკური შეხედულებების წარმოშობის, განვითარების, ურთიერთბრძოლის და ცვლის პროცესს.

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმართულებების (სკოლების, ავტორების) მეცნიერული სისტემების საკვანძო საკითხების შესწავლას, რომლებიც საფუძვლად დაედო მსოფლიო ეკონომიკის თუ ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის წარმატებულ განვითარებას.

ეკონომიკური აზრის ისტორიას შესწავლის (შემეცნების) **მეთოდების** სპექტრი საკმაოდ ფართოა. მათ რიცხვშია ლოგიკური აბსტრაქცია, ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია, ისტორიული და ლოგიკური მეთოდები, ანალოგია, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება, ეკონომიკური ექსპერიმენტი და სხვ.[1]

მე პრიორიტეტს ვანიჭებ **დიალექტიკის** ფილოსოფიურ მეთოდს, რომელიც გერმანელმა ფილოსოფოსმა **გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელმა** (1770-1831) შექმნა.[2] ჰეგელის დიალექტიკა ესაა მეცნიერება განვითარების შესახებ.

ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაში აზრის მოძრაობა საწყისი ცნების გამდიდრებაა, აბსტრაქტულიდან კონკრეტულისკენ სვლაა. ეს გზა ცნობიერების უმარტივესი ფორმით იწყება, რომლის შინაგანი წინააღმდეგობების გამოაშკარავებით, ცნობიერება ვითარდება და მოძრაობს უფრო რთული და სრულყოფილი ფორმებისკენ.

ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის გამოყენებით ეკონომიკურ შეხედულებებს მათ მუდმივ განვითარება-ცვალებადობაში

---

1 იადგაროვი ი. ს., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 2014, გვ. 30.

2 გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, ვიკიპედია. https//www.google.kom

განვიხილავთ. ეკონომიკური იდეები და თეორიები მათი ისტორიული განვითარების პროცესში შეისწავლება. ეკონომიკური აზრის შესასწავლად აუცილებელია ყოველი იდეა იმ თვალსაზრისით განვიხილოთ, თუ როგორ სიტუაციაში წარმოიშვა, განვითარების რომელი საფეხურები განვლო და როგორ წარმოჩინდება დღევანდელ ვითარებაში.

ჰეგელი

ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები კაცობრიობის წარსულის შედეგია. ერთი საზოგადოებრივი სისტემა მეორით იცვლება. საზოგადოების განვითარებაში ყოველი ახალი სისტემა პროგრესს წარმოადგენს. ადამიანთა საზოგადოების საფუძველი, მამოძრავებელი ძალა გონების, მეცნიერების, ცივილიზაციის პროგრესია. საზოგადოების განვითარება კი კანონზომიერი პროცესია, რომელიც აღმავალ ხასიათს ატარებს.

ეკონომიკური აზრის ისტორიას ქმნის ეკონომიკური შეხედულებები, თეორიები, კონცეფციები. ეკონომიკურ მეცნიერებათა ისტორიკოსი კი, დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით, აანალიზებს ეკონომიკური განვითარების გზას და მოწინავე იდეების პროგრესულ მნიშვნელობას აჩვენებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იადგაროვი ი. ს., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 2014.
2. ჰეგელი გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ, ვიკიპედია. https//www.google.Com

ნაწილი I

საბაზრომდელი ეპოქის ეკონომიკური აზრი

თავი I. ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკური აზრი

ეკონომიკური აზრის ყველაზე ადრეული კვალი ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაშია გამოვლენილი. **აღმოსავლეთის ქვეყნები მსოფლიო კულტურის სამშობლოდაა მიჩნეული.** ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების ძალით, იქ ძალიან ადრე კონცენტრირდა მოსახლეობა. მცენარეული და ცხოველური სამყაროს სიმდიდრე, ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება, აადვილებდა მონდირეობის, მესაქონლეობისა და მიწათმოქმდების აღმოცენებას. შესაბამისად, ძველი აღმოსავლეთის ხალხები ადრე გახდნენ მიწათმოქმედნი და ამით საწარმოო ძალების განვითარების მაღალ დონეს მიაღწიეს. საწარმოო ძალების განვითარება შესაძლებლობას იძლეოდა შექმნილიყო ჭარბი პროდუქცია. ზედმეტი პროდუქტები კი თანდათანობით გავლენიან პირთა ხელში იყრიდა თავს. ქონებრივმა დიფერენციაციამ წარმოშვა კლასობრივი დიფერენციაციაც – საზოგადოებაში გაჩნდნენ მონები და მონათმფლობელები, აღმოცენდა სახელმწიფო.

სახელმწიფომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკურ ისტორიაში, რაც დაკავშირებული იყო ირიგაციული სისტემების მშენებლობასთან. ირიგაციული სისტემებით სარგებლობდნენ სახელმწიფოს მოხელეები, რომლებიც აკონტროლებდნენ მათ. ასე წარმოიშვა სახელმწიფოებრივი მონოპოლიის სისტემა. მსხვილ მასშტაბებს მიაღწია სახელმწიფოებრივმა მონათმფლობელობამ, რომელიც სახელმწიფოებრივი დესპოტიზმის არსებითი საყრდენი იყო. ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფო მურნეობა ძირითადად ნატურალური იყო. მნიშვნელოვანად განვითარდა ვაჭრობა. სასაქონლო წარმოება, რომელიც მონათმფლოებელურ რეჟიმს ემსახურებოდა, იმავდროულად შლიდა ნატურალურ-მეურნეობრივ ტრადიციებს და მერ-

ყევი ელემენტი შეჰქონდა ეპოქის ეკონომიკურ ურთიერთობებში. წარმოიშობოდა ეკონომიკური წინააღმდეგობები, აღმოცენდა მწვავე პრობლემები, რომელთა გადაწყვეტასაც ეკონომიკური აზრი ცდილობდა. შექმნილმა სიტუაციამ ხელი შეუწყო ეკონომიკური აზრის ნაადრევ განვითარებას. შემორჩენილი დოკუმენტები მის დიდ სიმწიფეზე, ეკონომიკური პრობლემებისა და მებრძოლი კლასების ინტერესების ღრმა გაგება-გააზრებაზე მიუთითებს.

ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკური აზრის განვითარება დაკავშრებული იყო დიდ სახალხო აჯანყებებთან. სახალხო მღელვალრებების დროს წამოიჭრებოდა ფრიად რადიკალური პროექტები. ამიტომ ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკური მოსაზრებები მხოლოდ სწავლულთა ტრაქტატებში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ სახალხო აჯანყებების მონაწილეთა მოთხოვნებში, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებში, რეფორმათა პროექტებში და ა.შ. აღნიშნული პერიოდის ეკონომიკური აზრი ჩანს იმ დროს შექმნილ იურიდიულ კოდექსებსა და სასულიერო კრებულებშიც. ეს ძეგლები თავიანთ პრობლემებს შორის ეკონომიკურ ნორმატივებსაც მრავლად განიხილავდნენ.

1. ძველი ეგვიპტის და ბაბილონის ეკონომიკური აზრი

ეგვიპტის ისტორიაში უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში ჩამოყალიბდა ეკონომიკური აზრი, რომელზეც წარმოდგენას იძლევა იმ პერიოდის სამონასტრო მეურნეობა. მისი მთავარი თავისებურება გახლავთ სათემო მეურნეობის შერწყმა მონათმფლობელობასთან. **იმ პერიოდის ეკონომიკურ აზრი მსჯელობდა პირველყოფილ თემსა და მონობას შორის კომპრომისის შესაძლებლობაზე**. ჩვენს წელთაღრიცხვამდე XX–XVIII საუკუნეებში ეგვიპტის ეკონომიკურ ცხოვრებაში სერიოზული ძვრები მოხდა. იგი გამოიხატა საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებით, აგროკულტურის ფართობის გაფართოებით, კერძო მონათმფლობელობის ექსპანსიით, სავალო მონობის არაჩვეულებრივი გავრცელებით და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით. ყოველივე ამან ეკონომიკური აზრის განვითარებაზე დიდი გავლენა

იქონია. იმ ეპოქის ეკონომიკური აზრი საგულისხმოდაა ჩამოყალიბებული **„იპუვერის გამონათქვამებში“,** რომლებშიც, გაბატონებული კლასის თვალთახედვით, მკაფიოდაა ასახული სოციალური აფეთქება ეგვიპტეში, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVIII საუკუნის შუახანებში დაიწყო. კრიტიკული სიტუაციის პირობებში იპუვერი გაბატონებული კლასის მოთხოვნილებათა მკაფიო ფორმულირებას იძლევა.

შუამდინარეთის ისტორიაში ეკონომიკური აზრის ყველაზე ადრეული გამოვლინება შეინიშნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის შუახანებში მეფე **ურუკაგინას** რეფორმებში. ამ პერიოდის ეკონომიკური აზრი აშკარად ასახავდა თემური წყობილების საწყისების ბრძოლას მონობის ექსპანსიასთან. თავისი პოზიციების განსამტკიცებლად ურუკაგინამ აღადგინა თემის უფლება მიწაზე, პირუტყვზე და ა.შ. ამასთან, დიდგვაროვანთა უფლებები შემოფარგლა. ურუკაგინამ შეამცირა დაკრძალვის ქირა, ხელოსნებს აუკრძალა მოსაკრებლების გადახდევინება.


ჰამურაბის კანონების სტელა

ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVIII საუკუნეში ბაბილონის მეფე **ჰამურაბმა** შეიმუშავა კოდექსი, რომელშიც შეეცადა რამდენადმე შეეზღუდა სავალო მონობა და აერიდებინა კლასობრივი წინააღმდეგობების გამწვავება. ამ კოდექსის თანახმად, **სავალო მონობის სოციალური სტატუსი დროებით მდგომარეობად იყო გამოცხადებული. სამი წლის შემდეგ ასეთი მონა თავისუფალი ხდებოდა, ხოლო მისი ვალი გაბათილებული იქნებოდა.** დავალიანებულ გადამხდელთა სიკვდილი იკრძალებოდა. **მოუსავლიანობის შემთხვევაში მოიჯარე ერთი წლით საიჯარო**

ქირის გადასახადისგან თავისუფლდებოდა. დაწესდა საიჯარო გადასახადის ნორმა. ამავე დროს, კოდექსი მონობას, როგორც ნორმალურ მდგომარეობას, აკანონებდა და მონების გაპარვის და, უბრალოდ, მონათმფლობელთა ურჩობისთვის სასტიკ რეპრესიებს აწესებდა. კოდექსი საკუთრების ხელყოფისთვის სიკვდილის განაჩენს აწესებდა.[1]

ჰამურაბის კოდექსი, მთლიანობაში, მაშინდელი ბაბილონის მონათმფლობელურ რეჟიმს განამტკიცებდა და მხოლოდ მონათმფლობელური წინააღმდეგობის შერბილებას ესწრაფვოდა.

2. ძველი ინდოეთის ეკონომიკური აზრი

ძველი ინდოეთის ეკონომიკურ აზრზე წარმოდგენას იძლევა ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში შეიქმნილი ლოცვებისა და რელიგიური ჰიმნების კრებული „**ვედი**“. ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში შეიქმნა ორი პოემა „**მაჰაბჰარატა**“ და „**რამაიანა**“.[2] ამ დოკუმენტებში აისახა თემური წყობილებისა და მონათმფლობელური ურთიერთობების ჩამოყალიბების საწყისი სტადიის პერიოდის ეკონომიკური შეხედულებები.

ძველი ინდოეთის ეკონომიკური აზრის თავისებურებანი უფრო მკაფიოდ **მანუს** კანონებში აირეკლა. ისინი ინდოეთის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ასახავენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში. მანუს კანონები მონობას სრულიად ნორმალურ მოვლენად მიიჩნევდა. იქ უარყოფილია მონის უფლება საკუთრებაზე და მოთხოვნილია მონათმფლოებელებისადმი მათი სრული დამორჩილება. მანუს კანონების ეკონომიკურმა იდეებმა კასტური მიმართულება მიიღო. გაბატონებული კასტების პრივილეგიული მდგომარეობა გამართლებულია მათი კეთილშობილური წარმოშობით. მანუს კანონებში ჩამოთვლილია ოთხი კატეგორიის კასტა – **ბრაჰმანი, ქშატრი, ვაიში და შუდრა.** ამათგან უმაღლესია ბრაჰმანებისა და ქშატრების კასტები. დაბალი კასტებია ვაიშები და შუდრა. შუდრას არ ჰქონდა საკუთრება, ის გაჩენილია ბრაჰმანის სამსახურისთვისო.

---

1 ბაბილონის მეფის, ჰამურაბის, კოდექსი, თბ., 1934.

2 რამაიანა, ინდური ეპოსი, თბ., 1951.

ძველი ინდოეთის ეკონომიკური აზრი განსაკუთრებით თვალნათლივაა ასახული თხზულება **„არტჰაშასტრაში“** (მეცნიერება პოლიტიკის შესახებ). მის ავტორად მეფე ჩანდრაგუპტის (321-297 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) მრჩეველს **კაუტილიას** მიიჩნევენ. ტრაქტატი ინდოეთის ეკონომიკური აზრის მონათმფლობელურ მიმართულებასა და მის კასტურ იდეებს ასახავს. მონობის და კასტების არსებობის მართლზომიერება ავტორთან ეჭვს არ იწვევს.



კაუტილია

„არტჰაშასტრა“ ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ფართოდ ჩარევის მომხრეა. თხზულებაში მევახშეობა ნორმალურ მოვლენადაა მიჩნეული. „არტჰაშასტრაში“ შეინიშნება მსჯელობა ვაჭრობაზე, ლაპარაკია ფასების რეგულირებაზე იმ მხრივ, რომ საქონელი ბაზარზე სეზონის მიხედვით მიაწოდონ, რათა ფასებმა საქონლის სიმცირის გამო არ აიწიოს. აქ საქმე საქონელთა მარაგების შექმნას ეხება. „არტჰაშასტრაში“ ზუსტად იყო გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის პუნქტები. ამ დოკუმენტში მოცემულია აგრეთვე, მითითებანი სარწყავი სისტემის განვითარებისთვის და ა.შ.

„არტჰაშასტრაში“ გამოთქმული აზრი ვაჭრობის რეგულირების, სასაქონლო მარაგების შექმნის შესახებ დიდ აქტუალობას იძენს ჩვენს სინამდვილეშიც.

3. ძველი ჩინეთის ეკონომიკური აზრი

ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში ყველაზე მომწიფებული ეკონომიკური აზრი **ჩინეთში** აღმოჩნდა. ჩინეთმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში მატერიალური და სულიერი კულტურის ძალიან მაღალ დონეს მიაღწია. მის ტერიტორიაზე რთული პოლიტიკური წარმონაქმნები აღმოცენდა. ძალიან განვითარდა საწარმოო ძალები. **ძველმა ჩინეთმა კაცობრიობის მა-**

ტერიალური კულტურის საგანძური გაამდიდრა ფაიფურის, თოფის წამლის, ქაღალდის, მეაბრეშუმეობის განვითარებითა და სხვა აღმოჩენებით. იგი ბევრი ეკონომიკური იდეის სამშობლოდაც ითვლება. ჩინეთის ეკონომიკურმა აზრმა რადიკალური მიმართულება შეიძინა. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა იმდენად შორს წავიდა, რომ წარმოიშვა სახელმწიფო მონოპოლიის მართლზომიერების პრობლემა. გამოჩნდა პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის სპეციალური ტრაქტატები. მიმდინარეობდა დისკუსია ეკონომიკურ თემაზე, რაც ეკონომიკური აზრის დიდ სიმწიფეზე მეტყველებს. ძველი ჩინეთის ეკონომიკურ აზრში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თემისა და მონობის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა თამაშობდა. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, აგრეთვე, ფინანსურ პოლიტიკას, ვაჭრობასა და სხვა მრავალ საკითხს.

ძველ ჩინეთში მრავალი ეკონომიკური მიმდინარეობა არსებობდა, რომელთა შორის ყველაზე გავლენიანი კონფუცელობა იყო. მისი ფუძემდებელი ერთ-ერთი მთავრის სასახლის მაღალი რანგის მოხელე **კონ ფუ ცი** (551-473 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) იყო. მან თავისი მოძღვრება ჩამოაყალიბა წიგნში **„ლუნ-იუი“** („საუბრები და მსჯელობანი“), რომელშიც იცავდა ვალისა და ვალდებულებების, ძველი ანდერძის და დიდებულთა პრივილეგიების იდეებს. მისი აზრით, ყოველმა ადამიანმა ცხოვრებაში განსაზღვრული ადგილი უნდა დაიკავოს და თავისი ვალდებულებანი ცნოს ოჯახის, სახელმწიფოსა და კაცობრიობის წინაშე. კონ ფუ ცი ძველებურს აიდეალებდა და სათემო პატრიარქალური ურთიერთობების აღდგენისკენ ისწრაფვოდა, მაგრამ ის არც მონობას კიცხავდა. წინააღმდეგობრივი შეხედულებები მასაც გააჩნდა, რაც დამახასიათებელი იყო თემური წყობილების რღვევისა და მონათმფლობელური წყობილების ჩამოყალიბების პერიოდისთვის.

კონ ფუ ცის დასაშვებად მიაჩნდა სიმდიდრის დაგროვება, მაგრამ მოსახლეობის ძირითადი მასის ზიანის მიუყენებლად. იგი კიცხავდა განცხრომის მიმდევრებს. რეკომენდაციას უწევდა ზომიერ მოხმარებას, სიმდიდრის განაწილების შედარებით თანასწორობას. თუმცა ის თანასწორობის მომხრე არ იყო. კონ ფუ ცის

შეხედულებებში სოციალური უტოპიის ელემენტებიც შეიმჩნეოდა. **იგი ოცნებობდა საყოველთაო კეთილდღეობის ეპოქის დადგომაზე, როდესაც კერძო საკუთრების კერპი არ იარსებებდა.**

კონ ფუ ცი

ძველ ჩინეთში კონფუციანელობას ბევრი მოაზროვნე აკრიტიკებდა. მათ შორის აღსანიშნავია **მო დი** (479-403 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე). მას მიაჩნდა, რომ ბუნებისგან ყველა ადამიანი თანასწორია და დიდებულებისა და მდიდრების მხრიდან ყოველგვარი ძალადობის და ჩაგვრის წინააღმდეგ ილაშქრებდა.

კონ ფუ ცის შეხედულებანი დიდი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, არამედ შუა საუკუნეების აღმოსავლეთში. უფრო მეტიც, დღესაც შეინიშნება თანამედროვე კონფუცელები ჩინეთში, ტაივანსა და ჰონგ-კონგში.

XX საუკუნის 60-იან წლებში ჩინეთში მიმდინარე „კულტურული რევოლუციის“ წლებში ისტორიის არქივიდან ამოქექეს და გაანალიზეს კონ ფუ ცის შეხედულებანი. პარალელი გაავლეს კონ ფუ ცის იდეებსა და XX საუკუნის 60-იან წლებში ჩინეთის ზოგიერთი ხელმძღვანელის შეხედულებებს შორის და ეს უკანასკნელები (მათ, შორის, ლუი შაო ცი, ლინ ბიაო და, მათთან ერთად, ათობით მილიონი ჩინელი) ფიზიკურად გაანადგურეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშმაძე ვ., ძველი ქვეყნების სამართალი, თბ., 1975.
2. ბაბილონის მეფე ჰამურაბის კოდექსი, თბ., 1934.
3. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. I., თბ., 1973.
4. რამაიანა, ინდური ეპოსი, თბ., 1951.
5. სილაგაძე ა., ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996.

6. სილაგაძე ა., ეკონომიკური მეცნიერების სათავეებთან, თბ., 2018.
7. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1971.
8. ხარიტონაშვილი ჯ., ადრეული ქრისტიანობის ეკონომიკური შეხედულებები, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული. ქრისტიანობა და ეკონომიკა, თბილისი-ბათუმი, 2015.
9. ხარიტონაშვილი ჯ., ადრეული პროტექციონისტული იდეები და თანამედროვეობა, ჟურნ. „ეკონომიკა, № 5, 2002.
10. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., I, თბ., 1997.
11. ხარიტონაშვილი ჯ., პროტექციონისტული ეკონომიკური დოქტრინის ევოლუცია, თბ., 2008.
12. Samuelson P. und Nordhaus W., Volks Wirtschaft Lehre, Band l, Keln, 1989.
13. Архашастра или наука о политике, М., 1959.
14. Всемирная история экономической мысли т.1, М., 1987.
15. История экономической мысли, т.1, М., 1961.
16. Штеин В.М., «Гуан Дзи», М., 1959.

თავი II. ანტიკური საბერძნეთის და რომის ეკონომიკური აზრი

ანტიკურ სამყაროზე მსჯელობის დროს ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის საზოგადოებები განიხილება. ამ ქვეყნებში ეკონომიკური აზრის განვითარებამ მაღალ დონეს მიაღწია, რაც განპირობებული იყო მონათმფლოებელური წარმოების წესის მაღალი დონით. ანტიკური საზოგადოების მოაზროვნეების წინაშე ურთულესი პრობლემა იდგა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მონათმფლობელობას იცავდა და კლასობრივი წინააღმდეგობების შერბილებას, მონათმფლობელური ძალაუფლების გაძლიერებას ესწრაფვოდა. ამასთან ერთად, ზოგიერთი მოაზროვნე მშრომელი ფენების ინტერესების დაცვას ცდილობდა დემოკრატიული პოზიციებიდან.

1. საბერძნეთის პოლისის ეკონომიკური აზრი

ქსენოფონტე, პლატონი, არისტოტელე

ძველი ბერძენი მოაზროვნეებიდან საყურადღებო ეკონომიკური შეხედულებანი გააჩნდათ **ქსენოფონტეს, პლატონს და არისტოტელეს.** ისინი მონათმფლობელური კლასის იდეოლოგები იყვნენ და, ცხადია, ეკონომიკურ მოვლენებს მონათმფლობელური პოზიციებიდან აანალიზებდნენ.

ქსენოფონტემ (444-353 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) თავისი ეკონომიკური შეხედულებანი ჩამოაყალიბა ნაშრომში **„ოიკონომიკოს“.** მასში ქსენოფონტე რჩევა-დარიგებებს იძლეოდა მონათმფლოებელური მეურნეობის უკეთ გასაძღოლად.

ქსენოფონტე ისეთ ეპოქაში ცხოვრობდა, როდესაც სასაქონლო მეურნეობა წარმატებით ვითარდებოდა, ნატურალური მეურნეობა კი თავს იცავდა. ამან განაპირობა მისი შეხედულებების წინააღმდეგობრივი ხასიათი. ქსენოფონტე ხან მსჯელობს როგორც ნატურალური მეურნეობის წარმომადგენელი, რომელიც მტრულადაა განწყობილი ვაჭრობისა და ფულისადმი, ხან კი პირიქით გამოდის, როგორც სპეკულაციისა და გამდიდირების დამცველი. იგი ერთსა და იმავე დროს ფულადი მეურნეობის წინააღმდეგიცაა



ქსენოფონტე

და მომხრეც. ფულად მეურნეობას იმდენად ეყრდნობა, რამდენადაც ის ხელსაყრელია არისტოკრატიისთვის, მსხვილი მონათმფლობელობისთვის.

ქსენოფონტე **მეურნეობის ყველაზე საპატიო დარგად მიწათმოქმდებას მიიჩნევდა.** იგი ყველანაირად ცდილობდა დაემტკიცებინა თუ რამდენადაა დამოკიდებული მიწათმოქმდებაზე მეურნეობის ყველა დანარჩენი დარგი. მიწათმოქმდება იძლევა სურსათს, ნედლეულს და ა.შ. **ქსენოფონტეს მიხედვით, მიწათმოქმედება ყველაზე ჯანსაღი დარგია.** თუმც, მიწათმოქმედებაში თავისუფალმა მოქალაქემ მმართველის ფუნქცია უნდა შეასრულოს და ფიზიკურად არ უნდა იშრომოს. ქსენოფონტეს თავისუფალი ადამიანებისთვის ხელოსნობაც შეუფერებელ საქმიანობად მიაჩნდა.

ქსენოფონტეს შეხედულებებში **შეიმჩნევა შრომის დანაწილების იდეა. იგი განასხვავებდა გონებრივ და ფიზიკურ შრომას.** გარდა ამისა, ცალკეული ოპერაციის უკეთ შესრულებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისთვის იგი საჭიროდ მიიჩნევდა თვით მონების საშემსრულებლო შრომის დანაწილებას. ამ საკითხში მან საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა. ქსენოფონტე თავის აზრს მხატვრულად გამოთქვამდა. იგი მოგვითხრობს ძველ ირანში არსებული ჩვეულების შესახებ, რომ, ვისაც მეფე წყალობს, იმას სადილს მეფის სუფრიდან აძლევენ. ქსენოფონტე აცხადებდა, რომ აქ საკითხი არა მარტო პატივისცემას შეეხება – მეფის სუფრიდან თვით სადილიც უფრო გემრიელია. რის გამო? იმიტომ, რომ მეფის სამზარეულოში **შრომის დიდი დანაწილება არსებობდა.** იქ ერთი მზარეული როდია, არამედ რამდენიმე ათეული. აქედან იგი საერთო დასკვნას აკეთებდა: **თუ არსებობს შრომის დანაწილება, თითოეული ერთ ან ორ ოპერაციაზე სპეციალიზდება და ამიტომ პროდუქცია უკეთესი გამოდის.**

პლატონი (არისტოკლე – 427-347 ჩვ. წ. აღ-მდე), ისევე როგორც ქსენოფონტე, სპეციალურად ეკონომიკურ საკითხებზე არ მუშაობდა. ამიტომ პლატონს რაიმე დასრულებული ეკონომიკური სისტემა არ მოეპოვება. პლატონს თავისი ეკონომიკური შეხედულებები გადმოცემული აქვს, უმთავრესად, „**პოლიტიკასა**“ და „**კანონებში**“.



პლატონი

ეკონომიკური საკითხებიდან პლატონი, პირველ რიგში, შრომის დანაწილების პრობლემას ეხება. **შრომის დანაწილება იგი ადამიანის ნიჭს უკავშირებს** და ამბობს, რომ „მას შეუძლია მხოლოდ ცალკეული სამუშაოები შეასრულოს“. შემდეგ შრომის დანაწილებაში ის წინააღმდეგობის გადაჭრას ხედავს. ქსენოფონტეს მსგავსად, პლატონიც გვიჩვენებს, რომ თუ ერთი ადამიანი ერთ სამუშაოს ასრულებს, ხოლო მეორე – მეორეს, მაშინ თითოეული უეჭველად საუკეთესოდ ირჯება. აქ შეინიშნება პლატონის მიერ ქსენოფონტესგან იდეის სესხება მაგრამ პლატონის დასკვნები სრულიად სხვაგვარია.

პლატონის პირველი დასკვნა ასეთია: სახელმწიფო მოვალეა ყოველმხრივ ხელი შეუშალოს ერთი და იმავე კაცის მიერ სხვადასხვა საქმის შესრულებას. „**თუ შენ მეჩექმე ხარ, მაშინ მხოლოდ ფეხსაცმლის კერვაზე იმუშავე, თერძი ხარ – ტანსაცმელი კერე და სხვის საქმეში ნუ იჭრები**“. ის იმათ დასჯასაც კი მოითხოვდა, ვინც რამდენიმე საქმის კეთებას დაიწყებდა. პლატონი აღნიშნავდა, რომ „თუ ვინმე ორ ან სამ ხელობას ასრულებს, ეს ნიშნავს, რომ ერთი პირი ერთსა და იმავე დროს ორ-სამ პირს წარმოადგენს, რაც სრულიად დაუშვებელიაო“.

თუ ქსენოფონტეს სისტემაში შრომის დანაწილებას წმინდა სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, პლატონის სისტემაში ის უნივერსალურ პრინციპადაა გადაქცეული. მასზეა დამყარებულია არა მარტო ეკონომიკური, არამედ მთელი სახელმწიფოებრივი და სა-

ზოგადოებრივი ცხოვრება. პლატონი თავის იდეალურ სახელმწიფოს შრომის დანაწილების პრინციპზე აგებს.

პლატონის იდეალურ სახელმწიფოში **სამი წოდება** უნდა ყოფილიყო. ყველაზე დაბალ წოდებაში ერთიანდებოდნენ სამეურნეო საქმიანობის შემსრულებელი პირები: **ხელოსნები, წვრილი მოვაჭრეები** და სხვ. პლატონის თქმით, ისინი მოკლებულნი არიან აზროვნების უნარს და არ შეუძლიათ სახელმწიფოს უხელმძღვანელონ. მეორე წოდებას წარმოადგენდნენ **მეომრები,** რომლებიც მშვიდობიან დროს ყოველმხრივ უნდა ვითარდებოდნენ ფიზიკურად, ომის დროს კი ქვეყანას იცავდნენ და ახალ-ახალ ტერიტორიებს იპყრობდნენ. ყველაზე მაღალ წოდებად კი მიიჩნეოდნენ **ფილოსოფოსები,** რომელთა ფუნქცია იყო სახელმწიფოს მართვა, კანონების გამოცემა, ახალი თაობის აღზრდა და ა.შ.

პლატონი იმ აზრსაც ავითარებდა, რომ რადგან არსებობს შრომის დანაწილება, გაცვლაც უნდა არსებობდეს. მას დასაშვებად მიაჩნდა **ვაჭრობა,** მაგრამ ამ საქმიანობასაც იგი უყურებდა როგორც ხელოსნობას. მისი აზრით, ვაჭრობა გარკვეულ ჩვევებსა და ნიჭს მოითხოვს, თითქმის თანდაყოლილსაც კი. **ვაჭრობა ხელობაა, მაგრამ არა საპატიო.** ვაჭრობას მხოლოდ უცხოელები უნდა ეწეოდნენო. თუ ათენის მოქალაქე ვაჭრობას დაიწყებს, მაშინ მასზე, პირველ ყოვლისა, დარწმუნებით, რჩევით უნდა იმოქმედო, რათა მან ვაჭრობა მიატოვოს. ხოლო თუ ეს მასზე ვერ იმოქმდებს, მის მიმართ უფრო მკაცრ ღონისძიებებს უნდა მიმართოო.

პლატონი მსჯელობს **ფულის** შესახებაც. მაგრამ მის ნაშრომებში ახსნილი არაა ფულის არსი. ფულს ის იხილავდა მხოლოდ როგორც გაცვლის იარაღსა და ღირებულების საზომს. **იგი ემხრობოდა სიმდიდრის დაგროვებას ნატურალურ ფორმაში და ეწინააღმდეგებოდა სიმდიდრის ფულად ფორმას.** პლატონი მოითხოვდა აკრძალულიყო ფულის იმაზე მეტი დაგროვება, ვიდრე ეს საჭიროა ერთი დღის ბრუნვისთვის.

მეცნიერების ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე **არისტოტელე** (384-322 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) იყო. არისტოტელეს უნივერსალურმა გონებამ კაცობრიობას 1000-მდე ნაშრომი დაუტოვა. მათ შორისაა თხზულებანი ლოგიკაში („ორგანონი“), ბუნე-

ბათმეცნიერებაში („ბუნების შესახებ," „მთვარის შესახებ", „მცენარეთა შესახებ", „ცხოველთა შესახებ", კრებული „ფიზიკა"), ფილოსოფიაში („მეტაფიზიკა"), ლიტერატურაში („რიტორიკა," „პოეტიკა"), სოციოლოგიაში („**პოლიტიკა**") და სხვ. სწორედ ამ უკანასკნელ ნაშრომშია გადმოცემული არისტოტელეს საზოგადოებრივ-ეკონომიკური შეხედულებები.



არისტოტელე

არისტოტელეს ნაწარმოებებში (მსოფლიო ისტორიაში პირველად) აღმოჩნდა ეკონომიკური ანალიზის ელემენტები. არისტოტელეს ნაშრომებით ბერძნული ფილოსოფია ეკონომიკურ თეორიას, გარკვეულწილად, უფრო დაუახლოვდა. ფილოსოფოსი აანალიზებდა საოჯახო, საშინაო, ან უკეთ რომ ვთქვათ, კერძო მეურნეობის ელემენტებს.[1]

არისტოტელე თავის დროის შვილი იყო. მონათმფლობელობა მას კანონზომიერ მოვლენად მიაჩნდა. საზოგადოების კლასებად დაყოფას იგი ბუნების კანონად აცხადებდა. მან ბუნებრივ მოვლენად მიიჩნია, აგრეთვე, დაპირისპირება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. არისტოტელეს მიხედვით, მონები და უცხოელები უხეშ ფიზიკურ შრომას უნდა ეწეოდნენ, ხოლო თავისუფალი ბერძენი მოქალაქეები სახელმწიფოს უნდა მართვადნენ. **არისტოტელეს იდეალი მონურ შრომაზე დამყარებული მცირე სამიწათმოქმედო მეურნეობა იყო,** რომელმაც საკუთარი თავი ყველა აუცილებლი საჭიროებით უნდა უზრუნველყოს. ხოლო მცირე რამ, რისი ნაკლებობაც ექნება, გაცვლის გზით მეზობლისგან აიღოს.

არისტოტელე თავის მოძღვრებას მონურ შრომაზე დამყარებული ნატურალური მეურნეობიდან ავითარებდა, მაგრამ რადგან მის დროს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი საკმაოდ განვი-

[1] ჰენეი ლ., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1927, გვ. 12.

თარებული იყო, ამიტომ მან შეამჩნია და განსაზღვრა სიმდიდრის ორი სახე: **ეკონომიკა და ქრემატისტიკა.** პირველი ნიშნავს სიმდიდრეს, როგორც სასარგებლო ნივთების კრებულს, მეორე – სიმდიდრეს, როგორც ფულის დაგროვებას. როგორც ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორი ლ. ჰენეი აღნიშნავდა, „პირველი შეიცავს, უმთავრესად, მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ მოხმარებას და იმ აუცილებლის და სასარგებლო საგნების წარმოებას, რომელთა დაზოგვა და შენახვა შესაძლოა საარსებო ან ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის. **მეორე** არის გამდიდრების მეცნიერება და იგი ეხება სიმდიდრეთა შეძენას, სიმდიდრეთა შორის ფულის შოვნის და გაცვლა-გამოცვლის საკითხების მოქცევით“.[1] პირველი სახის სიმდიდრეს საზღვარი აქვს და ეს მოხმარებაა. იგი ნატურალური სიმდიდრისთვის ზღუდეს ქმნის. ფულად ფორმაში გამოხატულ სიმდიდრეს კი საზღვარი არა აქვს. ის უსაზღვროა. როგორც დ. როზენბერგი მიუთითებს, „**სიმდიდრის ამგვარი დაყოფა ორ სახედ არისტოტელეს ეკონომიკურ შეხედულებათა ქვაკუთხედს წარმოადგენს“.**[2] არისტოტელე ემხრობოდა პირველი სახის სიმდიდრის – ეკონომიკის განვითარებას და ეწინააღმდეგებოდა ფულადი სიმდიდრის დაგროვებას. არისტოტელე ქრემატისტიკას მიაკუთვნებდა მხოლოდ მსხვილ ვაჭრობას, წვრილ ვაჭრობას კი ეკონომიკის საქმიანობად თვლიდა. **მსხვილ ვაჭრობას არისტოტელე უარყოფითად უცქერდა, წვრილს კი – დადებითად. ის სასტიკად უარყოფდა მევახშეობას,** რადგან ფულის საშუალებით „ფულის კეთების“ წინააღმდეგი იყო. იგი ვაჭრებისა და მევახშეების მიერ მოგებისთვის ფულის გამოყენებას არაბუნებრივად თვლიდა. არისტოტელე ფულს განიხილავდა როგორც მიმოქცევის იარაღს და ღირებულების საზომს და ასკვნიდა, რომ ვინც ფულს სავახშოდ აძლევს, იგი მას მისივე ბუნების საწინააღმდეგოდ იყენებსო.

არისტოტელე ქრემატისტიკას ბუნების საწინააღმდეგო მოვლენად თვლიდა, მაგრამ, ამასთანავე, საკმაოდ რეალისტიც იყო, რომ დაენახა წმინდა „ეკონომიკის“ შეუძლებლობა. იგი ამჩნევ-

---

1 ჰენეი ლ., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1927, გვ. 12.

2 როზენბერგი დ., პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, თბ., 1938. გვ. 17.

და, რომ ეკონომიკიდან უწყვეტად წარმოიქმნება ქრემატისტიკა.[1] ა. ანიკინი მიიჩნევს, რომ ეს სწორი დაკვირვებაა. თავის მხრივ, იგი ამატებს, რომ „მეურნეობიდან, სადაც პროდუქტები იწარმოება, როგორც საქონელი გაცვლისთვის, გარდაუვლად კაპიტალისტური ურთიერთობანი წარმოიქმნება“. ჩემი მხრივ (ჯ.ხ.) აქ იმას დავამატებდი, რომ არისტოტელე, ეტყობა, ქვეშეცნეულად გრძნობდა: ფულადი სიმდიდრის განუზომელი გადიდება, თუ ფული უზრუნველყოფილი არ იქნება ძვირფასი ლითონებით და სხვა სასაქონლო ფასეულობებით, **ფულის გაუფასურებას, ინფლაციას გამოიწვევდა.**

არისტოტელემ სხვა საყურადღებო შეხედულებანიც ჩამოაყალიბა. გაცვლის ანალიზის დროს ის უმნიშვნელოვანეს დასკვნამდე მივიდა, რომ სხვადასხვა სახის საქონელი ურთიერთგაცვლისას ერთმანეთს უტოლდება. ამ მოსაზრებაში ჩვენ შეიძლება **შრომითი ღირებულების თეორიის ჩანასახი** დავინახოთ. **არისტოტელემ პირველმა შენიშნა განსხვავება საქონლის სახმარ და საცვლელ ღირებულებათა შორის.** იგი შენიშნავდა, რომ ფეხსაცმელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფეხზე ჩასაცმელად, ანდა სხვა ნივთზე გადასაცვლელად. მან პირველმა დასვა გაცვლის ეკვივალენტობის საკითხი.

2. რომის ლატიფუნდიური მეურნეობის პრობლემები კატონის, ვარონისა და კოლუმელას აგრონომიულ ტრაქტატებში

ძველი რომის ეკონომიკურმა აზრმა განვითარების რთული გზა განვლო. მის ხანგრძლივ ისტორიაში სხვადასხვა მიმართულება წარმოიშვა, რომლებიც ორიგინალობითა და ეპოქის ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტით გამოირჩეოდა.

ძველ რომში იზრდებოდა ქალაქები, ვითარდებოდა ვაჭრობა და მრეწველობა, მაგრამ **უმთავრეს პრობლემას აგრარული საკითხი წარმოადგენდა.** მის გარშემო მრავალი ასწლეულის

[1] ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989, გვ. 25.

განმავლობაში დუღდა ვნება და მიმდინარეობდა კლასთა მწვავე ბრძოლა, რამაც ძველი რომის ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში ღრმა კვალი დატოვა. მრავალი აგრარული პროექტი იქნა წამოყენებული, რომელთა მიზანდასახულობას ვითარების სტაბილიზაცია და მონათმფლობელური რეჟიმის ხსნა წარმოადგენდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ საჭირო იყო **ლატიფუნდიურ და გლეხურ მეურნეობებს შორის არსებული ანტაგონიზმის ჩარჩოებში ჩაყენება.** ამაზე თვალსაჩინო წარმოდგენას კატონის აგრონომიული ტრაქტატი იძლევა.

კატონი უფროსი (234-149 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) მსხვილი მიწათმფლობელი იყო. თავის აგრონომიულ ტრაქტატში „მიწათმოქმედების შესახებ“ იგი მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგად მიწათმოქმდებას თვლიდა და გულმოდგინედ იცავდა მონათმფლობელურ ნატურალურ მეურნეობას. ხოლო ვაჭრობას და მევახშეობას უარყოფითად აფასებდა. ეს ტრაქტატი განსაკუთრებულ ყურადღებას იმიტომ იმსახურებს, რომ მონათმფლობელური წარმოების აღმავლობის პერიოდშია დაწერილი და მკაფიოდ ასახავს რომაელის მრწამსს თავის ეკონომიკურ შესაძლებლობებში.

კატონის ტრაქტატი მრავალმხრივია და ძირითად ნაწილში აგრონომიულ რჩევებს შეიცავს. განსაკუთრებით საინტერესოა კატონის დარიგებები მონების რაციონალური ექსპლუატაციის მეთოდების შესახებ. კატონი მონობას სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევდა. იგი ცდილობდა მხოლოდ იმას, რომ მონათა ექსპლუატაცია უფრო ეფექტიანი გამხდარიყო. ლატაფუნდიების მფლობელთა გარანტირებული მაღალი შემოსავალისათვის კატონი მონათათვის სურსთის, ფეხსაცმლის და ტანსაცმლის მიცემის ღატაკურ ნორმებს აწესებდა. იმავდროულად კატონი მათგან დაუღალავ შრომას მოითხოვდა. მონებს ყველგან და ყოველთვის, უამინდობის შემთხვევაში და დღესასწაულების დროსაც, უნდა ემუშავათ. კატონი წინადადებას იძლეოდა მონათა პირადი ცხოვრების მხარეების მიმართაც კი ადმინისტრაციული სიმტკიცე გამოეყენებინათ. მოკლედ, **კატონი მონას მოლაპარაკე იარაღად მიიჩნევდა,** რომელსაც, შრომის გარდა, არავითარი უფლება არ გააჩნდა.

სამუშაო ძალისადმი ასეთი მკაცრი მიდგომა ძველ რომში იმას იწვევდა, რომ მონათა რიცხვი თანდათანობით კლებულობდა. საგარეო დაპყრობების გზით მონათა ხელში ჩაგდების წყარო დაილია და დღის წესრიგში დადგა შეცვლილიყო მიდგომა მონების, როგორც წარმოების მუშაკების მიმართ. მათი შრომის ექსპლუატაციის გარკვეულად შერბილებული პროექტები ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში ვარონმა ჩამოაყალიბა.

ვარონი (116-27 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) ცნობილი მოაზროვნე იყო. ვარონის დროს ლატიფუნდიურმა მეურნეობამ თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია და ამიტომ მისი ორგანიზაციის საკითხმა უფრო მეტი სიმწვავე შეიძინა. თავის სამტომიან ტრაქტატში „სოფლის მეურნეობის შესახებ“ ვარონმა ლატიფუნდიური მეურნეობის საინტერესო ანალიზი მოგვცა. ეს იმით აიხსნება, რომ იგი აკვირდებოდა მონათმფლობელობის უფრო განვითარებულ ფორმებს და იმ პერიოდში წერდა, როდესაც ძველი რომის ეკონომიკური აზრი უფრო მაღალ დონეზე იდგა.

ვარონი შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ანტიკურმა იტალიამ, რომის ხელისუფლების ფარგლებში, თავისი ეკონომიკური პოზიციები ყველაზე მეტად დაკარგა. მას ის გარემოება აღელვებდა, რომ იტალიას საკუთარი პური და ყურძენიც კი არ ჰყოფნიდა. მისი აზრით, იტალიას, თუ ის შემდგომშიც აპირებდა მსოფლიოზე ბატონობას, უნდა ჰქონოდა თავისი საარსებო პური. **ვარონი უპირატესობას ნატურალურ მეურნეობას ანიჭებდა.** მართალია, ვაჭრობასაც დიდ ეკონომიკურ მნიშვნელობას აძლევდა, მაგრამ უფრო მეტად რჩევას იძლეოდა ბაზრის მოთხოვნილების შემცირებისათვის. მისი აზრით, ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო, საოჯახო მეურნეობაში უნდა დამზადებულიყო. **მისი შეხედულებით, ნატურალურ მეურნეობას სასაქონლოსთან შედარებით სერიოზული უპირატესობა ჰქონდა – ის უფრო მყარი და საიმედო იყო.** თუ დავაკვირდებით, ვარონის აღნიშნული იდეები საკმაოდ აქტუალურია დღევანდელ ცხოვრებაშიც და გარკვეულწლად მათი გამოყენება შესაძლებელია ***მდგრადი ეკონომიკის უზრუნველსაყოფად.***

კატონისგან განსხვავებით, ვარონი დაინტერესდა, ლატიფუნდიებისთვის აუცილებელი სამუშაო ძალის რეზერვების კვლავ-

წარმოების პრობლემით. ვარონი პირდაპირ აყენებდა საკითხს მონების ხელოვნურად გამრავლების ორგანიზაციის შესახებ და წინადადებას იძლეოდა, მონისთვის მონა ქალი მიეცათ, როგორც ცოლი. **მონას უფლება ეძლეოდა, შეექმნა ოჯახი, რომელსაც ლატიფუნდიებისთვის სამუშაო ძალის ახალი წყარო უნდა გაეჩინა.** მონათა ექსპლუატაციის ვარონისეული მეთოდები უფრო მოქნილი და გაწაფული აღმოჩნდა, ვიდრე კატონისეული. მისი აზრით, მონებს სხვადასხვა მატერიალური შეღავათი უნდა ჰქონოდათ. მაგრამ ვარონის ასეთმა პროექტმაც ვერ გადაარჩინა ძველი რომის მონათმფლობელური რეჟიმი. ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში დაიწყო მისი რღვევა.

მონათმფლობელური წყობილების დაცემის პერიოდის ეკონომიკური აზრის წარმომადგენელი იყო **ლუციი კოლუმელა** (I ს. ჩვ. წ. აღ.). თავის დიდ შრომაში „სოფლის მეურნეობის შესახებ“ (12 წიგნი) ის აღნიშნავდა მონების შრომის დაბალ ნაყოფიერებას და აცხადებდა, რომ მონები მიწას ცუდად ამუშავებენ, იმისთვის არ ზრუნავენ, რომ მიწას მაღალი მოსავალი მიეცა. **კოლუმელა თავისუფალი წვრილი მწარმოებლების შრომას უფრო ნაყოფიერად მიიჩნევდა და,** აქედან გამომდინარე, **მონათმფლობელურ ლატიფუნდიებთან შედარებით თავისუფალ შრომაზე დამყარებულ წვრილ მიწათმფლობელობას ანიჭებდა უპირატესობას.** იგი მოითხოვდა მონის შრომა თავისუფალი კოლონების შრომით შეცვლილიყო. **კოლონი შუალედური ფიგურა იყო მონასა და ყმა-გლეხს შორის, ხოლო კოლონატი გარდამავალი ინსტიტუტი მონათმფლობელობასა და ფეოდალიზმს შორის.** ასე რომ, ლ. კოლუმელა კოლონატის იდეოლოგი გახდა.

3. ტიბერიუს და გაიუს გრაკჰუსების აგრარული მოძრაობის ეკონომიკური იდეები

ძველი რომის ეკონომიკური აზრის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია დემოკრატიულ მოძრაობას ძმები გრაკჰუსების მეთაურობით.

ტიბერიუს გრაკჰუსმა (163-132 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე), რომელიც 133 წელს სახალხო ტრიბუნის პოსტზე აირჩიეს, აამოქმედა ძველი

კანონი, რომელიც ყოველ რომაელ მოქალაქეს **უკრძალავდა ჰქონოდა 500 იუგერზე (125ჰა) მეტი მიწა.** გამონაკლისი იყო მხოლოდ მრავალშვილიანი ოჯახები – მათ 1000 იუგერს უტოვებდა (250ჰა).[1] დაწესებულ ზღვარს რაც აღემატებოდა, მფლობელისთვის უნდა ჩამოერთმიათ და **პატარ-პატარა ნაჭრებად (30 იუგერი) გადაეცათ ღარიბებისთვის,** რომელთაც მისი გაყიდვის უფლება არ ექნებოდათ. **მიუხედავად იმისა, რომ გრაკჰუსები არისტოკრატიის მაღალი წრის წარმომადგენლები იყვნენ, ისინი დაბალ ფენებს თანაუგრძნობდნენ.** ტიბერიუსი ამბობდა, რომ „მხეცებსაც კი, რომლებიც იტალიაში დაძრწიან, ღამის გასათევი სოროები და ბუნაგები აქვთ. იმ ხალხს კი, რომელიც იტალიისთვის იბრძვის და იხოცება, ჰაერისა და სინათლის გარდა, არაფერი გააჩნიაო“. არისტოკრატიის წინაღმდეგობის მიუხედავად, სახალხო კრებამ ტიბერიუსის პროექტს მხარი დაუჭირა და აგრარული კომისია მის რეალიზაციას შეუდგა. მრავალმა გაღარიბებულმა მოქალაქემ მიწა მიიღო, მაგრამ დიდებულების უმეტესობას არ უნდოდა მიწების დაკარგვას შერიგებოდა და ტიბერიუსის რეფორმას მტრულად შეხვდა. მათ მოკლეს ტიბერიუსი და მისი 300-მდე მომხრე დახოცეს.



ტიბერიუს გრაკჰუსი

ტიბერიუსის საქმე შემდგომ მისმა უმცროსმა ძმამ, გაიუსმა, გააგრძელა.

გაიუს გრაკჰუსი (153-121 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე), ძმისგან განსხვავებით, უფრო შორს წავიდა და ბევრ რეფორმას ჩაუყარა საფუძველი. ჩვ. წ. აღ-მდე 124 წელს იგი სახალხო ტრიბუნად აირჩიეს. გაიუსმა კოლონიზაციის ფართო პროგრამა წამოაყენა, შეიმუშავა კანონპროექტი აფრიკის ჩრდილოეთით, დღევანდელი ტუნისის ტერიტორიაზე, 6000 კაცისათვის კოლონიის ორგანიზაციის შესახებ, ყოველი მეურნეობისთვის 200 იუგერი მიწის მიცემით. მაგრამ

[1] ქავთარია გ., ძმები გრაკჰუსები. თბ., 1990, გვ. 100.

გაიუს გრაკჰუსის რეფორმაც წინააღმდეგობას შეხვდა და ვერ განხორციელდა.

გაიუს გრაკჰუსი მიმართავს პლებეებს

4. ანტიკური ქრისტიანობის ეკონომიკური შეხედულებები

ანტიკური ეკონომიკური აზრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი ქრისტიანობას უკავია. იგი რომის იმპერიის პირობებში წარმოიშვა და ფართოდ გავრცელდა. ახალი რელიგია თავდაპირველად მონებისა და ღარიბების პროტესტს გამოხატავდა მონათმფლობელთა კლასის წინააღმდეგ. ქრისტიანული რელიგია აღიარებდა, რომ ღმერთის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია და დედამიწაზე ცხოვრების დროს ისინი იმას უნდა ცდილობდნენ, საიქიო ნეტარება დაიმსახურონ. ქრისტიანობის თავდაპირველი შინაარსი შემდეგ რამდენადმე შეიცვალა – ეკლესიამ ცნო წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, მონათმფლობელობა, საზოგადოების კლასებად დაყოფა. პირველდაწყებითი ქრისტიანობა ღა-

რიბებსა და მონებს საიქიო ნეტარებას ჰპირდებდა. იგი მათ მოუწოდებდა თავიანთი პატრონების მიმართ ერთგულება გამოეჩინათ და მუყაითად ეშრომათ, თავიანთ ხვედრს შერიგებოდნენ და მოთმინება გამოეჩინათ. ეკლესია ცალკეული პირების მიერ დიდი რაოდენობით სიმდიდრის მოხვეჭას ცოდვად თვლიდა, მაგრამ ამის პატიება შეიძლებოდა შეწირულობის გაღებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989, გვ. 25.
2. არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981.
3. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. I. თბ., 1973.
4. სილაგაძე ა., ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996.
5. სილაგაძე ა., ეკონომიკური მეცნიერების სათავეებთან, თბ., 2018.
6. სილაგაძე ა., მონათმფლობელური საზოგადოების ეკონომიკური კონცეფციები, თბ., 1991.
7. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, თბ., 1975.
8. როზენბერგი დ., პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, თბ., 1938.
9. ქავთარია გ., ძმები გრაკჰუსები, თბ., 1990.
10. ხარიტონაშვილი ჯ., ადრეული პროტექციონისტული იდეები და თანამედროვეობა, ჟურნ. „ეკონომიკა, № 5, 2002.
11. ხარიტონაშვილი ჯ ., ეკონომიკურ მოძoვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., I, თბ., 1997.
12. ჰენეი ლ., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1927.
13. Аристотель, Политика, Соч., т.4, СПБ, 1911.
14. Борский Г. Тиберий Гракх, 1919.
15. Всемирная история экономической мысли т.1,М., 1987.
16. История экономической мысли, т.1, М., 1961.
17. Катон Марк Порьций, Земледелие, М., 1950.
18. Катон Марк Порьций, о сельском хозяйстве, М., 1957.
19. Катон, Варрон, Колумела, Плиний, о сельском хозяйстве, М., 1937.
20. Колумела Луций Юний Модерант о сельском хозяйстве, М.,1957.
21. Ксенофонт Афинский, Домострой, сок. соч. М., Л., 1935.
22. Нимеровский А. И., Тиберий Гракх, М., 1955.
23. Платон, Политика или Государство, Соч. т. 3, ч. 2, М., 1972.

თავი III. შუა საუკუნეების ეკონომიკური შეხედულებები

შუა საუკუნეების ეკონომიკურმა მოაზროვნეებმა საინტერესო ეკონომიკური შეხედულებები ჩამოაყალიბეს, რომლებიც თანამედროვე პირობებში სრულიად ახლებურად შეიძლება განვიხილოთ, მათგან რაციონალური მარცვალი გამოვყოთ და ქვეყნის წინასვლა- განვითარების საქმეში გამოვიყენოთ.

შუა საუკუნეების ეკონომიკური აზრის ისტორია, პირობითად, სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს:

1. ადრეული შუა საუკუნეების ეკონომიკური შეხედულებები;
2. კლასიკური შუა საუკუნეების ეკონომიკური შეხედულებები;
3. გვიანდელი შუა საუკუნეების ეკონომიკური შეხედულებები.

1. შუა საუკუნეების არაბული ეკონომიკური აზრი

ფეოდალურმა სისტემამ აღმოსავლეთის არაბულ ქვეყნებში ჩვ. წ. აღ-ით. VII საუკუნეში დაიწყო განვითარება. ამ საუკუნის დასაწყისში არაბეთის ნახევარკუნძულზე გაზრდილმა სოციალურმა წინააღმდეგობებმა სახელმწიფოს ჩამოყალიბება გამოიწვია, რომლის რელიგიურ-პოლიტიკური იდეოლოგია ისლამი იყო.

ახალი რელიგიისა და სახელმწიფოს ფეძემდებელი გახლდათ ქალაქ მექას წვრილი ვაჭარი მუჰამედი. ის და მისი მიმდევრები ცდილობდნენ, თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ, ერთი მხრივ, მდიდრები, მეორე მხრივ, ღარიბ-ღატაკები. ამიტომ ისინი სიმდიდრის, მევახშეობისა და მექრთამეობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

არაბეთის ეკონომიკური აზრი წარმოდგენილია „ყურანში“ (კითხვა), რომელსაც საფუძვლად მუჰამედისა და მისი მოწაფეების ქადაგებანი დაედო. ყურანში, რელიგიურ იდეებთან ერთად, ისლამის ეკონომიკური კონცეფციებიცაა გადმოცემული.

მუსლიმანების საღმრთო წიგნი ყურანი მოითხოვს, რომ მორწმუნე ხარბი არ იყოს და უზომოდ გამდიდრებისკენ არ ისწრაფვოდეს. ამასთან, ყურანი საზოგადოებრივი უთანასწორობის ღვთი-

ურ წინასწარგანსაზღვრულობას, საზოგადოებაში მდიდრებისა და ღარიბების არსებობას ასაბუთებს.

მუჰამედი და მისი მიმდევრები დიდ ყურადღებას უთმობდნენ **ვაჭრობას.** მართალია, არაბეთში ვაჭრობა დიდად განვითარებული არ იყო, მაგრამ ყურანის შემდგენლები ფიქრობდნენ, რომ ვაჭრობის განვითარება მუსლიმანური რელიგიის გავრცელებას ხელს შეუწყობდა.

ყურანში მინიშნებულია, რომ მუსლიმანები ვაჭრობის განსაზღვრულ წესებს უნდა დაემორჩილონ. „დაიცავით სისწორე ზომასა და წონაში, ხალხს ზარალი არ მიაყენოთ მათს ქონებაში“, – აღნიშნულია ყურანში. ვაჭრობაში მოგებას ყურანი ბუნებრივ მოვლენად თვლის, მაგრამ გმობს მევახშეობას და სარგებელს, თუმცა, ორივე დასაშვებად მიაჩნია, ოღონდ მათ მოწესრიგებას მოითხოვს. ყურანი კრძალავდა მაღალი პროცენტის ამოღებას.

შუა საუკუნეებში არაბეთის კულტურა აღმავლობას განიცდიდა. არაბეთში ვითარდებოდა მეცნიერების მრავალი დარგი, მათ შორის, მეცნიერება საზოგადოების განვითარების შესახებ. ეკონომიკურ საკითხებში ყველაზე საინტერესო აზრი არაბმა ისტორიკოსმა იბნ-ჰალდუნმა გამოთქვა.

იბნ-ჰალდუნმა (1332-1406) აღიარა, რომ სიმდიდრე შრომით იქმნება და სხვადასხვა პროდუქტი ერთმანეთზე იცვლება შრომის დანახარჯების შესაბამისობის მიხედვით. იგი აღნიშნავდა, რომ „ყველაფერი ან უდიდესი ნაწილი იმისა, რასაც ადამიანი შეიძენს და რისგანაც მოგებას ამოიღებს, შრომის ტოლფასი ღირებულებაა“. **იბნ-ჰალდუნს მიაჩნდა, რომ სიმდიდრის წყარო არა მხოლოდ ოქრო და ვერცხლია, არამედ შრომისმოყვარე მოსახლეობაც.** იგი მახვილგონივრულად შენიშნავდა, რომ სუდანის მიწის წიაღში ბევრი ოქროა, მაგრამ ქვეყანა მაინც ღარიბიაო. რადგა-

იბნ-ჰალდუნი

ნაც, **ხალხის კეთილდღეობა ოქროს რაოდენობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მოსახლეობის შრომისმოყვარეობაზე.** იბნ-ჰალდუნის თქმით, ძვირფასი ლითონები სიმდიდრეს არ ქმნის, მაგრამ მყარი ღირებულება აქვს და ამიტომ, როგორც განძი, უკვე შექმნილი სიმდიდრის შენახვის ხელსაყრელი ფორმაა.

2. ადრეული შუა საუკუნეების ეკონომიკური შეხედულებანი ევროპაში

„სალიკური კოდექსი“. „კაპიტულარები ვილების შესახებ“

ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში მეურნეობას, ძირითადად, ნატურალური ხასიათი ჰქონდა. ბაზარზე პროდუქტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გადიოდა. მაგრამ თანდათანობით განვითარდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. სოფლის მეურნეობისგან გამოყოფილმა ხელოსნობამ დასაბამი მისცა ფეოდალური ქალაქების ზრდას. ამ პროცესს კი საქონელბრუნვის განვითარება მოჰყვა.

ადრეული შუა საუკუნეების ეკონომიკური შეხედულებები, ძირითადად, ნატურალური მეურნეობის პრინციპების ამსახველია. ამ პერიოდში ეკონომიკური საკითხებისადმი მიღძვნილი რაიმე სერიოზული ნაშრომი არ შექმნილა. ეს, ჯერ ერთი, განპირობებული იყო იმით, რომ ეკონომიკური განვითარების დონე დაბალი იყო. მეორეც, შუა საუკუნეებში რელიგიის გავლენა სულიერ ცხოვრებაზე იმდენად ძლიერი იყო, რომ ეკონომიკურ საკითხებზე ყოველგვარი მსჯელობა რელიგიური ეთიკით ისჯებოდა.

მაგრამ ადრეულ შუასაუკუნეებში ეკონომიკური აზრი მაინც ვითარდებოდა. ამ პერიოდში ისეთი პრობლემები წარმოიშვა, რომლებსაც ანტიკური სამყარო არ იცნობდა. მათ კი გააზრება ესაჭიროებოდა. აღნიშნული პერიოდის ეკონომიკურ შეხედულეებში ის პრობლემები აისახა, რომლებიც ფეოდალიზმის გენეზისთან იყო დაკავშირებული.

ადრეულ საუკუნეებში ეკონომიკური მეცნიერება ჯერ კიდევ გამოცალკევებული არ იყო. ეკონომიკურ იდეებს ვხვდებით

იურიდიულ კოდექსებსა და სასულიერო კრებულებში. განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ეკონომიკურ იდეებს აქვს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ეკონომიკურ პროცესებს: ვაჭრობას, მევახშეობასა და სხვ. ადრეული შუასაუკუნეების დასავლეთევროპულ ეკონომიკურ აზრზე მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის ე.წ. **ბარბაროსული კოდექსი,** რომელიც საადათო სამართლის ჩანაწერებს წარმოადგენს. შუა საუკუნეების ეკონომიკური აზრის ისტორიკოსთა ყურადღებას უდავოდ იმსახურებს **რიპუალური, ბურგუნდიული, ბავარიული** და სხვა კოდექსები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხების სრული სპექტრი მოცემულია იმ წყაროებში, რომლებიც VI საუკუნის დასაწყისის ფრანკების სამეფოში შეიქმნა და სალიკური სამართლის სახელითაა ცნობილი. მასში მკაფიოდაა ასახული სათემო გლეხობის ეკონომიკური შეხედულებები. **სალიკური კოდექსის** ეკონომიკურ შეხედულებებში ვხვდებით გვაროვნული წყობილების გადმონაშთებს.

სალიკური კოდექსი აღიარებდა თემის უზენაეს უფლებას მიწაზე. მისი დარღვევა მეფის ხელისუფლების ჩარევით შეიძლებოდა. აღნიშნული კოდექსი კრძალავდა მიწის მემკვიდრეობით გადაცემას მდედრობითი სქესის მემკვიდრეებზე. თუ მამაკაცს მემკვიდრეები არ ჰყავდა, მიწა თემის განკარგულებაში გადადიოდა. სალიკური კოდექსი **თემის უზენაეს უფლებას იცავდა** ტყეებზე, საძოვრებზე, სათიბსა და სხვა სავარგულებზე.

სალიკური კოდექსი აღიარებდა მონობას, კოლონატსა და მსხვილ მიწათმფლობელობას, როგორც სავსებით კანონზომიერ მოვლენას. მაგრამ სალიკური კოდექსი ბატონყმურ რეჟიმს უფრო ენერგიულად იცავდა, ვიდრე მონათმფლობელობის გადმონაშთებს. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ სალიკური კოდექსი წინააღმდეგობრივი დოკუმენტი იყო და ფრანკების სოფლის ფეოდალიზაციის პროცესს ასახავდა.

ადრეული შუა საუკუნეების ეკონომიკური აზრის ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროა **„კაპიტულარები (კანონები) ვილების შესახებ“,** რომელიც გამოცემულია VIII ს-ის დამლევს და IX ს-ის დასაწყისში ფრანკების სამეფოში, კარლოს დიდის დროს. ეს დოკუმენტი საინტერესო მასალას იძლევა ადრეული შუა საუკუნე-

ების ეკონომიკურ აზრზე, ამჟღავნებს ფორმირებადი ფეოდალური საზოგადოების შეხედულებებს.

კაპიტულარებში წარმოდგენილი ეკონომიკური შეხედულებების წრე სალიკური კოდექსის პოზიციისგან ბევრად განსხვავდება. ეს გასაკვირი არცაა, ვინაიდან „კაპიტულარები ვილების შესახებ“ სალიკური კოდექსისგან მთელი სამი საუკუნის რთული ისტორიული დროითაა დაშორებული. ამ პერიოდში თემმა დაკარგა დამოუკიდებლობა და მიწის მესაკუთრის უფლება. წინა პლანზე ფეოდალურმა მამულებმა წამოიწია და სწორედ მათი პრობლემის გადაჭრას ცდილობდნენ კანონმდებლები. „კაპიტულარების“ შემდგენლები ეყრდნობიან იმ მოსაზრებას, რომ **მიწის მფლობელი მიწის მონოპოლიური მესაკუთრეა,** ხოლო მისმა მიწამ მემამულის საკუთარი საჭიროება უნდა დააკმაყოფილოს. „კაპიტულარების“ ავტორებისთვის იდეალური ნატურალური მეურნეობაა და ყოველგვარი გადასახადი ნატურით უნდა ანაზღაურებულიყო.

„კაპიტულარები ვილების შესახებ“ მემამულური წარმოების ორგანიზაციას ბატონყმურ საფუძველზე წყვეტდა. იგი სხვადასხვა მეთოდის რთული თანაშეწყობის რეკომენდაციას იძლეოდა, რომლებიც, მთლიანობაში, შედარებით მოქნილ სისტემას ქმნიდა. „კაპიტულარებში“ მოცემული რეკომენდაციები და განკარგულებები აჩვენებს, რომ ფეოდალური საზოგადოების ეკონომიკურმა აზრმა განვითარების ტენდენცია შეიძინა.

3. შუასაუკუნებრივი კათოლიციზმის ეკონომიკური შეხედულებანი

თომა აქვინელი

კლასიკური შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ეკონომიკური აზრის განვითარებაზე დიდი გავლენა ჰქონდა კათოლიკურ ეკლესიას. კათოლიკური ღვთისმეტყველებისა და საეკლესიო იურისტების (ე.წ. კანონისტების) დოქტრინები მნიშვნელოვანწილად ანტიკურ ტრადიციებს, განსაკუთრებით არისტოტელეს თხზულებებს, ემყარება. კანონისტური ეკონომიკური შეხედულებები

თომა აქვინელი

რელიეფურადაა წარმოდგენილი **„კანონიკური სამართლის კრებულში“,** რომელიც შედგენილია XII საუკუნის შუახანებში ბოლონიელი ბერის, **გრაციანის,** მიერ. ამ კრებულის მიხედვით, **იდეალს საერთო საკუთრება წარმოადგენს.** ამავე დროს იგი აცხადებდა, რომ კერძო საკუთრებაც აუცილებელი იყო, როგორც სასჯელი ადამიანთა სისასტიკისთვის. აღნიშნული კრებული წარმოების ჭეშმარიტ ფაქტორად მხოლოდ მიწასა და შრომას მიჩნევდა. აქედან გამომდინარე, ქრისტიანის ღირსებისთვის შესაფერისად მიწათმოქმედებასა და ხელოსნობას თვლიდა. ვაჭრობას და მევახშეობას ის უგულებელყოფდა.

შუა საუკუნეების კათოლიციზმის ეკონომიკური დოქტრინა ყველაზე სრულად ცნობილმა იტალიელმა ღვთისმეტყველმა **თომა აქვინელმა** გამოხატა (1224-1265). იგი შუა საუკუნეების დიდი საეკლესიო მოღვაწე იყო, **რომლის მოძღვრებაც დღემდე ვატიკანის ოფიციალურ ფილოსოფიას წარმოადგენს.** მისი თხზულებები კათოლიციზმის ენციკლოპედიად იქცა. ამ თხზულებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია **„თეოლოგიის ჯამი“.**

თომა აქვინელი თავის პოლტიკურ და ეკონომიკურ შეხედულებებში არისტოტელეს მოსაზრებებს იზიარებდა და, ამასთანავე, ცდილობდა ისინი ბიბლიასთან შეეხამებინა.

თომა აქვინელი ცენტრალიზებული ხელისუფლების მომხრე იყო. **იგი ისწრაფვოდა სოციალური თანასწორობისკენ, მხარს უჭერდა იერარქიულ საზოგადოებას და წინააღმდეგი იყო სახელმწიფო ხელისუფლებაში ხალხის წარმომადგენლის მონაწილეობისა.**

არისტოტელეს მსგავსად, თომა აქვინელი ამართლებდა მონობას, ვინაიდან მასში ადამიანთა ბუნებრივი განსხვავებისა და ადამიანთა ცოდვის შედეგს ხედავდა. მას ბატონყმობაც მოსწონდა.

ფეოდალური აპოლოგია გვერდს ვერ აუვლიდა კერძო საკუთრების დაცვას. თომა აქვინელი, გარკვეული ზომით, ეთანხმებოდა აზრს, რომ ნივთები ღმერთს ეკუთვნის, ხოლო ადამიანებს დროებით შეუძლიათ მათით ისარგებლონ. იმავე დროს, იგი აცხადებდა, რომ **კერძო საკუთრება საერთო სიკეთისთვის აუცილებელია.**

XII საუკუნემდე ეკლასიის მსახურთ ეკონომიკური საკითხები ნაკლებად აინტერესებდათ. ამ მიმართულებით თომა აქვინელმა ნაბიჯი გადადგა წინ**.** მის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკონომიკურ თემაზე მსჯელობას უკავია. **შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას** თომა აქვინელი განიხილავდა როგორც ბუნებრივ მოვლენას და მიიჩნევდა, რომ ის საზოგადოების ფენებად დაყოფას ეყრდნობა. თ. აქვინელი წერდა: „როგორც ფუტკრების ოჯახში ერთნი თაფლს აგროვებენ, სხვები ცვილისგან უჯრედს აშენებენ, ხოლო დედა ფუტკარი მატერიალურ შრომაში სრულიად არ მონაწილეობს, ასეა ადამიანებშიც: ერთმა მიწა უნდა დაამუშაოს, სხვებმა სახლი ააშენონ, ხოლო ადამიანთა ნაწილი საერთო საქმისგან თავისუფალი უნდა იყოს. მათ სულიერ შრომას უნდა შესწირონ თავი სხვების სახელის გადასარჩენად.“ თომა აქვინელის მტკიცებით, საბატონო გლეხები ფიზიკური შრომისათვისაა გაჩენილნი, ხოლო პრივილეგირებულ ფენებს გონებრივად უნდა ეშრომათ.

თომა აქვინელი ამართლებდა **სიმდიდრის დაგროვებას.** მისი აზრით, სიმდიდრე თავის თავში არავითარ განსაკუთრებულობას არ შეიცავს. ის ადამიანური საქმიანობის შედეგია ისევე, როგორც კერძო საკუთრების უფლებაო.

აქვინელს განსაკუთრებით ესიმპათიურებოდა **ნატურალური მეურნეობა,** რომელიც გაცვლას არ საჭიროებდა. ცნობილი ღვთისმეტყველი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ გაცვლის გვერდის ავლა მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია შესაძლებელი. ამი-

ტომაც იგი მსჯელობდა გაცვლის ორგანიზაციაზეც და აღნიშნავდა, რომ გაცვლა მოტყუების გარეშე უნდა განხორციელდესო.

თ. აქვინელის მოძღვრებაში ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **სამართლიანი ფასების** თეორიას. მისი მტკიცებით სამართლიანი ფასი გაცვლის ობიექტურ პირობებს უნდა ემყარებოდეს. შუა საუკუნეების მიწათმოქმედებმა და ხელოსნებმა კარგად იცოდნენ თავიანთი პროდუქტების ღირებულება. ამიტომ გაცვლის დროს პროდუქტების წარმოებაზე დახარჯულ შრომას ითვალისწინებდნენ. ამასთან, თ. აქვინელი აღნიშნავდა, რომ გაცვლის დროს წოდებრივი პრინციპიც უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. **მას სამართლიანად მიაჩნდა ისეთი ფასი, რომელიც გამყიდველს შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებაში თავისი მდგომარეობის შესაბამისად იცხოვროს.**

თ. აქვინელის „სამართლიანი ფასების“ თეორიასთან მჭიდრო კავშირშია **ფულის კანონიკური თეორია,** რომელიც აღიარებს, რომ ფული გაცვლის ფუნქციაში ადამიანებს შორის შეთანხმების შედეგად გამოდის. თ. აქვინელი ფულის ღირებულების საზომის ფუნქციასაც აღიარებდა. „მონეტა ვაჭრობაში უზუსტესი საზომია მატერიალური ცხოვრებისთვის და პირიქით“, – წერდა იგი და ამტკიცებდა, რომ „მონეტა შრომაში იზომება“. თ. აქვინელის თქმით, ფულს არ შეუძლია ფული აწარმოოს, ამიტომ ის დაგროვების საშუალება არ უნდა იყოს. იგი კიცხავდა **ფულად დაგროვებას,** ვინაიდან ის სიხარბის შედეგს წარმოადგენსო. უნდა ითქვას, რომ ეს გაკიცხვა მხოლოდ კერძო პირებს ეხებოდა. თომა აქვინელი საჭიროდ თვლიდა ფულადი განძის არსებობას ხელმწიფეებისა და ეკლესიებისათვის, რამდენადაც მათ ქონება საზოგადოებრივი ფუნქციების შესასრულებლად სჭირდებოდათ.

4. ეკონომიკური აზრის განვითარება შუა საუკუნეების საქართველოში

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი. „ვახტანგის კანონები.“ ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ („ხუმარსწავლა“)

შუა საუკუნეების განმავლობაში საყურადღებო ეკონომიკური აზრი ჩამოყალიბდა საქართველოში.

ეკონომიკური აზრის პირველი გამოვლინებანი უძველეს ქართულ ლიტერატურულ წყაროებში შეინიშნება („შუშანიკის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) და სხვ. მათში ადრეული შუასაუკუნეების ქართული ეკონომიკური ყოფის შთამბეჭდავი სურათებია დახატული. გადმოცემულია სამონასტორო მეურნეობის მდგომარეობა, ქართველ ერისმთავართა და მშრომელთა ეკონომიკური მდგომარეობა.

საყურადღებო ეკონომიკურ იდეებს შეიცავს **შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი.“** მასში თავმოყრილია ავტორის შეხედულებანი საზოგადოებრივი ცხოვრების უამრავ მხარეზე, რომლებიც რუსთაველის ეპოქაში აქტუალური იყო. იმ პერიოდში საქართველომ ფეოდალური განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ქვეყანაში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების განვითარებისთვის.

საქართველოს პოლიტიკურმა ძლიერებამ ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურება გამოიწვია. განვითარდა სოფლის მეურნეობა; გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო იარაღები და გადასაზიდი ტექნიკა; გაყვანილ იქნა არხები და წყალსადენები. რუსთაველის ეპოქაში არნახულად განვითარდა სამოქალაქო მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა.

ეკონომიკის მაღალი დონე ეკონომიკური აზრის სიმწიფესაც განაპირობებდა. „ვეფხისტყაოსანში“ საყურადღებო შეხედულებანია **სიმდიდრის** წარმოშობისა და განაწილების შესახებ. შოთა რუს-

შოთა რუსთაველი

თაველი შენიშნავს, რომ **ადმინისტრაციულად მართვადი შრომა ნაკლებ ეფექტიანია.** ამიტომ, იგი მოითხოვს **შრომის თავისუფლებას.** რუსთაველს კარგად ესმის **შრომის საზოგადოებრივი დანაწილების** როლი ნაყოფიერების ასამაღლებლად.

შოთა რუსთაველი სიმდიდრეს განსაზღვრავს აგრეთვე ძვირფასი ლითონებით, ძვირფასი ქვებით, ფულით, სამკაულით და ა.შ. ამ თვალსაზრისით, იგი, ფაქტობრივად, მერკანტილურ პოზიციაზე დგას.

„ვეფხისტყაოსანში“ ფართოდაა წარმოდგენილი ეკონომიკური კატეგორიები: **ფული, ფასი, ვაჭრობა** და სხვ. შოთა რუსთაველი მასშტაბურად განიხილავს გაცვლის, ფულისა და ვაჭრობის როლს და მის გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე.[1]

XII-XIV სს-ების ქართული ეკონომიკური აზრის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მანდატურთუხუცეს **ბექასა** და მისი შვილიშვილის, **აღბუღა** ათაბაგ-ამირსპასალარის, **სამართლის წიგნი.** აღნიშნულ პერიოდში საქართველოში ეკონომიკის წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობა იყო. ეს განაპირობებდა იმას, რომ ბექასა და აღბუღას კანონები დიდ ყურადღებას უთმობდა მიწის საკუთრების დაცვას. **ეს კოდექსი მიწის მესაკუთრედ მხოლოდ ფეოდალს მიიჩნევდა.**

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს **ვაჭრობას.** მასში დაკანონებულია იმ ვაჭართა

[1] ამ საკითხზე ფართოდ იხ. – ჩანტლაძე ვ., შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები, თბ., 1992.

პრივილეგიები, რომლებიც საგარეო ვაჭრობას ეწეოდნენ, ე.ი. აუცილებელი იყო **საგარეო ვაჭრობის სტიმულირება.** ბექა და აღბუღა ვაჭრებს ორ კატეგორიად ყოფდნენ: 1. დიდვაჭრები, რომლებიც აზნაურებთან იყვნენ გათანაბრებულები და 2. მცირე შეძლების მქონე ვაჭრები.

შუასაუკუნეების საქართველოში ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა, შინაომები, ყაჩაღობა აფერხებდა. ამიტომ ბექასა და აღბუღას ყაჩაღების წინააღმდეგ მკაცრი სასჯელი შემოუღიათ. სავაჭრო ქარავანზე თავდასხმის, ვაჭრის გაძარცვისა და ქურდობის შემთხვევებში გათვალისწინებული იყო მკაცრი დასჯა და ნაძარცვი საგნების ღირებულების ორმაგად გადახდევინება.

ბექას და აღბუღას სამართლის წიგნი აწესრიგებდა **მევახშეობის** საკითხასაც. მართალია, ის ცნობს მევახშეობას, მაგრამ წინააღმდეგია სარგებელის დარიცხვისა და სარგებლის ნორმას 20%-ით განსაზღვრავს.

XVIII ს-ის საქართველოში მეფე ვახტანგ მეექვსის ხელმძღვანელობით შეიქმნა „**ვახტანგის კანონები**“, რომელიც საინტერესო ეკონომიკურ შეხედულებებს შეიცავს. მასში დაკანონებულია, რომ ყმა ბატონის სრული საკუთრებაა და ბატონის წინაშე ვალდებულებების შესრულება მას მკაცრად მოეთხოვებოდა. „კანონებით“ გლეხის მიმართ ფეოდალის თვითნებობაც იზღუდებოდა. ვახტანგ VI-მ შეადგინა იურიდიული ნაწარმოები „**დასტურლამალი**“, რომელიც წარმოდგენას იძლევა იმდროინდელი საქართველოს ფინანსურ მდგომარეობაზეც. იგი გადასახადთა ნორმებს აწესებდა, რომლის დიდ ნაწილს ნატურალური გადასახადი შეადგენდა.

ვახტანგ VI

საქართველოს სოცია-

ლურ-ეკონომიკურ განვითარების საკითხებს ეხება აგრეთვე მეფე ვახტანგ VI-ის შვილი ვახუშტი ბატონიშვილი.



ვახუშტი ბატონიშვილი

ვახუშტი ბატონიშვილმა (1696-1757) თავის ნაწარმოებში „**აღწერა სამეფოსა საქართველოსა**“ ღრმად გაანალიზა საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა. იგი გულდასმითა და დიდი ინტერესით შეისწავლიდა მოსახლეობის აღწერისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითრების მიზნით შეგროვებულ მასალას. ბატონიშვილი ეკონომიკური ცხოვრების განვითარებას შესაძლებლად მიიჩნევდა მხოლოდ ფეოდალური წყობილებისა და მეფის ხელისუფლების განმტკიცების პირობებში.[1]

XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართული ეკონომიკური აზრი მკაფიოდაა ასახული საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის შვილის, **იოანე ბატონიშვილის** (1776-1830) **კანონპროექტში** (რომელიც მან 1799 წელს წარუდგინა მამას ქართლ-კახეთში, მისი აზრით, აუცილებლად გასატარებელი რეფორმების შესახებ) და „**კალმასობაში**“ (როგორც ავტორი უწოდებს, „**ხუმარსწავლაში**“**).** ისინი იმ პერიოდის ეკონომიკური ცხოვრების საკითხებს აშუქებენ. იოანე ბატონიშვილის პროგრამა გამიზნული იყო ფეოდალური სისტემის გამტკიცებისა და მეფის ხელისუფლების გაძლიერებისთვის. პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტას იგი მჭიდროდ უკავშირებდა სამეურნეო მდგომარეობას და ამჩნევდა, რომ ისინი ერთიმეორეს განპირობებდნენ.

იოანე ბატონიშვილის შეხედულებებში შეინიშნება მერკატილური იდეები. მას საინტერესო პოზიცია გააჩნდა **შრომის დანაწილების** საკითხში. ბატონიშვილი მოითხოვდა, რომ გლეხებს ჩართულიყვნენ შრომის დანაწილებაში. ერთნი უნდა ყოფილიყვნენ დაკავებული მიწათმოქმედებით, მეორენი – მეცხოველეობით, მე-

[1] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973.

იოანე ბატონიშვილი

სამენი მრეწველობით და ა.შ. ასეთი დაყოფა გაზრდიდა შრომის ეფექტიანობას.

იოანე ბატონიშვილის კანონპროექტში დიდი ყურადღება ექცევა **ვაჭრობის** განვითარებას. იგი მოითხოვდა სახელმწიფო საცალო ვაჭრობის გაშლას. ამასთან ერთად, ბატონიშვილი კერძო ვაჭრობის გაფართოების მომხრე იყო. მისი პროექტი ითვალისწინებდა კონტროლს საქონლის ხარისხსა და ფასების დადგენაზე. ფინანსების დარგში იოანე ბატონიშვილი **ფულის** მტკიცე კურსს იცავდა. უპირატესობას ძვირფას ლითონებს ანიჭებდა. იგი ასაბუთებდა საქართველოში სახელმწიფო **კრედიტის** შემოღების საკითხს. ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი იყო კერძო სავახშო კრედიტი, რაც დიდ სარგებელს მოითხოვდა. ამის საწინააღმდეგოდ, იოანე ბატონიშვილი **სახელმწიფო კრედიტის** შემოღებას მოითხოვდა, სარგებლის მტკიცე ნორმის დაწესებით. სარგებელი დაწესებული იყო 12%-ით, რაც მაშინ დაბალ ნორმად ითვლებოდა.[1]

მართალია, იოანე ბატონიშვილის ეკონომიკური პროგრამა საინტერესო დებულებებს შეიცავდა, მაგრამ, საქართველოში შექმნილი პირობების გამო, ის ვერ განხორციელდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
2. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973.
3. ბატონიშვილი იოანე, კალმასობა (ხუმარსწავლა), თბ., ნაწ. I, 1990, ნაწ. II - 1991.
4. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973.

[1] ბატონიშვილი იოანე, კალმასობა (ხუმარსწავლა), ნაწ. I, თბ., 1990, ნაწ. II, თბ.,1991.

5. ნათაძე ნ., თომა აქვინელის ფილოსოფია, თბ., 1973.
6. სილაგაძე ა., ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996.
7. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
8. ყურანი, თბ., 1994, 2015.
9. ჩანტლაძე ვ., შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები, თბ., 1992.
10. ჩანტლაძე ვ., ფულის, კრედიტისა და ფინანსების თეორია, თბ., 1986.
11. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., I, თბ., 1997.
12. ხარიტონაშვილი ჯ., ადრეული პროტექციონისტული იდეები და თანამედროვეობა, ჟურნ. „ეკონომიკა“, №5, 2002.
13. ჰენეი ლ., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია,თბ., 1927.
14. Абдураззах Муслим, Философские и социалогические воззрения Ибн-Хальдума, М., 1965.
15. Домострой Сильвестровского извода, М., 1961.
16. Салическая правда, М., 1950.
17. Русская правда, М.,1958.
18. Тациева С.М., Историко-социологический трактат Ибн-Хальдуна, «Муккадима», М.,1965.

თავი IV. მერკანტილიზმი

1. მერკანტილიზმის წარმოშობა და განვითარების ორი სტადია

თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების განთიადი დაკავშირებულია კაპიტალის დაგროვების თავდაპირველ პერიოდთან, საიდანაც წარმოშობას იწყებს კაპიტალისტური წყობა. კაპიტალისტურ ურთიერთობათა გაჩენასთან ერთად ყალიბდება ბურჟუაზიული ეკონომიკური აზრიც.

ბურჟუაზიული ეკონომიკური აზრის პირველ სკოლას **მერკანტილიზმი** წარმოადგენდა. მერკანტილიზმი როგორც ეკონომიკურ შეხედულებათა სისტემა და ეკონომიკური პოლიტიკა, ფეოდალიზმის წიაღში წარმოშობილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა. **მერკანტილიზმი აღმოცენდა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალ პერიოდში.**

მერკანტილიზმი გვიანდელი ფეოდალიზმის პერიოდის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკაა. იგი სავაჭრო კაპიტალის და სავაჭრო ბურჟუაზიის ეკონომიკური მოძღვრებაა. ის ხელს უწყობდა კაპიტალის დაგროვებას, კაპიტალისტური წარმოების წესის მომზადებასა და განმტკიცებას. მერკანტილურმა მოძღვრებამ მიზნად დაისახა ახალი ეკონომიკური ღონისძიებებისა და პოლიტიკის თეორიული დამუშავება და დასაბუთება.

მერკანტილზმში ზოგჯერ გულისხმობდნენ ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურ სისტემას, ზოგჯერ კი – ეკონომიკურ შეხედულებათა სისტემას, ე.ი. განსაკუთრებულ დოქტრინას. სინამდვილეში, ის ერთსაც წარმოადგენდა და მეორესაც.

მერკანტილური (სავაჭრო) პრაქტიკა წინ უსწრებდა მერკანტილიზმს, როგორც თეორიას. პირველი იყო საქმე, რომელიც სავაჭრო კაპიტალის ეპოქის ეკონომიკური განვითარების მსვლელობით იყო გამოწვეული.[1]

როგორი იყო მერკანტილური პრაქტიკა? ერთიმეორისგან განასხვავებენ **ადრინდელ** მერკანტილიზმსა და **განვითარებულ** მერკანტილიზმს. **ერთიც და მეორეც გადამწყვეტ მნიშვნელობას**

---

[1] როზენბერგი დ., პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, თბ., 1937 გვ. 50-54.

ფულს ანიჭებდა. მაგრამ, ისინი ერთიმეორეს სცილდებოდნენ, ჯერ ერთი, ფულის შოვნის, შენახვის მეთოდსა და წესებში, მეორეც, განვითარებული მერკანტილიზმის დროს ფულისადმი დამოკიდებულებაც ისეთი უშუალო პრიმიტიული აღარ იყო, როგორც ადრინდელი მერკანტილიზმის დროს.

ქვეყანას, რომელიც საქონლის მიმოქცევის განვითარების გზას ადგება, კეთილშობილი ლითონი უნდა ჰქონდეს, რომლის რაოდენობაც საქონლის მიმოქცევის ზრდასთან ერთად უნდა მატულობდეს. კრედიტი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული, ხელშეკრულებათა ძირითადი მასა ნაღდ ანგარიშზე წარმოებს. ქვეყანას არ ძალუძს დასაწყისში მხოლოდ ეკონომიკური ღონისძიებებით მიიზიდოს და შეინარჩუნოს ოქროსა და ვერცხლის საჭირო რაოდენობა. ამიტომ დამხმარე საშუალების ფუნქციას ასრულებს ადმინისტრაციული ღონისძიებანი.

მერკანტილიზმი პრაქტიკულად ყველაზე ჩამოყალიბებული ფორმით **ინგლისში** განხორციელდა. ინგლისში ადრეული მერკანტილიზმის ეპოქაში ეს ღონისძიებები გამოიხატა 1. **ინგლისელი ვაჭრების** და 2. **უცხოელი ვაჭრების კონტროლით.**

ინგლისელ ვაჭარს საზღვარგარეთ მხოლოდ განასზღვრულ, ე. წ. „საწყობ ადგილებში“ შეეძლო ვაჭრობა. ინგლისელ ვაჭრებს თავისი ჩვეულებრივი საქონელი – მატყლი, ტყავი, კალა, თუნუქი, თევზი და სხვა – მიჰქონდათ. სამაგიეროდ, უცხოელებისგან, უმეტეს შემთხვევაში, მანუფაქტურულ ნაწარმს იღებდნენ. ამასთან, ყურადღება იმას ექცეოდა, რომ ქვეყანაში უცხოეთის მონეტები შემოსულიყო.

ინგლისში მოვაჭრე **უცხოელ ვაჭრებზე კონტროლი** კიდევ უფრო რთულად მიმდინარეობდა. ინგლისში ჩასული უცხოელი იძულებული იყო თავისი ფულით ან თვით ზარაფხანაში, ან ფულის დამხურდავებელ მოხელესთან მისულიყო და იქ თავისი უცხოური მონეტა ინგლისური მონეტების იმ რაოდენობაზე გადაეცვალა, რამდენსაც მისცემდნენ. შემდეგ თუ მას უცხოურ მონეტას კიდევ უნახავდნენ ისეთ პირობებში, რომელიც არ დაადასტურებდა მის დახურდავებას, მაშინ ამ ფულს ხაზინისთვის ჩამოართმევდნენ, ხოლო თვით უცხოელ ვაჭარს სასტიკად დასჯიდნენ.

ამ ღონისძიებების შედეგად უცხოელი სრულწონიან მონეტას აბარებდა, **სამაგიეროდ გაუფასურებულ (წონაში შემცირებულ) მონეტას იღებდა.** თუ უცხოელსაც არასრულწონიანი მონეტა აღმოაჩნდებოდა, ამით არაფერი იცვლებოდა, ვინაიდან უცხოელის მონეტებს წონით იღებდნენ, სამაგიეროდ კი, უცხოელი ინგლისური მონეტის იმდენ რაოდენობას იღებდა, რამდენსაც მისცემდნენ. ე. ი. ინგლისის არასრულწონიანი მონეტის სრულწონიანად მიღებას არა მარტო საკუთარ ქვეშევრდომებს, არამედ უცხოელებსაც აიძულებდნენ, რადგან როგორც ერთნი, ისე მეორენი მონეტის წონას კი არ ითვალისწინებდნენ, არამედ მის ოფიციალურ ფასს. გარდა ამისა, უცხოელ ვაჭრებს აიძულებდნენ მიღებული გაუფასურებული მონეტებიც მთლიანად ინგლისური საქონლის შესაძენად დაეხარჯათ და უცხოეთში ფული არ გაეტანათ. ასეთი პრაქტიკა **ადრეულ მერკანტილზმს – მონეტარიზმს** შეესაბამებოდა. განვითარებული მერკანტილიზმი კი ეკონომიკური პოლიტიკის უფრო მაღალ დონეს გულისხმობს, რომელიც უფრო განვითარებული ეკონომიკით იყო განპირობებული

განვითარებული მერკანტილიზმის პერიოდში ვაჭრობა საგრძნობლად გაიზარდა, გაჩნდა მანუფაქტურები, განვითარდა კრედიტი, დაიწყო კაპიტალის ე.წ. **თავდაპირველი დაგროვების** ეპოქა. ოქროსა და ვერცხლისკენ სწრაფვა კიდევ უფრო გაიზარდა. მაგრამ შეიცვალა მის მიმართ დამოკიდებულება. წინანდელი ქადაგება – მეტი გავყიდოთ და ნაკლები ვიყიდოთ – ახალ პირობებს უკვე აღარ შეესაბამებოდა. წარმოებისადმი დამოკიდებულებაც შეიცვალა. თუ წინანდელი, შედარებით მცირე მოცულობის ვაჭრობისთვის წვრილი მეწარმეობა საკმაო ბაზისს წარმოადგენდა, იმ ვაჭრობისთვის, რომელმაც უდიდეს მოცულობას მიაღწია, წვრილი წარმოება უკვე არასაკმარისი გახდა. ამიტომ წარმოიშვა მსხვილი წარმოების ფორმირების საჭიროება.

მერკანტილიზმმა მიიღო არ სავაჭრო, არამედ სამრეწველო პოლიტიკის სახე. თუ ადრინდელი მერკანტილიზმისთვის დამახასიათებელს წარმოადგენდა ფორმულა **ფ-ს-ფ,** განვითარებული მერკანტილიზმისთვის დამახასიათებელია **ფ-ს...წ...ს'...ფ'**. წარმოების უგულებელყოფა უკვე აღარ შეიძლებოდა. მაგრამ წარ-

მოება მაინც განიხილებოდა როგორც მიმოქცევის განვითარებისთვის აუცილებელი პირობა, რომელიც (მიმოქცევა) სიმდიდრის ნამდვილ წყაროდ ითვლებოდა. **მერკანტილისტების გამოკვლევის საგანია მიმოქცევა, მეთოდი** – დასაკვირვებელ მოვლენათა აღწერა და ნაწილობრივ მათი კალსიფიკაცია, **ამოცანა** კი ვიწრო პრაქტიკულია.

მერკანტილიზმი იყო სავაჭრო კაპიტალის ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის ისტორიული მისია იყო, რომ გზა გაეკვალა სამრეწველო კაპიტალისთვის და საფუძველი ჩაეყარა მისი განუყოფელი ბატონობისთვის. როცა სავაჭრო კაპიტალის მისია დასრულდა, მერკანტილიზმი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორიდან ამ განვითარების ბორკილად იქცა. სწორედ მაშინ გაჩნდა მერკანტილიზმის წინააღმდეგ ოპოზიცია, როგორც პოლიტიკაში ისე თეორიაშიც.

2. მერკანტილიზმის თავისებურებანი სხვადასხვა ქვეყანაში

მერკანტილიზმს რიგი თავისებურებანი გააჩნდა ცალკეულ ქვეყნებში. კონკრეტულ ღონისძიებათა პროგრამა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონესთან დამოკიდებულებით მოდიფიცირდებოდა.

ესპანელი მერკანტილისტებიდან აღსანიშნავია **მარიანის, ჟერმინო დე უცტარიცისა** და **ბერნარდო ულოას** საქმიანობა.

იტალიელი მერკანტილისტებიდან ყურადღებას იმსახურებს **გასპარ სკარუფის, ბერნარდო დავანცატისა** და **ანტონიო სერას** იდეები.

გერმანიაში მერკანტილური იდეები გააჩნდა **იოჰან იოაჰიმ ბეჰერს.**

რუსი მერკანტილისტებიდან აღსანიშნავია **იური კრიჟანიჩი, ათანასე ორდინ-ნაშოკინი** და **ივანე პოსოშკოვი.**[1]

---

[1] უფრო ვრცლად, იხ.: ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ. I, თბ., 1997, გვ. 45-52.

3. ინგლისური მერკანტილიზმი

უილიამ სტაფორდი, თომას მენი

XVI-XVII საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ყველაზე მომწიფებული **ინგლისური მერკანტილიზმი** აღმოჩნდა. ის მთლიანად ბურჟუაზიულ ხასიათს ატარებდა. ინგლისში მერკანტილიზმი სრულყოფილი ფორმით ჩამოყალიბდა და უმნიშვნელოვანესი ზეგავლენა მოახდინა სხვა ქვეყნების მერკანტილისტთა შეხედულებებზე. ეს უკანასკნელნი თავიანთ მოღვაწეობაში ინგლისური მერკანტილიზმის გამოცდილებას იყენებდნენ. ინგლისის ისტორიაში მერკანტილიზმმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, დააჩქარა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება. მაგრამ ინგლისმა განვლო მოუმწიფებელი მერკანტილიზმის ანუ მონეტარიზმის სტადია. **მონეტარიზმის** თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო **უილიამ სტაფორდი** (1554-1612), რომელმაც 1581 წელს გამოქვეყნა თხზულება „**ჩვენ თანამემამულეთა ზოგიერთ საჩივართა კრიტიკული გადმოცემა**“. უ. სტაფორდის ზრუნვის საგანი ქვეყნად ფულის შენარჩუნება იყო. მას ძლიერ აწუხებდა ის, რომ ქვეყნიდან ფული გადიოდა. ამასთან, იგი აპროტესტებდა არასრულწონიანი მონეტების წარმოშობას. ამაში იგი საქონელთა გაძვირების მიზეზს ხედავდა.

ინგლისში **განვითარებული** მერკანტილიზმის წარმომადგენელი იყო **თომას მენი** (1571-1641). იგი ითვლება **სავაჭრო ბალანსის თეორიის** ავტორად. თ. მენმა 1630 წელს დაწერა თავისი მთავარი ნაშრომი „**ინგლისის საუნჯე საგარეო ვაჭრობაში, ანუ საგარეო ვაჭრობის ბალანსი, როგორც ჩვენი სიმდიდრის რეგულატორი**“. თ. მენი ფულის გატანის წინააღმდეგი არ იყო. პირიქით, იგი ფულის გატანის აკრძალვის გაუქმებას მოითხოვდა. მაგრამ **ის აქტიურად უჭერდა მხარს საგარეო ვაჭრობას, ისეთს, რომლის შედეგად ქვეყანა მეტს გაიტანდა, ვიდრე შემოიტანდა.** თ. მენის თქმით, ფულის მნიშვნელობა ის არაა რომ იგი შეინახონ, არამედ ის, რომ იგი **„გამანაყოფიერებელ“** ბრუნვაში გაუშვან. თ. მენი ყველა იმ ღონისძიებას ეწინააღმდეგებოდა, რომლებიც საექსპორტო ვაჭრობას ბორკავდა. ადრინდელი მერკანტილისტებისგან განსხვავებით, თ. მენი ემხრობოდა დაბალ ფასებს, რომლებიც

სტიმულს აძლევდნენ კონკურენციას საგარეო ბაზარზე. თ. მენი აქტიურად უჭერდა მხარს სამამულო მრეწველობის განვითარებას. იგი მოითხოვდა **ნედლეულის ექსპორტის შეცვლას მზა ნაწარმის ექსპორტით.**

4. ფრანგული მერკანტილიზმი. კოლბერტიზმი

ანტუან მონკრეტიენი

მერკანტილიზმმა ყველაზე მტკიცედ ფესვი გაიდგა საფრანგეთში, ვინაიდან იგი ეკონომიკურად მერკანტილისტური დოქტრინის აღქმისა და მისი პრაქტიკულად განხორციელებისათვის უკეთ მომზადებული აღმოჩნდა. **ფრანგულმა მერკანილიზმმა სამრეწველო მიმართულება** მიიღო. იგი გათავისუფლდა მონეტარიზმისგან, გეზი აიღო აქტიური სავაჭრო ბალანსის მისაღწევად და XVII ს-ის საფრანგეთის ეკონომიკურ განვითარებაში დადებითი როლი ითამაშა. მთელი რიგი მერკანტილისტური ხასიათის ღონისძიებანი გაატარა მეფე ჰენრიხ IV-მ. მერკანტილისტურ იდეებს მხარს უჭერდა კარდინალი **რიშელიე** (1624-1642), ხოლო **ჟან-ბატისტ კოლბერმა** 1661-1683 წლებში მერკანტილისტურ ღონისძიებათა მთელი სისტემა შექმნა. კოლბერმა აქტიურად დანერგა მანუფაქტურული მრეწველობა, მოიწვია უცხოელი ოსტატები, მანუფაქტურებს დაურიგა სესხი და მისცა სხვადასხვა ხასიათის შეღავათები. მისი აზრით, მხოლოდ საგარეო ვაჭრობას შეეძლო მოეტანა სიუხ-

ჟან ბატისტ კოლბერი

ანტუან მონკრეტიენი

ვე და კმაყოფილების განცდა ხელმწიფეებისათვის. სახელმწიფოს სიმდიდრე და ძლიერება განისაზღვრება ფულის რაოდენობით, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულ ურთიერთობაში ძლიერმა ფრანგულმა მერკანტილიზმმა მომწიფებული თეორიული ურთიერთობები თანმიმდევრულად ვერ დაასაბუთა. ფრანგული მერკანტილიზმის ლიტერატურა მის უჩვეულოდ მიდიდარ პრაქტიკაზე ღარიბი აღმოჩნდა.

მერკანტილიზმთან მიახლოებული იდეები ჩამოაყალიბა **ჟან ბოდენმა** (1530-1596). ის XVI ს-ის ფრანგული ეკონომიკური აზრის თვალსაჩინო წარმოადგენელი იყო, მაგრამ თავისი დროის ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხის გადაჭრას იგი კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პრობლემებისადმი შეუფარდებლად ცდილობდა. მას ფულადი სიმდიდრის დაგროვება არ აინტერესებდა, მით უმეტეს, მისთვის უცხო იყო სავაჭრო ბალანსი.

საფრანგეთში ეკონომიკური პროგრამის განვითარებული ფორმულირება მოგვცა **ანტუან მონკრეტიენმა** (1576-1621). თავის მსჯელობაში იგი საკმაოდ იყენებდა ინგლისური მერკანტილიზმის იდეებს. 1615 წელს მან გამოქვეყნა **„პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი“.** ამ ნაშრომში პირველად იქნა გამოყენებული ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“. ა. მონკრეტიენის ამოცანა იყო, გამოეძებნათ საშუალებები საფრანგეთის სახალხო მეურნეობის აღმავლობისთვის. ამისათვის, იგი საჭიროდ მიიჩნევდა, ესარგებლათ ინგლისის მაგალითით, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. თავის ნაშრომში ა. მონკრეტიენი დაწვრილებით ჩერდება მანუფაქტურის განვითარების საკითხებზე, ეხება ვაჭრობას, ზღვაოსნობას და სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას; გეგ-

მავს მთელ რიგ ღონისძიებებს **მრეწველობის აღმავლობისთვის;** ამასთან, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროფესიულ სწავლებას.

ერთ-ერთი პირველი პრობლემა რომელსაც მონკრენტიენი შეეხო, იყო **პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების** საკითხი. იგი **პრიმატს ეკონომიკას აკუთვნებდა.** *ვინაიდან* ***„პოლიტიკის ხელოვნება ეკონომიკითაა განპირობებული“.*** *ა. მონკრეტიენის აზრით,* პოლიტიკა ეკონომიკაზეა დამოკიდებული. ხოლო სახელმწიფოებრივი ორგანიზმის კეთილდღეობა – მისი შემადგენელი ელემენტების კეთილდღეობაზე. **ამიტომ გონიერი მმართველი**, მისი თქმით, **თავის ქვეშევრდომთა კეთილდღეობისათვის**, მათი გამდიდრებისათვის **უნდა ზრუნავდეს**, რაც მისი სახელმწიფოსა და თვით მის სიმდიდრეს განაპირობებს.

როგორც ყველა მერკანტილისტი, ა. მონკრეტიენიც **სიმდიდრედ ფულს**, კეთილშობილ ლითონებს – ოქროს და ვერცხლს – თვლიდა. „ოქრო და ვერცხლი, ეს ჩვენი ორი დიდი და ერთგული მეგობარია. ისინი ადამიანთა ყველა საჭიროებას აკმაყოფილებს“, – წერდა ა. მონკრეტიენი. ა. მონკრეტიენის აზრით, **ვაჭრობა „გამდიდირების უმოკლეს გზას“** წარმოადგენს. იგი ერთმანეთს ადარებს საგარეო და საშინაო ვაჭრობას. მისი აზრით, სახელმიწიფოსთვის ორივე მეტად სასრგებლოა. მაგრამ **სახელმწიფოს** მოგებას ანიჭებს, ამდიდრებს ოქრო-ვერცხლით **ავსებს** და **განადიდებს მხოლოდ საგარეო ვაჭრობა.**

„პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატში“ საქმის ცოდნით არის განხილული ფრანგული მრეწველობის სხვადასხვა დარგი იმდროინდელი მდგომარეობის, ისტორიული განვითარებისა და მომავალი პერსპექტივების გათვალისწინებით. ა. მონკრეტიენის აზრით, **ეროვნული მრეწველობის** დარგების განვითარებას სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს შემდეგი მიზეზების გამო:

1. უპირველეს ყოვლის, **მრეწველობა აუცილებელია სამრეწველო პროდუტთა დასამზადებლად,** „საგანთათვის ფორმის მისანიჭებლად“. იგი ქმნის საქონელს, რომელიც სახელმწიფოში ოქროსა და ვერცხლს იზიდავს.

2. მრეწველობის განვითარება ხელს უწყობს და **განაპირობებს ვაჭრობის განვითარებას.**

3. მრეწველობის განვითარება სახელმწიფოს შესაძლებლობას აძლევს, **გაღატაკებული ადამიანთა მასები დაასაქმოს.** სახელმწიფო ორგანიზმის გაჯანსაღებისა და დანაშაულებების შემცირებისთვის. ა. მონკრეტიენს ყველა ფიზიკური და სოციალური ხასიათის სნეულებათა განკურნების საუკეთესო საშუალებად ადამიანთა სამრეწველო საქმიანობაში ჩაბმა მიაჩნდა.

ზემოთ ჩამოთვლილ სარგებლობათაგან, რომლებიც სახელმწიფოსთვის მრეწველობას მოაქვს, ა. მონკრეტიენი პირველ ადგილზე საქონლის და, შესაბამისად, სიმდიდრის შეძენას აყენებდა. იგი **სიმდიდრეს ადარებდა სისხლს,** ხოლო **მრეწველობას – გულს.** ამასთან დაკავშირებით ა. მონკრეტიენი **პროტექციონისტული ღონისძიებების მომხრედ გამოდიოდა**. მისი „ტრაქტატი“ თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია პროტექციონისტული სულისკვეთებით.

5. მერკანტილისტური იდეები XVIII საუკუნის საქართველოში

ალექსანდრე ამილახვარი

ალექსანდრე ამილახვარი

საქართველოში XVIII საუკუნის 70-იან წლებში მერკანტილისტური ეკონომიკური შეხედულებები ჩამოაყალიბა **ალექსანდრე ამილახვარმა** (1750-1802) წიგნში **„ბრძენი აღმოსავლეთისა“,**[1] რომელიც ეძღვნება იმერეთის მეფე სოლომონ I-ს. ა. ამილახვარის აზრით, **ქვეყნის სიმდიდრე, ეკონომიკური აღორძინება** და **სამხედრო სიძლიერე დამოკიდებულია ვაჭრობაზე.** ამიტომ იგი მოითხოვდა მეფის ხელისუფების გულისხმიერ დამოკიდებულებას ვაჭრების მიმართ, შეღავათების მიცემას, მეკობრეებისა და ფეოდალთა თვითნებობისგან მათი

[1] ალექსანდრე ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა, თბ., 1997.

დაცვის გაძლიერებას. ა. ამილახვარი რჩევას აძლევდა მეფის ხელისუფლებას, განეხორციელებინა ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობდა ვაჭრების გამრავლებას და განვითარებას.

* * *

მერკანტილისტური პრაქტიკა დღესდღეისობით გარკვეულად აღორძინებას განიცდის ჩვენს ქვეყანაში. იგი გამოიხატება ჯერ ერთი, მოსახლეობის ერთი ნაწილის მისწრაფებაში – თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობით იშოვონ ფული, მეორე მხრივ, პირველი დამოუკიდებელი მთავრობის დადგენილებას საფუძვლად დაედო პროტექციონიზმი, რომლითაც რეგლამენტაცია გაეწია ქვეყნიდან ციტრუსების, ხილისა და სხვა პროდუქტების გატანის და, შესაბამისად, სხვა საქონლის შემოტანას. ასეთი მიდგომა გასაკვირი არ არის, რადგან ჩვენში რეალობად იქცა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების განმეორება. ამის აუცილებლობას მოითხოვს აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის მეტად შეზღუდული რესურსების გარედან შევსების აუცილებლობაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამილახვარი ა., ბრძენი აღმოსავლეთისა, თბ., 1997.
2. ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
3. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ,. კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973.
4. როზენბერგი დ., პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, თბ., 1937.
5. სილაგაძე ა., ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996.
6. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
7. ხარიტონაშვილი ჯ., ჩარჩული ფული ქურბაცაცაა, გაზ. „სიმართლე“, №5, 1993.
8. ხარიტონაშვილი ჯ., ალექსანდრე ამილახვარის მერკანტილისტური იდეები, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“. №5, 2002.
9. ხარიტონაშვილი ჯ., ანტუან მონკრეტიენი (1575-1621) პოლიტიკური ეკონომიის სათავეებთან, (დაბადებიდან 440 წელი), ჟურნ., „ეკონომიკა და ბიზნესი“, № 1, 2015.
10. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა

და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., I, თბ., 1997.
11. ხარიტონაშვილი ჯ., პროტექციონისტული ეკონომიკური დოქ-ტრინის ევოლუცია, თბ., 2008.
12. Hunt E. K. and Mark Lautzenheiser, History of Ekonomic Thought. Sird Edicion. A Critical Perspective. Armonk, New York, London, England, 2011.
13. Всемирная история экономической мысли т.1, М., 1987.
14. История экономической мысли т.1, М., 1961.

ნ ა წ ი ლ ი II

ეკონომიკური აზრის პირველი სისტემების განვითარება

თავი V. კლასიკური სკოლის ეკონომიკური მოძღვრების წარმოშობა ინგლისსა და საფრანგეთში

1. კლასიკური სკოლის წარმოშობის ისტორიული პირობები და ზოგადი დახასიათება

კლასიკური სკოლა კაპიტალიზმის განვითარების მანუფაქტურულ საფეხურზე წარმოიშვა.

შრომის მანუფაქტურულმა დანაწილებამ უზრუნველყო კაპიტალისტური წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა, გააძლიერა ბურჟუაზიის ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები. კაპიტალისტი სულ უფრო მეტად იქვემდებარებდა წარმოების უშუალო პროცესს. ასეთ ვითარებაში კაპიტალისტური წარმოება უკვე აღარ შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც კაპიტალის მიმოქცევის მხოლოდ მომენტი. წარმოება სპეციალური შესწავლის ობიექტი ხდებოდა. XVII საუკუნის **ინგლისში ბურჟუაზიის ეკონომიკური ინტერესების სიმძიმის ცენტრი სწრაფად გადადიოდა წარმოების სფეროში**, რაც მერკანტილიზმის დაშლას და ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმოშობას მოასწავებდა.

მერკანტილისტები სიმდიდრის წყაროს საგრეო ვაჭრობაში ეძებდნენ, ამიტომ ისინი მხოლოდ გაცვლის ზედაპირულ მოვლენებს იკვლევდნენ. მერკანტილისტებთან შედარებით, **კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ. ისინი წარმოების პროცესის ანალიზზე გადავიდნენ.**

2. უილიამ პეტი – პოლიტიკური ეკონომიის კოლუმბი

ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლა თავდაპირველად ინგლისში წარმოიშვა. მისი ფუძემდებელი იყო

ინგლისელი ეკონომისტი **უ. პეტი** (1623-1687). უ. პეტის ეკონომიკური კვლევის მიზანი ინგლისის სამრეწველო ბურჟუაზიის ინტრესების დაცვა იყო. **იგი სამრეწველო ბურჟუაზიის იდეოლოგი** გახლდათ, მაგრამ დასაწყისში **მერკანტილისტურ შეხედულებებსაც** იზიარებდა – ოქროსა და ვერცხლს სიმდიდრის უპირატეს ფორმებად მიიჩნევდა; ავითარებდა შეხედულებას იმის შესახებ, რომ ქვეყნის სიმდიდრე ფულის რაოდენობით განისაზღვრებაო. უ. პეტი მერკანტილისტებისგან სესხულობდა იდეას ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის შეასახებ, მაგრამ მას მოითხოვდა სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებისთვის.

უ. პეტმა თავის შეხეულებები რიგ ეკონომიკურ ნაწარმოებებში გადმოგვცა, რომელთა შორის აღსანიშნავია: „**ტრაქტატი გადასახდების და მოსაკრებელთა შესახებ**“ (1662). „სიტყვა ბრძენებს“ (1664), „ირლანდიის პოლიტიკური ანატომია“ (1672). „პოლიტიკური არითმეტიკა“ (1676.), „რამდენიმე სიტყვა ფულის თაობაზე“ (1682). მათში უ. პეტი ცდილობდა ეკონომიკური მოვლენების არსი აეხსნა, მათ შორის შინაგანი კავშირი დაემყარებინა.

უ. პეტის მეთოდოლოგია. მეცნიერულ ანალიზზე გადასვლა უკვე შეინიშნებოდა უ. პეტის მეთოდში. იგი ისწრაფვოდა ეკონომიკური მოვლენების არსისა და მიზეზების ანალიზისკენ. უ. პეტის სახელთანაა დაკავშირებული პოლიტიკურ ეკონომიაში ახალი მეთოდის გამოყენება, რომელიც მერკანტილისტების ტრადიციული მეთოდისგან პრინციპულად განსხვავდებოდა. მერკანტილისტებისგან განსხვავებით უ. პეტი მოვლენების სიღრმეში შეღწევას და მათ ახსნას შეეცადა. იგი განასხვავებს მოვლენების გარეგნულ ხილვადობას და მათ არსს. უ. პეტმა სათავე დაუდო **მეცნიერულ აბსტრაქტულ მეთოდს.** ამასთან ერთად, უ. პეტი ცდილობდა ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების შეძლებისამებრ ზუსტი რაოდენობრივი დახასიათება მოეცა.

უ. პეტი ფართოდ იყენებდა **სტატისტიკური ანალიზის მეთოდს** და ცდილობდა თავისი დასკვნები რიცხობრივად გამოეხატა. იგი მოითხოვდა დაკვირვებას. ამასთან, დასაკვირვებელ მოვლენათა ასახსნელად, მათი არსის გამოსამჟღავნებლად, ის ფართოდ სარგებლობდა **მეცნიერული დედუქციით.** ამ მეთოდის

გამოყენებამ უ. პეტს საშუალება მისცა, აეხსნა ისეთი ეკონომიკური მოვლენები, როგორებიცაა: **ღირებულება, საბაზრო ფასი, ხელფასი, მიწის რენტა, მიწის ფასი, სარგებელი და სხვა.**

ღირებულების ახსნა. უ. პეტმა აღმოაჩინა ის ფაქტი, რომ **საქონელთა გაცვლა მათ წარმოებაზე გაწეული შრომის დანახარჯებით რეგულირდება.** ამით მან სათავე დაუდო შრომითი **ღირებულების თეორიას.** უ. პეტი კითხვას სვამს, თუ რით განისაზღვრება საშუალო ფასები, რომელთა ირგვლივ საბაზრო ფასები განიცდიან რყევას. მისი პასუხი ასეთია: „თუ ერთი უნცი ვერცხლის მოპოვება და პერუს სამადნეებიდან ლონდონში მიტანა ადამიანს დროის იმავე დანახარჯით შეუძლია, რაც მას ერთი ბუშელი ხორბლის საწარმოებლად სჭირდება, მაშინ პირველი პროდუქტი მეორის ბუნებრივ ფასს შეადგენს; და თუ ახალი, უფრო მდიდარი სამადნეების აღმოჩენის გამო ორი უნცი ვერცხლის მოპოვება მისთვის ისევე ადვილად შესაძლებელი იქნება, როგორც ახლა ერთის, მაშინ სხვა თანაბარ პირობებში, ბუშელი ხორბლის ფასი 10 შილინგი ისევე იაფი იქნება, როგორც წინათ ბუშელის ხორბლისთვის 5 შილინგი იყო“.[1] აქ უ. პეტი საქონლის ბუნებრივ ფასს განსაზღვრავს საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობით, რომელიც იმ შრომის ნაყოფიერების პირდაპირ პროპორციულია, რომელიც ვერცხლის ამოღებაზე იხარჯება. თუ ვერცხლის მოპოვება ორჯერ გაადვილდება, მაშინ პურის ბუნებრივი ფასიც ორჯერ გაიზრდება.

უ. პეტი თავდაპირველად განსაზღვრავს არა საქონლის ღირებულებას, არამედ მის შეფარდებით ღირებულებას. იგი იკვლევს არა ერთი საქონლის ღირებულების გამოხატულებას სხვა რომელიმე საქონელში, არამედ საქონლის ღირებულების გამოხატულებას ფულში. სწორედ ამით მჟღავნდება უ. პეტის მერკანტილიზმი. მისთვის საქონლის ღირებულება არის ფულის რაოდენობა, რომელიც საშუალოდ მისით მიიღება.

უ. პეტისთვის გაუგებარი დარჩა საქონელში განივთებული შრომის ორადი ხასიათის გაგება. ღირებულების შემქმნელი შრო-

---

[1] პეტი უ., ეკონომიკური და სტატისტიკური ნაშრომები, მ., 1940, გვ. 40 (რუს).

უილიამ პეტი

მის ბუნების გაუგებლობამ მას საშუალება არ მისცა, ჩასწვდომოდა განსხვავებას საქონლის სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის. მასთან სახმარ ღირებულებას და საცვლელ ღირებულებას შორის განსხვავება შეფარდებულია იმ განსხვავებასთან, რომელიც ოქროსა და ვერცხლის სამადნეებში დახარჯულ შრომას და შრომის სხვა დანარჩენ სახეებს შორის არსებობს. მაგრამ ოქრო და ვერცხლი იქმნება არა მხოლოდ შრომით, არამედ მოიპოვება ბუნებრივადაც. უ. პეტმა სახმარი ღირებულება განმარტა როგორც შრომით, ისე ბუნების ძალების გამოყენებითაც, რაც გამოიხატება კიდეც მის ცნობილ ფორმულაში: **„შრომა არის სიმდიდრის მამა და აქტიური პრინციპი, ხოლო მიწა – მისი დედა.“**

ხელფასის ახსნა. თუ უ. პეტმა თავისი ღირებულების თეორიით ეკონომიკურ მეცნიერებაში ახალი სიტყვა თქვა, ამას ვერ ვიტყვით მისი ხელფასის თეორიის შესახებ. უ. პეტი **ხელფასში** ხედავდა შრომის ღირებულებას, რომელიც საკანონმდებლო გზით უნდა რეგულირდებოდეს. შრომის ღირებულება კი მუშის სიცოცხლისთვის აუცილებელი საარსებო საშუალებათა მინიმუმის ტოლი უნდა იყოს. უ. პეტი აღნიშნავდა, რომ კანონმა მუშას მხოლოდ ის უნდა მისცეს, რაც მისი არსებობისთვის ყველაზე აუცილებელია. რადგან, თუ მუშას აუცილებელზე ორჯერ მეტს მისცემენ, მაშინ იგი მხოლოდ სანახევროდ იმუშავებს იმასთან შედარებით, რამდენიც მას შეეძლო ემუშავა, და იმუშავებდა კიდეც, ხელფასის გაორკეცების გარეშე. ეს კი, მისი აზრით, საზოგადოებისთვის შრომის

სათანადო რაოდენობის პროდუქტის დაკარგვას ნიშნავს. მაშასადამე, უ. პეტის მიერ ხ**ელფასის დაყვანა საარსებო საშუალებათა მინიმუმზე არამეცნიერულია**.

მიწის რენტის ახსნა. რენტის საკითხის გადაწყვეტის დროს უ. პეტი საარსებო მინიმუმის საკუთარ შეხედულებას ეყრდნობოდა. **რენტის** კატეგორიაში მას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ანდა ფულის ის ნაწილი ესმოდა, რომელიც მთლიანი პროდუქტის ან ფულის მთლიანი ჯამიდან წარმოების დანახარჯების გამორიცხვის შემდეგ რჩება. წარმოების დანახარჯებში მას ხელფასის და თესლის ხარჯები შეჰყავდა. რენტის მატერიალური სუბსტრაქტი უ. პეტს ზედმეტ ღირებულებამდე დაჰყავს, რომელიც მას ესმის როგორც ღირებულების გარდამეტი წარმოების ხარჯებზე. უ. პეტმა რენტა მთლიანად ზედმეტ პროდუქტს გაუტოლა, რომელშიც ზედმეტი შრომაა განივთებული. იგი რენტაში მთელ ზედმეტ ღირებულებას გულისხმობდა. **მოგება,** როგორც დამოუკიდებელი კატეგორია, მისთვის უცნობია.

უ. პეტის ნაშრომებში ვხვდებით მსჯელობას **მიწის დიფერენციული რენტის** შესახებ. მის წარმოშობას იგი უმთავრესად უკავშირებდა **ბაზრიდან მიწის ნაკვეთების სხვადასხვა მანძილით დაშორებას.** პეტი აღნიშნავდა დიფერენცირებული რენტის მეორე მიზეზსაც – **მიწის განსხვავებულ ნაყოფიერებას.**

უ. პეტი მიწის ფასის და სარგებლის შესახებ. რენტის პრობლემის განხილვასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება უ. პეტის შეხედულება **მიწის ფასის** შესახებ. უ. პეტის აზრით, მიწის ფასი კაპიტალიზებული რენტის თავისებურ ფორმას წარმოადგენს, ე.ი. რენტათა ჯამს განსაზღვრული წლების განმავლობაში. მაგრამ პეტმა მიწის ფასი სწორად ვერ გაიგო, რადგან მას სარგებლის კატეგორია არ ჰქონდა გაგებული. მისი აზრით, **სარგებლის დონე** განისაზღვრება რენტის შეფარდებით მიწის ფასთან, რაც არასწორია. სინამდვილეში, პირიქით, რენტის ფასი, ანუ მიწის საყიდელი ღირებულება განისაზღვრება სარგებლის დონით.

როგორც ვხედავთ, უ. პეტის შეხედულებებში რიგი საკითხები სუსტადაა გადაწყვეტილი. მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკონომიკურ მეცნიერებაში. უ.

პეტმა, პირველმა, გაანალიზა მეცნიერულად ეკონომიკური მოვლენები. იგი სამართლიანად **ითვლება ბურჟუაზიული კლასიკური სკოლის ფუძემდებლად.** ამ დამსახურებისათვის მას მინიჭებული ჰქონდა **პერის წოდება ლორდის ტიტულით.**

3. პიერ ბუაგილბერის ეკონომიკური შეხედულებები საფრანგეთში

პიერ ბუაგილბერი (1664-1714) ერთ-ერთი პირველი იყო საფრანგეთში, რომელმაც მერკანტილისტური შეხედულებები გააკრიტიკა. პ. ბუაგილბერმა საკუთარი თავი **სოფლის მეურნეობის დამცველად** გამოაცხადა. იგი ქვეყნის სიძლიერის და გამდიდრების საფუძვლად სოფლის მეურნეობას მიიჩნევდა.

პიერ ბუაგილბერი

პ. ბუაგილბერმა თავისი ეკონომიკური შეხედულებები რამდენიმე ნაწარმოებებში ჩამოაყალიბა, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი: „საფრანგეთის დაწვრილებითი აღწერილობა“, „მსჯელობა სიმდიდრის, ფულის და გადასახადების ბუნების შესახებ“ და სხვ. მათში პ. ბუაგილბერმა მკაფიოდ დაახასიათა ის კრიზისი, რომელსაც საფრანგეთის ეკონომიკა მთლიანად, და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა, განიცდიდა. სახალხო მეურნეობის დაცემის მთავარ მიზეზად მას მიაჩნდა მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც კოლბერმა და მერკანტილიზმის სხვა მომხრეებმა გაატარეს. პ. ბუაგილბერი მრეწველობის ცალმხრივ განვითრებას გმობდა და **ვაჭრობის თავისუფლების იდეას იცავდა.** იგი **უარყოფდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას.** პ. ბუაგილბერი მოითხოვდა

პურის გატანის აკრძალვის გაუქმებას და საგადასახადო სისტემის რეფორმას. მისი აზრით, მხოლოდ ისეთი გადასახადებია მიზანშეწონილი, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარებას არ დააბრკოლებდა და ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ბუნებას არ ეწინააღმდეგება. ამ აზრმა იგი იმ იდეამდე მიიყვანა, რომ **მეურნეობაში არის კანონები, რომლებიც არ შეიძლება დაირღვეს. ესენი ობიექტური ეკონომიკური კანონებია.**

პ. ბუაგილბერის წვლილი ეკონომიკური თეორიის განვითარებაში იმით აღინიშნება, რომ მან, უ. პეტისგან დამოუკიდებლად, საფრანგეთში საფუძველი ჩაუყარა **შრომითი ღირებულების თეორიას.** მაგრამ ღირებულების ბუაგილბერისეული განსაზღვრა უ. პეტის ფორმულირებისგან არსებითად განსხვავდება. ბუაგილბერმა საქონლის საბაზრო ფასს დაუპირისპირა „ჭეშმარიტი ღირებულება“, რომლის სიდიდესაც დახარჯული შრომით განსაზღვრავდა. სამუშაო დრო, რომელიც საქონლის ერთ ერთეულზე მოდის, პ. ბუაგილბერის თვალსაზრისით, მის „ჭეშმარიტ ღირებულებას“ შეადგენს. პ. ბუაგილბერს „ჭეშმარიტ ღირებულებად“ წარმოების დარგებს შორის შრომის პროპორციული განაწილება ესმოდა, რომლის მიღწევა შესაძლებელია მწარმოებლებს შორის თავისუფალი კონკურენციის დროს.

პ. ბუაგილბერის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ღირებულების სიდიდის განსაზღვრა **შრომის დანახარჯებით.** ამასთან, თუ უ. პეტს ღირებულება მის ფულად გამოხატულებამდე დაჰყავდა, პ. ბუაგილბერმა ფულადი ფორმა სრულიად უარყო. პ. ბუაგილბერი სრულიად უარყოფდა ფულთან ურთიერთობას. იგი მოითხოვდა საქონლური წარმოების შენარჩუნებას და ფულის გაუქმებას.

პ. ბუაგილბერი **ფულში** საქონელმწარმოებლების უბედურების ძირითად წყაროს ხედავდა. მისი აზრით, ფული სასაქონლო გაცვლის ბუნებრივ წონასწორობას არღვევს. იგი ვერ ჩასწვდა აზრს, რომ ფული საქონელთა გაცვლის განვითარების აუცილებელი პროდუქტია. პ. ბუაგილბერის გაგებით, ფულის ერთადერთი სასარგებლო ფუნქცია ისაა, რომ იგი გაცვლას ამსუბუქებსო. პ. ბუაგილბერმა ვერ აღიქვა **ფული, როგორც საქონელთა საყოველთაო ეკვივალენტი**, რომლის როლშიც მხოლოდ ღირებულე-

ბის შემცველი საქონელი შეიძლება გამოვიდეს. ამიტომ მისი აზრით, ოქრო და ვერცხლი წარმატებით შეიძლება ქაღალდის ნიშნებით შეიცვალოს.

პ. ბუაგილბერი ამტკიცებდა, რომ სიმდიდრე არა კეთილშობილ ლითონებში, არამედ მოხმარების საგნების სიუხვეში უნდა ვეძიოთო. **ხელფასი** პ. ბუაგილბერს, უ. პეტის მსგავსად, **საარსებო საშუალებათა მინიმუმზე** დაჰყავდა. იგი იმეორებდა უ. პეტის არგუმენტაციას: თუ კვირის ერთ ნაწილში აღებული ხელფასი მუშას მთელი კვირის განმავლობაში ეყოფა, იგი კვირის ბოლომდე აღარ იმუშავებსო.

მიუხედავად, პ. ბუაგილბერის მოძღვრების სუსტი მხარეებისა, მას როგორც შრომითი ღირებულების თეორიის ფუძემდებელს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკური აზრის ისტორიაში.

4. „ლესე ფერ“ დოქტრინის წარმოშობა

კოლბერის პროტექციონისტული პოლიტიკის კრიტიკა ერთ-ერთმა პირველმა ფრნაგმა **მარკიზ დ'არჟანსონმა** (1694-1757) დაიწყო. იგი უარყოფდა ეკონომიკური ცხოვრების რეგლამენტაციას, კიცხავდა საბაჟო გადასახადებს, მოითხოვდა მთელი ევროპის გადაქცევას ერთიან ბაზრად. მისი აზრით, „**იმისთვის, რომ კარგად ვმართოთ ეკონომიკა, ნაკლებად უნდა ვმართოთ.**“ მარკიზ დ' არჟანსონის ლოზუნგმა „არა მეტისმეტი მართვა!“ შემდეგში დასრულებული სახე „**ლესე ფერ**“ (**„ნუ ჩაერევით“**) დოქტრინაში მიიღო. ეს ფორმულა პირველად ფრანგმა კომერსანტმა **ლეჟანდრემ** წამოაყენა. ეს შემდეგნაირად მოხდა: **კოლბერი** პერიოდულად ვაჭართა და მრეწველთა კრებებს აწყობდა. მაგრამ ამ კრებებს უფრო საინფორმაციო ხასიათი ჰქონდა, ვიდრე სათათბირო. კოლბერი განუკითხავი დიქტატორი იყო და სხვის აზრს ანგარიშს არ უწევდა. კრების მონაწილენიც ამ მდგომარეობას მიეჩვივნენ და მის მსჯელობაში აღარ ერეოდნენ. ერთ-ერთ ასეთ სხდომაზე (1680) როცა თავშეყრილები მეტისმეტად დუმდნენ, კოლბერმა მათ ასეთი შეკითხვით მიმართა: „ბატონებო, თქვენ მუნჯები ხართ?“ მაშინ ლეჟანდრეს უთქვამს, **მოვითხოვთ „ლესე ფერს“ („ნუ ჩაერევით“).** მოგვეცით, ბატონო, მეწარმეობის და ვაჭრობის თავისუფლება

და ჩვენს საქმეს ისე წარმართავთ, რომ ჩვენთვისაც სასარგებლო იყოს და თქვენთვისაცო“,[1] – აღუნიშნავს ლეჟანადრეს.

ეს იდეა თანმიმდევრულად განავითარა **ჟ. კ. გურნემ** (1712-1759), რომელიც 1751 წ. საფრანგეთის ვაჭრობის ინტენდანტად დაინიშნა. გურნეს მოძღვრების თანახმად, ყოველ ადამიანს იმის კეთების საშუალება უნდა მიეცეს, რაც მას სურს. იგი აღნიშნავდა, რომ „ადამიანმა სხვაზე უკეთ იცის, თუ რა ესაჭიროება მას“. ჟ. კ. გურნე მოითხოვდა მრეწველობის და ვაჭრობის განვითარების დამაბრკოლებელი ხელოვნური შეზღუდვების ლიკვიდაციას, მოქმედების თავისუფლების დაცვას. ჟ. კ. გურნემ საბოლოოდ ჩამოაყალიბა ფორმულა „**ლესე ფერ, ლესე ფასე**“ **(„დაე, საქმე თავისი გზით წარიმართოს“).** ეს ნიშნავს **თავისუფალ მეწარმეობას, ეკონომიკური ლებერალიზმის ძირითადი პრინციპების ერთობლიობას (შრომის თავისუფლებას, თავისუფალ კონკურენციას, თავისუფალ ვაჭრობას და ა.შ.).**

ეკონომიკური ლიბერალიზმი პოლიტიკური აბსოლუტიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა. იგი, უპირველესად, ნიშნავდა სახელმწიფო ხელისუფლების ძალის შემცირებას, ეკონომიკური ცხოვრების სრულ გათავისუფლებას სახელმწიფო რეგულირებისგან. პალეოლიბერალური[2] თეორია ეკონომიკური ცხოვრების მიმართ სახელმწიფოს „**ღამის გუშაგის**“ როლს მიაკუთვნებდა. ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეა შემდგომ განავითარეს ფიზიოკრატებმა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
2. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973.
3. როზენბერგი დ., პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, თბ., 1938.
4. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
5. სილაგაძე ა., ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996.

---

[1] ხარიტონაშვილი ჯ., გზა თავისუფალი მეწარმისა, გაზეთი „ხე ცხოვრებისა“, №1, 1990, XI.

[2] პალეო – ძველი.

6. ხარიტონაშვილი ჯ., გზა თავისუფალი მეწარმისა, გაზეთი „ხე ცხოვრებისა“, №1, 1992.
7. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1985.
8. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ. I , თბ., 1997.
9. ხარიტონაშვილი ჯ., „რაც გინდა, აკეთე“ (LAISSEZ FAIRE) დოქტრინის ევოლუცია, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, № 1, 2007.
10. ჰენეი ლ., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1927.
11. Hunt E. K. and Mark Lautzenheiser, History of Ekonomic Thought. Sird Edicion. A Critical Perspective. Armonk, New York, London, England, 2011.
12. Афанасев В.С., Этапы развытия буржуазной политической экономии (очерк теории) М., 1971.
13. Блауг М., Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.
14. Всемирная история экономической мысли, т.1, М., 1987.
15. История экономической мысли, т.1, М., 1961.
16. Петти В., Экономические и статистические работы, т.т. 1, 2 М., 1940.
17. Реуэль А. Л., Разложение меркантилизма и зарождение буржуазной классической политической экономии в Англии (Петти) и Франции (Буагильбер), М., 1957.

თავი VI. ფიზიოკრატების ეკონომიკური აზრი

1. ფიზიოკრატიზმის წარმოშობა

ეკონომიკური აზრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფიზიოკრატების[1] შეხედულებებს. **ფიზიოკრატები საფრანგეთის კლასიკური სკოლის წარმომადგენლები იყვნენ.** ისინი სამოღვაწეო ასპარეზზე XVIII საუკუნის 50-იან წლებში გამოვიდნენ. მათ შეხედულებებში განზოგადებულია ახალი ძვრები იმ პერიოდის ეკონომიკაში. XVIII ს. შუახანებში დასავლეთ ევროპის ეკონომიკის კაპიტალისტური განვითარება შორს წავიდა. ინგლისში უკვე დაიწყო სამრეწველო გადატრიალება, საფრანგეთში მტკიცედ მოიკიდა ფეხი მანუფაქტურულმა კაპიტალიზმმა და ის ბურჟუაზიული რევოლუციის ზღვარზე იდგა. კაპიტალიზმის გენეზისის გვიანდელ სტადიაზე საჭირო შეიქმნა მერკანტილიზმის ეკონომიკური პოლიტიკის და პრაქტიკის გადასინჯვა. მერკანტილიზმის კრიტიკა ფეოდალური რეჟიმის კრიტიკასთან ერთად ხდებოდა. მაგრამ, **თუ ინგლისში მერკანტილიზმთან ბრძოლაში იმედს მანუფაქტურულ მრეწველობაზე ამყარებდნენ, საფრანგეთში ბრძოლა სოფლის მეურნეობის დაცვაში გამოიხატებოდა.** ფრანგი ეკონომისტები ეროვნული სიმდიდრის წყაროს ამ სფეროში ეძიებდნენ. **ფიზიოკრატიული სკოლა 1757 წელს წარმოიშვა და არსებობა 1776 წელს დაამთავრა,** ე.ი. ორი ათეული წელი იარსება, მაგრამ ამ მცირე პერიოდში ბევრი საყურადღებო დებულება შექმნა და ფართო გავლენა მოიპოვა.

ფიზიოკრატიული სკოლის წარმომადგენლები იყვნენ **ფრანსუა კენე, დიუპონ დე ნემური, მარკიზი მირაბო, მერსიე-დელა რივიერი, ტიურგო** და სხვ. მათ შორის **პირველი ფ. კენე იყო – ფიზიოკრატიული სკოლის ფუძემდებელი და მამამთავარი.**

---

[1] ფიზიოკრატია ბერძნული სიტყვაა, ფიზიო – ბუნებრივი, კრატია – წყობილება.

2. ფრანსუა კენე და მისი შეხედულებები

ფრანსუა კენე (1694-1774) მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება იყო. იგი მეცნიერების სხვადასხვა დარგში მუშაობდა.

თავიდან კენემ სპეციალობად მედიცინა აირჩია მას მიღებული **ჰქონდა ქირურგის სამეცნიერო ხარისხი.** ფ. კენე საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XV-ის კარის ექიმი იყო.

იმ დროს საფრანგეთში საზოგადოებრივი აზრი ეკონომიკურ საკითხებზე იყო მიჯაჭვული და ფ. კენემ ამ სფროშიც თავისი სიტყვა თქვა. 1753 წლიდან 60 წელს მიღწეულმა ფ. კენემ მუშაობა ეკონომიკურ საკითხებზე დაიწყო.

ფ. კენეს პირველი ეკონომიკური სტატიები – „ფერმერები“ და „ხორბალი“ – 1757 წელს დაიბეჭდა „ენციკლოპედიაში“, რომელსაც დიდრო და დალამბერი გამოსცემდნენ. ამ სტატიებში ფ. კენე მსხვილი ფერმერული მეურნეობის მომხრედ გამოდიოდა. 1758 წელს გამოიცა ფ. კენეს მთავარი ნაშრომი **„ეკონომიკური ცხრილი“,** 1760 წელს – „ვაჭრობის შესახებ“, 1766 წელს – „ეკონომიკური ცხრილის ანლიზი“ და „შენიშვნები ფულადი საგებლის შესახებ“, 1768 წელს – „სამიწათმოქმედო სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ზოგადი პრინციპები“ და სხვ. თავის ნაშრომებში ფ. კენე „ბუნებრივი წყობილების“ იდეიდან გამოდიოდა.

ფრანსუა კენე

ფ. კენეს კონცეფცია „**ბუნებრივი წყობილების**“ შესახებ განსაზღვრული **ობიექტური კანონების მოქმედებას აღიარებს** არა მარტო ბუნებაში, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

„ბუნებრივი წყობილების“ კენესეული გაგებით, ეკონომიკური პროცესი ბუნებრივ პროცესადაა წარმოდგენილი, რომელსაც თავისი შინაგანი კანონზომიერებანი აქვს. **ფ. კენეს ლოგიკური**

მსჯელობით კაპიტალისტური წყობილება ბუნებრივი წარმოების წესადაა წარმოდგენილი, როდესაც ეკონომიკა თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე ვითარდება საბაზრო ფასის სტიქიური თამაშის პირობებში, ამ დროს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა გამორიცხულია. ფ. კენემ კვლევა-ძიება მიმოქცევის სფეროდან (სადაც ყოველივე არამყარ მდგომარეობაში იმყოფება, სადაც სტიქია ბობოქრობს და ბუნებრივი წესის შემჩნევა ძნელია) **წარმოების ისეთ სფეროში გადაიტანა,** რომელიც წარმოების სხვა სფეროებზე ნაკლებად იყო დამოკიდებული. ასეთ სფეროს იმ პერიოდში **მიწათმოქმედება** წარმოადგენდა, რაც განპირობეული იყო საფრანგეთის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობით.

ფიზიოკრატების ბუნებრივი წესის შინაარსი იმ პერიოდში მთლიანად ბურჟუაზიის მოთხოვნებს პასუხობდა. ეს იყო: **კერძო საკუთების ხელშეუხებლობა, კერძო ინიციატივის გათავისუფლება შეზღუდვათაგან, პირადი ინტერესი** და **თავისუფალი კონკურენცია.** ფიზიოკრატები თავისუფალი მეწარმეობის იდეას იცავდნენ. **ეკონომიკური ლიბერალიზმის** პრინციპების ცხოვრებაში გატარება ფ. კენეს ხალხისა და სახელმწიფოს სასრგებლო ღონისძიებად მიაჩნდა. ვაჭრობის თავისუფლებას კი საერთაშორისო ურთიერთობის დამყარების პირობად თვლიდა. ფიზიოკრატების მიერ გამოთქმული ბურჟუაზიული მოთხოვნები საქმის არსით კაპიტალისტური განვითარების გზიდან ყოველგვარი დაბრკოლების მოხსნის მოთხოვნას მოასწავებდა, რათა კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობებს თავისუფალი მომწიფების საშუალება ჰქონოდა.

ფ. კენემ წამოაყენა მოძღვრება **ეკვივალენტური გაცვლისა და ფულის შესახებ,** რომელიც ფიზიოკრატების სისტემის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად იქცა. იგი აღნიშნავდა, რომ გაცვლა არაფერს ქმნის. გაცვლის პროცესში თავისუფალი კონკურენციისას იცვლება თანაბარი ღირებულებები, რომელსაც საქონელი ბაზარზე გატანამდე შეიცავს. მაშასადამე, **მიმოქცევაში სიმდიდრე არ იქმნება. იგი წარმოებაში იქმნება.** ფ. კენესა და ფიზიოკრატების აზრით, საქონლის გაცვლა ეკვივალენტური უნდა იყოს. საქონელი საქონელზე მათი ღირებულების მიხედვით უნდა იცვლებოდეს.

ხელფასს ფ. კენე წარმოების ხარჯების იმ ნაწილად მიიჩნევდა, რომელიც მუშებს მათთვის აუცილებელ საარსებო საშუალებათა მინიმუმის შესაძენად ეძლევა. ე.ი. **ფ. კენე საარსებო საშუალებათა მინიმუმის** პოზიციაზე იდგა.

ფ. კენესა და, საერთოდ, ფიზიოკრატების ეკონომიკურ თეორიაში ცენტრალური ადგილი **წმინდა პროდუქტის** შესახებ მოძღვრებას ეკავა. მათი განსაზღვრებით, წმინდა პროდუქტი პროდუქციის ნაჭარბია წარმოების ხარჯზე ზევით, ე.ი. ახლად შექმნილ საქონელთა ღირებულების გარდამეტი მათ საწარმოო ხარჯებზე. ისინი ამტკიცებდნენ, რომ **წმინდა პროდუქტი მხოლოდ მიწათმოქმდებაში იქმნებაო.** ფ. კენე წერდა „მიწათმოქმდების პროდუქციის ნამეტი, რომელიც მიწათმოქმდებისთვის საჭირო დანახარჯებისა და გაწეული შრომის ხარჯების გამოკლების შემდეგ რჩება, არის წმინდა პროდუქტი“.[1] იგი განარჩევდა სიმდიდრის მატებასა და სიმდიდრის ჯამის შეერთებას. მისი თქმით, პირველი სოფლის მეურნეობაში ხდება, ხოლო მეორე – წარმოების დანარჩენ დარგებში. ფ. კენეს გაგებით, **მიწათმოქმდებაში წარმოებს სახმარ ღირებულებათა ზრდა, მეურნეობის სხვა დარგებში კი სხვადასხვა სახის სახმარ ღირებულებათა შეერთების გზით ახალი სახის სახმარი ღირებულების წარმოქმნაა,** რომლის პროცესში სახმარ ღირებულებათა მასა არა თუ მატულობს, არამედ ხშირად მცირდება კიდეც (მაგალითად, ნედლეულის ნაწარმად გადამუშავების დროს).

ფ. კენეს მიხედვით, მიწათმოქმდებასა და სხვა დარგებს შორის ამგვარი განსხვავება იმით აიხსნება, რომ მიწათმოქმედებაში ბუნება „მუშაობს“ და „შექმნა“ ხდება, მეურნეობის სხვა დარგებში კი ბუნება „არ მუშაობსო“. ამასთან იგი ამტკიცებდა, რომ **წმინდა პროდუქტი მხოლოდ მსხვილ მეურნეობაში იქმნება,** იქ, სადაც დაქირავებული შრომა გამოიყენებაო. **ფ. კენეს დამსახურება ისაა, რომ წმინდა პროდუქტი**, რაც ფაქტობრივად ზედმეტი ღირებულებაა, **მიმოქცევის კატეგორიიდან წარმოების კატეგორიად გადააქცია.** ფ. კენე ზედმეტი ღირებულების ერთადერთ ფორმად **მიწის რენტას** მიიჩნევდა და მოგებასა და სარგებელს სრულიად

[1] კენე ფ., „რჩეული ეკონომიკური ნაწარმოებები“, მ., 1960. 552 (რუს).

უგულებელყოფდა. მისი გაგებით, **მოგება** და **სარგებელი** წარმოების ხარჯების შემადგენელი ნაწილებია. მრეწველი და ფულის გამსესხებელი კაპიტალისტები მას იღებენ როგორც შემოსავალს მაღალი ხელფასის სახით.

წმინდა პროდუქტის შესახებ მოძღვრებასთან მჭიდრო კავშირშია ფიზიოკრატების შეხედულება **ნაყოფიერი და „უნაყოფო“** შრომის შესახებ. **ფ. კენეს მიხედვით, ნაყოფიერია მხოლოდ წმინდა პროდუქტის შემქნელი სამიწათმოქმედო შრომა.** სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში წმინდა პროდუქტი არ იქმნება, ამიტომ ამ დარგებში დასაქმებულ მუშაკთა შრომაც უნაყოფოა. მაგრამ, მცდარია სამიწათმოქმედო შრომის ასეთი დაპირისპირება შრომის ყველა სხვა სახეობასთან, ვინაიდან **დაქირავებული შრომა, რომელ დარგშიც უნდა გამოიყენებოდეს, ზედმეტ პროდუქტს ქმნის და ნაყოფიერ შრომას წარმოადგენს.**

ფ. კენეს წმინდა პროდუქტის თეორიიდან გამომდინარეობს საზოგადოების **კლასების** მისეული განსაზღვრა. მისი აზრით, იმ პერიოდის საფრანგეთის საზოგადოება სამი კლასისგან შედგებოდა: **მწარმოებელი კლასი –** კენე მათ მიაკუთვნებდა მიწათმოქმედების ყველა მუშაკს (სასოფლო-სამეურნეო მუშები და ფერმერები), რომლებიც წმინდა პროდუქტს ქმნიან. **მიწის მესაკუთრეები –** მეფე, მიწათმფლობელები და სამღვდელოება. ისინი, მართალია, წმინდა პროდუქტს არ ქმნიან, მაგრამ მის მომხმარებელს წარმოადგენენ, რასაც საიჯარო ქირის სახით იღებენ. **უნაყოფო კლასი** – კენე აქ მეურნეობის სხვა დარგებში შრომითა და მომსახურებით დაკავებულ ყველა პირს აერთიანებდა, რომელებიც წმინდა პროდუქტს არ ქმნიდნენ.

საზოგადოების კლასების კენესეულ განსაზღვრებაში საკმაო უზუსტობანია. პირველ რიგში, მცდარია სამრეწველო მუშების უნაყოფო კლასებად გამოცხადება. მართებული არაა, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის მუშებთან ერთად ფერმერების გაერთიანება მწარმოებელ კლასში.

ფ. კენეს ერთ-ერთი დამსახურება **კაპიტალის** კატეგორიის განსაზღვრაა. იგი კაპიტალს იხილავს წარმოების პროცესში, კერძოდ, სამიწათმოქმედო წარმოებაში. ფ. კენე კაპიტალის ორ ნაწილს განასხვავებდა:

1. **თავდაპირველი ავანსები** – დანახარჯები სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, ნაგებობების, პირუტყვისა და სხვ. შექმნაზე.

2. **ყოველწლიური ავანსები** – დანახარჯები თესლზე, ძირითადად, სასოფლო სამეურნეო საშუალებებზე, სამუშაო ძალაზე. **თავდაპირველი ავანსები** სრულად იბრუნვის რამდენიმე წლის განმავლობაში, ყოველწლიური ავანსები კი სრულად მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იბრუნვის. აქ ფ. კენე, ფაქტობრივად, კაპიტალს ყოფს ძირითად და საბრუნავ კაპიტალად.

ფ. კენეს მნიშვნელოვან დამსახურებას წარმოადგენს საზოგადოებრივი **კვლავწარმოების** პრობლემის წამოჭრა. ის პირველი ეკონომისტი იყო, რომელმაც სცადა მთლიანობაში წარმოედგინა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოებისა და მიმოქცევის პროცესი. თავის „ეკონომიკურ ცხრილში“ ფ. კენე იძლევა მთელი საზოგადოების პროქდუქტის რეალიზაციის რთულ სქემას.



კვლავწარმოების პროცესის ანალიზის წანამძღვრად ფ. კენე ფასების უცვლელობას იღებს და აბსტრაჰირებს საგარეო ბაზრის გავლენას. „ეკონომიკურ ცხრილში“ ამოცანადაა დასმული ამ პრობლემის გამოკლევა **მარტივი კვლავწარმოების** პირობებში.

ამოსავალ პუნქტად აღებულია სასოფლო-სამეურნეო წლის დასასრული, როდესაც მთავრდება მოსავლის აღება. ცხრილი ითვალისწინებს, რომ საზოგადოების ერთობლივი პროდუქტის ჯამი 7 მილიარდ ლივრს შეადგენს. აქედან, მწარმოებელთა კლასის ხელში მყოფი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულება 5 მლრდ ლივრია. იგი შედგებოდა, ძირითადად, სურსათისგან (4 მლრდ ლივრი) და, ნაწილობრივ, ნედლეულისგან (1 მლრდ ლივრი). მიწათმოქმედების წლიური პროდუქტის ღირებულების 1/5, ანუ 1 მლრდ ლივრი ანაზღაურებს მოხმარებული ძირითადი კაპიტალის ნაწილს ანუ თავდაპირველ ავანსებს. 2 მლრდ ლივრი ანაზღაურებს დახარჯული ნედლეულის და ნაყოფიერი კლასის მიერ მოხმარებული საარსებო საშუალებების ფასს (ყოველწლიური ავანსები ანუ საბრუნავი კაპიტალი). ხოლო 2 მლრდ ლივრი „უნაყოფო“ კლასის პროდუქტია, რომელიც იშლება წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის ღირებულებად (1 მლრდ ლივრი) და ამ კლასის მიერ მოხმარებული არსებობის საშუალებების ღირებულებად (1 მლრდ ლივრი).

გარდა 5 მლრდ ლივრის პროდუქტისა, ნაყოფიერ კლასს – ფერმერებს გააჩნიათ 2 მლრდ ლივრი ნაღდი ფული, რომელიც გათვალისწინებულია მიწის მესაკუთრეებისთვის საიჯარო ქირის სახით გადასაცემად. ამრიგად, მიმოქცევის დასაწყისში მიწის მესაკუთრეებს უკვე მოეპოვებათ 2 მლრდ ლივრი, რომელიც ფერმერებისგან მიიღეს საიჯარო ქირის სახით.

„ეკონომიკური ცხრილის“ პირობების მიხედვით, რეალიზაციის პროცესი 5 აქტისგან შედგება, თითოეული – 1 მლრდ მოცულობით:

1. მიწის მესაკუთრენი მათ განკარგულებაში არსებული 2 მლრდ ლივრიდან ფერმერებისგან ყიდულობენ 1 მლრდ ლივრის სურსათს. ამ ოპერაციის შედეგად რეალიზდება სასოფლო სამეურნეო პროდუქტის 1/5 ნაწილი, რომელიც მიმოქცევის სფეროდან მიწის მესაკუთრეთა მოხმარების სფეროში გადადის.

2. მიწის მესაკუთრენი 1 მლრდ ლივრით „უნაყოფო“ კლასისგან სამრეწველო პროდუქციას იძენენ პირადი მოხმარებისთვის.

3. „უნაყოფო“ კლასი მიწის მესაკუთრეებისგან მიღებული 1 მლრდ ლივრით მწარმოებელი კლასისგან სურსათს იძენს. ამით რეალიზდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კიდევ 1/5 ნაწილი.

4. მწარმოებელი კლასი „უნაყოფო“ კლასისგან მიღებულ 1 მლრდ ლივრს აუცილებელი წარმოების იარაღების შესაძენად ხარჯავს. ამით სამრეწველო პროდუქციის მეორე ნაწილის რეალიზაცია მთავრდება.

5. „უნაყოფო“ კლასი ფერმერებისგან მიღებულ 1 მლრდ ლივრს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შესაძენად ხარჯავს.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მიმოქცევის შედეგად კლასებს შორის რეალიზებული აღმოჩნდა 3 მლრდ-ის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (1 მლრდ ლივრის პროდუქცია მიეყიდა მესაკუთრეთა კლასს, ხოლო 2 მლრდ „უნაყოფო“ კლასს). მწარმოებელთა კლასის განკარგულებაში დარჩენილი 2 მლრდ ლივრის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არ შედის კლასებს შორის საერთო მიმოქცევაში. იგი მიმოიქცევა თვით ამ კლასის ფარგლებში. ეს პროდუქცია ანაზღაურებს დანახარჯებს თესლსა და კვების პროდუქტებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში (წლიური ავანსი). მწარმოებელი კლასის მიერ მიღებული სამრეწველო საქონელი ძირითადი კაპიტალის მოხმარებული ნაწილის ანაზრაურებას ხმარდება.

მიმოქცევის შედეგად ნაღდი ფული (2 მლრდ ლივრი) მწარმოებელ კლასს უბრუნდება, რომლის შემდეგ მიწის მესაკუთრეებს საიჯარო ქირის სახით შემდეგი ვადით ეძლევათ. ამის შემდეგ ყოველივე ხელახლა იწყება.

ამრიგად, შექმნილია წანამძღვრები ახალი საწარმოო ციკლის დაწყებისთვის, იმავე მასშტაბის განახლებისთვის, ე. ი. **მარტივი კვლავწარმოებისთვის.**

კვლავწარმოების ანალიზში ფ. კენეს სათანადო დამსახურებასთან ერთად ნაკლიც გააჩნდა:

1. მასში მრეწველები სამრეწველო საქონლის გარეშეა დატოვებული, რაც გარდაუვალს ხდის დისპროპორციებს. სამრეწველო წარმოების განახლება საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა.

2. ცხრილში არასრულადაა ნაჩვენები საზოგადოებრივი პროდუქტის განლაგება. მასში ვერ აისახა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც თვით ფერმერების მიერაა გამოყენებული და განაწილებულია სოფლის მოსახლეობას შორის.

3. ფიზიოკრატიული შეხედულებების შემდგომი განვითარება ან რობერ ჟაკ ტიურგოსთან

ფიზიოკრატიული სკოლის წარმომადგენლებს შორს აღსანიშნავია **ან რობერ ჟაკ ტიურგო** (1727-1781), რომლის შეხედულებებშიც ფიზიოკრატიულმა სისტემამ უფრო განვითარებული სახე მიიღო. იგი შეეცადა ფიზიოკრატიული შეხედულებების ცხოვრებაში დანერგვას.

ა. ტიურგო ბეჭდავდა სტატიებს ენციკლოპედიაში და წერდა ეკონომიკურ შრომებს: „მარცვლეულით ვაჭრობა“ (1761), „მანუფაქტურის წაქეზება“ (1766), „წერილები გენერალურ კონტროლიორს პურით ვაჭრობის შესახებ“ (1770). 1766 წელს მან დაწერა თავისი მთავარი თხზულება „**ფიქრები სიმდიდრეთა შექმნასა და განაწილებაზე**“.

ფ. კენეს მიერ მოცემული საზოგადოების სამ კლასად დაყოფა მან **მუშებად და კაპიტალისტებად** დაყოფით შეავსო. დაამტკიცა, რომ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ერთ მხარეზე მეწარმე კაპიტალისტები არიან, მეორე მხარეზე კი – დაქირავებული მუშები. მეწარმე კაპიტალისტები მოგების მიზნით წარმოებაში კაპიტალს აბანდებენ და მუშებს ქირაობენ, მუშები კი შრომის გაყიდვით ხელფასს ღებულობენ.

ა. ტიურგო, ფ. კენეს მსგავსად, **ხელფასს საარსებო საშუალებათა მინიმუმით** განსაზღვრავდა, მაგრამ, ფ. კენესგან განსხვავებით, იგი ხელფასის საარსები საშუალებათა მინიმუმზე დაყვანის მექანიზმს ხსნის. ა. ტიურგოს ხელფასის თეორიისთვის გადამწყვეტ მომენტს ის წარმოადგენს, რომ დამქირავებელს **არ-**

ან რობერ ჟაკ ტიურგო

ჩევის საშუალება აქვს, ე.ი. შრომის ბაზარზე მუშახელის ნაკლებობა არ არის და მუშებს შორის კონკურენცია არსებობს, რომელსაც შრომის ფასი მინიმუმადე დაჰყავს.

ა. ტიურგოს დამსახურებას წარმოადგენს **დაქირავებული შრომის გენეზისის** შესახებ საკითხის დამუშავება. დაქირავებულ მუშათა კლასის წარმოშობას იგი ხსნის მუშათა ჩამოშორებით წარმოების საშუალებათაგან, რომელიც მას უპირისპირდება, როგორც სხვა კლასის კერძო საკუთრება. პირველი მეორეს თავის შრომას აძლევს, მეორე კი სარგებლობს საკუთრების უფლებით, რომელიც კანონებს ემყარება. მართალია, ა. ტიურგო ამ უფლებებსა და კანონებს ამართლებს, მაგრამ წმინდა პროდუქტის მესაკუთრეებზე გადაცემა, მისი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა ერთი კლასის მიერ მეორე კლასის შრომის მითვისება, მაგრამ ვინაიდან ა. ტიურგო, როგორც ფიზიოკრატი, სიმდიდრის ერთადერთ წყაროდ მიწას მიიჩნევს, მისთვის კაპიტალის ნამდვილ მფლობელს ის წარმოადგენს, ვინც ამ წყაროს ფლობს. სხვა კაპიტალისტები ასეთები იმდენად არიან, რამდენადაც მათ საშუალება აქვთ, მიწათმფლობელებს წმინდა პროდუქტის ნაწილი წაგლიჯონ. როგორც ვხედავთ, ა. ტიურგო მიწის მესაკუთრეს კაპიტალისტად თვლიდა. მაგრამ, ფ. კენესგან განსხვავებით, იგი, **მიწის გარდა, კაპიტალად ყოველგვარ მოძრავ სიმდიდრესა და დანაზოგებს თვლიდა, რომელთა წარმოებაში დაბანდება და მათგან მოგების მიღება შეიძლება.**

მოგება, როგორც განსაკუთრებული კატეგორია ა. ტიურგოსთვის არ არსებობს. მოგება მას პროცენტამდე დაჰყავს, ხო-

ლო პროცენტი რენტიდან გამოჰყავს. ა. ტიურგო **მიწის რენტის** შექნაში მთავარ როლს შრომას მიაწერს. მაგრამ, იგი არ უარყოფს ფიზიოკრატიულ დოქტრინას ბუნების ნაბოძების შესახებ. თუმცა, ზოგჯერ ამ ბუნების ნაბოძებს ზედმეტი შრომის სახითაც წარმოადგენს.

ღირებულების საკითხში ა. ტიურგომ ფ. კენეს გაცვლის ეკვივალენტობის იდეისგან უკან დაიხია. იგი ერთმანეთისგან განარჩევს სუბიექტურ და ობიექტურ ღირებულებას. პირველი უჩვენებს, თუ როგორ აფასებს ნივთს გამყიდველი. ობიექტური ღირებულება ანუ საბაზრო ფასი კი ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე მყარდება. ღირებულების სუბიექტური და ობიექტური თეორიები შემდგომში ა. ტიურგოსგან გადაიღეს ავსტრიის, კემბრიჯისა და სხვა სკოლების წარმომადგენლებმა.

ფული, როგორც საქონელთა საყოველთაო ეკვივალენტი, ა. ტიურგომ ვერ გაიგო, მას ლითონის ფული (ოქრო და ვერცხლი) დაჰყავდა საქონლამდე, რომელსაც ნამდვილი ღირებულება აქვს, და პირიქით, საქონელიც დაჰყავდა ფულამდე. მისი გაგებით, ყოველი საქონელი ფულია.

ა. ტიურგო ფულის არსებობას სასაქონლო მიმოქცევას უკავშირდებდა და აღნიშნავდა, რომ ფული სასაქონლო ბუნების მატარებელიაო.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ა. ტიურგო ცდილობდა **ფიზიოკრატიული იდეები ცხოვრებაში პრაქტიკულად გაეტარებინა.** მათ განხორციელებას შეეცადა იგი ჯერ ერთ პროვინციაში, **ლიმოჟის მაზრის ინტენდანტის თანამდებობაზე** ყოფნის დროს, ხოლო 1774-1776 წწ-ში, როდესაც მას საფრანგეთის **ფინანსთა გენერალური კონტროლიორის პოსტი** ეკავა, თავისი იდეების გავრცელებას მთელი ქვეყნის მასშტაბით შეეცადა. მაგრამ მის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს მეფის ხელისუფლება ვერ შეურიგდა და მას ეს პოსტი დაატოვებინეს. ამით დამთავრდა ფიზიოკრატიული სკოლის არსებობა.

4. სულხან-საბა ორბელიანის ფიზიოკრატიული ანალოგია

XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოშიც გამოითქვა ფიზიოკრატიის ანალოგიური აზრი, რომელიც ფულად სიმდიდრესთან შედარებით უპირატესობას სამიწათმოქმედო პროდუქტების სიმდიდრეს ანიჭებდა. ამ მხრივ, საყურადღებოა დიდი ქართველი მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის **სულხან-საბა ორბელიანის** მოსაზრებანი. მან თავის ნაშრომში „**სიბრძნე სიცრუისა**“ მნიშვნელოვანი პრობლემა დააყენა – რა არის სიმდიდრე?

სულხან-საბა ორბელიანი

სულხან-საბა ორბელიანის ერთ-ერთ არაკში „**ორი მდიდარი**“[1] ერთმანეთს ორი მდიდარი უპირისპირდება: ფულით, ძვირფასი განძეულობით მდიდარი და მარცვლეულით მდიდარი. ამ დაპირისპირებაში მარცვლეულით მდიდარი გამოდის გამარჯვებული და მტკიცდება, რომ ნამდვილი და საქები სიმდიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქტებია.

მეორე არაკში „**ორი ძმანი**“ ძმები ერთმანეთის გამდიდრებას იმით ცდილობენ, რომ თითოეული თავის ორმოდან ხორბალს იღებს და მალვით მეორის ორმოში ყრის.

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობასა და ამ პროდუქციის წარმოებისა და განაწილების ნიადაგზეა აგებული. იგი, მერკანტილისტებისგან განსხვავებით, სიმდიდრის წყაროს ეძებდა არა ვაჭრობაში, არამედ სოფლის მეურნეობაში. **სულხან-საბა ორბელიანი სიმდიდრის წყაროდ წარმოების სფეროს – მიწათმოქმედებას – აღიარებდა და არა მიმოქცევის სფეროს – ვაჭრობას.**

[1] ორბელიანი სულხან-საბა, სიბრძნე სიცრუისა, თბ., 1970, გვ. 150-152.

მისი თქმით, სიმდიდრე წარმოებაში იქმნება. პროდუქტი იზრდება ღირებულებაში, სანამ იგი მიმოქცევაში გადავა.

როგორც ვხედავათ, სულხან-საბა ორბელიანის შეხედულება სიმდიდრისა და მისი წყაროს საკითხში ახლოს დგას ფიზიოკრატებთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იგი მივიჩნიოთ ფიზიოკრატად. ფიზიოკრატიული სკოლა ჩამოყალიბდა საფრანგეთში XVIII სის 50-იანი წლების დამლევს, სულხან-საბა ორბელიანის გარდაცვალებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ. მართალია, სულხან-საბა ორბელიანის იდეები წინ უსწრებდა ფიზიოკრატიულს, მაგრამ არც იმის მტკიცება შეიძლება, თითქოს ფიზიოკრატებს გადაეღოთ სულხან-საბა ორბელიანის იდეები. მიუხედავად იმისა, რომ XVIII ს-ის დასაწყისში სულხან-საბა ორბელიანმა პოლიტიკური მისიით იმოგზაურა ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთში, იტალიაში), ის არ შეხვედრია ფიზიოკრატებს და ამ უკანასკნელთათვის უცნობი იყო ქართველი მოაზროვნის შეხედულებანი. სულხან-საბა ორბელიანისა და ფიზიოკრატების იდეების მსგავსებას ის განაპირობებდა, რომ იმ პერიოდში ორივე ქვეყანა – საქართველოც და საფრანგეთიც – აგრარული ქვეყანა იყო.

* * *

სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი პირველად საერთაშორისო კონფერენციაზე XX ს-ის 50-იან წლებში ქართველმა ეკონომისტმა, აკადემიკოსმა ვასილ ჩანტლაძემ წარადგინა.[1]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
2. ბერაძე ს., ფრანსუა კენე, ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი“, №8, 1964.
3. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973.

[1] ჩანტლაძე ვ., სულხა-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1959.

4. მარქსი კ., ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, თბ., 1966.
5. ორბელიანი სულხან-საბა, სიბრძნე სიცრუისა, თბ., 1970.
6. როზენბერგი დ., პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, თბ., 1938.
7. სილაგაძე ა., ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996.
8. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
9. ჩანტლაძე ვ., სულხა-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1959.
10. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1985.
11. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., I , თბ., 1997.
12. Hunt E. K. and Mark Lautzenheiser, History of Ekonomic Thought. Sird Edicion. A Critical Perspective. Armonk, New York, London, England, 2011.
13. Афанасьев В.С., Этапы развытия буржуазной полотической экономии (очерк теории), М., 1971.
14. Блауг М., Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.
15. Всемирная история экономической мысли т. 1, М., 1987.
16. Жидь Ш. и Ристь Ш., История экономических учений, М., 1918.
17. История экономической мысли т. 1, М., 1961.
18. Кенэ Ф., Избранные экономические произведения, М., 1960.
19. Реуэль А.Л., Экономическая теория физиократов, М., 1958.
20. Тюрго А., Избранные экономические произведения, М., 1961.

თავი VII. კლასიკური ეკონომიკური სკოლის მამამთავრები – ადამ სმითი და დევიდ რიკარდო

ბურჟუაზიულმა კლასიკურმა სკოლამ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს დიდი ბრიტანეთის ეკონომისტების – ადამ სმითის და დევიდ რიკარდოს – ნაწარმოებებში მიაღწია. ისინი მოწინავე მოაზროვნეები იყვნენ, რომელთა გამოკვლევების შედეგად ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია ეკონომიკური ცოდნის სისტემა გახდა. მართალია, მისი საფუძველი ჯერ კიდევ უ. პეტის, პ. ბუაგილბერის, ფ, კენეს და ა. ტიურგოს შრომებში იყო ჩაყრილი, რომლებმაც თეორიული ხასიათის ზოგიერთი დებულებები ჩამოაყალიბეს და ეკონომიკური მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრინციპები გამოკვეთეს, მაგრამ მხოლოდ **ა. სმითმა შექმნა მათი მთლიანი სისტემა.** მისი მეცადინეობით ბურჟუაზიულმა ეკონომიკურმა აზრმა მეცნიერების ხასიათი შეიძინა. თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები **პ. სამუელსონი და უ. ნორდჰაუსი ეკონომიქსის ფუძემდებლად სწორედ ა. სმითს მიიჩნევენ.**

1. ადამ სმითი – მანუფაქტურული პერიოდის ეკონომისტი

თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები რობერტ ჰეილბრონერი და ლესტერ ტუროუ მიუთითებენ, „რომ გავიგოთ ეკონომიკის, როგორც მეცნიერების ძირითადი მიზანი უმჯობესია მივმართოთ სამი უდიდესი ეკონომისტის ადამ სმითის, კარლ მარქსისა და ჯონ მეინარდ კეინზის ნაშრომებსო“.[1]

ა. სმითი თავისი დროის დიდად განათლებული პიროვნება იყო. დაწყებითი ცოდნა მან მშობლიურ ქალაქ კერკოლდში (შოტლანდია) მიიღო. ა. სმითი **ვუნდერკინდი** იყო, 1738 წელს 14 წლის ასაკში შევიდა გლაზგოს უნივერსიტეტში, სადაც ბეჯითი სწავლით გამოიჩინა თავი. ამის გამო, მას ნება დართეს სწავლა ოქსფორდის არისტოკრატიულ უნივერისტეტში განეგრძო. უნივერ-

[1] ჰეილბრონერი რ. და ტუროუ ლ., ეკონომიკა ყველასთვის, ლონდონი, 1991, გვ. 23 (რუს).

სიტეტის დამთავრების შემდეგ გლაზგოში პროფესორის რანგით მოღვაწეობდა. 1759 წელს მისი ლექციები გამოქვეყნდა წიგნად – „**ზნეობრივ გრძნობათა თეორია**“, რომელმაც ავტორს დიდი სახელი მოუხვეჭა. გლაზგოში ყოფნის დროს ა. სმითი მსოფლიოში პირველი პოლიტიკური ეკონომიის კლუბის მუშაობაში იღებდა მონაწილეობას.

1764 წლიდან ა. სმითმა საპროფესორო მოღვაწეობას თავი დაანება და არისტოკრატ **ბეკლიუს აღზრდა** დაიწყო. მან თავის მოწაფესთან ერთად საფრანგეთში იმოგზაურა, სადაც ფ. კენეს და ა. ტიურგოს გაეცნო. მათთან ურთიერთობამ ა. სმითის შეხედულებების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

სამი წლის აღმზრდელობითი მოღვაწეობის შემდეგ ა. სმითი თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და კვლევა-ძიება პოლიტიკური ეკონომიის სფეროში დაიწყო. ამ მუშაობის ნაყოფი იყო მისი მთავარი ნაწარმოები: „**გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ**“ (1776).

ა) ეკონომიკური ლიბერალიზმი

ა. სმითი და **დ. რიკარდო** კაპიტალიზმის აღმავლობის პერიოდში მოღვაწეობდნენ. ფეოდალურ წყობილებას ისინი გონების საწინააღმდეგო არაბუნებრივ პრინციპად აცხადებდნენ და ამოცანად ბუნებრივი წყობილების დამყარებას აყენებდნენ. ისინი ბუნებრივად მიიჩნევდნენ ბურჟუაზიულ წყობილებას, რომლის დამყარებისთვის, მათი აზრით, მხოლოდ ფეოდალური გზისგან საზოგადოების ჩამოცილება და საზოგადოების განვითარების ბუნებრივი კანონების მოქმედებისთვის გასაქანის მიცემა იყო საჭირო. ამიტომ კლასიკოსები ცდილობდნენ, ჩასწვდომოდნენ ბუნებრივ კანონებს. ა. სმითის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი **ეკონომიკური ლიბერალიზმის** იდეას უკავია. ა. სმითი **სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევას თითქმის სრულიად უარყოფდა** და ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლად ეკონომიკური თავისუფლება მიაჩნდა. **იგი მოითხოვდა კონკურენციის თავისუფლებას**, კონკურენციულ ბრძოლას. ა. სმითი სახელმწიფოს მხოლოდ ისეთ ფუნქციებს (ქვეყნის თავდაცვა, ბანკნოტების გამოშვება და ა.შ.)

აკისრებდა, რომლებიც თავისუფალი კონკურენციის, ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით დადებით როლს შეასრულებდა.



ადამ სმითი

ა. სმითი მიიჩნევდა, რომ მრეწველები და ვაჭრები განუხრელად ცდილობენ თავისუფალი კონკურენციის დათრგუნვას და შეზღუდვას, საზოგადოებისთვის საზიანო მონოპოლიის შექმნას.[1]

ა. სმითის აზრით, საქონლის, ფულის, კაპიტალისა და შრომის თავისუფალი მოძრაობის დროს საზოგადოების რესურსები ყველაზე რაციონალურად და ოპტიმალურად იქნება გამოყენებული. მისი ეკონომიკური მოძღვრების ალფა და ომეგა **კონკურენციის თავისუფლება იყო.** იგი წითელ ზოლად გასდევს „ხალხთა სიმდიდრეს". ამ პრინციპს ა. სმითი უსადაგებდა ექიმებს, უნივერისტეტის პროფესორებსა და... მღვდლებსაც კი. თუ ყველა სარწმუნოებისა და სექტის ღვთისმსახურს ერთმანეთთან თავისუფალი კონკურენციის საშუალება მიეცემათ, **არც ერთ ჯგუფს პრივილეგია და, მით უმეტეს, მონოპოლია არ ექნება, მაშინ ისინი ყველაზე ნაკლებად იქნებიან ზიანის მომტანნი.**[2]

ბ) ა. სმითის ნაწარმოები „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ"

თავის მთავარ ნაშრომში ა. სმითმა მიზნად დაისახა გამოერკვია სიმდიდრის წარმოშობის არსი, მისი აღმოცენებისა და განვითარების პირობები. ამ ნაშრომმა ავტორს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. სხვადასხვა ქვეყანაში ლაპარაკი დაიწყეს ა. სმითის გენიალურობის შესახებ. მაგალითად, დიდი რუსი პოეტი ა. პუშკინი თავის პოემა „ევგენი ონეგინში" ა. სმითის იდეებს რამდენიმე

---

1 ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989, გვ. 218.

2 იქვე.

სტროფს უძღვნის. ა. პუშკინი წერდა, რომ ახალგაზრდა თავადს, ევგენი ონეგინს,

„დიდი განცდები არ აწამებდა,
რომ მიეტანა მსხვერპლად ლექსამდე,
იამბს ქორესგან ვერ ასხვავებდა,
თუმცა სწავლებას ბევრჯერ ვეცადე.
ჰგმობდა ჰომეროსს, თეოკრიტესაც,
მაგრამ ადამ სმითს ჩაჰკირკიტებდა,
ეკონომიკას კარგად იცნობდა,
მან, ესე იგი, განსჯა იცოდა:
ქვეყანა რარიგ, როგორ მდიდრდება,
რითი არსებობს, რატომ ან რა გზით,
აღარ სჭირდება ოქროს მარაგი,
როცა პროდუქტით არ ღარიბდება,
მამას უჭირდა ამის გაგება,
და მიწებს ვალში აგირავებდა“.[1]

... შემდგომში ილია ჭავჭავაძეც აღნიშნავდა, რომ „ქვეყნის გამდიდრება ეკონომიკურ წარმოებას შეუძლია და არა ჩარჩულ ვაჭრობას“.[2] ეს მონოლოგი დღევანდელ საქართველოსაც გამოადგება.

გ) ა. სმითის დამოკიდებულება მერკანტილიზმსა და ფიზიოკრატიზმთან

სამრეწველო გადატრიალების შუქზე **მერკანტილისტური დოქტრინა** ძალიან უმწეოდ გამოიყურებოდა. მისი რეცეპტები და პროტექციონიზმი სამეურნეო ინიციატივის შემბოჭველი ფაქტორი გახდა. სიმდიდრის წყაროს ბურჟუაზია სამრეწველო წარმოებაში ეძიებდა. საგარეო ვაჭრობა მრეწველობის მომსახურების როლამდე იქნა დაყვანილი. იგი სამრეწველო ნაწარმის რეალიზაციას ემსახურებოდა და ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების

[1] პუშკინი ა., რჩეული თხზულებანი, თბ., 1975. გვ. 302-303.

[2] ხარიტონაშვილი ჯ., ჩარჩული ფული ქურდბაცაცაა, გაზ. „სიმართლე“, №5, 1993წ., აპრილი, გვ. 4.

ექსპლუატაციის დამატებით ფორმას წარმოადგენდა. **ფრიტრედე-რობის** პროგრამა ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებს უკეთ პასუ-ხობდა. **ა. სმითი სამრეწველო ბურჟუაზიის იდეოლოგი იყო** და მკვეთრად ილაშქრებდა მერკანტილისტების წინააღმდეგ, რომლე-ბიც ვაჭრების ინტერესებს იცავდნენ. **ა. სმითი მერკანტილიზმს შუასაუკუნეობრივ სისულელედ,** ფეოდალური რეჟიმის წარმო-შობილად მიიჩნევდა. იგი ამტკიცებდა, რომ **სიმდიდრე ფულში კი არა, იმაში გამოიხატება, რაც ფულით შეისყიდება.**

ა. სმითმა გამოააშკარავა, აგრეთვე, **ფიზიოკრატიზმის** უში-ნაარსობა მხოლოდ მიწათმოქმედების ნაყოფიერებისა და მრეწვე-ლობის უნაყოფობის შესახებ. ფიზიოკრატების აგრარული პროგ-რამა XVIII ს-ის ინგლისისთვის მიუღებელი იყო. მისი აგრარული პრობლემები კაპიტალიზმის საფუძველზე იქნა გადაჭრილი. ფიზი-ოკრატების მოსაზრებები ინგლისის ბურჟუაზიის იდეოლოგებმა შემდგომში განავითარეს. კერძოდ, ეს ა. სმითმა გააკეთა.

ა. სმითმა პირველმა შეძლო თავისუფალი კონკურენციის სტადიაზე მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ფუნქციონირე-ბის მეცნიერული დასაბუთება. მისი თეორია წინამორბედებისგან არსებითად განსხვავდება. ა. სმითმა მოახერხა მნიშვნელოვანი ზომით გადაელახა სახალხო მეუნეობრივი პროცესების ანალიზი-სადმი დარგობრივი მიდგომა.

დ) ა. სმითის მოძღვრება შრომის დანაწილების, გაცვლისა და ფულის შესახებ

ა. სმითის ეკონომიკურ შეხედულებებს საფუძვლად უდევს იდეა იმის შესახებ, რომ **საზოგადოების სიმდიდრე წარმოების პროცესში დახარჯული ადამიანური შრომით იქმნება.** სიმდიდ-რის გადიდება შრომის ნაყოფიერების ზრდაზეა დამოკიდებული. **შრომის ნაყოფიერების ზრდის ძირითადი ფაქტორი კი შრომის დანაწილებაა.** ამიტომ იგი თავის ნაშრომს „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ შრომის დანაწილე-ბის საკითხით იწყებს. ა. სმითი წერს: „ყოველი ხალხის წლიური შრომა ის თავდაპირველი ფონდია, რომელიც მას არსებობისა და

კომფორტისთვის ყველა საჭირო საგანს აძლევს, რასაც იგი წლის განმავლობაში მოიხმარს და, რაც ყოველთვის ან ამ შრომის უშაუ-ლო პროდუქტისგან, ანდა იმისგან შედგება, რაც იმ ხალხის მიერ ამ პროდუქტზე გაცვლით სხვა ხალხებისგან მიიღება“.[1]

ა. სმითის მიხედვით, ხალხთა სიმდიდრე და მისი გამრავ-ლება შრომის დანაწილების განვითარებაზეა დამოკიდებული. ამიტომ ხალხთა სიმდიდრის გამოკვლევის დროსაც ამოსავალ პუნქტს შრომის დანაწილება უნდა წარმოადგენდეს.

ა. სმითის შრომის დანაწილების სარგებლიანობის სანიმუშო მაგალითად მოჰყავს ერთი პატარა მანუფაქტურა, სადაც 10 მუშა დღეში 48 000 ცალ ქინძისთავს ამზადებს. ერთ მუშაზე 4 800 ცალი ქინძისთავი მოდის. ა. სმითი აღნიშნავს: მუშებს რომ განცალკევე-ბულად ემუშავათ, თითოეული დღეში 20 ცალ ქინძისთავსაც ვერ დაამზადებდა. როდესაც მუშა ერთ ან ორ ოპერაციას ასრულებს, გაცილებით მეტ შრომის ნაყოფიერებას აღწევს. ა. სმითის მიხედ-ვით, შრომის დანაწილება შრომის ნაყოფიერებას სამი საშუალე-ბით ზრდის:

1. შრომის დანაწილების შედეგად ცალკეული **მუშის სიმარ-ჯვე და დახელოვნება იზრდება;**

2. **იზოგება დრო,** რომელიც ერთი სახის სამუშაოდან მეორე-ზე გადასასვლელადაა საჭირო;

3. შრომის დანაწილება **ხელს უწყობს მანქანის გამოგონე-ბას.**

როგორც ვხედავთ, ა. სმითმა სწორად გაიგო შრომის დანა-წილების როლი მანუფაქტურაში და ტენდენცია მანქანური წარ-მოების განვითარებისათვის. მაგრამ შრომის დანაწილებას ა. სმი-თი აბსტრაქტულად, კონკრეტულ ისტორიული პირობების გარე-შე იღებს, რომელშიც წარმოიშობა სიმდიდრე და მიმდინარეობს შრომის დანაწილება. ა. სმითი ვერ ხედავდა, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და გაცვლა სხვადასხვა ფორმას იძენს, რომ შრომის დანაწილება შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე ვითარდება.

---

[1] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შე-სახებ, ტ. I, თბ., 1938, გვ. 2.

ა. სმითი **გაცვლასაც** არაისტორიულად იხილავს, რაც მას ხელს უშლის სასაქონლო მეურნეობაში მიმოქცევის როლი გამოარკვიოს.

მიუხედავად ამისა, ა. სმითმა გაიგო, რომ საქონელთა მწარმოებელ საზოგადოებაში სიმდიდრე არც მიმოქცევაში წარმოიშობა და არც მიმოქცევის გარეშე. ამიტომ იგი იკვლევდა შრომას, რომელიც გაცვლასაც შეიცავს, ე.ი. საქონლის მწარმოებელთა ერთობლივ შრომას, რაც წარმოების და მიმქცევის ერთიანობას გულისხმობს.

შრომის დანაწილებისა და გაცვლის განვითარებას ა. სმითი ფულის წარმოშობას და გამოყენებას უკავშირებს. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს **ფული** თამაშობს. „ყოველი გონიერი ადამიანი, – წერდა იგი, – საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე, მას შემდეგ რაც შრომის დანაწილება გაჩნდა, უნდა ცდილიყო თავისი საქმეები ისე მოეწყო, რომ საკუთარი შრომის განსაკუთრებულ პროდუქტებს გარდა, ყოველთვის ამა თუ იმ საქონლის განსაზღვრული რაოდენობა ჰქონოდა მზად, რომლის მიმართ, მისი აზრით, არავინ უარს არ იტყოდა თავისი მრეწველობის პროდუქტის სანაცვლოდ აეღო“.[1] ვინაიდან, ყველა ასეთი მოქმედება, აღნიშნულ საქონელთა ერთგვარი რაოდენობა თანდათანობით გაცვლის საერთო იარაღად – ფულად – იქცეოდა.

ფულის წარმოშობის მიზეზად ა. სმითს ტექნიკური სიძნელეები მიაჩნდა, რომლებიც საქონელთა ურთერთგაცვლის დროს იქმნება. მას ესმოდა, რომ ფული, როგორც განსაკუთრებული საქონელი, საქონელთა მასას სტიქიურად გამოეყო. მაგრამ, მას არ ესმოდა, რომ ფული საქონელთა შინაგანი წინააღმდეგობების შედეგად წარმოიშობა.

ფულის ფუნქციებს შორის ა. სმითმა განსაკუთრებით **მიმოქცევის საშუალების ფუნქცია** გამოყო. მან იცოდა, რომ ფული **ასევე ღირებულების საზომს, გადახდის საშუალებას** და **მსოფლიო ფულს** წარმოადგენს. მაგრამ ისინი მიმოქცევის ფუნქციის ნაირსახეობებად ჰქონდა წარმოდგენილი.

---

[1] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. I, თბ., 1938, გვ. 88.

ა. სმითი **ლითონის და ქაღალდის** ფულს ერთმანეთისგან არ ასხვავებდა. ოქროსა და ვერცხლის ფულთან შედარებით, მან უპირატესობა ქაღალდის ფულს მიანიჭა და მიზანშეწონილად მიიჩნია ოქროსა და ვერცხლის შეცვლა ქაღალდის ფულით. ა. სმითი საკრედიტო ფულზეც ლაპარაკობდა და ბანკნოტებს ქაღალდის ფულის თავისებურ ნაირსახეობად თვლიდა. ა. სმითი **კრედიტსაც** ეხებოდა, რომელსაც განიხილავდა როგორც კაპიტალის აქტივიზაციის საშუალებას. ფულსა და კრედიტს მან წარმოებასთან შედარებით დაქვემდებარებული როლი მიანიჭა, მაგრამ ვერ შეაფასა მათი უკუგავლენა წარმოებაზე. საერთო ჯამში, **ა. სმითის შეხედულება ფულის შესახებ სერიოზულ მიღწევას წარმოადგენდა იმ პერიოდის ეკონომიკურ აზრში.**

ე) ღირებულების სხვადასხვაგვარი განსაზღვრა

ა. სმითის ეკონომიკური მოძღვრების მნიშვნელოვან მონაპოვარს **ღირებულების შრომითი თეორია** წარმოადგენს. ამ საკითხში მან უ. პეტის შეხედულებანი გააგრძელა.

ა. სმითის დამსახურება ის იყო, რომ მან **საქონლის ღირებულება მასზე გაწეული შრომის დანახარჯებით განსაზღვრა**. იგი ერთმანეთისგან განასხვავებდა საქონელთა **საბაზრო** და **ნამდვილ ფასს.** ამ უკანასკნელში იგი ღირებულებას გულისხმობდა. ა. სმითი წერდა, რომ „სიტყვა ღირებულებას ორი მნიშვნელობა აქვს: ზოგჯერ იგი გამოსახავს რაიმე საგნის სარგებლიანობას, რომელსაც ამ საგნის ფლობა იძლევა. პირველს შეიძლება **სახმარი ღირებულება** ვუწოდოთ, მეორეს – **საცვლელი ღირებულება**“.[1] როგორც ვხედავთ, ა. სმითი ერთმანეთისგან განასხვავებდა და განსაზღვრავდა საქონლის სახმარ და საცვლელ ღირებულებებს. ა. სმითი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ **ღირებულებას, რომელიც მატერიალური წარმოების სფეროში იხარჯება, საყოველთაო საზოგადოებრივი შრომა ქმნის,** სულერთია, ეს შრომა რა სახმარ ღირებულებაშიც უნდა იყოს წარმოდგენილი. მას მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელი შრომის რაოდენობა ქმნის. ეს

[1] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. I, თბ., 1938, გვ. 33.

არის **ა. სმითის ღირებულების მეცნიერული თეორია.** მაგრამ იგი გარკვეული ნაკლოვანებებს შეიცავს. ა. სმითმა ვერ გაიგო, რომ საქონელში არსებობს წინააღმდეგობა სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის. ხოლო საქონელმწარმოებელთა შრომა ორადი ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, ა. სმითი საქონლის ღირებულებიდან გამორიცხავდა მუდმივი კაპიტალიდან გადმოტანილ ღირებულებას. საქონლის ღირებულებას იგი ახალ შექმნილ ღირებულებასთან აიგივებდა. ასევე, ამტკიცებდა იმასაც, რომ **სოფლის მეურნეობაში ღირებულების შექმნისას, შრომის გარდა, ბუნებაც მონაწილეობსო.**

ა. სმითის ღირებულების თეორიაში ცხადად იჩენს თავს მისი მეთოდის ორადი ხასიათი. ღირებულების ძირითადი განსაზღვრის გვერდით იგი მეორე ცნებას იძლევა, სადაც ღირებულება იმ შრომის რაოდენობით განისაზღვრება, **რომლის ყიდვაც მოცემული სქონლით** შეიძლება. ა. სმითი აღნიშნავდა, რომ შრომის დანაწილების დროს ადამიანი მდიდარია ან ღარიბია იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის შრომას ფლობს იგი, ან რა რაოდენობის შრომა შეუძლია მან იყიდოს. აქედან გამომდინარე, იგი ამტკიცებდა, რომ ყოველი საქონლის ღირებულება იმ შრომის რაოდენობას უდრის რომელიც მას შეუძლია იყიდოს, ანუ მიიღოს განკარგულებაში".[1]

ღირებულების **ნაყიდი შრომით** განსაზღვრით ა. სმითი, ფაქტობრივად, საქონლის ღირებულებას განსაზღვრავდა მისი მსყიდველობითი ძალით შრომასთან შეფარდებით. ეს იგივეა, რომ განსაზღვრო „შრომის ღირებულება", ანუ, უფრო სწორად, ხელფასი. **მან ვერ გაიგო, რომ მუშა კაპიტალისტს სამუშაო ძალას მიჰყიდის და ხელფასი მის მიერ შექმნილი ღირებულების ნაწილია**.

როგორც ვხედავთ, ღირებულების შესახებ ა. სმითის პირველ განსაზღვრას ეწინააღმდეგება მეორე. ამ უკანასკნელს მეორე ვარიანტში ა. სმითი განსაზღვრავდა შემოსავლებით. მისი გაგებით, საცვლელი ღირებულება მხოლოდ შემოსავლებისგან შედგება: ხელფასის, მოგებისა და რენტისგან **(V+m)**. აქ გამოდის, რომ საქონლის ღირებულებას ქმნის მუშა, კაპიტალისტი და მიწათმფლო-

[1] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. I, თბ., 1938 , გვ. 35.

ებელი. ეს მტკიცება ღირებულების შრომით თეორიას ეწინააღმდეგება. სამაგიეროდ, ის გზას ხსნის **წარმოების სამი ფაქტორის (შრომა, კაპიტალი** და **მიწა)** თეორიისთვის. ა. სმითის ეს იდეა შემდგომ ფართოდ გამოიყენეს ოპტიმისტური მიმართულების წარმომადგენლებმა.

3) მოძღვრება კლასების და შემოსავლების შესახებ

ა. სმითი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში **სამი ძირითადი კლასი** არსებობს:

1. **მიწათმოქმედები,** რომლებსაც საკუთრებაში წარმოების მთავარი საშუალება – მიწა აქვთ. ისინი მიწას იჯარით აძლევენ ფერმერ კაპიტალისტებს და მათგან შემოსავალს მიწის რენტის სახით იღებენ.

2. **კაპიტალისტები,** რომლებიც სხვა სახის წარმოების საშუალებებს (სამეწველო ნაგებობები, მოწყობილობანი, ფერმები და სხვა) ფლობენ. ისინი მუშებს ქირაობენ და შემოსავალს მოგების სახით იღებენ.

3. **დაქირავებული მუშები,** რომელთაც, სამუშაო ძალის გარდა, არავითარი საკუთრება არა აქვთ და ხელფასის მისაღებად იძულებულნი არიან, თავიანთი სამუშაო ძალა გაყიდონ.

ა. სმითი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტური საზოგადოება მარტო ამ სამი კლასისგან არ შედგება. **იგი მოიცავს აგრეთვე, სხვადასხვა შუალედურ ჯგუფებს და ფენებს.** მაგრამ, **ძირითადი კლასები** იმით გამოირჩევიან, რომ **მათი შემოსავლები პირველადია,** ხოლო **სხვა ჯგუფებს შემოსავლები – მეორეული, გადანაწილებული.**

ხელფასს ა. სმითი განსაზღვრავდა როგორც **შრომის ფასს,** მას შრომის ბუნებრივ ანაზღაურებად თვლიდა. ა. სმითი ხელფასად მიიჩნევდა, აგრეთვე, წვრილ საქონლურ წარმოებაში დამოუკიდებელ მეწარმეთა შრომის მთელ ანაზღაურებას. მისი თვალსაზრისით, მწარმოებელი, რომელიც დამოუკიდებლად უძღვება წარმოების პროცესს, იღებს როგორც ხელფასს, ასევე მოგებას. მაგრამ ა. სმითმა ერთმანეთისაგან ვერ განასხვავა მუშისა და და-

მოუკიდებელი მწარმოებლის შრომითი შემოსავალი. ამ ორ შემოსავალს შორის მან მხოლოდ რაოდენობრივი განსხვავება დაინახა. მისი გაგებით, დაქირავებული მუშაკი თავისი შრომის სრულ პროდუქტს ვერ იღებს, ხოლო წვრილი მწარმოებელი რომელსაც საკუთარი წარმოების საშუალებანი გააჩნია, მას მთლიანად იღებს. ა. სმითმა ვერ გაიგო, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხელფასი დაქირავებული შრომისა და კაპიტალის არსებობასთანაა დაკავშრებული.

ა. სმითის გაგებით, ხელფასის სიდიდეს საფუძვლად უდევს საარსებო საშუალებათა ღირებულება, რომელიც მუშისა და მისი ოჯახის შენახვას უზრუნვლყოფს. ა. სმითის მიხედვით, ხელფასის დონე მოსახლეობის მუდმივი მოძრაობის, მოქმედების ქვეშ იმყოფება. სიმდიდრის ზრდასთან ერთად შრომაზე მოთხოვნა იზრდება, ხელფასი იმატებს და ხალხის კეთილდღეობა სათანადოდ იზრდება. ამას მუშების გამრავლება მოჰყვება. ისინი წარმოებაში ნამეტი აღმოჩნდებიან და ხელფასიც შემცირებას იწყებს. დაბალი ხელფასის დროს კი მცირდება მუშათა რაოდენობა, რომელსაც მუშათა ნაკლებობასა და ხელფასის მატებამდე მივყავართ.

ა. სმითი **მაღალი ხელფასის დაწესებას** მოითხოვდა. იგი აღნიშნავდა, რომ მაღალი ხელფასი შრომის ნაყოფიერების ზრდის მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს.

ის არ იზიარებდა იმდროინდელ ლიტერატურაში გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ ხელფასი მუშებს აზარმაცებს და შრომის სტიმულს უკარგავსო. ა. სმითი მეწარმეებს მიუთითებდა, რომ ნუ შეგაშინებთ ხელფასის ზრდა, რადგან სტიქიური მექანიზმი, სულერთია, ამ ზრდას შემოსაზღვრავსო. ა. სმითი შრომის ანაზღაურების საკითხს ასევე განიხილავდა პროფესიის ნიშნის მიხედვით და იმ შრომის ანაზღაურების გაზრდას მოითხოვდა, რომელიც სპეციალურ მომზადებას მოითხოვდა. მაღალი ხელფასი მძიმე შრომაზეც უნდა დაწესებულიყო.

მოგებად ა. სმითი **შემოსავლის იმ ნაწილს მიიჩნევდა, რომელიც ხელფასის გამოკლებით რჩებოდა.** მან მიუთითა, რომ კაპიტალისტური წარმოების ყველა დარგში, სადაც კი შრომა იხარჯება, მოგება მუშის შრომით იქმნება. მუშის შრომით შექმნილი

ღირებულება ორ ნაწილად იყოფა: ერთ ნაწილს მუშა ხელფასის სახით იღებს, მეორე კი კაპიტალისტის მოგებას წარმოადგენს. მოგება იმიტომ იქმნება, რომ მუშა სამუშაო დროის ნორმის ზევით იმაზე მეტს მუშაობს, რაც მისი ხელფასის ეკვივალენტის შექმნისათვისაა აუცილებელი.

ა. სმითი მოგებას უწოდებდა მთელ სხვაობას შრომის დამატებით ღირებულებასა და ხელფასს შორის. ამ სხვაობას იგი ზედმეტ ღირებულებად მიიჩნევდა. სხვა შემთხვევაში ა. სმითი მოგებას განიხილავდა, როგორც ნაშთს რენტისა და პროცენტის გამოკლებით. ამ შემთხვევაში იგი მოგებას ფუნქციონერი კაპიტალისტის შემოსავალს უწოდებდა. მისი გაგებით, სამრეწველო მოგება ზედმეტი ღირებულების საყოველთაო ფორმას წარმოადგენდა. მის განშტოებად კი სმითს **მიწის რენტა** და **სარგებელი** მიაჩნდა, რომელთაც ზედმეტი ღირებულების მითვისებაში მონაწილე სხვადასხვა კლასი იღებდა.

ა. სმითის თეორიაში ზედმეტი ღირებულება, რა ფორმითაც უნდა იყოს ის – მოგება, რენტა, სარგებელი – მხოლოდ მუშის შრომის შედეგია. ა. სმითმა **გააკრიტიკა ფიზიოკრატების შეხედულება, თითქოს ზედმეტი პროდუქტი მხოლოდ სოფლის მეურნეობაში იქმნება.** ღირებულების შრომით თეორიაზე დაყრდნობით, იგი ასაბუთებდა, რომ მოგება აუნაზღაურებელი შრომით იქმნება, რომელიც იმაზე არაა დამოკიდებული, თუ რომელ დარგში იხარჯება შრომა. ა. სმითი უარყოფდა აზრს, თითქოს მოგება კაპიტალისტის ხელფასი იყოს საწარმოთა ზედამხედველობისა და მართვისთვის. მისი აზრით, მოგების სიდიდე განისაზღვრება არა მეთვალყურეობასა და მართვაზე გაწეული შრომის სიმძიმითა და სირთულით, არამედ წაროებაში გამოყენებული კაპიტალის სიდიდით. ა. სმითი **მოგებას განიხილავდა, როგორ კაპიტალის დაბანდებისთვის მეწარმის რისკის ანაზღაურებას.**

კაპიტალიზმის დროს **მიწის რენტას** ა. სმითი განიხილავდა როგორც მიწათმოფლობელთა შემოსავალს, რომელიც მუშის აუნაზღაურებელი შრომის შედეგად იქმნება. მისი თეორიით, რენტის წარმოქმნა მიწის კერძო საკუთრებასთანაა დაკავშირებული. მან უარყო შეხედულება, რომლის თანახმადაც, რენტა არის კანონიერი

საფასური, თავისებური პროცენტი კაპიტალზე, მიწათმფლობელების მიერ ოდესღაც დაბანდებული მიწის გაუმჯობესებაზე. მიწის მესაკუთრე რენტას ისეთი მიწისათვისაც მოითხოვს, რომელიც არასოდეს გაუმჯობესებულა. შემდეგ ა. სმითი ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ რენტა არის მონოპოლიური ფასის შედეგი, რომელიც ღირებულებაზე მეტია. მისი მტკიცებით, **მიწის რენტა არის ჯილდო მისი მიწის გამოყენებისთვის.** გარდა ამისა, ა. სმითი, ფიზიოკრატების მსგავსად, მიუთითებდა, რომ რენტა შეიძლება განვიხილოთ როგორც ბუნების ძალის პროდუქტი. იგი წერდა, რომ მანუფაქტურულ წარმოებასთან შედარებით კაპიტალის დაბანდებისთვის უფრო ხელსაყრელი სფერო სოფლის მეურნეობაა. ა. სმითი ასაბუთებდა, რომ მიწათმოქმდებაში ადამიანთან ერთად ბუნებაც „მუშაობს“ და ამიტომ რენტა ბუნების ძალის პროდუქტიაო.

ზ) მოძღვრება კაპიტალის, მისი სტუქტურისა და კვლავწარმოების შესახებ

კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურისა და შემოსავლების ანალიზის შემდეგ ა. სმითი **კაპიტალის** ანალიზზე გადადის. ერთი მხრივ, ის კაპიტალს განიხილავდა როგორც ღირებულებას, რომელიც დაქირავებული შრომის ექსპლუატაციის შედეგად ნამეტს იძლევა. მეორე მხრივ, ა. სმითი **კაპიტალს განმარტავდა, როგორც ნაყოფიერი საგნების, წარმოების საშუალებების მარაგს რომლებიც შემდგომი წარმოებისთვისაა საჭირო.** მან კაპიტალი მის ნივთობრივ მატარებელთან გააიგივა, ასეთს კი, მისი აზრით, **წარმოების საშუალებები წარმოადგენს,** რომლებშიც დაგროვილია შრომა, ე.ი. წინანდელი შრომით შექმნილი საშუალებანი.

ა. სმითმა დაძლია ფიზიოკრატების შეზღუდულობა კაპიტალის გაგების საკითხში, რომლებიც მწარმოებლურად მხოლოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ კაპიტალს თვლიდნენ. მან შემდგომ განავითარა ცნებები – ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი და მათი მოქმედება მატრიალური წარმოების ყველა სფეროზე გაავრცელა. ა. სმითი კაპიტალის ყველაზე დამახასითებელ თვისებად იმას მიიჩნევს, რომ მას მოგება მოაქვს. ამას საფუძვლად

უდებს კაპიტალის დაყოფას ძირითად და საბრუნავ ნაწილებად. ა. სმითის განსაზღვრით „**ძირითადი კაპიტალი** შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიწის გასაუმჯობესებლად, სასარგებლო მანქანების და სამუშაო იარაღების ან მსგავსი საგნების საყიდლად, რომლებიც შემოსავალს, ანუ მოგებას მფლობელის გამოუცვლელად ან შემდგომ მიმოქცევაში შეუსვლელად იძლევიან. ამიტომ ასეთ კაპიტალებს შეიძლება სრულიად შესაბამისად **ძირითადი კაპიტალები ეწოდოთ**“.[1] ა. სმითის მიხედვით, ძირითადი კაპიტალი მფლობელს არ იცვლის, მის ხელში რჩება და მიმოქცევაში მონაწილეობას არ ღებულობს. **საბრუნავი კაპიტალი** კი მიმოქცევაში მონაწილეობს და მესაკუთრისთვის მოგების მიღებას უზრუნველყოფს. „იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს პროდუქციის აღმოსაცენებლად, გადასამუშავებლად ან გასაყიდად მოგებით ისევ გაყიდვის მიზნით. ამგვარად, გამოყენებული კაპიტალი მის გამომყენებელს არავითარ შემოსავალს, ანუ მოგებას არ აძლევს, სანამ იგი მის მფლობელობაშია დარჩენილი, ან შენარჩუნებული აქვს თავისი წინანდელი ფორმა. პროდუქტები, რომელიც ვაჭარს ხელთ აქვს, მას შემოსავალს, ანუ მოგებას არ აძლევს, სანამ იგი მათ ფულზე არ გაყიდის. ფულიც მას, აგრეთვე, ნაკლებ სარგებლობას აძლევს, სანამ მას კვლავ პროდუქტებზე არ გაცვლის. მისი კაპიტალი მუდამ მიდის მისგან ერთი სახით და მხოლოდ ასეთი მიმოქცევის გზით, ანუ თანმიმდევრული გაცვლა-გამოცვლის გზით შეუძლია კაპიტალს რაიმე მოგება მოიტანოს. ამიტომ ასეთ კაპიტალებს შეიძლება სრულიად შესაბამისად საბრუნავი **კაპიტალი ეწოდოს**“.[2]

ა. სმითის განმარტებაში ძირითად და საბრუნავ კაპიტალს შორის განსხვავება დაყვანილია მათ მიერ შემოსავლის, ანუ მოგების მიღების წესთა სხვადასხვაობამდე. საბრუნავი კაპიტალი თავისი მიმოქცევით იძლევა მოგებას, ძირითადი კაპიტალი კი – ისე, რომ ბრუნვაში არ მონაწილეობს. ა. სმითის აზრით, ძირითად კაპიტალს საბრუნავი კაპიტალის გარეშე არ შეუძლია რაიმე შექმნას. საბრუნავი კაპიტალი თვითონაც იძლევა მოგებას და ძირითად კაპიტალსაც ეხმარება მოგების მიღებაში. რადგან ის მასალასაც და

---

1 სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. I, თბ., 1938, გვ. 312.

2 იქვე.

მუშების შესანახ საჭირო საშუალებებსაც აწვდის. სინამდვილეში, ბრუნვას განიცდის როგორც საბრუნავი, ისე ძირითადი კაპიტალი. მაგრამ თითოეული მათგანის ბრუნვის წესი და ხანგრძლივობა სხვაადასხვაა.

ა. სმითი **ძირითად კაპიტალს მიაკუთვნებდა:** მანქანებს და შრომის სხვა იარაღებს, ნაგებობებს და შენობებს, რომლებიც განკუთვნილია სავაჭრო, სამრეწველო მიზნისთვის (მაღაზიები, სახელოსნოები და სხვ,); მიწის ყოველგვარ გაუმჯობესებას, რომელიც მის ნაყოფიერებას ზრდიდა (გაწმენდა, ამოშრობა, შემოღობვა, განაყოფიერება და სხვ.); საზოგადოების წევრთა სწავლით და ვარჯიშით შეძენილ შრომით ჩვევებს და „სასარგებლო შესაძლებლობებს“, რომლებიც აადვილებდა ან ამცირებდა შრომას.

ა. სმითის მიხედვით, **საბრუნავი კაპიტალიც ოთხი ნაწილისგან შედგება:** ფული, რომელიც საბრუნავი კაპიტალის ყველა ნაწილისთვის მიმოქცევის იარაღს შეადგენს; სურსათის მარაგი, რომელიც ვაჭართა ან მრეწველთა ხელში იმყოფება; ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, რომლებიც დაუმთავრებელი წარმოების პროცესში იმყოფებიან; მზა ნაწარმი, რომელიც ჯერ კიდევ რეალიზებული არ არის და მაღაზიებს და საწყობებშია მოთავსებული.

ა. სმითის თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **კაპიტალის დაგროვების იდეას.** კაპიტალის დაგროვებაში ის კაპიტალისტის ისტორიულ მისიას ხედავს, რომელიც თავისი შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის დაზოგვის გზით წარმოებას აფართოებს, მუშების დამატებით რაოდენობას სამუშაოს აძლევს და საბოლოო ჯამში საზოგადოების სიმდიდრის ზრდას ხელს უწყობს.

რაც შეეხება **კვლავწარმოებას,** ამ საკითხში ა. სმითმა ფ. კენეს წამოწყების გაგრძელება ვერ შეძლო. კაპიტალის კვლავწარმოების სმითისეული თეორია მისსავე ღირებულების შრომით თეორიაზეა დამყარებული. ა. სმითის ამ განსაზღვრებით, წლიური ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულება უდრის შემოსავლების – ხელფასის, მოგების და რენტის – ჯამს. იგი ცვალებადი კაპიტალისა და ზედმეტი ღირებულების ჯამზეა დამყარებული, საიდანაც ამოვარდნილია მუდმივი კაპიტალი. ეს დებულება **ა. სმითის დოგმის** სახელწოდებითაა ცნობილი.

ა. სმითის დოგმა გამოიხატება მტკიცებით, რომ ყოველი საქონლის ფასი იყოფა შემოსავლებად **v+m**. ეს მას საშუალებას არ

აძლევდა საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოების პრობ-ლემა გადაეჭრა. სინამდვილეში, საქონლის ღირებულებაში ახ-ლადშექმნილ ღირებულებასთან ერთად წარმოების საშუალებათა მოხმარებული ნაწილის ღირებულებაც არის, რაც გასული წლების შრომითაა შექმნილი. ეს არის განივთებული ანუ მკვდარი შრომა.

ა. სმითი შეუძლებლად თვლიდა გამიჯვნას აბსტრაქტული შრომით შექმნილი ახალი ღირებულების წარმოების პროცესსა და კონკრეტული შრომის გამოყენების შედეგად მუდმივი კაპიტალის ღირებულების გადატანის პროცესს შორის. ა. სმითისთვის გაურ-კვევლი დარჩა კაპიტალის როლი მთელი წლიური პროდუქტის ღირებულების შექმნის პროცესში. ა. სმითი წლიური პროდუქტის მთელ ღირებულებას v+m-ად შლიდა. ეს ახლად შექმნილი ღირებუ-ლების მიმართ სწორია. წლიური პროდუქტის მთელი ღირებულება კი შეიძლება მხოლოდ **c+v+m**-ად იქნეს გაშლილი.

ა. სმითი შეეცადა, სიძნელისთვის თავი იმით დაეღწია, რომ ერთიმეორისგან განასხვავა მთლიანი შემოსავალი და წმინდა შე-მოსავალი. მისი გაგებით, მთლიანი შემოსავალია მიწის და ქვეყნის მცხოვრებთა მთლიანი წლიური შრომის პროდუქტი; წმინდა შემო-სავალი კი ის ნაწილია, რომელიც მათ თავისი კაპიტალის დაუხარ-ჯავად შეუძლიათ თავიანთ სამომხმარებლო მარაგს მიაკუთვნონ, ანდა თავის შესანახად, კომფორტსა და სიამოვნებაზე დახარჯონ. აქ სმითს საქონლის ფასის შემადგენლობაში კაპიტალის ნაწილი შეჰყავს და ახლა კვლავწარმოების პროცესი უკვე შესაძლებელი ხდება. ამ შემთხვევაში, ა. სმითი საქონლის ფასს მარტო მოგებად და რენტად კი არ შლის, არამედ ავანსებულ კაპიტალურ ღირებუ-ლებადაც. აქ **სმითი თითქმის მიდის კვლავწარმოების მეცნიე-რულ ანალიზამდე.**

თ) ა. სმითი ნაყოფიერი და უნაყოფო შრომის შესახებ

ნაყოფიერი და **უნაყოფო შრომის** შესახებ ა. სმითს მოცემუ-ლი აქვს „ხალხის სიმდიდრის“ მეორე წიგნის მესამე თავში. ა სმი-თის თანახმად, ნაყოფიერია მხოლოდ ნივთის შემქმნელი შრომა. შედეგად, ა. სმითი წერს: „ამ საგანს, ანუ რაც იგივეა, ამ საგნის ფასს შეუძლია შემდეგში, თუ საჭირო იქნა, მოძრაობაში მოიყვა-

ნოს შრომის რაოდენობა, თანატოლი იმისა, რომელმაც იგი თავდა-პირველად წარმოშვა“.[1]

ა. სმითი ამტკიცებდა, რომ შრომა ნაყოფიერია წარმოების ყოველ დარგში, სადაც იგი კაპიტალზე გადაიცვლება, რის შედეგადაც ქმნის მოგებას. მაშასადამე, ნაყოფიერია ის შრომა, რომელიც მატერიალურ პროდუქტს ქმნის და წარმოების პროცესში საქონლის ღირებულებას ადიდებს. არანაყოფიერია შრომა, რომელიც კაპიტალზე არ იცვლება, მატერიალურ პროდუტს არ ქმნის და არ ზრდის საქონლის ღირებულებას.

ა. სმითს მერკანტილისტებისა და ფიზიოკრატებისგან განსხვავებით, **ნაყოფიერად მიაჩნდა წარმოების ყველა დარგში დახარჯული შრომა, სადაც შრომა კაპიტალზე გადაიცვლება.** მისი გაგებით, აქვე იქმნება ზედმეტი პროდუქტი.

ი) „ უხილავი ხელის“ და „ეკონომიკური ადამიანის“ ცნება

ა. სმითის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია „**უხილავი ხელის პრინციპი**“**.** უნდა ითქვას, რომ მეტაფორა „უხილავი ხელი“ ა. სმითის შექმნილი არ არის. ის ჯერ კიდევ **ჰომეროსის** „ილიადაში“ (ჩვ. წ. აღ-მდე VIII ს.) არის მოხსენიებული. **ჰორაციუსთან** (ჩვ. წ. აღ-მდე 65 წ.) გვხვდება „მეხთამტეხელი უხილავი ხელი,“

ა. სმითის ნაშრომებიდან **მეტაფორა** „“**უხილავი ხელი**“ **პირველად** „**ასტრონომიის ისტორიაში**“ (1751-58) გვხვდება (გამოქვეყნდა 1895). ა. სმითს მოჰყავს **იუპიტერის** „უხილავი ხელი“. იუპიტერს, როგორც ღვთაებას, თაყვანს სცემდნენ რომის მოქალაქენი. ისინი აღიარებდნენ უხილავ ხელს, რომელიც წარმართავდა და წესრიგს ინარჩუნებდა სამყაროში, ერთმანეთს უხამებდა კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებს.

ა. სმითის შემდეგ ნაშრომში „ზნეობრივი გრძნობების თეორია“ (1759) მეორედ ვხვდებით „უხილავ ხელს“. „**ხალხთა სიმდიდრეში**“ მხოლოდ ერთხელ, მეოთხე თავში გვხვდება ტერმინი „უხილავი ხელი.“ თ. მალთუსის, დ. რიკარდოს, ჯ. ს. მილის, კ. მარქსის

---

[1] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. I, თბ., 1938, გვ. 376-377.

ნაშრომებში მინიშნებაც კი არ არის „უხილავ ხელზე“. არც 1876 წ., როდესაც „ხალხთა სიმდიდრის“ 100 წლისთავი აღინიშნა, არაფერი თქმულა „უხილავ ხელზე“.

ფრაზა „უხილავი ხელი“ პოპულარულ მეტფორად XX ს-ის მეორე ნახევრიდან იქცა. თანამედროვე ეკონომისტები „უხილავი ხელის“ თეორიას უდიდეს როლს ანიჭებენ. ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში **კენეტ ეროუ** თვლის, რომ მეტაფორამ „უხილავი ხელი“ „ჭეშმარიტად ყველაზე მნიშვნელოვანი ინტელექტუალური წვლილი შეიტანა ეკონომიკურ აზროვნებაში“ (Arou, 1987). ამერიკელი ეკონომისტის **ჯეიმს ტობინის** მიხედვით, იგი „ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე გავლენიანი იდეაა ისტორიაში“.[1]

ამ პრინციპის მიხედვით, თითოეული ადამიანის მამოძრავებელი მხოლოდ პირადი ინტერესებია, რაც, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებრივ ინტერესებსაც ეხმიანება. თავის წიგნში – „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდირის ბუნების და მიზეზების შესახებ“ – სმითმა აღწერა ჰარმონია კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. როგორც ა. სმითი აღნიშნავდა: „**ყოველი ინდივიდი ცდილობს საკუთარი კაპიტალი, ისეთნაირად აამოქმედოს, რომ მან მაქსიმალური მოგება მოიტანოს.** ჩვეულებრივ, მას განზრახვა არა აქვს ზემოქმდება მოახდინოს საზოგადოებრივ ინტერესებზე და არც იცის რამდენად ზემოქმედებს იგი მათზე. ინდივიდი მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოებისა და სარგებლობისკენ მიისწრაფვის, მას უხილავი ხელი წარმართავს, რათა, ბოლოს და ბოლოს, ზეგავლენა მოახდინოს იმაზე, რაც მის განზრახვაში არ შედიოდა. საკუთარი ინტერესების დაცვით იგი (ინდივიდი) ხშირ შემთხვევაში დიდად უწყობს ხელს საზოგადოების აყვავებას, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუკი ამას შეგნებულად შეეცდებოდა“.[2]

უხილავი ხელის მოქმედება ასე გამოიყურება: „ჩვენ საკუთარ პურს ვიღებთ არა პურისმცხობელის (ხაბაზის) მოწყალებით, არამედ მისი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე“.

ადამიანთა თანამშრომლობას საფუძვლად ის უდევს, რომ ყველა მათგანი საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმე-

---

1 https goggle //ka.wikipedia.org/wik/ადამ სმითი

2 Антология экономической классики, М., 1993,т. I, стр., 91.

დებს. სმითი ამტკიცებდა, რომ „ბაზარზე ეკონომიკური გაცვლისთვის, პირადი ინტერესის გარდა, სხვა არავითარი მოტივაცია არ არსებობს“.[1]

ა. სმითმა შემოიტანა ასევე „**ეკონომიკური ადამიანის**“ **(homo economicus)** ცნება. ა. სმითი „ეკონომიკურ ადამიანს“ ახასიათებს სრულყოფილ **ეგოისტად,** რომელიც მიისწრაფვის პირადი გამდიდრებისკენ: „იგი მეტადრე მიაღწევს თავის მიზნებს, თუკი მიმართავს მათ (თავის ახლობლების) ეგოიზმს და შეძლებს უჩვენოს, რომ მათ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გააკეთონ მათთვის ის, რასაც იგი მათგან მოითხოვს. მომეცი მე ის, რაც მე მინდა და შენ მიიღებ იმას, რაც შენ გინდა. ასეთია ყოველგვარი ამგვარი მოწოდების არსი. არა ყასბის, ლუდის მხარშავის ან მეფუნთუშის კეთილგანწყობისგან ველოდებით ჩვენ საკუთარ სადილს, არამედ მათ მიერ საკუთარი ინტერესების დაცვიდან. **ჩვენ მივმართავთ მათ ჰუმანურობას კი არა, არამედ მათ ეგოიზმს** და არასდროს ვეუბნებით მათ ჩვენი საჭიროების შესახებ, არამედ ვუყვებით მათი სარგებლობის შესახებ“.[2]

ა. სმითმა შეადგინა ახალი ეკონომიკური სისტემის მოქმდების სქემა, რომელიც იმ პერიოდში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მკვიდრდებოდა. მისი აზრით, ამ სისტემის გამართული მუშაობისთვის ორი პირობის არსებობა იყო აუცილებელი: ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისგან გათავისუფლება და კონკურენციის თავისუფლება.

ა. სმითი „უხილავი ხელის“ პოლიტიკას უნივერსალურ მექანიზმად მიიჩნევდა. მისი აზრით, იგი მსოფლიო მიზიდულობის კანონის მსგავს როლს ასრულებდა საზოგადოებაში. მაგრამ ეკონომიკაში თავისუფლების კონცეფციამ კაცობრიობის განვითარებაში მსოფლიო მიზიდულობის კანონის როლი მაინც ვერ შეასრულა.[3]

„უხილავი ხელის“ დოქტრინა ისეთ მეურნეობას მიეკუთვნება, რომელზეც ყველა ბაზარი სრულყოფილი კონკურენცი-

---

1 Антология экономической классики, М., 1993,т. I, стр., 91.

2 იქვე.

3 თოდუა გ., ადამ სმითი და თანამედროვე ეკონომიკის აქტუალური საკითხები, თბ ., 2000, გვ. 86.

ით ხასიათდება. ესაა სიტუაცია, რომლის დროსაც ყველა საქონელსა და მომსახურებას თავისი ფასი აქვს და ბაზარზე იყიდება. ამასთან, არცერთი ფირმა და არცერთი მომხმარებელი არ შეიძლება ისეთი მნიშვნელოვანი იყოს, რომ ზეგავლენა მოახდინოს საბაზრო ფასებზე.

ა. სმითმა კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის შესანიშნავი თვისება აღმოაჩინა: სრულყოფილი კონკურენციისა და არსებული რესურსების პირობებში ბაზარი სასარგებლო საქონლისა და მომსახურების მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობას აწარმოებს. მაგრამ **იქ, სადაც გაბატონებულია მონოპოლიები, დაბინძურებულია გარემო ან არსებობს სხვა უსუსურობანი, უხილავი ხელის შესანიშნავი ეფექტიანი საშუალებები შეიძლება გაქრეს კიდევაც.**

არასრულყოფილი კონკურენცია არის იმ შემთხვევაში, როცა მყიდველებს ან გამყიდველებს შეუძლიათ ფასებზე ზემოქმედების მოხდენა. არასრულყოფილი კონკურენციის არსებობისას ბაზრებს არ შეუძლიათ რესურსების ეფექტიანი განაწილება. მოცემულ ეტაპზე სახელმწიფო შეიძლება ამოქმედდეს და დაიწყოს რეგულირება. „საბაზრო აქტივობის ნეგატიური შედეგების დაძლევა სახელმწიფოს მხრივ გარკვეული რეგულირების გარეშე შეუძლებელია“, – აღნიშნავდა ა. სმითი.

ადამ სმითის დროიდან მოყოლებული, საბაზრო ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. როგორც **პ. სამუელსონი** და **უ. ნორდჰაუსი** აღნიშნავენ, „სმითის ვარაუდი საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების შესახებ, დააფიქრებს თანამედროვე ეკონომისტებს, როგორც კაპიტალიზმის მომხრეებს, ასევე კრიტიკოსებს“.[1]

გაიარა კიდევ ორმა საუკუნემ და გამოცდილების დაგროვებისა და დაფიქრების შემდეგ ამ დოქტრინის ჩარჩოები და პრაქტიკული შეზღუდვები გამოვლინდა. ცნობილია, რომ „ბაზრის უსუსურობა არსებობს“ და იგი ყოველთვის საუკეთესო შედეგებს როდი იძლევა. ბაზრის ერთ-ერთი უსუსურობა მონოპოლიებსა და არასრულყოფილი კონკურენციის სხვა ფორმებთანაა დაკავშირებული.

[1] სამუელსონი პ., ნორდჰაუსი უ., ეკონომიკსი, თბ., 1992, გვ. 97.

„უხილავი ხელის“ სხვა შეცდომა ბაზრის გარეშე თანამდევი, ანუ გარე ეფექტების არსებობასთან დაკავშირებით წარმოიშობა, მაგალითად, დადებითი გარე ეფექტები – სამეცნიერო აღმოჩენები – და უარყოფითი თანამდევი მოვლენები – გარემოს დაბინძურება. ბაზრის გარეშე ეკონომიკური ნაკლოვანებაა შემოსავლის ისეთი განაწილება, რომელიც პოლიტიკური ან ლოგიკური თვალსაზრისით არახელსაყრელია. **ერთი ელემენტიც თუკი არსებობს, ადამ სმითის დოქტრინა უხილავი ხელის შესახებ, უკვე აღარ მუშაობს და მთავრობა შეიძლება ჩაერთოს, რათა დაავადებული „უხილავი ხელი“ „განკურნოს“.**[1]

ახალი კეინზელების (გრ. მენქიუ, ჯ. აკერლოფი, ჯ. იელენი, ო. ბლანშარი, ნ. კიოტაკი) ძალისხმევით, შეიქმნა თანმიმდევრული მაკროეკონომიკური თეორია, რომელშიაც დასაბუთებულია „უხილავი ხელის“ არაეფექტიანობა მაკროეკონომიკურ დონეზე.[2]

კ) აბსოლუტურ უპირატესობათა პრინციპი

ა. სმითის დიდი დამსახურებაა „**აბსოლუტური უპირატესობის**“ პრინციპის ჩამოყალიბება. რომლის მიხედვით, ამა თუ იმ ქვეყანას ან პიროვნებას, სხვების მიმართ, გარკვეულ საქმიანობაში, აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია, ამიტომ მას უჯობს, უპირატესად, ეს საქმე აკეთოს და მისი შედეგით მიიღოს მონაწილეობა შრომის საზოგადოებრივ ან საერთაშორისო დანაწილებაში. მაგალითად, ნიკარაგუას აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია კანადასთან შედარებით ბანანის წარმოებაში, ვინაიდან კანადაში ბანანი არ ხარობს. სამაგიეროდ, კანადას ნიკარაგუასთან შედარებითი უპირატესობა აქვს მარცვლეულის წარმოებაში, რადგან კანადაში მარცვლეულის მოყვანა ნაკლები დანახარჯებით შეიძლება. ადვოკატს კომპიუტერზე მბეჭდავთან შედარებით აბსოლუტური უპირატესობა აქვს იურისპრუდენციაში, რადგან კომპიუტერზე მბეჭდავმა სამართალი არ იცის, სამაგიეროდ, ის, ადვოკატთან შედა-

---

1 სამუელსონი პ., ნორდჰაუსი უ., ეკონომიკსი, თბ., 1992, გვ. 97.

2 მექვაბიშვილი ე., თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები, თბ., 2012, გვ. 227.

რებით, შეიძლება ნაკლები დანახარჯებით ბეჭდავდეს. ადვოკატი იურისპრუდენციაში 1 საათის მუშაობისთვის 100 დოლარს იღებს, ხოლო მბეჭდავი – ბეჭდვისთვის 10 დოლარს. ადვოკატს შეუძლია თავისი ტექსტი თვითონ დაბეჭდოს და 10 დოლარი დაზოგოს, მაგრამ 90 დოლარის დანაკარგი ექნება. ამიტომ მას უჯობს 10 დოლარი მბეჭდავს გადაუხადოს და ტექსტი დააბეჭდინოს.

ა. სმითს მიერ ჩამოყალიბებული აბსოლუტური უპირატესობის პრინციპი დღესაც გამოიყენება შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ამ მხრივ, აღსანიშნავია **ჰექშერ-ულინის** თეორია, რომლის მიხედვითაც, ქვეყნებმა წარმოების ფაქტორით უნდა ისარგებლონ. განვითარებული ქვეყნები გამოდიან კაპიტალის ფაქტორით. განვითარებადი ქვეყნები (**საქართველო**) – შრომის ფატორით, ზოგიერთი ქვეყანა (აზერბაიჯანი, ქუვეითი, ვენესუელა) – რესურსული ფატორით (ნავთობით).

* * *

ამრიგად, ფართოა ა. სმითის შეხედულებების სპექტრი. მათ დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა. ა. სმითის აზრი ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიო გლობალური ფინანსური კრიზისის ასახსნელად და საშუალების გამოსანახად არა მარტო მისგან თავის დასაღწევად, არამედ მისაღები, წესრიგიანი საზოგადოების ასაშენებლად. მის ნაშრომებში ისეთი ფუნდამენტური ცნებებიცაა გაშუქებული, როგორებიცაა: სამართლიანობა და მიუკერძოებლობა.

2. დევიდ რიკარდო სამრეწველო გადატრიალები ეპოქის ეკონომისტი

კლასიკური სკოლის მეორე მამამთავარი **დევიდ რიკარდო** (1772-1823) იყო, რომელმაც ბურჟუაზიის ეკონომიკური პლატფორმის ყველაზე ღრმა განმარტება ჩამოაყალიბა სამრეწველო გადატრიალების პერიოდში, როცა ეკონომიკურმა ფორმებმა მეტი სიცხადე შეიძინა.

კაპიტალისტური წარმოების ფაბრიკული სისტემა მტკიცედ დამკვიდრდა ინგლისში. ასეთ ვითარებაში დ. რიკარდო სამრეწვე-

ლო ბურჟუაზიის ინტერესების გადამწყვეტ დამცველად გამოვიდა და შრომითი ღირებულების თეორია თავის საბრძოლო იარაღად გაიხადა. იგი საფუძვლად დაუდო თავის თეორიულ სისტემას და მეფაბრიკეთა ეკონომიკური პროგრამის დასასაბუთებლად გამოიყენა.

დევიდ რიკარდო

დ. რიკარდომ დაასრულა ეკონომიკის კლასიკური სკოლის ეპოქა და კაპიტალიზმის ეკონომიკის შეცნობის ის პროგრესული გზა, რომელიც უილიამ პეტიდან დაწყებული განვლო ინგლისურმა სკოლამ.

დ. რიკარდო ბურჟუაზიული წრიდან იყო გამოსული. მისი მამა – აბრამ რიკარდო – ბირჟის მაკლერი იყო. 1760 წელს იგი **ამსტერდამიდან ინგლისში** გადასახლდა. სავაჭრო სკოლის დამთავრების შემდეგ დ. რიკარდო მამას სამაკლერო საქმიანობაში ეხმარებოდა. ბირჟაზე საქმიანობამ დ. რიკარდოს საშუალება მისცა, ბურჟუაზიული საზოგადოების საიდუმლოებებს ჩასწვდომოდა. იგი მას დაეხმარა კაპიტალისტური ეკონომიკის ანალიზში, განსაკუთრებით ფულის მიმოქცევის კანონებისა და კრედიტის ანალიზში.

1797 წელს დ. რიკარდომ ბირჟაზე საქმიანობას თავი დაანება და მეცნიერულ მუშაობას შეუდგა. ის მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მუშაობდა, მაგრამ მისი საბოლოო მოწოდება **პოლიტიკური ეკონომია** აღმოჩნდა.

დ. რიკარდოს მეცნიერული მუშაობის ნაყოფს მრავალი ეკონომიკური ნაშრომი წარმოადგენდა, ესენია: „ოქროს ფასი“ (1809), „ზოდების მაღალი ფასი ბანკნოტების გაუფასურების დადასტურებაა“ (1810), „პასუხი ბ-ნ ბაზანკენტის პრაქტიკულ შენიშვნებზე

ზოდების შესახებ კომიტეტის მოხსენების გამო“ (1811), „გამოცდილება პურის დაბალი ფასის გავლენის შესახებ კაპიტალიდან მოგებაზე“ (1815), „ეკონომიკური და მყარი ფულადი მიმოქცევის პროექტი“ (1816), „**პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები**“ (1817), „გამოცდილება ფონდირებული სახელმწიფო სესხის შესახებ“ (1820), „მიწათმოქმედების მფარველობის შესახებ“ (1822).

დ. რიკარდომ ნაშრომებში თეორიულად ასახა სამრეწველო გადატრიალების პერიოდის ინგლისში წარმოქმნილი სოციალ-ეკონომიკურმა ვითარება. აღნიშნულმა შრომებმა მას ფულის მიმოქცევის უდიდესი თეორეტიკოსის სახელი მოუხვეჭა. იგი პარლამენტის მიერ დანიშნული კომისიის მუშაობაშიც ჩააბეს. 1819 წელს კი **პარლამენტის წევრად** აირჩიეს, სადაც სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა და ლენდლორდების წინააღმდეგ გამოდიოდა.

დ. რიკარდოს დიდი სახელი მოუხვეჭა „**პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლების**“ გამოქვეყნებამ. ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ ნაშრომმა მოახდინა, არ ჩამორჩებოდა თავის დროზე ა. სმითის „ხალხთა სიმდიდრის“ მიერ დატოვებულ შთაბეჭდილებას. ამ წიგნში დ. რიკარდო ორ ამოცანას ისახავდა მიზნად:

1. გადმოეცა პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი საკითხები;
2. განესაზღვრა დაბეგვრის პრინციპები.

ა) ღირებულების თეორია

დ. რიკარდოს მეცნიერული დამსახურებაა შრომითი ღირებულების თეორიის შემდგომი განვითარება. ღირებულების თეორიაში დ. რიკარდო მიუთითებს, რომ საგნის სარგებლიანობა აუცილებელია. ასეთ ნივთს აქვს სახმარი ღირებულება. მაგრამ სარგებლიანობა არ შეიძლება იყოს საცვლელი ღირებულება მცირე რაოდენობის იშვიათი ნივთების გამოკლებით (როგორებიცაა: იშვიათი ქანდაკებები და სურათები, იშვიათი წიგნები და მონეტები, **სპეციფიკური თვისების მქონე ღვინოები,** რომლებიც მხოლოდ იმ ყურძნისგან შეიძლება დამზადდეს, რომლებიც განსაკუთრებულ ნიადაგზე აღმოცენდება და, რომლის რაოდენობაც ფრიად

შეზღუდულია). ნივთის ღირებულება განისაზღვრება მათ წარმოებაზე გაწეული შრომის დანახარჯებით.

დ. რიკარდო მტკიცედ იცავდა შეხედულებას, რომ **ღირებულების ერთადერთი წყარო შრომაა** და მიუთითებდა, რომ „საქონელში განხორციელებული შრომის რაოდენობა განსაზღვრავს მის საცვლელ ღირებულებას“.[1] იგი აკრიტიკებდა ა. სმითის მოსაზრებას, რომელიც დახარჯულ შრომას ნაყიდ შრომაში ურევდა. დ. რიკარდოს აზრით, „შრომის რაოდენობა, რომელიც საქონელზეა დახარჯული, და შრომის რაოდენობა, რომელიც იმ საქონელს შეუძლია იყიდოს... ერთიმეორის თანასწორნი არ არიან“.[2] დ. რიკარდო მტკიცედ იდგა იმ პოზიციაზე, რომ **საქონლის ღირებულების განმსაზღვრელია მხოლოდ მის შექმნაზე დახარჯული შრომა.**

დ. რიკარდო შეეცადა დაემტკიცებინა, აგრეთვე, რომ საქონლის ღირებულებაში არა მარტო მის შექმნაზე დახარჯული ცოცხალი შრომა შედის, არამედ წარმოების საშუალებათა გამოყენებული ნაწილის ღირებულებაც, რომელიც გასული წლების შრომითაა შექმნილი – განივთებული ანუ მკვდარი შრომა.

დ. რიკარდო განასხვავებდა აბსოლუტურ და შეფარდებით ღირებულებას. აბსოლუტურად მიიჩნევდა საქონელში განხორციელებულ შრომას, შეფარდებით ღირებულებად კი მას ესმოდა ერთი საქონლის ღირებულების გამოხატვა მეორე საქონლის ღირებულებით.

დ. რიკარდოს აზრით, ღირებულების სიდიდე ინდივიდულური შრომის დანახარჯებით არ განისაზღვრება, რომ ერთი სახის ყველა საქონელს აქვს ერთნაირი ღირებულება, რომლის **სიდიდე განისაზღვრება საზოგადოებრივად აუცილებელი შრომით.**

ბ) კაპიტალის გაგება

დ. რიკარდომ, ა. სმითთან შედარებით, უფრო მეტად გაამარადისა კაპიტალის კატეგორია. იგი კაპიტალს უკვე პირველყოფილ საზოგადოებაში ხედავდა. დ. რიკარდო წერს: „საზოგადოების იმ პირველყოფილ მდგომარეობაშიც კი, რომელზედაც ადამ სმითი

---

1 რიკარდო დ., პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თბ., 1937, გვ. 3.

2 იქვე, გვ. 4.

მიუთითებს, მონადირისთვის აუცილებელი იქნებოდა ცოტაოდენი კაპიტალი, თუნდაც მის მიერ შექმნილი და დაგროვებული, რათა მას საშუალება ჰქონოდა, ნადირი მოეკლა. უიარაღოდ არც წავის მოკვლა შეიძლებოდა და არც ირმის, ამიტომ ამ ცხოველების ნანადირევის ღირებულების განმსაზღვრელი იქნებოდა არა მარტო ის დრო და შრომა, რომელიც მოსაკლავადაა საჭირო, არამედ ის დრო და შრომაც, რომელიც საჭირო იყო იმისთვის, რომ მონადირეს კაპიტალი, ე.ი. იარაღი მოეპოვებინა, რომლის დახმარებით ნადირობდა იგი".[1] როგორც ვხედავთ, დ. რიკარდო კაპიტალს სრულიად აიგივებდა წარმოების საშუალებებთან და მას მარადიულ კატეგორიად თვლიდა. დ. რიკარდო, ისე როგორც ა. სმითი, **კაპიტალს ძირითად** და **საბრუნავ კაპიტალად** ყოფდა. იგი **საბრუნავ კაპიტალად** კაპიტალის იმ ნაწილს მიიჩნევდა, რომელიც სამუშაო ძალის საყიდლად გამოიყენება, **ძირითად კაპიტალად** კი – მანქანებში, იარაღებში, შენობებში და სხვ. დაბანდებულ კაპიტალს. ძირითადი კაპიტალიდან იგი გამორიცხავდა ნედლეულსა და დამხმარე მასალებს.

გ) მოძღვრება მოგების და ხელფასის შესახებ

მოგებას დ. რიკარდო ზედმეტი ღირებულებისგან არ განასხვავებდა. იგი არსად განიხილავს მას კონკრეტული ფორმებისგან (მოგება, სასესხო კაპიტალი და რენტა) განცალკევებით. დ. რიკარდო **პროცენტს** და **რენტას** განმარტავდა როგორც მოგებიდან გამონაქვითს, რომლებსაც სამრეწველო კაპიტალისტი სასესხო კაპიტალის მესაკუთრეს და მიწათმფლობელს აძლევს.

მოგებას დ. რიკარდო უწოდებდა ღირებულების ნამეტს, ხელფასის ზევით. იგი თანმიმდევრულად ავითარებდა შეხედულებას, რომ ღირებულება, რომელსაც მუშა ქმნის, მის ხელფასზე მეტია. ამრიგად, მოგება გვევლინება როგორც მუშის აუნაზღურებელი შრომის პროდუქტი. დ. რიკარდო მსჯელობდა მოგების ნორმის შესახებაც და ამტკიცებდა, რომ ხელფასის გაზრდა ან შემცირება ადიდებს ან ამცირებს მოგების ნორმას. ამ მსჯელობის დროს დ. რიკარდო ერთმენთთან აიგივებდა მოგებასა და ზედმეტ ღირებულებას, მოგების ნორმასა და ზედმეტი ღირებულების ნორმას.

[1] რიკარდო დ., პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თბ., 1937, გვ. 11-12.

მისი დებულება მართალია მეორის მიმართ: ხელფასის შემცირება ზრდის ზედმეტი ღირებულების ნორმას, მაგრამ მას შეუძლია არ გაადიდოს მოგების ნორმა, თუ გაიზარდა მუდმივი კაპიტალი და ამის გამო მთელი კაპიტალიც. მოგების ნორმა, რომელიც ტოლია ზედმეტი ღირებულების შეფარდებისა მთელ კაპიტალზე **m/k [K= C+V]**, ორ სიდიდეზეა დამოკიდებული: ზედმეტი ღირებულების მასასა (m) და კაპიტალის სიდიდეზე (k). იგი მატულობს m-ის გაზრდასთან და კლებულობს k-ს გადიდებასთან ერთად. ამის გამო, კაპიტალის გადიდებასთან ერთად, **მოგების ნორმას დაცემის ტენდენცია აქვს.** დ. რიკარდო მოგების ნორმის დაცემის ტენდენციას ცნობდა, მაგრამ ეს ტენდენცია მან ახსნა არა კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკური თავისებურებებით, არამედ ბუნებრივი ფაქტორების მოქმედებით. მისი აზრით, საარსებო საშუალებათა მთავარი შემადგენელი ნაწილის – კვების პროდუქტთა – ღირებულება მუდამ იზრდება. ეს იმიტომ ხდება, რომ მიწათმოქმედების ნაყოფიერება მცირდებაო. სინამდვილეში **მოგების ნორმა ეცემა შრომის ექსპულატაციის გაზრდით.**

ხელფასი, დ. რიკარდოს აზრით, იყო დაქირავებული მუშის შემოსავალი. ხელფასის სიდიდეს იგი განსაზღვრავდა შრომითი ღირებულების თეორიის საფუძველზე, რომელსაც იმ დებულებამდე მივყავათ, რომ **მუშის ხელფასი მისი ოჯახი საარსებო საშუალებათა დონით განისაზღვრება.** მართალია, დ. რიკარდო ერთმანეთში ურევდა შრომას და სამუშაო ძალას, მაგრამ მაინც შეძლო, სწორად განესაზღვრა **ხელფასი,** ანუ, როგორც იგი აღნიშნავდა, შრომის ღრებულება.

დ) მოძღვრება ფულის და კრედიტის შესახებ

დ. რიკარდოს ეკონომიკურ მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ფულადი მიმოქცევისა და ბანკების საკითხებს უკავია. ეს გარკვეულწილად განპირობებული იყო იმით, რომ იმ პერიოდში ინგლისში მწვავედ იდგა ფულის მიმოქცევის საკითხი. დ. რიკარდო ამ საკითხშიც სამრეწველო ბურჟუაზიის პოზიციებიდან გამოდიოდა და ასაბუთებდა ფულად სისტემას, რომელიც, უპირატესად, ბანკნოტებისგან უნდა შემდგარიყო, რომელიც ოქროზე მტკიცე თანაფარდობით დახურდავდებოდა.

დ. რიკარდოს **ფულის** თეორია ორადობით ხასიათდებოდა. ერთი მხრივ, იგი მას საფუძვლად შრომითი ღირებულების თეორიას უდებდა და კეთილშობილ ლითონებს განიხილავდა, როგორც განსაკუთრებულ საქონელს, რომელთა ღირებულება საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯებით განისაზღვრება. საქონლის ფასს განიხილავდა, როგორც მისი ღირებულების გამოხატულებას ფულში და თანმიმდევრულად მიდიოდა დასკვნამდე, რომ **მიმოქცევაში ფულის რაოდენობა საქონელთა ფასების ჯამით განისაზღვრება.** მაგრამ, მეორე მხრივ, დ. რიკარდო ამ პოზიციაზე ვერ დამკვირდა და **ფულის რაოდენობრივი თეორიის მომხრედ** გამოვიდა, რომლის თანახმადაც, ფულის ღირებულება ფულის მიმოქცევის პროცესში დგინდება და მის რაოდენობაზეა დამოკიდებული. იგი ამტკიცებდა, რომ მიმოქცევაში შეიძლება განუსაზღვრელი რაოდენობის ფული შევიდეს, ქაღალდისა იქნება იგი თუ ოქროს მონეტა. მისი აზრით, მიმოქცევის პროცესში საქონლის ერთობლივი მასა ქვეყანაში არსებული ფულის მთლიან რაოდენობას უპირისპირდება. ამ ორი სიდიდის შეფარდებით დ. რიკარდო ფასების დონეს და ფულის ღირებულებას განსაზღვრავდა. დ. რიკარდოს აზრით, **საქონლის მოცემული მასის პირობებში თუ მიმოქცევაში საჭირო რაოდენობაზე მეტი ფულია გამოშვებული, მას ფულის გაუფასურება და საქონელთა ფასების ზრდა მოჰყვება** და, პირიქით, მიმოქცევაში ფულის რაოდენობის შემცირება მიმოქცევის ფასების დაცემასა და ფულის ღირებულების გადიდებას გამოიწვევს. როგორც ვხედავთ, აქ რიკარდომ ფულის ღირებულების მისეული განსაზღვრა შრომის დანახარჯების მიხედვით უარყო და იგი მისი რაოდენობით განსაზღვრა. ასეთი დასკვნა იმიტომ გააკეთა, რომ ფულის არსი და მისი ფუნქციები სწორად არ ესმოდა. დ. რიკარდოს აზრით, **ფული მიმოქცევის ტექნიკურ საშუალებას წარმოადგენდა.** ფულის ფუნქციებიდან კი ის მხოლოდ **მიმოქცევის საშუალების ფუნქციას** ცნობდა და დანარჩენ ფუნქციებს უგულებელყოფდა.

კრედიტის გაგება. დ. რიკარდო კრედიტის როლს ვერ აფასებდა, ვინაიდან, კაპიტალისტური შემოსავლების ძირითად ფორმად მოგებას მიიჩნევდა. მისი აზრით, სარგებელი წარმოებული ხა-

სიათისაა. მას არ ესმოდა, რომ იგი საკრედიტო ფულია და დაკავშირებულია ფულთან როგორც გადახდის საშუალების ფუნქციის შემსრულებელთან. **კრედიტი** რიკარდოს ფულის მიმოქცევის ასპექტში აქვს განხილული და უარყოფს ბანკების როლს სარგებლის დონის განსაზღვრაში. ბანკები დიდი რაოდენობის სასესხო კაპიტალს აგროვებენ. სასესხო კაპიტალის მიწოდებისა და მოთხოვნის საქმეს თავის განკარგულებაში აქცევენ და ამით სარგებლის დონეზე ზემოქმედებენ. დ. რიკარდოს მიხედვით კი, სარგებლის დონის განმსაზღვრელი მოგების ნორმაა, რომლის ზემოთ იგი ვერ აიწევს.

ე) მიწის რენტის თეორია

დ. რიკარდოს **ერთ-ერთი სერიოზული მიღწევა მიწის რენტის ანალიზი იყო.** მიწის რენტის თეორიას შრომითი ღირებულების თეორიის საფუძველზე აგებდა და მის წყაროდ საკუთრების განსაზღვრული ურთიერთობის პირობებში მიწაზე გამოყენებულ შრომას ასახელებდა.

დ. რიკარდო დიფერენცირებული რენტის თეორეტიკოსად ითვლება. იგი მხოლოდ **დიფერენციულ რენტა I განიხილავდა.** ამ თეორიის შემქმნელი შოტლანდიელი პრაქტიკოს-მოიჯარე **ანდერსონია. დ. რიკარდოს დამსახურება ისაა, რომ მან ეს თეორია უაღრესად სრულად დაამუშავა.**

დ. რიკარდოს რენტის თეორიის არსი შემდეგნაირია:

ა) მიწის სხვადასხვა ნაკვეთები ერთიმეორისგან ნაყოფიერებით განსხვავდება. ამიტომ კაპიტალის თანაბარი დაბანდებები სხვადასხვა ნაყოფიერების მიწის ნაკვეთზე სხვადასხვა შედეგს იძლევა;

ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ღირებულება უცუდესი მიწის ნაკვეთების მიხედვით მყარდება;

გ) ყოველი ნაკვეთი (თუნდაც რამდენადმე უკეთესი უკანასკნელებთან შედარებით) დამატებით მოგებას უნდა იძლეოდეს, როგორც უცუდესი ნაკვეთით რეგულირებულ ღირებულებათა შორის არსებული განსხვავების შედეგს;

დ) ეს მოგება ფერმერთა შორის კონკურენციული ბრძოლის შედეგად მთლიანად მიწათმფლობელებს ხვდებათ.

ვ) რეალიზაციისა და კრიზისების პრობლემის გაგება

საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციის საკითხში დ. რიკარდო მთლიანად ა. სმითის თეორიას იზიარებს. დ. რიკარდოს აზრით, წლიური პროდუქტის ღირებულება ხელფასისა და მოგებისგან **(v+m)** შედგება (მოგებაში მას მთელი ზედმეტი ღირებულება ესმოდა), c კაპიტალი კი ღირებულებიდან გამორიცხა. ამ გარემოებამ დ. რიკარდოს კვლავწარმოების ანალიზის საშუალება არ მისცა. დ. რიკარდოს მიხედვით, მთლიანი წლიური პროდუქტი პირად მოხმარებაში მიდის და დაგროვილი ზედმეტი ღირებულება მთლიანად ცვალებადი კაპიტალის ფორმას იღებს. ფაქტობრივად კი, ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც დაგროვებაზე მიდის, პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფიელებას კი არ ხმარდება, არამედ დამატებითი წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის შექმნას. წლიური პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც მოხმარებულ c-ს აღადგენს, პირად მოხმარებაში არ შედის. დ. რიკარდოს არ ესმის, რომ c კაპიტალის ის ნაწილი (რომელსაც ის ძირითად კაპიტალს უწოდებს) ერთდროულად და მთლიანად მონაწილეობს შრომის პროცესში, წარმოების პროცესში და, ნაწილობრივ, ღირებულების შექმნის პროცესში, მისი დიდი ნაწილი ერთბაშად არ მოიხმარება და თავის ნატურალურ ნივთობრივი ფორმით არსებობას განაგრძობს.

ზ) შედარებითი უპირატესობის თეორია

დ. რიკარდო ითვლება ერთ-ერთ ავტორად იდეისა, რომელიც ასაბუთებს ცალკეული საქონლის წარმოებაზე შრომის საერთაშორისო დანაწილებასა და ქვეყნების საპეციალიზაციას. იგი მიიჩნევდა, რომ სპეციალიზაცია არა მარტო იმ შემთხვევებშია ხელსაყრელი, როდესაც იგი ბუნებრივი პირობებითაა ნაკარნახევი, არამედ მაშინაც, როდესაც ქვეყანას ამა თუ იმ საქონლის წარმოებაზე შედარებითი უპირატესობა აქვს, ე.ი. მოცემულ საქონელზე მისი დანახარჯების თანაფარდობა სხვა ქვეყნის დანახარჯებთან ხელსაყრელი იქნება მისთვის, ვიდრე სხვა საქონლებზე. ასეთი საქონლების წარმოების სპეციალიზაცია ამ ქვეყანას მოგებას მისცემს, – აღნიშნავდა დ. რიკარდო და აგრძელებდა, რომ „სრულიად

თავისუფალი ვაჭრობის სისტემის არსებობისას, ყოველი ქვეყანა, რასაკვირველია, თავის კაპიტალსა და შრომას მრეწველობის ისეთ დარგებზე ხარჯავს, რომელნიც მას უდიდეს სარგებელს აძლევენ. ეს ინდივიდუალური სარგებლობის ძიება დაკავშირებულია ყველას საერთო სარგებლობასთან იმით, რომ ეს პრინციპი სტიმულს აძლევს მრეწველობის განვითარებას, აჯილდოებს გამომგონებლობას, ყველაზე უფრო ნაყოფიერად იმ განსაკუთრებულ ძალებს გამოიყენებს, რომელნიც ბუნების მიერ არიან ბოძებულნი. ამით იგი შრომას ყველაზე უფრო ეფექტიანად და ეკონომიკურად ანაწილებს. ამავე დროს, ადიდებს რა პროდუქტთა საერთო მასას, იგი საყოველთაო კეთილდღეობას ავრცელებს და ინტერესის გაცვლა-გამოცვლის საერთო გადაჯაჭვულობით ქვეყნიერების ცივილიზებულ ერებს ერთმანეთთან ერთ უნივერსალურ საზოგადოებად აკავშირებს. სწორედ ეს პრინციპი გვიხსნის, **ღვინო** რატომ **უნდა იწარმოებოდეს საფრანგეთსა და პორტუგალიაში, პური** რატომ **უნდა მოიყვანებოდეს ამერიკასა და პოლონეთში,** ხოლო სხვადასხვა **ლითონური ნაწარმი** და სხვა პროდუქტები რატომ **უნდა მზადდებოდეს ინგლისში".**[1]

შედარებითი უპირატესობათა პრინციპის დამუშავება დ. რიკარდოს მეცნიერულ მიღწევას წარმოადგენდა. გერმანელი ეკონომისტი კ. მარქსი ეთანხმებოდა მას ამ საკითხში და აღნიშნავდა, რომ სპეციალიზაცია შეიძლება ხელსაყრელი იყოს შედარებით ჩამორჩენილი ქვეყნისთვისაც, რამდენადაც იგი, რაც უნდა იყოს, მაინც უფრო იაფად იღებს საქონელს, ვიდრე თვით მას შეეძლო ეწარმოებინა.[2]

მაგრამ დ. რიკარდოს არ ესმოდა, რომ შედარებითი უპირატესობის დროსაც კი ქვეყნების ჰარმონიული ეკონომიკური ურთიერთობა შეუძლებელია. თვითონ დ. რიკარდო ინგლისს მსოფლიოს მთავარი სამრეწველო სახელმწიფოს როლს აკუთვნებდა, ხოლო სხვა ქვეყნებს მისი სასოფლო-სამეურნეო და სანედლეულო დანამატის ფუნქციას აკისრებდა.

---

1 რიკარდო დ., პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თბ., 1937, გვ. 98.

2 მარქსი კ., „კაპიტალი", ტ. III, ნაწ. I, თბ., 1959, გვ. 302.

შემდგომ შედარებით უპირატესობათა პრინციპი ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ცალმხრივი სპეციალიზაციის გასამართლებლად გამოიყენებოდა. **ასეთ ქვეყნებს აიძულებენ განავითარონ მონოკულტურა და მათი სამრეწველო განვითარების შეფერხებას ყოველნაირად ცდილობენ.**

თანამედროვე პირობებშიც ეკონომისტთა ერთი ნაწილი – ჯ. ვაინერი, გ. ჰაბერლერი, ფ. ტაუსიგი, ჩ. კინდლებერგი, ქ. სტეფესი და სხვები – კვლავ დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის უფრო ხელსაყრელია სპეციალიზაცია სასურსათო და სანედლეულო პროდუქტებზე. როგორც ისინი ამტკიცებენ, მათთვის აზრი არა აქვს საკუთარი სამრეწველო წარმოების შექმნას. სამრეწველო პროდუქტის შეძენა მათ შეუძლიათ მსოფლიო ბაზარზე თავიანთი პროდუქციის გაცვლის შედეგად.

ზემოთ აღნიშნული ეკონომისტების მტკიცებით, განვითარებადი ქვეყნები ღარიბია კაპიტალით, მაგრამ მდიდარია სამუშაო ძალით, ამიტომ მათ აქცენტი უნდა გააკეთონ შრომატევად წარმოებაზე, უპირატესად, სანედლეულო პროდუქტზე. ეს დაეხმარება განვითარებად ქვეყნებს ისარგებლონ „წარმოების ფაქტორით". საერთაშორისო შრომით დანაწილებაში მათ „შრომის ფაქტორით" უნდა მიიღონ მონაწილეობა, სამაგიეროდ, ისარგებლონ „კაპიტალის ფაქტორით". ეს თეორია უარყოფს ახალგაზრდა სახელმწიფოთა დამოუკიდებელ განვითრებას. **იგი მოწოდებულია უზრუნველყოს განვითარებადი ქვეყნების დარჩენა განვითარებული ქვეყნების აგრარულ სანედლეულო დანამატად.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
2. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973.
3. გორდელაძე ი., შრომა, სიმდიდრე და ფული ადამ სმითის სურათით, თბ., 1936.
4. კაკულია რ., დავით რიკარდოს ეკონიმიკური შეხედულებანი, ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა,"№4, 1972.
5. მარქსი კ., ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი), ნაწ. I, თბ., 1968.

6. მარქსი კ., „კაპიტალი,“ ტ. III, ნაწ. I, თბ., 1959.
7. მარქსი კ., პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953.
8. მექვაბიშვილი ე., თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები, თბ., 2012.
9. პუშკინი ა., რჩეული თხზულებანი, თბ., 1975.
10. რიკარდო დ., პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თბ., 1937.
11. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი უ., ეკონომიქსი, იხ, ჟურნ. „ეკონომისტი“, 1990წ. № 7.
12. სილაგაძე ა., ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996.
13. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
14. სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. I, თბ., 1938; 2007.
15. წულუკიძე ა., ეკონომიკური მეცნიერების ისტორიიდან, თხზულებები, თბ., 1967.
16. ხარიტონაშვილი ჯ., სმითი ა. (1723–1790) – ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელი (დაბადებიდან 290 წელი). ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №2, თბ., 2013, გვ. 59-74.
17. ხარიტონაშვილი ჯ., დეივიდ რიკარდო (1772-1823) ეკონომიკური მეცნიერების კორიფე (დაბადებიდან 240 წელი), ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №2. თბ., 2012, გვ.81-94.
18. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1985.
19. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ. I , თბ., 1997.
20. E-mail:tsu.abf.journal tsu.ge
21. https. google//ka.wikipedia.org/wik/ადამ სმითი.
22. Hunt E. K. and Mark Lautzenheiser, History of Ekonomic Thought. Sird Edicion. A Critical Perspective. Armonk, New York, London, England, 2011.
23. Kharitonashvili J., David Rikardo-the Father of classical Economics, Journal „European Cooperacion“, vol 4(23) , Warsaw, 2017.
24. Аникин А., Адам Смит, М., 1968.
25. Антология экономической классики, М., 1993,т. I.
26. Афанасьев В.С., Этапы развытия буржуазной полотической экономии (очерк теории), М., 1971.
27. Афанасьев В. Д., Рикардо и современная буржуазная экономическая мысль, жур. «Мировая экономика и международные отношения», №4, 1972.

28. Блауг М., Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.
29. Всемирная история экономической мысли т.1, М., 1987.
30. Жидь Ш. и Ристь Ш., История экономических учений, М., 1918.
31. Заррин П.И., Английская классическая буржуазная полотическая экономия (А. Смит, Д. Рикардо), М., 1958.
32. История экономической мысли т.1, М., 1961.
33. Реуэль А.Л., Адам Смит, М.,1957.
34. Реуэль А.Л., Давид Рикардо, М.,1957.
35. Хеилбронер Р. и Туроу Л., Экономика для всех, Лондон, 1991.
36. Штеин В. М., Адам Смит, М.,1923.

თავი VIII. პესიმისტური ეკონომიკური აზრი

თომას რობერტ მალთუსი

XIX ს-ის 30-იან წლებში კლასიკურმა სკოლამ ინგლისში თავისი არსებობა დაასრულა და მისი ადგილი პესიმისტურმა მიმდინარეობამ დაიკავა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ბურჟუაზიამ საბოლოოდ დამარცხა ფეოდალთა კლასი, პოლიტიკური ძალაუფლება დაიპყრო და გაბატონდა. ამის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც „ვარდისფერი სათვალით“ მოჩანდა. გამომჟღავნდა ანტაგონიზმი მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს შორის. დაიწყო ჭარბწარმოების პერიოდული ეკონომიკური კრიზისები. ფართო ხასიათი მიიღო უმუშევრობამ, პრობლემური გახდა მოსახლეობის საკითხი და ა.შ.

თომას რობერტ მალთუსი

ახლად წარმოშობილმა პროცესებმა დასაბამი მისცა ახალი ეკონომიკური მიმდინარეობის წარმოშობას, რომლის მომხრე ეკონომისტებიც, თავიანთ წინამორბედთაგან განსხვავებით, გამოაშკარავებულ წინააღმდეგობებს აღიარებენ, მაგრამ მათ **პესიმისტებს** უწოდებენ იმიტომ, რომ **მანკიერი მოვლენების აღმოფხვრის შესაძლებლობა არ სჯეროდათ** არც საკანონმდებლო რეფორმების დახმარებით და არც საზოგადოების ყველა წევრის ორგანიზებული მოქმედების მეშვეობით. მოკლედ, მათ არ სწამდათ პროგრესის.

პესიმისტური მიმდინარეობა ინგლისში ჩამოყალიბდა. მისი ფუძემდებელი იყო თ. რ. მალთუსი.

1. თ. მალთუსის მოსახლეობის თეორია და თანამედროვე მალთუსელობა

თომას რობერტ **მალთუსი** (1766-1834) მემამულის ოჯახში დაიბადა. კემბრიჯის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, თ. მალთუსი სოფლის მღვდელი გახდა. 1807 წელს იგი ოსტინდოეთის კომპანიის კოლეჯში პოლიტიკური ეკონომიის პროფესორად მიიწვიეს, სადაც გარდაცვალებამდე მუშაობდა.

თ. მალთუსი სამიწათმოქმედო არისტოკრატიისა და მსხვილი მიწათმფლობელების – ლენდლორდების – იდეოლოგად ითვლება. მან მოღვაწეობა მაშინ დაიწყო, როდესაც მსხვილი მიწათმფლობელებისა და კაპიტალიზმის ინტერესების შეგუებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა.

თ. მალთუსმა 1798 წელს გამოაქვეყნა ხელმოუწერელი ბროშურა „**ცდა მოსახლეობის კანონის შესახებ**“, შემდეგ კი გადაამუშავა, შეავსო და 1803 წელს ხელმოწერით გამოსცა. 1814 წელს გამოაქვეყნა გამოკვლევა „პურის კანონების შედეგების შესახებ“, 1815 წელს – „უცხოეთიდან პურის მოზიდვის პოლიტიკის თეორიული დასაბუთებანი“ და „გამოკვლევა რენტის ბუნებისა და განვითარების შესახებ“, 1820 წელს კი – **„პოლიტიკური ეკონომიის საწყისები“.**

ამ უკანასკნელი ნაშრომის გამოქვეყნებით თ. მალთუსმა პირველი კლასის ეკონომისტის სახელი მოიპოვა, მაგრამ იგი მაინც ცნობილია ნაშრომით „ცდა მოსახლეობის კანონის შესახებ“. ამ წიგნის მეორე გამოცემაში თ. მალთუსმა სპეციალური განყოფილება დაუთმო ჰოდვინის, ოუენის, კონდორსეს კრიტიკას. ის განსაკუთრებით ილაშქრებდა უილიამ ჰოდვინის (1756-1836) წინააღმდეგ. იმიტომ, რომ **ჰოდვინი** თავის წიგნში „გამოკვლევები პოლიტიკური სამართლიანობის შესახებ“ **კაპიტალიზმის დროს არსებული სიღატაკის მიზეზს კერძო საკუთრების არსებობაში ხედავდა.** თ. მალთუსი საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა და კერძო საკუთრების მოსპობა შეუძლებლად მიაჩნდა. **ის ამტკიცებდა, რომ კერძო საკუთრების მოსპობა მოსახლეობის სწრაფად გამრავლებასა და საარსებო საშუალებათა ნაკლებობას გამოიწვევსო.**

თ. მალთუსმა ბიოლოგიიდან ისესხა არსებობისთვის ბრძოლის ინსტიქტი. ამ ფაქტს შემდგომ თვით ჩ. დარვინმა მაღალი შეფასება მისცა. თ. მალთუსის მტკიცებით, ბუნებამ ადამიანში ჩადო ინსტინქტი, რომელიც მას შიმშილის, სიკვდილის და მანკიერებათა მსხვერპლად გაწირავს. ადამიანები ამ ინსტინქტისგან იტანჯებიან.

თ. მალთუსმა მიზნად დაისახა, კაპიტალიზმის დროს არსებული უმუშევრობა, პაუპერიზმი და ა.შ. ბუნების კანონებით აეხსნა. ამ მიზნით მან შექმნა თავისი **მოსახლეობის** თეორია. ბუნებასთან ანალოგიით (სადაც, მალთუსის სიტყვებით, მცენარეთა და ცხოველთა უსაზღვრო გამრავლების უნარს წინ ადგილისა და საკვების უკმარისობა ეღობება) ადამიანთა საზოგადოებაშიც მოქმედებს ბუნების კანონი, რომლის ძალითაც მოსახლეობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება (1, 2, 4, 8, 16, 32, 64, და ა.შ.), ხოლო საარსებო საშუალებანი – არითმეტიკული პროგრესიით (1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 და ა.შ.)

ასეთი მათემატიკური გაანგარიშებით მალთუსი შეეცადა ხალხთ/მოსახლეობის საკუთარი კანონის დასაბუთებას. თ. მალთუსის მიხედვით, სიღატაკის და სხვა ნაკლოვანებების მიზეზი ბუნებაში, მოსახლეობისა და საარსებო საშუალებათა ზრდას შორის თანაფარდობაში უნდა ვეძებოთ. თ. მალთუსის გაანგარიშების შესაბამისად, დედამიწის მოსახლეობის ზრდას და საარსებო საშუალებათა მატებას შორის თანაფარდობას ორი საუკუნის განმავლობაში უნდა შეედგინა 256:9, ხოლო სამი საუკუნის განმავლობაში – 4096:13 და ა.შ. ამ წინააღმდეგობებიდან **გამოსავალს თ. მალთუსი მოსახლეობის გამრავლების რეგლამენტაციაში ხედავდა.**

თ. მალთუსმა თავისი მათემატიკური გაანგარიშების საფუძვლად XVIII საუკუნეში ამერიკის კონტინენტზე ინგლისის კოლონიებში მოსახლეობის ზრდა აიღო. **მან უყურადღებოდ დატოვა ამერიკის მოსახლეობის ზრდა იმიგრაციის შედეგად** და მცდარი დასკვნა გააკეთა, თითქოს ყოველ 25 წელიწადში დედამიწის მოსახლეობა ერთიორად მატულობს, ე.ი. გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. საარსებო საშუალებათა წარმოება კი არითმეტიკული პროგრესიით გამოიხატება.

საარსებო საშუალებათა ნელი ტემპით მატებას კი თ. მალთუსმა საფუძვლად ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი

დაუდო. თ. მალთუსამდე ამ კანონის არსებობას ინგლისელი ეკონომისტები ვესტი და რიკარდო, ფრანგი ტიურგო და სხვ აღიარებდნენ. ისინი არ ცნობდნენ იმ ფაქტს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში მიწის ნაყოფიერება იზრდება და ასაბუთებდნენ, რომ ხანგრძლივად დამუშავებული მიწა იფიტება და მისი ნაყოფიერება იკლებსო. ამ კანონის დამცველები საარსებო საშუალებათა ზრდას შესაძლებლად მიიჩნევენ მიწის ნაკვეთების ექსტენსიური განვითარების გზით. სინამდვილეში, მიწის ნაკვეთების ნაყოფიერების ზრდა შეიძლება მიღწეულ იქნეს დამატებითი კაპიტალდაბანდებების შედეგად მეურნეობის ინტენსიფიკაციის გზით. ტექნიკის განვითარებასა და მიწაზე აგროკულტურული ღონისძიებების გატარების შედეგად უცუდესი მიწის ნაკვეთებიც კი შეიძლება გაუმჯობესდეს და უკეთესი გახდეს. უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის გამრავლების პრობლემებს მალთუსამდე ბევრი სხვა მოაზროვნე შეეხო. ამ საკითხზე მსჯელობდნენ ინგლისელები: უ. პეტი, უ. ჰოდვინი, ფრანგები: ბიუფონი, მონტესკიე, მირაბო და სხვ., მაგრამ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ყოველთვის განიხილებოდა როგორც სიკეთე ქვეყნისთვის და არავის შეშინებია მოსახლეობის უზომო ზრდისა, რამდენადაც იგი ბუნებრივად რეგულირდებოდა საარსებო საშუალებებით. ჰოდვინი აღნიშნავდა, რომ მეცნიერების პროგრესი დიდ შესაძლებლობას მოგვცემს პროდუქტები ისეთი რაოდენობით ვაწარმოოთ, რომ საკმარისი იყოს დღეში ნახევარი საათი მუშაობა საზოგადოების ყველა წევრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადო. ჰოდვინის ამ ოპტიმიზმის გასამყარებლად დღეს ის ფაქტიც იკმარებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატების სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 4%, რომლებიც წელიწადში 300 მილიონ ტონა მარცვლეულს აწარმოებენ. აქედან 200 მილიონს ამერიკელები მოიხმარენ, 100 მილიონს კი ქვეყნის გარეთ ყიდიან.

ისტორიამ არ გაამართლა მალთუსის შიში. იმ დროიდან მოყოლებული **არცერთ ქვეყანაში აბსოლუტური ჭარბმოსახლეობა არ დადასტურებულა.** ქვეყნების ერთ ნაწილში, მაგალითად, საფრანგეთში მოსახლეობა ძალიან ნელა გაიზარდა, სხვა ქვეყნებ-

ში მოსახლეობა კი გაიზარდა, მაგრამ სიმდიდრის ზრდას ვერ გადაასწრო.

მეცნიერების გამოანგარიშებით, დედამიწის რესურსებს 100 მილიარდამდე მოსახლეობის გამოკვება შეუძლია.

მიუხედავად იმისა, რომ მალთუსის მოსახლეობის თეორია მეცნიერულ ნიადაგზე არ იდგა, მან მაინც დიდი ხმაური გამოიწვია და ფართოდ გავრცელდა ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს შორის. მან მალთუსელობის სახელწოდება მიიღო.

მალთუსის იდეებს შემდეგშიც იწონებდნენ ეკონომისტები – უ. ფოგტი, ე. პენდელი, ჯ. სპენგლერი, რ. კუკი (აშშ), ო. პაქსლი, დ. დოუსონი, ა. ბეტრუისლი (ინგლისში), პ. რებუ (საფრანგეთში), ა. ფოგლი (გერმანიაში). ამ აზრზე ზოგიერთი ქართველი ეკონომისტიც დგას.

ყველას თავისი აზრი შეიძლება ჰქონდეს ხალხთ/მოსახლეობის საკითხში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დღეისთვის ყველაზე მეტი ადამიანი ჩინეთში ცხოვრობს (1 მილიარდ 370 მილიონამდე). მიუხედავად ამისა, ჩინეთში იმდენი საარსებო საშუალება იწარმოება, რაც მის მოსახლეობას სრულად დააკმაყოფილებს და გარკვეული ნაწილი სხვა ქვეყნებში (მათ შორის ჩვენთანაც) საექსპორტოდაც გააქვთ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **ამა თუ იმ ქვეყანაში საარსებო საშუალებათა სიმცირე ბუნების „სიძუნწის“ შედეგი კი არა არის, არმედ წარმოების ცუდი ორგანიზაციის** ან/და განაწილებითი ურთიერთობის ნაკლოვანებისა, ვინაიდან, აბსოლუტური ჭარბი მოსახლეობა არ არსებობს. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი გ. მენქიუ მიუთითებს, რომ „მალთუსის წინასწარმეტყველება რეალობისგან შორს აღმოჩნდა“.[1]

2. თ. მალთუსი ეკონომიკური კატეგორიების შესახებ

თ. მალთუსს მეტი პოპულარობა მოუტანა წიგნმა „პოლიტიკური ეკონომიის საწყისები“. მასში ავტორმა ა. სმითის, დ. რიკარდოსა და კლასიკური სკოლის სხვა წარმომადგენელთა შრომითი ღირებულების თეორია გააკრიტიკა. თ. მალთუსის აზრით, **ღი-**

[1] მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2008, გვ. 538.

რებულების საზომია არა პროდუქტის წარმოებაზე დახარჯული შრომა, არამედ ნაყიდი შრომა (ა. სმითისეული განსაზღვრებრის ერთ-ერთი ვარიანტი).

მალთუსმა თავისი მოსაზრება **მოგების** საკითხშიც გამოთქვა. მან კაპიტალისტური მოგება წარმოების ხარჯებში შეიტანა და მოგება ღირებულების შემქმნელ ფაქტორად გამოაცხადა. მისი აზრით შემოსავლები არის პირველადი, რომლებიც განსაზღვრავს ღირებულებას.

თ. მალთუსი **კაპიტალს** დაგროვილ სიმდიდრესთან აიგივებდა. შემოსავლის ნაწილის კაპიტალის სახით გამოყენებას, შემოსავლის კაპიტალად გადაქცევას იგი კაპიტალის დაგროვებას უწოდებდა.

თავის გამოკლევებში **მიწის რენტის** შესახებ თ. მალთუსი ლენდლორიზმის ინტერესებს იცავდა სამრეწველო კაპიტალის წინააღმდეგ. თ. მალთუსმა რენტის საკუთარი თეორია ვერ შექმნა. რენტის თეორია მან ირლანდიელ ჯეიმს ანდერსონისგან გადმოიღო.

ხელფასის დონეს თ. მალთუსი მუშა მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობას და ხელფასის ფონდს შორის შეფარდებით განსაზღვრავდა. თ. მალთუსის მიხედვით, ხელფასის ფონდი უცვლელი სიდიდეა, ამიტომ, რაც უფრო გაიზრდება მუშათა რაოდენობა, მათი ხელფასი მით უფრო დაბლა დაიწევსო. ის გამოსავალს მოსახლეობის ხელოვნურად შემცირებაში ხედავდა.

თ. მალთუსი, როგორც ლენდლორიზმის იდეოლოგი, განსაკუთრებით **რეალიზაციის თეორიაში** წარმოჩინდა. თ. მალთუსის აზრით, საზოგადოებაში, რომელიც მხოლოდ მუშებისა და კაპიტალისტებისგან შედგება, გამორიცხულია მოგების რეალიზაცია, რასაც საქონლის გასაღების შეფერხება და ეკონომიკური კრიზისები მოჰყვება. თ. მალთუსი ამ მდგომარეობიდან **გამოსავალს** არამწარმოებელი კლასის (მიწათმფლობელების, სამღვდელოების, სახელმწიფო ჩინოვნიკების, არისტოკრატიის და სხვ.), ანუ **მესამე პირების** არსებობაში ხედავდა. რომლებიც საქონელს არ აწარმოებენ და არ ყიდიან, ამიტომ მოგებას არ ღებულობენ, თვითონ კი საქონელის ნაწილს ყიდულობენ და ამით კაპიტალისტე-

ბის მოგების რეალიზაციას ხელს უწყობენ. აქედან გამომდინარე, ბურჟუაზიული საზოგადოებისთვის მათ არსებობას თ. მალთუსი სასარგებლოდ თვლიდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
2. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973.
3. ლემონჯავა პ., ბუნების გამოყენების ეკონომიკა, თბ., 1993.
4. ლენინი ვ. ი., მუშათა კლასი და ნეომალთუსელობა, თხზ., ტ. 19.
5. მარქსი კ., ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, თბ., 1968.
6. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2008, გვ. 538.
7. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
8. ჭანუყვაძე გ., ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ.1, თბ., 1962.
9. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ. I, თბ., 1997.
10. ხარიტონაშვილი ჯ., ერთხელ კიდევ მალთუსის ხალხთმოსახლეობის თეორიის შესახებ, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №2, 2010.
11. Hunt E. K. and Mark Lautzenheiser, History of Ekonomic Thought. Sird Edicion. A Critical Perspective. Armonk, New York, London, England, 2011.
12. Kharitonashvili Jemal, Modern Interpretacion of Maltuss Teory of population. Journal Assotiation 1901. „SEPIKE“. Ausgabe 14. US Edition Frankfurt, Deutschland; Poitiers, France, Los Angeles, USA 31.10. 2016.
13. Афанасьев В.С., Этапы развытия буржуазной полотической экономии (очерк теории), М., 1971.
14. Блауг М., Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.
15. Всемирная история экономической мысли т.1, М., 1987.
16. Василевский Е.Г., Возникновение вульгарной политической экономиий, М., 1960.
17. Жидь Ш. и Ристь Ш., История экономических учений, М., 1918.
18. История экономической мысли т.1, М., 1961.

თავი IX. ოპტიმისტური ეკონომიკური აზრი

1. ჟან ბატისტ სეი. ჯონ სტიუარტ მილი

ოპტიმისტური შეხედულებები XVIII მეორე ნახევრიდან წარმოიშვა. საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ოპტიმიზმი გამოსჭვივის ფრანგი მოაზროვნეების ბიუფონის, მონტესკიეს, ბუაგილბერის, მირაბოს, კენეს, ინგლისელების სმითის, ჰოდვინის, და ბუნებრივი წყობის სხვა მიმდევრების იდეებში. XIX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან ჩამოყალიბებას იწყებს ოპტიმისტური თეორიები, რომელთა წარმომადგენლებიც მიიჩნევდნენ, რომ კრიტიციზმა, სოციალიზმა და პროეტქციონიზმა ეკონომიკა გზიდან გადააცდინაო. ამიტომ, დადგა დრო ეკონომიკური მეცნიერება მის ჭეშმარიტ – ბუნებრივი წყობის – გზაზე დავაბრუნოთო.

ამ საქმეს, უმთავრესად, ფრანგმა ეკონომისტებმა მოჰკიდეს ხელი. ისინი მიიჩნევდნენ, რომ უიმედობა ბოროტება იყო და პესიმისტები თავიანთი უღიმღამო წინასწარმეტყველებით ანგრევდნენ ბუნებრივი კანონების, საზოგადოების ორგანიზაციის რწმენას და ადამიანებს აიძულებდნენ უკეთესი ბედი ეძებნათ ხელოვნურ ორგანიზაციებში. მაგრამ იმისთვის, რომ კრიტიციზმი, სოციალიზმი და პროტექციონიზმი უკუეგდოთ, მეცნიერება უნდა ეხსნათ მისი მაკომპრომიტირებელი დოქტრირებისგან, რომლებიც რიკარდომ და მალთუსმა შექმნეს.

ჟან ბატისტ სეი

ოპტიმისტებს სურდათ ეჩვენებინათ, რომ **ბუნებრივ კანონებს ბოროტებისკენ კი არა, სიკეთისკენ მივყავართ, თუმცა ზოგჯერ ბოროტების გავლით,** რომ კერძო ინტერესები მხოლოდ გარეგნულადაა ანტაგონისტური, ხოლო არსებითად სოლიდარულია. იმისთვის, რომ უკუვაგდოთ პესიმიზმი, უნდა შევქმნათ ოპტიმისტური თეორიები. თუმცა ფრანგული

სკოლა პროტესტით შეხვდა ეპითეტს – „ოპტიმიზმი“. ისინი თავიანთ სკოლას **ლიბერალურს** უწოდებდნენ. მათი ოპტიმიზმი იმით გამოიხატებოდა, რომ ყოველთვის ცდილობდნენ **ეკონომიკური წყობის უბედურების** ახსნას იმ ფაქტით, რომ **თავისუფლება ჯერ კიდევ სრულად არ განხორციელებულა.** თავისუფლებას უფრო მეტი სრულყოფილება სჭირდებაო. ამით ისინი, „ლიბერალური სკოლის“ სახელწოდებას სრულად ამართლებდნენ.[1]

ა) ჟან ბატისტ სეის ოპტიმისტური მოძღვრება წარმოების სამი ფაქტორის შესახებ

ოპტიმისტური მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ფრანგი ეკონომისტი **ჟან ბატისტ სეი.**

ჟ. ბ. სეი (1767-1832) ლიონში მსხვილი ვაჭრის ოჯახში დაიბადა. განათლება ინგლისში მიიღო. იქ გაეცნო ა. სმითის შრომას „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდირის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“. ჟ. ბ. სეი ერთხანს სხვადასხვა კომერციულ ოპერაციაში მონაწილეობდა, შემდეგ ჟურნალისტობას მოჰკიდა ხელი. 1799 წლიდან ის რედაქტორობდა თერმიდორულ ჟურნალს „ფილოსოფიის ლიტერატურისა და პოლიტიკის დღიური“. ნაპოლეონის გამარჯვების შემდეგ მან საფრანგეთის ფინანსთა კოლეგიაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ ვინაიდან იგი ნაპოლეონის პროტექციონისტულ პოლიტიკას არ იზირებდა, კოლეგიიდან გაათავისუფლეს.

ჟ. ბ. სეის საკუთარი ფაბრიკაც ჰქონდა. ბოლოს იგი პოლიტიკური ეკონომიით დაინტერესდა და პროფესორი გახდა. წლების განმავლობაში სეი საფრანგეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში პოლიტიკური ეკონომიის კათედრას ხელმძღვანელობდა. თავისი ეკონომიკური შეხედულებები მან ჩამოაყალიბა შემდეგ ნაწარმოებებში: „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი“ (1803), „პოლიტიკური ეკონომიიის კატეხიზისი“ (1817) და პოლიტიკური ეკონომიის ექვსტომიანი კურსი (1828-1830).

თავის შრომებში ჟ. ბ. სეი სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა. მას კაპიტალიზმი ბუნებრივ და მუდმივ წყობილებად

---

[1] ჟიდი შ., რისტი შ., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, 1918, გვ. 190 (რუს).

მიაჩნდა. იგი მერკანტილიზმისა და პროტექციონიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდა და **თავისუფალი ვაჭრობის (ფრიტრედერობის) პოლიტიკას** იცავდა.

ჟ. ბ. სეი მიზნად ისახავდა პოლიტიკურ ეკონომიაში ა. სმითის ხაზი გაეგრძელებინა. ის გამოდიოდა სმითის იდეების კომენტატორად. ჟ. ბ. სეი პოლიტიკურ ეკონომიას განსაზღვრავდა როგორც მეცნიერებას წარმოების, განაწილებისა და მოხმარების შესახებ.

მართალია, ჟ. ბ. სეი თავს ა. სმითის კომენტატორად აცხადებდა, მაგრამ ა. სმითის ღირებულების თეორიას მან არსებითად დაუპირისპირა **მოძღვრება სარგებლიანობის** შესახებ. ჟ. ბ. სეის აზრით, წარმოება საგნების სარგებლიანობას ქმნის. სარგებლიანობის საზომად ის ღირებულებას იღებს, ხოლო ამ უკანასკნელის საზომად – საგნის ფასს. ჟ. ბ. სეი **საგნის ღირებულებას საგნის წარმოებაზე დახარჯული შრომით კი არ განსაზღვრავდა, არამედ ნივთის სარგებლიანობით.** ღირებულების თეორიის მეორე ვარიანტში ჟ. ბ. სეი ღირებულებას საწარმოო ურთიერთმომსახურეობით განსაზღვრავდა. ეს ნიშნავს ღირებულების განსაღვრას საქონლის წარმოების ხარჯებით.

ჟ. ბ. სეის ღირებულების თეორიის მესამე ვარიანტით, ღირებულების განმსაზღვრელია ის საგნები, რომლებსაც გამყიდველი მყიდველისაგან ღებულობს. ე.ი. საქონლის ღირებულება იმ ფულის რაოდენობით განისაზღვრება, რომელსაც გამყიდველი თავისი საქონლის ნაცვლად მყიდველისგან ღებულობს. ე.ი. საქონლის ღირებულება იმ ფულის ოდენობით განისაზღვრება, რომელსაც გამყიდველი გაცვლის დროს თავისი საქონლის ნაცვლად მიიღებს. ამ განსაზღვრების თანახმად, საქონლის ღირებულება მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით განისაზღვრება.

ჟ. ბ. სეის ღირებულების თეორიის მეოთხე ვარიანტის მიხედვით, **ღირებულების შექმნაში სამი ფაქტორი – შრომა, კაპიტალი და მიწა – მონაწილეობს. შრომა ქმნის ხელფასს, კაპიტალი – მოგებას, სარგებელს, მიწა კი – რენტას.**

თითოეული ამ ფაქტორთაგან მომსახურებისთვის თავის კუთვნილ შემოსავალს იღებს. მუშა შრომისთვის იღებს ხელფასს, კაპიტალისტი, კაპიტალის მესაკუთრე – მოგებას, მიწათმფლობელი,

მიწის მესაკუთრე – რენტას. XX ს-ის 50-იან წლებში კანადელმა **პ. მონსაროვმა** ჟ. ბ. სეის სამი ფაქტორის თეორია განავრცო და **ოთხი ფაქტორის თეორია** შექმნა. მისი აზრით, სამი ფაქტორის თეორიაში მხედველობიდანაა გამორჩენილი მეცნიერების ფატორი.

პ. მონსაროვი მეცნიერებას წარმოების მეოთხე, დამოუკიდებელ და ძირითად ფაქტორად განიხილავს. იგი გვთავაზობს ოთხ-ფაქტოროვან ფორმულას:

1. **მეცნიერება**
2. **კაპიტალი**
3. **მიწა**
4. **შრომა**

ამასთან, გადამწყვეტ როლს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას აკისრებს.

პ. მონსაროვის ოთხი ფაქტორის თეორიაში, სამი ძირითადი კლასის ნაცვლად, ოთხი კლასი მონაწილეობს. მეოთხე ფაქტორს – მეცნიერებას **თეთრსაყელოანთა კლასს** უწოდებდა. პ. მონსაროვი ოპტიმისტურად აცხადებდა, რომ ტექნიკური პროგრესი იწვევს ერთდროულად ხელფასისა და მოგების ზრდას. მას მიაჩნდა, რომ წარმოების მეოთხე, ძირითადი ფაქტორის – მეცნიერების – განვითარების ბაზაზე გათანაბრდება შემოსავლები, განხორციელდება დეპროლეტარიზაცია და წარმოიქმნება **საშუალო კლასი.**[1] წარმოების ფატორთა თეორიას დღესაც ფართოდ გამოიყენებენ. მას დაემატა **მეხუთე ფაქტორი – მეწარმეობრივი ჩვევები.**

ბ) რეალიზაციის თეორია, ავტომატური წონასწორობის თეორია

ჟ. ბ. სეის ოპტიმიზმი განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა **რეალიზაციის თეორიაში.** ჟ. ბ. სეი მას **გასაღების თეორიას** უწოდებდა. ამ თეორიით იგი მიზნად ისახავდა, კაპიტალისტური კვლავწარმოების პროცესის ჰარმონიულობის დასაბუთებას. ჟ ბ. სეიმ წამოაყენა იდეა საქონელზე ერთობლივ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის აუცილებელი შესაბამისობის არსებობის შესახებ.

---

[1] ჭანუყვაძე გ., ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. IV თბ., 1969, გვ. 283-284.

ჟ. ბ. სეის აზრით, წარმოების გაფართოება რეალიზაციას ზრდის. საზოგადოების ფარგლებში მთელი მიწოდების ჯამი მთელ მოთხოვნათა ჯამს არ გადააჭარბებს. მოთხოვნა და მიწოდება თანაბარია. მეურნეობის დარგებს შორის პროპორცია დაცულია. ჟ. ბ. სეის ბაზრის კანონის მიხედვით, კაპიტალიზმის დროს მოთხოვნა-მიწოდებას შორის დაცულია წონასწორობა და ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისები გამორიცხულია. სირთულე რეალიზაციაშია, ანუ ნაწილობრივი ჭარბწარმოება ერთ დარგში აიხსნება არასაკმაო წარმოებით მეორე დარგში. ამის გამოსწორება, ჟ. ბ. სეის აზრით, შეიძლება ჩამორჩენილი დარგის წარმოების სწრაფი განვითარებით.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ კაპიტალისტური წარმოების მიზანს წარმოადგენს არა მოხმარება, არამედ მოგების მიღება, რაც გარდაუვალს ხდის ჭარბწარმოების კრიზისების არსებობას.

როდესაც ჟ. ბ. სეი გასაღების თეორიას ქმნიდა, ჯერ კიდევ შეიძლებოდა ჭარბწარმოების კრიზისები შემთხვევით მოვლენად განხილულიყო. ჭარბწარმოების პირველი ნამდვილი კრიზისი 1825 წელს დაიწყო. იმ დროიდან მოყოლებული ეს მოვლენა გარკვეული პერიოდულობით მეორდებოდა.

ჟ. ბ. სეის ოპტიმიზმი გამომჟღავნდა **ეკონომიკური ლიბერალიზმის** საკითხში. იგი მოითხოვდა **სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობას.** ჟ. ბ. სეი აცხადებდა, რომ **მოთხოვნა-მიწოდებას შორის წონასწორობა მყარდება ავტომატურად, ბაზრის მექანიზმის მეშვეობით.**

* * *

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისუფალი მეწარმეობის საკითხები XIX ს-ის ქართველ მოაზროვნეთა მსჯელობის საგანიც იყო. ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეებს იცავდენენ ა. უმიკაშვილი, ალ. წერეთელი, ივ. როსტომაშვილი და სხვ. ამ საკითხზე განსაკუთრებით აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის მსჯელობა. 1887 წლის ივნისში გამოქვეყნებულ სტატიებში – „სატამოჟნო პოლიტიკა“, „ევროპა და პროტექციონობა“ – იგი საგანგებოდ განიხილავდა

ეკონომიკური ლიბერალიზმის საკითხებს. ილია ჭავჭავაძე უპირატესობას ფრიტრედერობას ანიჭებდა და პროტექციონიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა. ვაჭრობის თავისუფლება (ცილობა), თავისუფალი მეწარმოება მას ერისთვის, ქვეყნისთვის სასარგებლოდ მიაჩნდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გერმანელი ბიზნესმენის, **მეისნერის, პროექტის განხილვის დროს ი. ჭავჭავაძემ პროტექციონისტული პოზიცია დაიკავა.**

2. ჯონ სტიუარტ მილის ეკონომიკური აზრი

თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები კ. რ. მაკკონელი და ს. ლ. ბრიუ **ჯონ სტიუარტ მილს** ყველა დროის უდიდესი ეკონომისტების ხუთეულში ასახელებენ – **ადამ სმითის, დევიდ რიკარდოს, კარლ მარქსისა** და **ჯონ მეინარდ კეინზის** გვერდით.[1]



ჯონ სტიუარტ მილი

ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873) ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის, ჯეიმს მილის, უფროსი ვაჟიშვილი გახლდათ. იგი **ვუნდერკინდი** იყო. თავისი პირველი შრომები მან 1822 წელს გამოაქვეყნა პოლიტიკურ ეკონომიაში. ეს იყო ორი სტატია ღირებულების შესახებ. 1843 წელს ჯ. ს. მილმა თავისი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური თხზულება „ლოგიკის სისტემა“ გამოსცა. 1844 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ცდები პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთ გადაუჭრელ საკითხზე“, ხოლო 1848 წელს – **„პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“,** რომელსაც ისეთი წარმატება მოჰყვა, რომ ავტორის სიცოცხლეშივე ის 7-ჯერ დაიბეჭდა.

ჯ. ს. მილი განიცდიდა თ. მალთუსის და ჟ. ბ. სეის ძლიერ გავლენას. ჯ. ს. მილის „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების“ მთავარი დამსახურება ისაა, რომ პოლიტიკური ეკონომია, როგორც

[1] მაკკონელი კ. რ., ბრიუ ს. ლ., ეკონომიკსი, ნაწ. I, თბ., 1993, გვ. 7.

მეცნიერება, მთლიანობაშია განხილული. ჯ. ს. მილის მოძღვრებაში იგრძნობა მუშათა კლასის მიმართ გარკვეული სიმპათია და მათი მოთხოვნების შეხამება კაპიტალის ინტერესებთან.

ჯ. ს. მილის პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები ხუთი ნაწილისგან შედგება და, შესაბამისად, ეძღვნება **წარმოებას, განაწილებას, გაცვლას, კაპიტალიზმის პროგრესსა და სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს.**

ცალკეა განხილული **ღირებულების თეორია,** ვინაიდან ჯ. ს. მილისთვის შრომითი ღირებულების თეორია ეკონომიკური მოძღვრების საფუძველს არ წარმოადგენს. ჯ. ს. მილის მიხედვით, ღირებულება წარმოებაზე მცირედაა დამოკიდებული. მისი მტკიცებით, იგი მხოლოდ გაცვლის გავლენას განიცდის. ღირებულება მხოლოდ შეფარდებაა ერთი საქონლისა მეორე საქონელთან, კერძოდ, ფულზე გაცვლისთვის. ეს შეფარდება მყარდება ბაზარზე. კლასიკური სკოლის წარმომადგენელებისთვის საკითხი ასე იდგა: საცვლელ ღირებულებათა და ფასების ძირითად საფუძველი შრომითი დანახარჯებია. ყველა დანარჩენი ფაქტორის მოქმდება კი მხოლოდ ამ საფუძვლიდან ამა თუ იმ გადახრას იწვევს. მეორე შეხედულების მიხედვით კი, საქონლის საცვლელი ღირებულება და ფასი, უბრალოდ, იმ წერტილში მყარდება, სადაც მოთხოვნა და მიწოდება თანაბრდება. ჯ. ს. მილი ორივე მიდგომას გვერდს უვლიდა და **ფასწარმოქმნის ახსნას მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე** ცდილობდა. **მოგების** საკითხში ჯ. ს. მილი განიცდიდა დ. რიკარდოს გავლენას და აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტის მოგება იქიდან წარმოდგება, რომ შრომა იმაზე მეტ ღირებულებას ქმნის, ვიდრე მისი შენახვა ჯდება.

მიწის რენტას ჯ. ს. მილი განსაზღვრავდა ნიანდაგის კლებადი ნაყოფიერების კანონით.

ჯ. ს. მილის აზრით, **ხელფასის** ნაწილი, პრაქტიკულად, სტაბილურია, რადგან განისაზღვრება მუშათა ფონდით. მუშათა ფონდი განისაზღვრება მუშათა რაოდენობის გამრავლებით ხელფასზე. მისი თქმით, ის მუდმივი სიდიდეა, ამიტომ ხელფასის ცვალებადობა ნიშნავს მუშათა ერთი ჯგუფის მოგებას მეორის ხარჯზე.

მთლიანობაში, ჯ. ს. მილისთვის დამახასიათებელი იყო **კომპრომისები,** დაპირისპირებულთა შერიგებისკენ მიდრეკილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
2. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973.
3. მაკკონელი კ. რ., ბრიუ ს. ლ., ეკონომიკსი, ნაწ. I, თბ.,1993.
4. მარქსი კ., ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, თბ., 1968.
5. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
6. ჭანუყვაძე გ., ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 1, თბ., 1962.
7. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., I , თბ., 1997.
8. Hunt E. K. and Mark Lautzenheiser, History of Ekonomic Thought. Sird Edicion. A Critical Perspective. Armonk, New York, London, England, 2011.
9. Kharitonashvili J., John Stuart Mill- One of the greates economists, Journal Assotiation 1901. “SEPIKE”, Edition 15, Frankfurt, Deutschland, Piities, France, los Angeles USA, 31.12.2016, www. Sepikecloud.com
10. Афанасьев В.С., Этапы развытия буржуазной полотической экономии (очерк теории), М., 1971.
11. Бастия Ф., Экономические софызмы, М.,1896.
12. Всемирная история экономической мысли т.1, М., 1987.
13. Жидь Ш. и Ристь Ш., История экономических учений, М., 1918.
14. История экономической мысли т.1, М., 1961.
15. Кери Г., Руководство к социальной науке, СПБ, 1889.

თავი X. ეკონომისტ-რომანტიკოსების აზრი

XIX საუკუნის პირველ მესამედში მსოფლიოს ეკონომიკურ ცხოვრებაში ღრმა ცვლილებები მოხდა. სამრეწველო გადატრიალების შედეგად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სწრაფად ვითარდებოდა ფაბრიკული წარმოება. ინგლისის და საფრანგეთის მრეწველობაში გაჩნდა კერძო შეთანხმებათა რეჟიმი, რომლის თავისუფლებას არც ერთი კანონი არ ზღუდავდა. **განუყოფლად ბატონობდა ეკონომიკური ლიბერალიზმი. სახელმწიფომ უარი თქვა ყოველგვარ ჩარევაზე წარმოების ორგანიზაციაში, მუშაკთა და მეწარმეთა შორის ურთიერთობაში.** მთლიანად გაქრა კორპორაციული რეჟიმი. მექანიკური გამოგონების წყალობით, მრეწველობა საოცარად განვითარდა.

წარმოების გამორჩეული ცენტრები გახდა დიდ ბრიტანეთში – მანჩესტერი, ბირმინჰემი, გლაზგო, ხოლო საფრანგეთში – ლილი, სედანი, რუანი, ელბეფი, მილჰაუზი.[1]

საზოგადოების ძალთა განვითარებაში ძირეულმა ძვრებმა წვრილი მწარმოებლები მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. პრიმიტიული ხელის ტექნიკით შეიარაღებულ წვრილ მწარმოებლებს კონკურენციულ ბრძოლაში აღარ შეეძლოთ წინააღმდეგობა გაეწიათ დაქირავებულ შრომასა და მანქანურ ტექნიკაზე დამყარებული კაპიტალისტური წარმოებისთვის. **წვრილი მწარმოებლების დიდი ნაწილი პროლეტარები ხდებოდნენ და მხოლოდ მათი უმცირესობა გადაიზრდებოდა ბურჟუაზიად.** ეს პროცესი განსაკუთრებით მკაფიოდ საფრანგეთში შეიმჩნეოდა. საფრანგეთში მსხვილი მრეწველობის განვითარებას ხელი შეუწყო 1789-1794 წლებში ბურჟუაზიულმა რევოლუციამ და, ნაწილობივ, კონტინენტურმა ბლოკადამ. XIX საუკუნის მეორე მეოთხედში, რკინიგზების მშენებლობასთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხვნილება მანქანებზე, რამაც ბიძგი მისცა მანქანთმშენებლობის განვითარებას. მაგრამ მაინც, მსხვილი მრეწველობის განვითარებაში საფრანგეთი ინგლისს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. საფრანგეთში კვლავ წვრილი წარმოება ჭარბობდა. ამან განაპირობა ის, რომ მსხვილი

1 ჟიდი შ., რისტი შ., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, მ., 1918, გვ. 102 (რუს).

მრეწველობის ზრდის პარალელურად გაჩანაგდნენ ქალაქისა და სოფლის წვრილი მწარმოებლები, წვრილი ბურჟუაზია. ამ პროცესს ხელი შეუწყო სავაჭრო და სავახშო კაპიტალმაც.

წვრილ მწარმოებლებთან ერთად, **მოსახლეობის ფართო ფენებიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.** წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგებისა და მუშათა მდგომარეობის შემდგომი გაუარესების პროცესთა გამოძახილი იყო პერიოდული სამრეწველო კრიზისები, რომელთაგან პირველი 1815 წელს ინგლისში დაიწყო. 1825 წელს იფეთქა უფრო სერიოზულმა კრიზისმა, რომელმაც მრავალრიცხოვან მწარმოებელთა გაკოტრება გამოიწვია. ინგლისის გარდა, ის ევროპის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის – საფრანგეთშიც, გავრცელდა. **მოსახლეობის ფართო მასების მძიმე მდგომარეობა აისახა მსხვილი მრეწველობის წინააღმდეგ იდეოლოგიურ რეაქციაში.** გამოჩნდნენ ეკონომისტები, რომლებიც წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით იცავდნენ, ერთი მხრივ, წვრილსაქონლურ წარმოებასა და, მეორე მხრივ, მუშებს. ასე წარმოიშვა წვრილბურჟუაზიული კრიტიკული სკოლა. მისი ფუძემდებელი შვეიცარიელი ეკონომისტი **ჟან შარლ ლეონარდ სიმონდ დე სისმონდი** (1773-1842) იყო, რომელიც საფრანგეთში მოღვაწეობდა.

1. სიმონდ დე სისმონდის ეკონომიკური რომანტიზმი

სიმონდ დე სისმონდი ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი მკაფიო წარმომადგენელია. მისი წვრილბრჟუაზიული ეკონომიკური შეხედულებები გადმოცემულია შემდეგ შრომებში: „ტოსკანის სოფლის მეურნეობის სურათი“ (1801); „კომერციული სიმდიდრის შესახებ, ანუ პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების შესახებ მათ გამოყენებაში სავაჭრო კანონმდებლობისთვის“ (1803) და „იტალიის რესპუბლიკის ისტორია“ (1807). 1819 წელს მან გამოაქვეყნა თავისი მთავარი თხზულება ეკონომიკურ თემაზე – „**პოლიტიკური ეკონომიის ახალი საწყისები,** ანუ სიმდიდრე მოსახლეობასთან ურთიერთობაში“. მოგვიანებით მან გამოსცა „პოლიტიკური ეკონომიის ეტიუდები“ (1837). ამ ნაშრომებში ავტორმა შექმნილი ეკონომიკური ვითარება იდეალისტური პოზიციებიდან განიხილა.

მისი ეკონომიკური მოძღვრების მეთოდოლოგიური საფუძველი სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისადმი სუბიექტურ-იდეალისტური მიდგომა გახდა.[1]

სიმონ დე სისმონდი

ს. სისმონდი პოლიტიკურ ეკონომიას მიიჩნევდა ზნეობრივ მეცნიერებად, რომელიც შეისწავლის რა არის ადამიანი, როგორ მოქმედებს მასზე ესა თუ ის დაწესებულება, როგორია მისი მოთხოვნილებები, გრძნობები, ვნებები და ა.შ.

ს. სისმონდის მიზანს წარმოადგენდა ეჩვენებინა **სახელმწიფომ როგორ უნდა უხელმძღვანელოს სიმდიდრის წარმოებასა და განაწილებას.**

ს. სისმონდის აზრით, **პოლიტიკური ეკონომიის საგანი უნდა იყოს „ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობა, რამდენადაც იგი დამოკიდებულია სახელმწიფოზე“.**[2] „ჩვენ პოლიტიკურ ეკონომიას ვუწოდებთ სახალხო სიმდიდრის მართვას“,[3] – წერდა იგი. ამ პოზიციიდან იგი დაუფარავად გამოდიოდა თავისუფალი კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ. მისი აზრით, საზოგადოებრივი განვითარება თავისუფალ კონკურენციას არ უნდა ეფუძნებოდეს. სახელმწიფო კანონმდებლობამ წარმოება, მიმოქცევა და განაწილება წვრილი მწარმოებლებლების ინტერესებით უნდა წარმართოს. ამ შეხედულბებში ყველაზე მკაფიოდაა გამოთქმული სისმონდის კლასობრივი პოზიცია. ს. სისმონდი იცავდა წვრილ წარმოებას, იმიტომ, რომ ხედავდა წვრილი წარმოების დიფერენციაციასა და მსხვილი წარმოების გამარჯვებას ქალაქად და სოფლად.

---

1 ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ. კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, გვ. 12.

2 სისმონდი ს., პოლიტიკური ეკონომიის ახალი საწყისები, ანუ სიმდიდირე მოსახლეობათან ურთიერთობაში, ტ. 1. მ., 1937, გვ. 148 (რუს).

3 იქვე, 150.

ა) ღირებულების და ფულის განსაზღვრა

ეკონომიკური აზრის ისტორიაში ს. სისმონდი, პირველ რიგში, აღიარებულია როგორც **კლასიკური სკოლის წარმოადგენელი** და, მეორე მხრივ, როგორც **წვრილბურჟუაზიული იდეოლოგი.**

ს. სისმონდი, როგორც კლასიკოსი, ხასიათდება **შრომითი ღირებულების თეორიით.** ის შრომითი ღირებულების თეორიის პოზიციაზე იდგა და საქონლის ღირებულებას მისი წარმოებისათვის დახარჯული შრომით განსაზღვრავდა. მან საბოლოოდ მკაფიოდ ჩამოაყალიბა დებულება, რომ **„შრომა სიმდიდრის ერთადერთი წყარო“.**[1] მიჩნეულია, რომ ს. სისმონდიმ ღირებულების საკითხში წინ გადადგა ნაბიჯი თვით ა. სმითსა და დ. რიკარდოსთან შედარებითაც კი. იგი არ მსჯელობდა საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროზე, მაგრამ ის აღნიშნავდა, რომ ღირებულების სიდიდე აუცილებელი სამუშაო დროიდან გამოდის. სისმონდმა ვერ ახსნა შრომის ორადი ხასიათი, მაგრამ იგი ლაპარაკობდა კაპიტალიზმის დროს წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ სახმარ და საცვლელ ღირებულებებს შორის.

ს. სისმონდიმ ზოგიერთი ფუნდამენტური დებულება ჩამოაყალიბა ფულის არსისა და ფუნქციების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ **ფული** შრომის ისეთი პროდუქტია, როგორც სხვა საქონელი, რომ მას თავისი შინაგანი ღირებულება აქვს. ს. სისმონდი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ **„ფული ღირებულების საყოველთაო საზომია“.**

ს. სისმონდიმ აღნიშნა განსხვავება ქაღალდისა და საკრედიტო ფულს შორის. მან ინფლაციის პროცესი ახსნა როგორც ზედმეტი ქაღალდის ფულით მიმოქცევის არხების გავსების შედეგი.

ბ) მოგებისა და ხელფასის თეორია

ს. სისმონდიმ შრომითი ღირებულების თეორია გამოიყენა წვრილბურჟუაზიული პოზიციებიდან კაპიტალიზმის კრიტიკისთვისაც. ამ მხრივ, აღსანიშნავია მისი **მოგების თეორიაც.**

---

[1] სისმონდი ს., პოლიტიკური ეკონომიის ახალი საწყისები, ანუ სიმდიდრე ხალხთმოსახლეობათან ურთიერთობაში, ტ. 1. მ., 1937, გვ. 149 (რუს).

ს. სისმონდი ა. სმითსა და დ. რიკარდოზე უფრო კატეგორიულად აყენებდა საკითხს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განაწილების ხასიათის შესახებ. **იგი ერთმანეთისგან განასხვავებდა შრომით და არაშრომით შემოსავლებს.** ს. სისმონდი **მოგებას განსაზღვრავდა, როგორც მუშის შრომის პროდუქტიდან გამონაქვითს.** მას იგი არაშრომით შემოსავალს უწოდებდა. ს. სისმონდი კაპიტალიზმის დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევდა იმას, რომ სიმდიდრე უმცირესობის ხელში იყრიდა თავს და მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობა ღატაკდებოდა. იგი აღნიშნავდა, რომ მუშები ქმნიდნენ სიმდიდრეს, თუმცა იძულებულნი ხდებოდნენ, მხოლოდ აუცილებელი საჭიროებებით დაკმაყოფილებულიყვნენ.[1]

საყურადღებოა ს. სისმონდის მოსაზრებები **ხელფასის** საკითხშიც. ის დაბალ ხელფასს სპეციფიკურ კაპიტალისტურ ურთიერთობებს უკავშირებდა. კერძოდ, **უმუშევრობას, რომელიც ხელფასის დონეს აწვება და მას დაბლა სწევს**. სისმონდის დამსახურებად ისიც ითვლება, რომ მან ყურადღება მიაქცია ხელფასის დაცემის ტენდენციას და სცადა ეს გარემოება მანქანების შემოღებისა და კაპიტალის კონცენტრაციის საფუძველზე აეხსნა.

გ) რეალიზაციისა და კრიზისების თეორია

კაპიტალიზმის წვრილბურჟუაზიული კრიტიკა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ს. სისმონდის **რეალიზაციისა და კრიზისების თეორიაში.** მასში ასახულია სისმონდის მთელი ეკონომიკური მოძღვრება წარმოებისა და მომსახურების, კაპიტალისა და შემოსავლების შესახებ და ა.შ. იგი წარსულისკენ შემობრუნების სისმონდისეული პროგრამის თეორიული საფუძველი გახდა.

როგორც ა. სმითმა, ს. სისმონდიმაც ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულება შემოსავლებით – **მოგებით** (აქვე შეიტანა რენტაც) და **ხელფასით** განსაზღვრა. მან სრულიად უგულებელყო მუდმივი კაპიტალის წილი. ა. სმითის მსგავსად, სისმონდი თვლიდა, რომ მთელი ნაწარმოები საქონლის რეალიზაციისთვის საჭიროა წარმოება სავსებით შეესაბამებოდეს საზოგა-

[1] სისმონდი ს., პოლიტიკური ეკონომიის ახალი საწყისები, ტ. 1, გვ. 6, 147.

დოების შემოსავლებს. თუ წარმოება საზოგადოების შემოსავლების ჯამს გადააჭარბებს, პროდუქტი რეალიზებული არ იქნებაო.

სმითი-რიკარდოს სკოლისგან განსხვავებით, რომელიც კაპიტალიზმის ძირეულ პრობლემად დაგროვებას თვლიდა, სისმონდმა წინა პლანზე წამოსწია **წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის** და, ამასთან ერთად, ბაზრისა და რეალიზაციის პრობლემაზეც გაამახვილა ყურადღება.[1] აღნიშნული წინააღმდეგობა სისმონდის **კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობად მიაჩნდა,** რომელიც, მისი ვარაუდით, გარდაუვალად გამოიწვევდა ეკონომიკურ კრიზისებს.

ს. სისმონდის აზრით, კაპიტალიზმის განვითარება იწვევს წვრილ მწარმოებელთა გაჩანაგებასა და მუშათა შემოსავლის შემცირებას. კაპიტალისტები კი თავის შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს აგროვებენ. ეს გარემოებანი განაპირობებს შინაგანი ბაზრის შეკვეცას, ვინაიდან წარმოება მუშებისა და კაპიტალისტების მოთხოვნილებას აჭარბებს. კაპიტალისტურად წარმოებული ზედმეტი **ღირებულების ნაწილი რეალიზაციის გარეშე რჩება.** ამ მდგომარეობიდან გამოყვანა საგარეო ბაზრის არსებობას შეუძლია. მაგრამ ვინაიდან ეს ქვეყნებიც კაპიტალიზის გზას ადგანან, საგარეო ბაზარიც ვიწროვდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კაპიტალიზმს თანდათანობით ჩიხში შეჰყავს საზოგადოება. კაპიტალიზმმა რომ კრახი არ განიცადოს, ს. სისმონდის აზრით, ერთდაერთი გამოსავალი არსებობს – **უკან დაბრუნება პატრიარქალური წვრილი საქონლური მეურნეობისკენ.** ს. სისმონდი ხსნას **„მესამე პირებში“ –** შუალედურ კლასსა და ფენებში – ეძებს. ს. სისმონდი ფიქრობდა, რომ 100 წვრილი მწარმოებელი უფრო მეტს მოიხმარს, ვიდრე 1 კაპიტალისტი და 99 მუშა. ამიტომ სისმონდი კაპიტალისტურ ქვეყნების მთავრობებს მიმართავდა **შეენარჩუნებინათ წვრილი წარმოება.**

ს. სისმონდიმ ვერ გაიგო კაპიტალიზმის დროს შინაგანი ბაზრის წარმოქმნის პროცესი. მისთვის მიუწვდომელი დარჩა ის ჭეშმარიტება, რომ კაპიტალიზმის განვითარების პროცესში ხელით შრომიდან მანქანურ წარმოებაზე გადასვლა და წვრილ მწარმოე-

[1] ა. ანიკინი მეცნიერების სიჭაბუკე, გვ. 188.

ბელთა გაჩანაგება არა თუ კვეცავს, არამედ კიდევ უფრო აფართოებს შინაგან ბაზარს. ერთი მხრივ, ზრდის კაპიტალისტურ მოთხოვნას წარმოების საშუალებებსა და სამუშაო ძალაზე, ხოლო მეორე მხრივ, მუშათა კლასის რაოდენობრივი მატების შესაბამისად საარსებო საშუალებებზე დამატებით მოთხოვნას წარმოშობს. ამის გაუგებლობამ ს. სისმონდი **ეკონომიკურ რომანტიზმამდე** მიიყვანა, რომელიც იქითკენ ისწრაფვოდა, რომ კაპიტალისტური წარმოება მისი ამოსავალი პოზიციისკენ – **წვრილი წარმოებისკენ** – შეებრუნებინა.

2. პიერ ჟოზეფ პრუდონის რეფორმიზმი

კრიტიკული სკოლის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ფრანგი ეკონომისტი პიერ ჟოზეფ **პრუდონი** (1809-1865). ს. სისმონდის მსგავსად, პ. პრუდონიც წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგი იყო. მაგრამ მისი სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებები არ ემხვევა ს. სისმონდის სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებებს. ს. სისმონდი და პრუდონი წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ კაპიტალიზმის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, რაც კაპიტალიზმის მიმართ მათ სხვადასხვანაირ დამოკიდებულებას განსაზღვრავდა. ს. სისმონდის შეხედულებები წვრილი მწარმოებლების მდგომარეობას ასახავდნენ ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩამოყალიბების პირობებში. პ. პრუდონი კი გამოხატავდა წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს დროის სხვა პერიოდში, როდესაც უკვე ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის წარმოებითი ურთიერთობები, განისაზღვრა მისი კლასობრივი სტრუქტურა და წვრილმა ბურჟუაზიამ თავისი შუალედური მდგომარეობა დაიკავა. ისტორიამ უკვე დაამტკიცა კაპიტალიზმიდან მეურნეობის

პიერ ჟოზეფ პრუდონი

ნატურალური ფორმებისკენ შებრუნების შეუძლებლობა და **საჭირო გახდა ს. სისმონდის პროექტების მსხვრევა.** ახლა წვრილი ბურჟუაზიის დამცველები (მათ შორის, უპირველესად, პრუდონი) კაპიტალიზმს კი არ უარყოფდნენ, არამედ მისი **მხოლოდ შესწორება, გაუმჯობესება** სურდათ. ისინი ცდილობდნენ წვრილი ბურჟუაზიის განადგურებისგან გადარჩენის გეგმები მოეფიქრებინათ. ისინი კერძო საკუთრებას არ ეხებოდნენ. პ. პრუდონის შეხედულებების მთელი სისიტემა **რეფორმიზმით** იყო გამსჭვალული.

ა) პ. პრუდონის ეკონომიკური კონცეფცია

პ. პრუდონის პირველი დიდი ნაწარმოები იყო „რა არის საკუთრება“, რომელიც 1840 წელს გამოიცა. თავისი მთავარი ეკონომიკური ნაშრომი „**ეკონომიკურ წინააღმდეგობათა სისტემა, ანუ სიღატაკის ფილოსოფია**“ მან 1846 წელს დაწერა. 1848 წელს გამოაქვეყნა „სოციალური პრობლემების გადაწყვეტა“, 1849 წელს – „რევოლუციონერის აღსარება“ და სხვა. ამ ნაწარმოებებში გამოვლინდა პ. პრუდონის შეხედულებების წვრილბურჟუაზიული ბუნება.

პ. პრუდონი საზოგადოებრივ მოვლენათა ახსნაში **იდეალიზმისა და სუბიექტივიზმის** პოზიციებზე იდგა. ეკონომიკური კატეგორიების ანალიზისთვის პრუდონი ცდილობდა, გამოეყენებინა ჰეგელის დიალექტიკის მეთოდი. ეკონომიკურ კატეგორიებში ის ხედავდა იდეებს, რომლებიც წმინდა გონების მოძრაობას ეყრდნობოდა. ეკონომიკური კატეგორიები და პროცესები მან განიხილა როგორც საწინააღმდეგო თვისებების მექანიკური შეერთება. მეთოდოლოგიური ხერხის გამოყენებით პ. პრუდონი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შესაძლებელია კაპიტალიზმის გაუმჯობესება, გაწმენდა, მისი ცუდი მხარეების აღმოფხვრა.

პ. პრუდონი განიხილავდა **შრომის დანაწილების** საკითხს. მისი აზრით, შრომის დანაწილება მუდმივი კანონია. შრომის დანაწილების კარგი მხარე ისაა, რომ იგი სიმდიდრის ზრდას უწყობს ხელს; ცუდ მხარეს კი სიღატაკისა და უბედურებისკენ მივყავართო. პრუდონი სვამდა ამოცანას: „გამოინახოს ახალი შერწყმა, რომლითაც აცილებული იქნება შრომის დანაწილების ცუდი

მხარეები, ამავე დროს სასარგებლო მოქმედება შენარჩუნდება“. პრუდონის მიხედვით, „შრომის დანაწილების ანტითეზას“ მანქანა წარმოადგენს. მისი თქმით, მანქანის კარგი მხარე ისაა, რომ შრომას ამსუბუქებს, ხოლო მისი ნაკლია ის, რომ მუშებს წარმოებიდან გამოდევნის, ხელფასს წაართმევს და სიღატაკისთვის გაწირავს.

ბ) „კონსტიტუირებული ღირებულების“[1] თეორია

პ. პრუდონის აზრით, ყველა ეკონომიკური კატეგორიის წინააღმდეგობას საფუძვლად ღირებულების წინააღმდეგობრივი გაორება უდევს. იგი აღნიშნავს, რომ თუმცა ეკონომისტები ერთმანეთისგან განასხვავებენ სახმარ და საცვლელ ღირებულებას, მაგრამ მათ შორის წინააღმდეგობებს მაინც ვერ ამჩნევენო. მისი აზრით, ღირებულებაში ჩადებულია ძირითადი ეკონომიკური წინააღმდეგობა, რომლის გადაჭრაზეც სოციალური გარდაქმნების მთელი არსი დაიყვანება.

პ. პრუდონის გაგებით, ღირებულება ორი საწინაარმდეგო იდეის შემცველი ცნებაა: სახმარი და საცვლელი ღირებულებების იდეისა, სახმარი ღირებულება და საცვლელი ღირებულება – ესაა სხვადასხვაობა ღირებულების შიგნით. პ. პრუდონი სახმარ ღირებულებას წარმოადგენს, როგორც **თეზას – მტკიცებას,** ხოლო საცვლელ ღირებულებას, როგორც **ანტითეზას – უარყოფას.** პირველი წარმოშობს მეორეს. ამ საწინააღმდეგო მხარეების შერიგება, სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულების **სინთეზი,** პ. პრუდონის მიხედვით, წარმოადგენს **კონსტიტუირებულ ანუ სინთეზურ ღირებულებას.** იგი წარმოიქმნება სახმარი ღირებულების საცვლელ ღირებულებად გარდაქმნისა და ამ წინააღმდეგობათა ურთიერთშეღწევის შედეგად. მხარეთა ეს „შერიგება“, პ. პრუდონის აზრით, ხორციელდება გაცვლისას, რომლის დროსაც დგინდება კონსტიტუირებული ღირებულებაც. ე.ი. პ. პრუდონის კონსტიტუირებული ღირებულება ისეთი ღირებულებაა, რომელიც წარმოიშობა გაცვლაში, აუცილებლად რეალიზდება ბაზარზე და ეკონომიკური სისტემის ყველა წინააღმდეგობას ფარავს.

---

[1] კონსტიტუირებული ღირებულება – ჩამოყალიბებული ღირებულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
2. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ.,1973.
3. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
4. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., I , თბ., 1997.
5. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკური რომანტიზმი და თანამედროვეობა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „რომანტიზმი და თანამედროვეობა, ქართულ-პოლონური ურთიერთობების საათავეები და პერსპექტივები“, თბილისი 2010 წლის 4 ივნისი.
6. Hunt E. K. and Mark Lautzenheiser, History of Ekonomic Thought. Sird Edicion. A Critical Perspective. Armonk, New York, London, England, 2011.
7. Блауг М., Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.
8. Всемирная история экономической мысли, т.1, М., 1987.
9. Жидь Ш. и Ристь Ш., История экономических учений, М., 1918.
10. История экономической мысли, т.1, М., 1961.
11. Мордухович П.М., Мелкобуржазная политическая экономия(Сисмонди, Прудон) М., 1958.
12. Прудон П.Ж.,Что такое собственность или исследование о принципе право и власти М., 1919.
13. Сисмонд де Сисмонди, Новые начала политической экономий или богатстве в его отношений к народнонаселению, т. 1, 2, М., 1937.

თავი XI. სოციალისტ-ჰუმანისტთა ეკონომიკური იდეები

1. სოციალისტური იდეების წარმოშობა

ოცნებას იდეალური ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ დიდი ხნის ისტორია აქვს. მშრომელი მასების, ბოგანო ხალხის სტიქიურ მოძრაობაში წარმოიშვა და საუკუნეები გამოიარა ლეგენდამ ოქროს საუკუნის შესახებ, როცა არ არსებობდა ჩაგვრა და ყველა ბედნიერად ცხოვრობდა. ეს ლეგენდა აიდეალებდა პირველყოფილ-თემურ წყობილებას, სადაც ყველანი თავისუფალნი და თანასწორნი იყვნენ. ჯერ კიდევ ძველი ჩინელი მოაზროვნე **კონ ფუ ცი** (551-479 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) ოცნებობდა საყოველთაო კეთილდღეობის ეპოქაზე. იგი კიცხავდა განცხრომის მიმდევრებს, რეკომენდაციას უწევდა ზომიერ მოხმარებას, სიმდიდრის განაწილების შედარებით თანასწორობას.

ანტიკურმა ხანამ, ძველმა საბერძნეთმა თავისებური ლიტერატურული ნაწარმოებები შექმნა. მათში აღწერილია ოქროს საუკუნის იდეალური საზოგადოება, რომელშიც საყოველთაო კეთილდღეობა და ბედნიერება სუფევს. სწორედ ამ იდეის პოპულარობა სცადა **პლატონმა** (427-347 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე) იდეალური სახელმწიფოს უტოპიური თეორიით, რომელიც საზოგადოების არისტოკრატიული ნაწილის საერთო საკუთრებასა და საერთო მოხმარებას ემყარებოდა.

კომუნიზმის იდეებს მოხმარების შესახებ ვხვდებით, აგრეთვე, ადრინდელ ქრისტიანობასა და შუა საუკუნეების ერეტიკულ მოძრაობაში. მაგრამ ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში გავრცელებულ უტოპიურ იდეებს სერიოზული დასაბუთება არ ჰქონდა და ჩამოყალიბებულ ხასიათს არ ატარებდა. ეს იყო სოციალიზმის წინაისტორია.

სოციალიზმის ისტორიაზე გადასვლის მიჯნად კი მიჩნეულია თომას **მიუნცერის** (1490-1525) მოძღვრება. იგი დედამიწაზე მოითხოვდა ხალხის რევოლუციური ბრძოლით ღვთის სუფევის დამყარებას, რაც ისეთ საზოგადოებრივ ცხოვრებას ნიშნავდა, სადაც

კერძო საკუთრება, კლასობრივი განსხვავება და სახელმწიფო არ იარსებებდა. შრომა თავისუფალი იქნებოდა, ქონება – საერთო და სრული თანასწორობა გახორციელდებოდა.

უტოპიური ეკონომიკური თეორიის განვითარების ერთ-ერთ ფუძემდებლად აღიარებულია ინგლისელი მოაზროვნე თომას **მორი** (1478-1535). 1516 წელს მან გამოქვეყნა ნაშრომი სახელწოდებით – „ოქროს წიგნი იმდენადვე სასარგებლო, რამდენდაც გასართობი სახელმწიფოს საუკეთესო წყობისა და ახალი კუნძულის უტოპიის შესახებ“, რომელსაც ლიტერატურაში შემოკლებით „უტოპიას“ უწოდებენ. თომას მორმა გააკრიტიკა, ჯერ კიდევ დაბადების პროცესში მყოფი **ბურჟუაზიული საზოგადოება.** მან **კერძო საკუთრებაში საზოგადოების უბედურების მთავარი მიზეზი** დაინახა. თ. მორმა საერთო კეთილდღეობის პირობად კერძო საკუთრების მოსპობა გამოცხადა. მან კაპიტალიზმს დაუპირისპირა ხალხის ცხოვრება, რომელიც, მისი წარმოდგენით, უცნობ კუნძულ „უტოპიაზე“ არსებობდა.

თ. მორის მიხედვით, „უტოპიის“ მცხოვრებლებს შორის სრული თანასწორობა სუფევდა. წინააღმდეგობა არ იყო ქალაქსა და სოფელს, გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის. წარმოება საზოგადოებრივი ხასიათს ატარებდა და პროდუქცია მოთხოვნილების მიხედვით ნაწილდებოდა. თ. მორმა პირველმა დაუკავშირა **მოხმარების ერთობა წარმოების ერთობას** და ახალი წყობილება წარმოგვიდგინა როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული საზოგადოებრივი მეურნეობა. მან წინ გადადგა ნაბიჯი მოხმარების ორგანიზაციის საქმეშიც. „უტოპიაში“ მოხმარების საგნები საერთო-საზოგადოებრივ საწყობებში ინახებოდა და მოთხოვნილების მიხედვით ნაწილდებოდა. კვება საზოგადოებრივ სასადილოებში საერთო იყო. მაგრამ ყველას ეძლეოდა უფლება, თავისი კუთვნილი სანოვაგე მიეღო და სახლში თვითონ დაემზადებინა. მაგრამ ამ უფლებას არავინ იყენებდა. „უტოპიაში“ **ფული არ არის** და არც მისი საჭიროება იგრძნობა. იმისათვის, რომ განძის სიხარბე არ გაჩენილიყო, იქ მხოლოდ თიხისა და მინის ჭურჭელს ხმარობდნენ. მათთან ოქროსა და ვერცხლის ქონება სამარცხვინოდ ითვლებო-

და. ასეთ ფერებში დახატა თ. მორმა ახალი საზოგადოების სურათი. მაგრამ მას ამ წყობილებაზე გადასვლის გზები და საშუალებები არ განუხილავს.

თ. მორს, თვით მისივე თქმით, უფრო სურვილი ჰქონდა, ვიდრე რწმენა, რომ ევროპის სახელმწიფოებში განხორციელებულიყო ისეთი წყობილება, როგორიც უტოპიელთა რესპუბლიკაში არსებობდა. ამან განაპირობა მისი შეხედულებების **განუხორციელებლობა,** ანუ **უტოპიურობა.** ხოლო თვითონ თ. მორი მეფის ხელისუფლებამ სიკვდილით დასაჯა.

უტოპიური ეკონომიკური მოძღვრების მეორე მამამთავრად იტალიელი თომაზო **კამპანელა** (1568-1639) ითვლება. 1623 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი **„მზის ქალაქი, ანუ იდეალური რესპუბლიკა“.** ამ წიგნში ავტორმა ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების ფანტასტიკური სურათი დახატა. „მზის ქალაქში“, რომელიც უცნობ კუნძულ **ტაპრობანეზე** მდებარეობდა, თ. კამპანელას მიერ წარმოდგენილ საზოგადოებაში კერძო საკუთრება უარყოფილია და აღიარებულია თავისუფალი შრომის საფუძველზე წარმოების, განაწილებისა და მოხმარების საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

„მზის ქალაქში“ ყველა შრომობს. ყველა მოქალაქე მონაწილეობს სამხედრო საქმეში, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში. ამ დარგების ცოდნა ყველას ევალება და ყველაზე უფრო საპატიოდაც ითვლება. განსაკუთრებული პატივისცემით ის სარგებლობს, ვინც მეტი ხელობა შეისწავლა და მეტი საქმის ცოდნით შეუძლია მისი გამოყენება.

თ. კამპანელა შეეცადა თავისი პროექტის პრაქტიკულ განხორციელებას. 1598 წელს ის სათავეში ჩაუდგა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ აჯანყებას, მაგრამ დააპატიმრეს და 27 წელს საპყრობილეში გაატარა.

თ. მორისა და კამპანელას პროექტების განუხორციელებლობის მიუხედავად, ადამიანთა ერთმა ნაწილმა შემდგომშიც არ დაივიწყა აზრი სამართლიანი სოციალური წყობილების შესახებ. XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში დასავლეთ ევროპაში უტოპიურმა სოციალიზმმა თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. მისი გამოჩენილი წარმოამდგენლები იყვნენ **ა. სენ-სიმონი** და **შ. ფურიე** საფრანგეთში, **რ. ოუენი** ინგლისში.

2. სენ-სიმონიზმი და კოლექტივიზმის წარმოშობა

კლოდ ანრი დე რევრუა სენ-სიმონი (1760-1825) დაიბადა მდიდარი გრაფის ოჯახში. მან განათლება მიიღო XVIII ს-ის გამოჩენილი მატერიალისტისა და მათემატიკოსის დალამბერის ხელმძღვანელობით. შემდეგ ა. სენ-სიმონი სამხედრო სამსახურში შევიდა. იგი მოხალისედ წავიდა და მონაწილეობდა ამერიკელი ხალხის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ინგლისის წინააღმედეგ. მაგრამ მალე მან თავი დაანება სამხედრო სამსახურს და ევროპის ქვეყნებში გაემგზავრა ადამიანთა ცხოვრების, ხასიათის შესასწავლად და თავისი ცოდნის სრულყოფისათის.

კლოდ ანრი დე რევრუა სენ-სიმონი

1789 წელს რევოლუციის დაწყებისას ა. სენ-სიმონი საფრნაგეთში დაბრუნდა, მაგრამ რევოლუციაში მას მონაწილეობა არ მიუღია. რევოლუციის შემდეგ სენ-სიმონების ოჯახის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ამიტომ ა. სენ-სიმონმა ხელი მოჰკიდა სპეკულაციას და **მილიონერი** გახდა. მან ხელგაშლილი ცხოვრება დაიწყო და მალე მთელი თავისი ქონება გაანიავა. სიცოცხლის ბოლოს იგი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა. ამ პერიოდში შექმნა სენ-სიმონმა თავისი ნაწარმოებები: „წერილები ჟენევიდან“ (1812), „შეხედულება საკუთრებასა და სახელმწიფოზე“ (1818), „**სამრეწველო სისტემის შესახებ**“ (1821), „მრეწველთა კატეხიზისი“ (1823), „ახალი ქრისტიანობა“ (1825) და სხვ.

ა) ა. სენ-სიმონის ისტორიული კონცეფცია

ა. სენ-სიმონმა ადამიანთა საზოგადოების განვითარება ისტორიული თვალსაზრისით განიხილა. იგი მიუთითებდა **მემკვიდრეობით კავშირზე წარსულს, აწმყოს და მომავალს შორის.** ა. სენ-სიმონი ამტკიცებდა, რომ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი კაცობრიობის მთელი ისტორიის შედეგი და ბუნებრივი

გაგრძელებაა. მან დაასკვნა, რომ ერთი საზოგადოებრივი სისტემა აუცილებლად იცვლება მეორით. ყოველი ახალი სისტემა კი პროგრესს წარმოადგენს საზოგადოების განვითარებაში.

ადამიანთა საზოგადოებას საფუძვლად, მამოძრავებელ ძალად ა. სენ-სიმონი გონების, მეცნიერების, ცივილიზაციის პროგრესს თვლიდა. საზოგადოების განვითარება კანონზომიერი პროცესია, რომელიც აღმავალ ხასიათს ატარებს. მაგრამ ეს ადამიანის გონების განვითარების პროგრესია. ა. სენ-სიმონი თვლიდა, რომ **საზოგადოებრივი ურთიერთობები შეიძლება აა-გონ და დაამხონ ფილოსოფოსებმა, მეცნიერებმა.** სწავლულთა მნიშვნელობას სენ-სიმონი იმით განსაზღვრავდა, რომ მათ **წინასწარჭვრეტა** შეუძლიათ. მეცნიერება იმიტომ არის სასარგებლო, რომ წინასწარხედვის შესაძლებლობას იძლევა, ამიტომ მეცნიერები სხვა ადამიანებზე მაღლა დგანან. მათ სხვებზე მეტად შეუძლიათ განსჭვრიტონ მომავალი. „**ფილოსოფოსი აზრის მწვერვალზე დგას,** იქედან იგი უყურებს იმას, თუ როგორი იყო მსოფლიო და როგორი უნდა გახდეს იგი. **ფილოსოფოსი არა მარტო მეთვალყურეა, არამედ მოქმედი პირიც. იგი პირველხარისხოვანი მოქმედი პირია მორალურ მსოფლიოში, რადგან ადამიანთა საზოგადოებას მართავს მისი შეხედულება მსოფლიოზე**“,[1] – წერდა ა. სენ-სიმონი. იგი აღნიშნავდა, რომ ფილოსოფოსებმა თავიანთი ძალები უნდა შეაკავშირონ, რათა შექმნან საზოგადოებრივი სისტემა, რომელიც განათლებისა და ცივილიზაციის თანამედროვე მდგომარეობას შეესაბამებაო. ასეთად მას **ინდუსტრიული სისტემა** მიაჩნდა, რომელსაც ინდივიდუალიზმსა და კაპიტალიზმთან აპირისპირებდა.

ბ) კაპიტალიზმის კრიტიკა

ა. სენ-სიმონი ამტკიცებდა, რომ ინდუსტრიული ანუ სამრეწველო სისტემის პირობებში წარმოებისა და განაწილების ანარქია, ადამიანის მიერ ადამიანის დამონება არ იქნება. თავისი დროის ბურჟუაზიულ საზოგადოებას იგი განიხილავდა, როგორც კრიტიკული ეპოქის პირმშოს, სადაც ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი

[1] სენ-სიმონი ა., რჩ. ნაწარმოებები, მ-ლ, გვ. 211 (რუს).

ბატონობს. **ეკონომიკური თავისუფლება ერთს განადიდებს, უმდიდრეს კაცად ხდის, ხოლო სხვებს აღატაკებს.** ასეთ მდგომარეობას ა. სენ-სიმონი დაუშვებლად მიიჩნევდა. ის აღნიშნავდა, რომ **მთავრობის მუდმივ და ერთადერთ მოვალეობას საზოგადოების ბედნიერებაზე ზრუნვა** წარმოადგენდა. ა. სენ-სიმონი ინდუსტრიული სისტემის შექმნას მოითხოვდა, რომელშიც **ცალკეული პირების თვითნებობა, ეგოისტების ბატონობა არ იქნება და ადამიანები თავინთი პირადი შესაძლებლობებითა და შრომით შეფასდებიან.** „შრომა ყოველი სიკეთის წყაროა, ყველაზე სასარგებლო შრომა ყველაზე პატივსაცემი უნდა იყოს“, – წერდა იგი.

ა. სენ-სიმონი ბურჟუაზიულ საზოგადოებას იმიტომ აკრიტიკებდა, რომ სოციალური ორგანიზაცია უკიდურეს ნაკლოვანებად მიაჩნდა, რამდენადაც ადამიანებს ექსპულატაციის, ძალადობისა და მოტყუების საშუალებას აძლევდა. იგი აკრიტიკებდა თავისი დროის **ბურჟუაზიულ მთავრობას, რადგან ხელისუფლება არავითარ მზრუნველობას არ იჩენდა უღარიბესი კლასების ცხოვრების გასაუმჯობესებლად.**

გ) ახალი ინდუსტრიული სისტემის პროექტი

ა. სენ-სიმონი ფიქრობდა, რომ მისი დროის საზოგადოებრივი სისტემას მეტისმეტად ბევრი ნაკლი ჰქონდა და **საჭირო იყო მისი შეცვლა ინდუსტრიული სისტემით.** ეს ცვლილება მშვიდობიანი გზით უნდა განხორციელებულიყო. ა. სენ-სიმონს მომავალი საზოგადოება მსოფლიო ასოციაციად ჰქონდა წარმოდგენილი, რომელიც სამრეწველო საწარმოა და რომლის მიზანია საზოგადოების ყველა წევრი, თავისი წვლილის შესაბამისად, რაც შეიძლება მეტი სიკეთით უზრუნველეყო. ეს ისეთი საზოგადოება უნდა ყოფილიყო, როცა ადამიანის **პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები მუდამ თანხმობაში იქნება.**

ა. სენ-სიმონის ინდუსტრიულ სისტემაში სამოქალაქო ხელისუფლება ყველაზე დიდ მიწათმფლოებელებს, ფაბრიკების მფლობელებს, ვაჭრებსა და ბანკირებს უჭირავთ. მათ უნდა შექმნათ მრეწველთა საბჭო, რომელიც ყველა საზოგადოებრივ სასრგებლო პროექტს განიხილავდა და მიიღებდა.

ა. სენ-სიმონი თვლიდა, რომ **საკუთრების ინსტიტუტი საზოგადოებრივი შენობის საფუძველია**. ამიტომ, იგი მოითხოვდა საკუთრება ქალაქის ბურჟუაზიასა და მიწათმოქმედ გლეხობას გადასცემოდა.

ა. სენ-სიმონის ასოციაცია არ გულისხმობს კერძო საკუთრების შეცვლას საზოგადოებრივით. **კერძო საკუთრება თავის არსებობას ინარჩუნებს.** საზოგადოების კლასობრივი წყობაც რჩება, რამდენადაც მის იდეალურ საზოგადოებაში არსებობენ მეწარმეები და მუშები, არსებობს მეწარმის მოგებაც. **ა. სენ-სიმონის სამრეწველო სისტემა სახელმწიფო კაპიტალიზმს წააგავს.** მის პროექტში ბურჟუაზიული წყობილებისთვის დამახასიათებელი ატრიბუტები სოციალისტურ პრინციპებთანაა გადახლართული. შრომის საყოველთაო ხასიათით, სამუშაოთა საზოგადოებრივი გეგმით, ყველაზე მრავალრიცხოვანი და ღარიბი კლასის ბედზე მსჯელობით, ა. სენ-სიმონი, თანამედროვე ტერმინებით რომ ვთქვათ, ფაქტობრივად, **კონვერგენტულ სისტემას** გვთავაზობდა. ასეთი სისტემა დღეს ჩინეთში არსებობს. რადგან ა. სენ-სიმონის ინდუსტრიული საზოგადოების პროექტი პრაქტიკულად რეალიზებულია (ჩინეთში, სკანდინავიის ქვეყნებში), ამიტომ სოციალისტურ-უტოპიურის ნაცვლად მას სოციალისტურ-ჰუმანური შეიძლება ვუწოდოთ. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ჰენრი კისინჯერი (1973-1977), ნობელიანტი წერდა: „მე იმედგაცრუებული ვარ. კაპიტალიზმის იდეამ ვერ გაამართლა“.[1]

3. შარლ ფურიეს თეორია

სოციალისტ-ჰუმანისტების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ფრანგი მოაზროვნე **ფრანსუა მარი შარლ ფურიე** (1772-1837). იგი მდიდარი ვაჭრის ოჯახში დაიბადა. ერთხანს თავადაც ვაჭრობდა, იმის მიუხედავად, რომ ეს საქმიანობა სძულდა. როგორც თვით შ. ფურიე ამბობდა, „ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები სიცრუის სახელოსნოებში გავატარეო“. ვაჭრობის სიძულვილი მას აქეზებდა სოციალურ მოვლენებს დაკვირვებოდა და თავის ნაშრომებში გაეანალიზებინა.

[1] ფეისბუქი, 18.10.2018 წ.

შ. ფურიეს თხზულებებიდან აღსანიშნავია „ოთხი მოძრაობისა და საყოველთაო ბედ-იღბლის თეორია“ (1808), „ტრაქტატი შინაური და გარეული სამიწათმოქმედო ასოციაციის შესახებ“ (1822), „**ახალი სამრეწველო და საზოგადოებრივი სამყარო**“ (1829), „სავაჭრო თაღლითობის შესახებ“ და სხვ. ამ ნაშრომებში შ. ფურიემ გადმოსცა თავისი მსოფლმხედველობა, მოძღვრება ადამიანის შესახებ, დახატა საზოგადოების განვითარების ისტორიული სურათი, ბურჟუაზიული საზოგადოება გააკრიტიკა და ჩამოაყალიბა შეხედულებები მომავალზე.

ფრანსუა მარი შარლ ფურიე

ა) შ. ფურიეს ისტორიული კონცეფცია

შ. ფურიემ საზოგადოების ისტორიულ მსვლელობას საფუძვლად წარმოების განვითარება დაუდო და დაამტკიცა, რომ **საზოგადოება დაბალი საფეხურიდან მაღალისკენ ვითარდება.** ამასთან, ყოველ მომდევნო საფეხურს უფრო მაღლა აყენებდა. ძველი საზოგადოების ახლად გარდაქმნის საქმეში შ. ფურიე **რევოლუციურ მოქმდებას არ აღიარებდა.** ახალ საზოგადოებაზე გადასვლას იგი ადამიანების ცნობიერების განვითარებას, მათი ბუნების შეცვლას უკავშირებდა.

XIX საუკუნის 20-იანი წლების სამრეწველო და სავაჭრო ცენტრების ცხოვრებაზე დაკვირვებამ მ. ფურიეს განუმტკიცა აზრის იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიული ცივილიზაციის წყობა, მსხვილი მრეწველობის შექმნით, წარმოების კონცენტრაციით, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებით, თვითონვე ამზადებს პირობებს „**სოციეტარული**“ წყობილების დამყარებისთვის, რომელშიც გაჭირვება და უმეცრება არ უნდა იყოს. 1825 წლის პირველ დიდ სამრეწველო კრიზისზე დაკვირვებით მ. ფურიემ გააკეთა დასკვნა, რომ „**კრიზისი ანარქიული მეურნეობის შედეგია და სიჭარბის კრიზისს წარმოადგენსო**“.

ბ) კაპიტალიზმის კრიტიკა

კაპიტალიზმის კრიტიკის დროს შ. ფურიე თავისი ისტორიული კონცეფციიდან გამოდიოდა, რომლის თანახმადაც, საზოგადოება დაბალი, მარტივი საფეხურიდან მაღალისკენ ვითარდება. იგი მთელი ისტორიის მსვლელობას ოთხ საფეხურად ყოფდა: **ველურობა, ბარბაროსობა, პატრიარქატი** და **ცივილიზაცია.** ამ უკანასკნელში კაპიტალიზმს გულისხმობდა.

შ. ფურიე აღნიშნავდა, რომ სოციალურ მოძრაობას შეჩერება და ერთ წერტილზე გაყინვა არ უყვარს. იგი პროგრესისკენ მიისწრაფვის. მას ისე, როგორც წყალს და ჰაერს, ცირკულაციის მოთხოვნილება აქვს. დამდგარი წყალი იხრწნება. ჩვენი დანიშნულებაა წინსვლა. ყოველი პერიოდი ზემოთ უნდა მიისწრფვოდეს. ეს ბუნების კარნახია, რომ ბარბაროსობა მიისწრაფვის ცივილიზაციისკენ, ცივილიზაცია გარანტიზმისკენ, გარანტიზმი ასოციაციისკენ".[1]

შ. ფურიემ მკაცრად გააკრიტიკა ბურჟუაზიული ცივილიზაცია, კონკურენციული ბრძოლა, ძლიერების მიერ სუსტების განადგურება და სხვ. კაპიტალიზმის სოციალურ ბოროტებათა საფუძველს შ. ფურიე წარმოების დაქუცმაცებაში, წარმოების ანარქიაში, საზოგადოებრივ მოუწესრიგებლობაში ხედავდა. **კაპიტალიზმის დროს თითოეული ინდივიდი თავისი სარგებლობისთვის ზრუნავს და მეორე ინდივიდის მტერია.** მათი **ინდივიდუალური ინტერესები საზოგადოებისას ეწინააღმდეგება. ზოგიერთი მდიდრდება სხვების ხარჯზე.**

კაპიტალიზმის ბოროტების კვანძად შ. ფურიე ვაჭრობას თვლიდა. იგი წერდა, რომ **კაპიტალიზმის დროს ვაჭრობისთვის დამახასიათებელია ეგოიზმი, სიცრუე, თაღლითობა, თვითნებობა ფასების განსაზღვრაში, სპეკულაცია** და სხვ. ვაჭრობაში დასაქმებული ადამიანები წარმოებით პროცესს ჩამოცილებულნი არიან. კაპიტალისტური ვაჭრობა წარმოებასა და მოხმარებას, მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ურთიერთკავშირს არღვევს, კაპიტალიზმისთვის დამხასიათებელ ანარქიას აღრმავებს.

---

[1] ფურიე შ., რჩ. ნაწარმოებები. ტ. 2, მ., 1950, გვ. 391 (რუს.).

შ. ფურიეს მიხედვით, კაპიტალიზმის დროს **მშრომელების მდგომარეობა აუტანელია. კაპიტალისტთა სიმდიდრე და მშრომელთა სიღარიბე ერთიმეორითაა განპირობებული.**

სიმდიდრის ზრდა მშრომელთა მასების გაჭირვებას ზრდის. შ. ფურიე აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო მხოლოდ მდიდრებს იცავდა. იგი ილაშქრებდა ბურჟუაზიული თეორიების წინანაღმდეგ. ბურჟუაზიულ ეკონომისტებს ბრალს სდებდა, რომ ისინი მშრომელი მასების ინტერესებს უგულებელყოფდნენ, გულმოდგინედ ემსახურებოდნენ კაპიტალისტებს, ვაჭრებს, ქედს იხრიდნენ ოქროსა და ვერცხლის წინაშე. შ. ფურიე აკრიტიკებდა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას, რომელიც ერს, ხალხს გამდიდრებასა და კეთილდღეობას ჰპირდებოდა, სინამდვილეში კი გამეფებულია ძალადობა, მშრომელი მასების სიღატაკე და უსამართლობაო.[1]

შ. ფურიეს მტკიცებით, ცივილიზაციის წყობილებამ შრომა ადამიანის ნორმალურ ცხოველმოქმედებიდან საშინელებად აქცია. ამ საზოგადოებაში **ყველა, ვისაც ამის შესაძლებლობა აქვს, ყველანაირი გზით ცდილობს თავი დააღწიოს შრომას.** შრომა წვრილი მესაკუთრის, გლეხის, ხელოსნის, მეწარმისაც კი – ესაა განუწყვეტელი ბრძოლა კონკურენტებთან, უზრუნველყოფიის არარსებობა, დამოკიდებულება.

შ. ფურიე ამათრახებდა არა მარტო კაპიტალიზმის ეკონომიკურ წყობილებას, არამედ აგრეთვე მის პოლიტიკას, მორალს, კულტურას, აღზრდის სისტემას. განსაკუთრებით ბევრსა და მკვეთრად იგი იმის შესახებ წერდა, თუ როგორ რყვნის კაპიტალიზმი სქესთა ბუნებრივ, ადამიანურ ურთიერთობას.[2]

გ) მოძღვრება ასოციაციის შესახებ

შ. ფურიე არა მარტო აკრიტიკებდა კაპიტალიზმს, არამედ ლაპარაკობდა კაპიტალიზმის წარმავალი ხასიათისა და მისი „**სოციეტარული წყობით**“ აუცილებელი შეცვლის შესახებ, რომელ-

---

1 ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973, გვ, 170-171.

2 ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989, გვ, 386.

შიც მკვეთრად გაუმჯობესდებოდა მშორომელთა მდგომარეობა. შ. ფურიეს მიერ წარმოდგენილი მომავალი საზოგადოება დაფუძნებული უნდა ყოფილიყო პატარა საწარმოო კოლექტივ-ასოციაციების კოლექტიურ წარმოებაზე, რომელშიც ყოველი ადამიანის ნიჭი და უნარი ყოველმხრივ და სრულად განვითარდებოდა. ამ წყობილებაზე გადასვლას ფურიე სამ ეტაპად გულისხმობდა:

1. გარანტიზმი, ნახევრად ასოციაცია;
2. სოციანტიზმი, მარტივი ასოციაცია;
3. ჰარმონიზმი, რთული ასოციაცია.

პირველ ეტაპზე სოციალიზმზე გადასასვლელად პირობები უნდა მომზადებულიყო. **მთავარი პირობა უნდა ყოფილიყო მსხვილი წარმოების შექმნა,** რომელიც წვრილ წარმოებას მთლიანად მოსპობდა; შექმნიდა საზოგადოებრივი მეურნეობის გეგმაზომიერად განვითარების შესაძლებლობას; შრომასა და კაპიტალს შორის ურთიერთობა თანდათან დაახლოვდებოდა ასოციაციასთან; მუშები მონაწილეობას მიიღებდნენ მოგების განაწილებაში; ნახევრად ასოციაციის წევრები პრაქტიკულად დარწმუნდებოდნენ მსხვილი საზოგადოებრივი წარმოების, კვების, ტრანსპორტის უპირატესობასა და ეკონომიკურ ხელსაყრელობაში და, აი, მაშინ ჩამოყალიბდებოდა ჰარმონიზმი, ანუ ასოციაცია.

ასოციაციაში ყველა უნარი იმ სახით გამოვლინდებოდა, როგორც ისინი ღმერთმა ადამიანს მისცაო. შ. ფურიეს მიერ წარმოდგენილი ასოციაცია პირველადი უჯრედების - ფალანგებისგან – უნდა შემდგარიყო. ესაა სამომხმარებლო ასოციაცია, რომელიც სხვადასხვა ასაკის, ცოდნისა და ხასიათის 1600-1800 კაცს აერთიანებს. ფალანგა სერიებად იყოფოდა, რომელიც, თავის მხრივ, ჯგუფებად ნაწილდებოდა, ჯგუფში ერთიანდებოდა 7-9 კაცი, სერიაში იყო 24 ჯგუფი, ფალანგაში – არანაკლებ 50 სერია. ყოველი სერია შრომის გარკვეულ სახესთან იყო დაკავშირებული.

ფალანგის საწყისი ფონდი იქმნებოდა აქციონერთა ხარჯზე. ხოლო მისი წარმოების საშუალებანი კერძო საკუთრება იქნებოდა. ფალანგის წევრები, მათ შორის კაპიტალისტები და მიწათმფლობელები, თავიანთ ქონებას, კაპიტალსა და მიწას ფალანგას ჩააბარებდნენ, სანაცვლოდ აქციებს მიიღებდნენ, რომლებზედაც ყო-

ველ წელს, დივიდენდის სახით, გარანტირებულ მოგებას დაელოდებოდნენ. შ. ფურიეს პროექტით, ფალანგის მთელი შემოსავალი სამ ნაწილად გაიყოფოდა: 5/12 მიიღებდნენ სამუშაოთა აქტიური მონაწილენი, 4/12 მესაკუთრეები აქციების მიხედვით, როგორც მოგებას, 3/12-ს – ტალანტები, როგორც ცოდნის ჯილდოს. შემოსავლის ასეთ განაწილებას კლასობრივი ინტერესების ჰარმონიის მიღწევა უნდა უზრუნველეყო.

შ. ფურიე **განსაკუთრებით ყურადღებას უთმობდა საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციას.** შ. ფურიეს ფალანგაში შრომა მოკლე და სხვადასხვანაირი სეანსის ხასიათს ატარებდა. შრომის კაპიტალისტური დანაწილების უარყოფითი მხარეების აღმოფხვრა ფურიეს სურდა **შრომის ერთი სახეობიდან მეორეზე** ადამიანთა **ხშირი გადასვლით.** მისი თქმით, შრომის მრავალფეროვნება შრომას სასიამოვნოს გახდიდა.[1]

შ. ფურიეს მიაჩნდა, რომ ადამიანის უნარის ყოველმხრივი განვითარებისთვის ყველაზე ხელსაყრელ პირობებს ფალანგის ცენტრალური სასახლე-ფალანსტერი შექმნიდა, სადაც მოთავსდებოდა სახელოსნოები, ბიბლიოთეკები, სასადილო, სასტუმრო, სკოლა და სხვ.

შ. ფურიე ახალ სოციეტარულ საზოგადოებაში მდიდრებისა და ღარიბების კლასობრივ განსხვავებას, ქონებრივი უთანასწორობის არსებობას უშვებდა. მისი თქმით, ჰარმონიაში ყოველგვარი თანასწორობა პოლიტიკურ საწამლავს წარმოადგენს. ასოციაციის შექმნის ყველა წინანდელი ცდა მარცხით მთავრდებოდა იმიტომ, რომ იგი თანასწორობის პრინციპს ემყარებოდა.

შ. ფურიე და მისი მიმდევრები ცდილობდნენ პრაქტიკულად განეხორციელებინათ ასოციაციის იდეა. ამ საქმეში **შ. ფურიე იმედს კაპიტალისტ ფილანტროპის გამოჩენაზე ამყარებდა,** რომელიც მილიონს მისცემდა თავისი თეორიის პრაქტიკულად შემოწმებისთვის. მაგრამ ასეთი კაპიტალისტი არ აღმოჩნდა. მაშინ ფურიერისტებმა სააქციო კომპანია დაარსეს. აქციების გაყიდვის შედეგად მიღებული თანხით 1832 წელს პარიზიდან 63 კილომეტრის მოშორებით, **კონდე-სიურ-ბეგრაში,** გადაწყდა სადა ფალან-

[1] ფურიე შ., რჩ. ნაწარმოებები, ტ. 2, გვ. 84 (რუს).

სტერი აგებულიყო. მშენებლობას შ. ფურიე და მისი მოწაფეები (მიუპრონი, კონსიდერანი, ლეშევოლე და სხვ.) ხელმძღვანელობდენ. მაგრამ ეს წამოწყება მათ ბოლომდე ვერ მიიყვანეს.

იმ პერიოდში ფალლანსტერის შექმნის რამდენიმე წარუმატებელი ცდა იყო ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

4. რ. ოუენის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა

უტოპიური თეორიები დიდ ბრიტანეთშიც გავრცელდა. ამ მიმდიანრეობის მთავარი წარმომადგენელი რობერტ **ოუენი** (1771-1858) იყო. იგი სამხრეთ უელსის პატარა ქალაქ ნიუ-თაუნში, წვრილი ხელოსნის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ ცხრა წლის რობერტმა დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობა დაიწყო.

ფურიეს მსგავსად, ოუენს სისტემატური განათლება არ მიუღია, მაგრამ სამაგიეროდ თავისუფალი იყო ოფიციალური მეცნიერების ბევრი ცრურწმენისა და დოგმისგან,[1] იგი ბევრს მეცადინეობდა დამოუკიდებლად და მრავალი თხზულება დაწერა: „ადამიანის ხასიათის შექმნის შესახებ“ (1813), „შენიშვნები სამრეწველო სისტემის გავლენის შესახებ“ (1815), „მოხსენება ნიუ-ლენარკის საგრაფოს“ (1820), „საზოგადოების რაციონალური სისტემის გადმოცემა“ (1830), „წიგნი ახალი მორალური სამყაროს შესახებ“ (1836-1844), „რევოლუცია ადამიანთა მოდგმის ცნობიერებასა და პრაქტიკაში“[2] (1849) და სხვ.

რობერტ ოუენი

ბავშვობაში რობერტი წიგნის კითხვას მხოლოდ ხანდახან ახერხებდა. იგი ნოქრად მუშაობდა სტემფორდის, ლონდონისა და მანჩესტერის მაღაზიებში. შემდეგ მან ძმისგან სესხად

[1] ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, მ., 1971, გვ. 352 (რუს).

[2] ეს ნაწარმოები რ. ოუენმა თავისი მოღვაწეობის მეორე ნახევარში შექმნა – ჯ. ხ.

100 გირვანქა სტერლინგი აიღო და ერთ კომპანიასთან ერთად სართავი მანქანების დასამზადებელი პატარა სახელოსნო გახსნა. შემდგომ კი – სართავი მანქანის პატარა საწარმო, სადაც ორ-სამ მუშასთან ერთად თვითონაც მუშაობდა. 20 წლისა მსხვილი სართავი ფაბრიკის მმართველი და მფლობელი გახდა.

შოტლანდიაში, საქმეზე ყოფნის დროს, გლაზგოს მახლობლად ნიუ-ლენარკის დასახლებაში რ. ოუენი დაუახლოვდა სართავი ფაბრიკის უფროსის, მდიდარი მეფაბრიკის, დევიდ დეილის ქალიშვილს, რომელზედაც 1799 წელს იქორწინა და ნიუ-ლენარკში გადასახლდა. იქ იგი, რამდენიმე კაპიტალისტთან ერთად, თავისი სიმამრის ყოფილი ფაბრიკების თანამფლობელი და მმართველი გახდა.

ნიუ-ლენარკში რ. ოუენმა უფრო ორიგინალური საზოგადოებრივი საქმიანობა გაშალა. როდესაც იგი ფაბრიკის მმართველი გახდა, ნიუ-ლენარკის მოსახლეობა ძალიან ცუდად ცხოვრობდა. ეს იყო დემორალიზებული, ჭრელი და ბნელი მასა, რომელიც იძულებული იყო თავი ნიუ-ლენარკისთვის შეეფარებინა, რათა როგორმე ეარსება. ნიუ-ლენარკის ფაბრიკაში 2000 მუშა იყო დასაქმებული. რ. ოუენმა მკვეთრად შეცვალა ამ ადამინთა ხასიათი და განწყობა. ზარმაცი, ჭუჭყიანი და უზნეო ადამიანებისგან ისინი ბეჯით, ფხიზელ და მუყაით ადამიანებად იქცნენ. ამას რ. ოუენმა იმით მიაღწია, რომ მუშებს ადამიანური ცხოვრების პირობები შეუქმნა, ხოლო მათ ბავშვებს კარგი აღზრდა მისცა. ფაბრიკის მოწყობის დროს, სახელდახელოდ შეკოწიწებული ბარაკების ნაცვლად, რ. ოუენმა მუშებისთვის მოხერხებული და ჰიგიენური ორ-სამოთახიანი საცხოვრებელი სახლები ააშენა, რომლებიც იმ ფასად ქირავდებიდა, რომ მხოლოდ მშენებლობის ხარჯები ანაზღაურებულიყო. რ. ოუენმა მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარა, რათა დასახლება კარგი სანოვაგით მოემარაგებინა. ფაბრიკის ხარჯზე საზოგადოებრივი მაღაზია გახსნა, სადაც მუშებს შეეძლოთ იაფად შეეძინათ ხარისხიანი პროდუქტები.

ლოთობის მოსასპობად რ. ოუენმა საკუთარი სამიკიტნო გახსნა, სადაც მაღალი ხარისხის სასმელის შეძენა შეიძლებოდა უფრო იაფად, ვიდრე კერძო სამიკიტნოებში. კერძო სამიკიტნოების

მეპატრონეებმა კი კონკურენციას ვერ გაუძლეს და იძულებულნი გახდნენ თავიანთი სამიკიტნოები დაეხურათ.

არსებული 13-საათიანი სამუშაო დღის ნაცვლად რ. ოუენმა 10,5 საათიანი სამუშაო დღე დააწესა. მოაწყო ბავშვთა ბაგები, ბაღები, სკოლა, სადაც სასწავლო ხარჯებს საწარმო იხდიდა. მუშებისთვის მოაწყო საავადმყოფო, ურთიერთდახმარების სალაროები, მოხუცებისთვის დააწესა პენსიები და ა.შ.

მაგრამ რ. ოუენის მოღვაწეობამ მისი კომპანიონი კაპიტალისტები გაანაწყენა და იგი დირექტორობიდან გადააყენეს. ამან დაარწმუნა რ. ოუენი, რომ ასეთი ღონისძიებებით ბურჟუაზიული ურთიერთოებების გარდაქმნა შეუძლებელი იყო.

შემდეგ მან წამოაყენა მთელი საზოგადოებრივი სისტემის ძირეული გარდაქმნის იდეა. ოუენი ფიქრობდა, რომ ნიუ-ლენარკის გამოცდილება შეიძლება გამოეყენებინათ კაპიტალიზმის ჩარჩოებში კომუნისტური ასოციაციის შესაქმნელად.

1815 წელს რ. ოუენი გამოვიდა სამუშაო დღის შემცირებიას და მოზარდთა დაცვის მოთხოვნით. მან პარლამენტში შეიტანა კანონპროექტი, რომელსაც მმართველი წრეები მტრულად შეხვდნენ. მაგრამ ოთხი წლის შემდეგ შეკვეცილი სახით იგი კანონად გამოიცა. 1817 წელს რ. ოუენმა აქტიური მონაწილეობა მიიღო უმუშევრობის საკითხის გარჩევაში. მან წარმოადგინა კოოპერაციულ დასახლებათა მოწყობის პროექტი. ასეთ დასახლებაში გაერთიანებული იქნებოდა 1500-მდე ადამიანი. წაროების საშუალებანი საზოაგდოებრივ საკუთრებაში უნდა ყოფილიყო. რ. ოუენი ცდილობდა ასეთი გზით არა მარტო უმუშევრობის ლიკვიდაციას, არამედ აღზრდის გაუმჯობესებასა და ადამიანთა ხასიათის გარდაქმნას. მთავრობამ უარყო ოუენის პროექტი. რ. ოუენი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა მთელი საზოგადოებრივი სისტემის შეცვლა. მან დაიწყო თავისი იდეის პროპაგანდა. **რ. ოუენის იდეის შთაგონებით, XIX საუკუნის 20-იან წლებში ინგლისში კოოპერაციული ორგანიზაციები წარმოიშვა.**

1824 წელს რ. ოუენი თავის მიმდევრებითა და ოჯახით აშშ-ში გადასახლდა. იქ მან 30 ათასი აკრი მიწა შეიძინა ნაგებობებით და კოოპერაციული თემი – „**ახალი ჰარმონია**“ მოაწყო. ამით მან ნაბიჯი გადადგა თავისი იდეის პრაქტიკულად განცხორციელები-

საკენ. მაგრამ, საბოლოოდ, იქაც ვერ მოიპოვა წარმატება. თემმა მხოლოდ ოთხი წელი იარსება. 1829 წელს ოუენი ინგლისში დაბრუნდა, სადაც შეიმუშავა „შრომის სამართლიანი გაცვლის ეროვნული ბაზრის“ მოწყობის პროექტი, რომლის განხორციელების შედეგად უნდა გარდაქმნილიყო საზოგადოება. მან განიზრახა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მოესპო ფული და ბაზრის მეშვეობით განხორციელებულიყო საქონლის მწარმოებელთა უშაულო კავშირი.

ასეთი „ბაზარი“ ლონდონში 1832 წელს გაიხსნა. „ბაზარს“ ჰქონდა ბანკი, სადაც ყველას შეეძლო მოეტანა და ჩაებარებინა თავისი საქონელი. იგი შეფასდებოდა ექსპერტების მიერ და მის პატრონს მიეცემოდა ქვითარი, ანუ „შრომითი ფული“, რომელზეც აღინიშნებოდა რამდენი შრომა-საათია დახარჯული ჩაბარებული საქონლის წარმოებაზე. ამ ქვითრით მის მფლობელს შეეძლო ბანკში მიეღო სხვა საქონელი, რომლის წრმოებაზეც იმდენივე შრომა-საათი იყო დახარჯული.[1]

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ეკონომიკური უთანასწორობის მთავარ მიზეზად რ. ოუნი წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას თვლიდა. მისი თქმით, **კერძო საკუთრება და კონკურენცია იწვევს ადამიანის ზნეობრივ დაცემას, ანგარებას, თაღლითობას და ა.შ.** რ. ოუენის მიერ დახატულ **ახალ საზოგადოებაში არ უნდა ყოფილიყო კერძო საკუთრება.**

რ. ოუენი, შ. ფურიეს მსგავსად, **კაპიტალისტურ ვაჭრობასაც უარყოფითად ახასიათებდა.** იგი ვაჭრების შრომას უნაყოფოდ თვლიდა და მიაჩნდა, რომ ვაჭრები თავიანთი სავაჭრო ხარჯებით საქონლის ღირებულებას ზრდიან და საქონელს აძვირებდნენ. ამიტომ მათ პარაზიტებს უწოდებდა. რ. ოუენი იმდოვნებდა, რომ „შრომის სამართლიანი ბაზრის“ მეშვეობით შეიძლებოდა ვაჭრების თავიდან მოცილება, საქონლის შეუფერხებლად გასაღება, უმუშევრობისა და კრიზისების მოსპობა. მაგრამ ორი წლის ფუნქციონირების შემდეგ ამ ბანკმა კრახი განიცადა და ეს ექსპერიმენტიც ჩაიშალა.

---

[1] ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973.გვ,175-177.

რ. ოუენი მიიჩნევდა, რომ ყველეფერში დამნაშავე ფულია, ღირებულების ეს ხელოვნური საზომი, რომელმაც ღირებულების ბუნებრივი საზომი – შრომა გამოდევნა.

რ. ოუენი იზიარებდა დ. რიკარდოს **შრომითი ღირებულების თეორიას** და აღნიშნავდა, რომ შრომა არის ღირებულების შემქმნელი და საზომი; საქონელი უნდა იცვლებოდეს შრომის მიხედვით. ეს იმას გულისხმობს, რომ მუშა უნდა იღებდეს მის მიერ წარმოებული საქონლის სრულ ღირებულებას, რაც, რ. ოუენის აზრით, ასე არ იყო. ამაში **იგი ბრალს კაპიტალიზმს სდებდა და სოციალიზმით მის შეცვლას მოითხოვდა.**

რ. ოუენის მიხედვით, **ახალ საზოგადოებაზე გადასვლა მშვიდობანი გზით უნდა განხორციელებულიყო.** ა. სენ-სიმონის და შ. ფურიეს მსგავსად, ისიც მიმართავდა სახელმწიფო მოღვაწეებს, კაპიტალისტებს, მემამულეებს და ცდილობდა, ისინი დაერწმუნებინა ახალი საზოგადოების უპირატესობაში.

რ. ოუენის პროექტები **განუხორციელებელი – უტოპიური დარჩა,** ვინაიდან ისინი წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრული იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
2. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973.
3. ენგელსი ფ., ანტი-დიურინგი, თბ., 1952.
4. თოდუა გ., შარლ ფურიე, ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი," №4, 1962.
5. ლენინი ვ. ი., მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, თხზ., ტ. 19.
6. ლენინი ვ., ორი უტოპია თხზ. ტ. 18.
7. მარქსი კ., ენგელსი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1854.
8. მარქსი კ., ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი), ნაწ. I, თბ., 1968.
9. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
10. წულუკიძე ა., თხზულებები თბ., 1967.

11. ჭანუყვაძე გ., სენ-სიმონი, ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი“, №10, 1960.
12. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., I , თბ., 1997.
13. Hunt E. K. and Mark Lautzenheiser, History of Ekonomic Thought. Sird Edicion. A Critical Perspective. Armonk, New York, London, England, 2011.
14. Вознесенская В.Л., Экономические воззрения великих социалистов утопистов запада, М.,1958.
15. Волгин В.П., Сен-симон и Сен-симонизм, М., 1961.
16. Всемирная история экономической мысли т.1, М., 1987.
17. Годскин Т., Сочинения, М., 1938.
18. Грей Д., Сочинения, М., 1955.
19. Жидь Ш. и Ристь Ш., История экономических учений, М., 1918.
20. История экономической мысли т.1, М., 1961.
21. Оуен Р., Избранные сочинения, М., 1850.
22. Реуель А.,Л., Западноевропейский утопической социализм, М., 1963.
23. Сен-симон, Избранные сочинения, т. 1-2 , М., 1948.
24. Семенов В., Сен-симон, Фурие и их школы М., 1926.
25. Фурие Ш., Избранные сочинения, М., 1950.

ნაწილი III

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ეკონომიკური აზრი

თავი XII. კარლ მარქსის ეკონომიკური მოძღვრება

მარქსიზმის მოძღვრებას ყოველთვის არაერთმნიშვნელოვნად აფასებდნენ. მას ყოველთვის ჰყავდა მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. ამგვარი დამოკიდებულება ახლაც გრძელდება. ორივე მხარეს თავისი პოზიცია და არგუმენტები გააჩნია. მაგრამ ეთანხმებიან თუ არა, მსოფლიოს გამოჩენილი ეკონომისტები კ. მარქსს, როგორც ეკონომისტს, ავტორიტეტად მიჩნევენ. თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები – რ. ჰეილბრონერი და ლ. ტუროუ – კ. მარქსს კაცობრიობის ყველა დროის გამოჩენილ ეკონომისტთა სამეულში ასახელებენ – **ადამ სმითი, კარლ მარქსი** და **ჯონ მეინარდ კეინზი.** იქვე იმასაც მიუთითებენ, რომ ეს სამი სახელი ზოგიერთს სასიამოვნო ჟრუანტელს გვრის, ზოგიერთს კი – უსიამოვნო ჟრჟოლას, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ არიან ისინი – კონსერვეტორები, რადიკალები თუ ლიბერალები.[1]

რ. ჰეილბრონერი და ლ. ტუროუ მკაფიოდ წერენ: „**იმისათვის, რომ გავიგოთ ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, ძირითადი მიზანი, უმჯობესია მივმართოთ სამი უდიდესი ეკონომისტის – ადამ სმითის, კარლ მარქსისა და ჯონ მეინარდ კეინზის – ნაშრომებს**“.[2] იგივე ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ, „როგორც რევოლუციური ინტელექტუალი, კ, მარქსი ალბათ იყო ოდესმე არსებულ აზრთა იღბლიანი მეამბოხე. გარემოებათა ძალით, იგი შეიძლება შეედაროს უდიდეს რელიგიურ ლიდერებს – ქრისტეს, მუჰამედს და ბუდას“.

თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები, ნობელის პრემიის ლაურეატები პ. სამუელსონი და უ. ნორდჰაუსი წერენ: „მსოფლიოს

---

1 ჰეილბრონერი რ. და ტუროუ ლ., ეკონომიკა ყველასათვის, ლონდონი, 1991, გვ. 27 (რუს).

2 იქვე, 35.

მოსახლეობის მესამედი იმ ქვეყნებში ცხოვრობს, სადაც „**კაპიტალი**“ ეკონომიკურ სახარებას წარმოადგენსო“.[1] ეს ეკონომისტებიც კარლ მარქსს მსოფლიოს გამოჩენილ ეკონომისტთა მოწინავე რიგებში ასახელებენ, **ადამ სმითის, ჯონ მეინარდ კეინზისა** და **რობერტ ლუკასის** გვერდით.

კ. რ. მაკკონელისა და სტენლი ლ. ბრიუს კი კ. მარქსი წარსულის უდიდესი ეკონომისტების ხუთეულში შეჰყავთ: **ა. სმითი, დ. რიკარდო, ჯ. ს. მილი, კ. მარქსი და ჯ. მ. კეინზი.**[2]



კარლ მარქსი

თანამედროვე ინგლისელი ეკონომისტი მარკ ბლაუგი წერს: „კ. მარქსი ექვემდებარებოდა გადაფასებას, გადასინჯვას, უარყოფას. ის ათასგზის დამარხეს, მაგრამ ყოველთვის ცოცხლობდა. როდესაც ცდილობენ ესესხონ ინტელექტუალურ წარსულს, მას იხსენებენ. კარგია თუ ცუდი მისი იდეები, ისინი ჩვენი წარმოდგენების, სამყაროს ნაწილია, რომლის ჩარჩოებშიც ყველა ჩვენგანი ვაზროვნებთ“.[3] 2007 წელს დაწყებული გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში პრობლემატური გახდა რეალიზაციის საკითხი. ამ ვითარებაში კვლავ შეიძინა აქტუალობა კ. მარქსის „კაპიტალმა“. მასში მოცემულია კაპიტალისტური კვლავწარმოების სქემები, რეალიზაციის პირობები I და II ქვედანაყოფებს შორის. **ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე ყველაზე დიდი ტირაჟით სწორედ კ. მარქსის „კაპიტალი“ გაიყიდა.**

მარქსიზმი წარმოშვა XIX საუკუნის 40-იან წლებში დასავლეთ ევროპაში. მისი სამშობლო იყო გერმანია. მარქსიზმის ფუძმდე-

---

1 სამუელსონი პ., ნორდჰაუსი უ., ეკონომიქსი, თბ., 1992, გვ. 10.

2 მაკკონელი კ. რ., ბრიუ ს. ლ., ეკონომიქსი, ნაწ. I, თბ., 1993, გვ. 7.

3 ბლაუგი მ., ეკონომიკური აზრი რეტროსპექტივაში. თარგმნ. ინგლისურიდან, მ., 1996, გვ. 207 (რუს.).

ბელნი კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი რაინის მხარის მკვიდრი იყვნენ.

კარლ ჰენრიხ მარქსი (1818-1883) დაიბადა გერმანიის ქალაქ ტრირში საკმაოდ შეძლებული და განათლებული იურისტის ოჯახში. 1836 წელს იგი შევიდა ბონის უნივერსიტეტში, ერთი წლის შემდეგ გადავიდა ბერლინის უნივერსიტეტში. იქ სწავლობდა იურიდიულ მეცნიერებას თუმცა, უმეტეს დროს ისტორიის და ფილოსოფიის შესწავლას ანდომებდა. 1841 წელს კ. მარქსმა დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი. მან გადაწყვიტა თავისი ცხოვრება მეცნიერებისთვის მიეძღვნა და დაწერა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „განსხვავება დემოკრიტეს და ეპიკურეს ბუნების ფილოსოფიათა შორის“. 1841 წლის აპრილში იენის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ამ დისერტაციის საფუძველზე კ. მარქსს დაუცველად მიანიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

მაქსისზმის საწყის თარიღად მიიჩნევა 1844 წელი. ამ წელს კ. მარქსი და ფრ. ენგელსი პარიზში ერთმანეთს გაეცნენ. ფრ. ენგელსთან ურთიერთობამ ხელი შეუწყო იმას, რომ კ. მარქსმა გადაწყვიტა, ემუშავა პოლიტიკურ ეკონომიაში.

მარქსიზმის ადრეულ ნაშრომებში – „ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, „წმინდა ოჯახი“, „გერმანული იდეოლოგია“, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, „ფილოსოფიის სიღატაკე“, „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“, „კომუნიზმის პრინციპები“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ – ჩამოყალიბდა მარქსისტული ფილოსოფია და პოლიტიკა. **მარქსიზმის ფილოსოფიად იქცა დიალქეტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, პოლიტიკად – კომუნიზმი.**

კარლ მარქსის „კაპიტალი“

მარქსიზმის მთავარ ნაშრომს კარლ მარქსის „კაპიტალი“ წარმოადგენს.

1867 წლის სექტემბერში კ. მარქსმა გერმანიის ქალაქ ჰამბურგში გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა **„კაპიტალის“ I ტომი.** როგორც თვით კ. მარქსი აღნიშნავდა, „კაპიტალის“ „გამოკვლევის საგანს

შეადგენდა **კაპიტალისტური წარმოების წესი და მისი შესაბამისი წარმოებისა და გაცვლის ურთიერთობანი.**"[1] თავისი ნაწარმოების საბოლოო მიზნად კ. მარქსი მიიჩნევდა კაპიტალიზმის მოძრაობის ეკონომიკური კანონის აღმოჩენას.[2] „კაპიტალის" პირველ ტომში საქონლის, საქონელში განხორციელებული შრომის ორადი ხასიათისა და ღირებულების ანალიზის საფუძველზე კ. მარქსმა აღმოაჩინა **ზედმეტი ღირებულების კანონი,** რომელიც მისი ეკონომიკური თეორიის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

„**კაპიტალის**" I ტომში გამოკვლეულია კაპიტალისტური **წარმოების პროცესი** აღებული თავისთავად, როგორც საქონლის ღირებულების, ზედმეტი ღირებულების წარმოების პროცესი.

ზედმეტი ღირებულების აღმოჩენით კ. მარქსმა ახსნა **კაპიტალის არსი.** მისი თქმით, კაპიტალი „**მკვდარი შრომაა, რომელიც, ვამპირის მსგავსად, მხოლოდ მაშინ ცოცხლდება, როცა ცოცხალ შრომას შეიწოვს და მით უფრო დიდხანს ცოცხლობს, რაც უფრო მეტ შრომას შთანთქავს**".[3] „კაპიტალის" I ტომში კ. მარქსი აჩვენებს კაპიტალიზმის მისიას, განსაზღვრავს მის ისტორიულ ადგილს. მისი თქმით, კაპიტალის დაგროვების პროცესში წარმოების სულ უფრო მეტი საშუალებები იყრის თავს ერთი მუჭა კაპიტალისტების ხელში, მრავალთა წვრილი საკუთრება მცირეოდენთა მსხვილ საკუთრებად იქცევა, ხალხის ფართო მასებს არ-თმევენ მიწას, საარსებო საშუალებებსა და შრომის იარაღებს. ყოველივე ეს კაპიტალის ისტორიის შესავალს წარმოადგენს. მაგრამ მას შემდეგ, რაც კაპიტალისტური წარმოება ფეხზე მყარად დგება და წარმოების საშუალებათა განსაზოგადოება ფართოვდება, ექსპროპრიაცია მოელის არა მარტო მუშას ან წვრილ მწარმოებელს, არამედ არამონოპოლიზირებულ კაპიტალისტსაც. „კაპიტალის მონოპოლია, – ამბობს კ. მარქსი, – იმ წარმოების წესის ბორკილებად იქცევა, რომელიც მონოპოლიასთან ერთად და მისი დახმარებით აყვავდა. წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება იქამდე აღწევს, სადაც ისინი თავიანთ

---

1 მარქსი კ., „კაპიტალი" ტ. I, გვ. 7.

2 იხ. იქვე გვ. 8.

3 მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული წერილები, გვ. 295.

კაპიტალისტურ გარსში ვეღარ მოთავსდებიან. ეს გარსი სკდება, რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი და დგება დრო ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციისა“.[1]

1883 წლის 14 მარტს 65 წლის ასაკში კ. მარქსი გარდაიცვალა, ისე, რომ მან ვერ დაასრულა თავისი გამოკვლევა კაპიტალის შესახებ. სიკვდილის წინ კ. მარქსმა თავისი ხელნაწერები ფ. ენგელსს დაუტოვა ანდერძით, რათა მას გამოქვეყნებინა.

1885 წელს **ფ. ენგელსის რედაქციით** გამოქვეყნდა კ. მარქსის **„კაპიტალის“ II ტომი.**

„კაპიტალის“ II ტომის გამოკვლევის საგანს შეადგენს **კაპიტალისტური მიმოქცევის პროცესი,** რომელიც ავსებს წარმოების პროცესს, ვინაიდან უშუალო წარმოების პროცესი კაპიტალის სიცოცხლისუნარიანობას არ ამოწურავს.

„კაპიტალის“ II ტომში წარმოების პროცესი შეისწავლება იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია კაპიტალის მიმოქცევის პროცესის, როგორც კაპიტალის ფორმათა ცვლის პროცესის, გასაგებად.

ფ. ენგელსის დამსახურება იყო, აგრეთვე, „კაპიტალის“ III ტომის მომზადება დასაბეჭდად. **„კაპიტალის“ III ტომი** გამოიცა 1894 წელს. „კაპიტალის“ მეორე ტომში ნაჩვენები იყო, რომ კაპიტალისტური წარმოების პროცესი წარმოებისა და მიმოქცევის პროცესის ერთიანობას წარმოადგენს. ამ ტომში მთავარი და გადამწყვეტი არის **გარდაქმნილი ფორმების ანალიზი.** ხარჯთფასი ღირებულების გარდაქმნილი ფორმაა, მოგება – ზედმეტი ღირებულების, მოგების ნორმა – ზედმეტი ღირებულების ნორმის.

„კაპიტალის“ III ტომში გამოკვლეულია კაპიტალის ის ფორმები, რომლებიც მისი მოძრაობიდან წარმოიშობა და ზედაპირზე გამოიკვეთება. აქ გამოკვლეულია არსიც და გამოვლენის ფორმაც.

„კაპიტალის“ IV ტომი, ანუ **„ზედმეტი ღირებულების თეორიები“** გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა **კარლ კაუცკიმ** 1905-1910 წლებში გამოაქვეყნა. ეს ნაწარმოები დაყოფილია 3 ნაწილად.

---

[1] მარქსი კ., „კაპიტალი,“ ტ. I, თბ., 1954, გვ. 856-857.

პირველ ნაწილში უმთავრესად მოცემულია ფიზიოკრატებისა და ადამ სმითის შეხედულებათა ანალიზი და კრიტიკა.

„ზედმეტი ღირებულების თეორიების“ **მეორე ნაწილში** ცენტრალური ადგილი ეთმობა დ. რიკარდოს ეკონომიკურ შეხედულებათა სისტემის კრიტიკულ ანალიზს. მასში, უმთავრესად, განხილულია დ. რიკარდოს რენტის თეორია და მასთან დაკავშრებულ ღირებულებისა და წარმოების ფასის თანაფარდობის პრობლემას.

„ზედმეტი ღირებულების თეორიების“ **მესამე ნაწილში** კ. მარქსი აგრძელებს დ. რიკარდოს სისტემის კრიტიკას, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელების – რ. ტორენსის, ჯ. მილის, ჯ. რ. მაკ-კულოხის, ა. შერბულიეს, ჯ. ჯონსის და სხვათა – იდეებს აანალიზებს. ამავე ნაწილში, კ. მარქსი განიხილავს სოციალისტ-რიკარდოელების შეხედულებებს.

მარქსიზმის გვიანდელ ნაწარმოებებში („გოთას პროგრამის კრიტიკა“, „ანტიდიურინგი“, „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“) მნიშვნელოვანი ადგილი სოციალიზმის თეორიის საკითხებს უკავია.[1]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბლაუგი მ., ეკონომიკური აზრი რეტროსპექტივაში. თარგმნ. ინგლისურიდან, მ., 1996, გვ. 207 (რუს.).
1. გუგუშვილი პ., კ. მარქსის იდეები მე-19 საუკუნის 60-80-იან წლების ქართულ საზოგადოებაში. იხ. კ. მარქსის ეკონომიკური მოძღვრება, თბ., 1968.
2. მარქსი კ., კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954.
3. მარქსი კ. კაპიტალი, ტ. II, თბ.,1957.
4. მარქსი კ., კაპიტალი, ტ. III, თბ.,1959.
5. მარქსი კ., პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისთვის, თბ., 1953.
6. მარქსი კ., ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, თბ., 1966, ნაწ. II, თბ., 1968, ნაწ. III, თბ., 1975.
7. მარქსი კ., ენგელსი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1854.

[1] უფრო ვრცლად, იხ.: ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ. I, თბ., 1997.

8. მარქსი კ., ენგელსი ფ., რჩეული წერილები, თბ., 1949.
9. ნუცუბიძე ა., კ. მარქსის გენიალური ნაწარმოები „კაპიტალი“, თბ., 1971.
10. სამუელსონი პ., უ. ნორდჰაუსი, ეკონომიქსი, თბ., 1992.
11. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
12. ფანცხავა ა., კ. მარქსის „კაპიტალი“, თბ., 1953.
13. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1985.
14. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., I , თბ., 1997.
15. Hunt E. K. and Mark Lautzenheiser, History of Ekonomic Thought. Sird Edicion. A Critical Perspective. Armonk, New York, London, England, 2011.
16. Блауг М., Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.
17. Всемирная история экономической мысли, т.1, М., 1987.
18. Жидь Ш. и Ристь Ш., История экономических учений, М., 1918.
19. История экономической мысли, т.1, М., 1961.
20. Хеилбронер Р. и Туроу Л., Экономика для всех, Лондон, 1991.

თავი XIII. გერმანული დისიდენტური სკოლის ეკონომიკური მოძღვრება

დისიდენტური ეკონომიკური აზრი XIX საუკუნის შუახანებში გერმანიაში ჩამოყალიბდა. ამ დროისათვის გერმანია დაქუცმაცებული, ჩამორჩენილი და აგრარული ქვეყანა იყო. ეკონომიკური განვითარების დონით ის ინგლისსა და საფრანგეთსაც კი ძალიან ჩამორჩებოდა.

XIX ს-ის პირველ ნახევარში გერმანიაში მრავალი დამოუკიდებელი სამთავრო, საჰერცოგო, საეპისკოპოსო იყო. ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება პარალიზებული იყო მრავალი შიდა საბაჟო ბარიერით, კომერციული კანონმდებლობის, ერთიანი ფულადი სისტემის, აგრეთვე, ზომისა და წონის ერთიანი სისტემის არარსებობის წყალობით. მხოლოდ 1834 წელს შეიქმნა **საბაჟო კავშირი,** რომელმაც სათავე დაუდო გერმანიის ეკონომიკურ განვითარებას. კაპიტალიზმი გერმანიაში მხოლოდ 40-60-იან წლებში განვითარდა.

გერმანიის მნიშვნელოვანი თავისებურება იყო სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზა, რომელიც მემამულეების (იუნკერების) სოციალ-პოლიტიკური ბატონობითა და მემამულური მეურნეობის თანდათანობით შეგუებით ხასიათდებოდა კაპიტალიზმთან, რომელიც დიდხანს ინარჩუნებდა ნახევრად ფეოდალურ ნიშნებს.

პოლიტიკური ეკონომია გერმანიაში 20-30-იან წლებში ვითარდებიდა, როგორც პრუსიული მონარქიისა და სხვა მთავრების მოსამსახურე. მაგრამ ახალი დროება მაინც სიახლეს მოითხოვდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა **ფრიდრიხ ლისტი.**

1. ეროვნული ეკონომიკა. ფრიდრიხ ლისტი

ფრიდრიხ ლისტი (1789-1846) გერმანული ბურჟუაზიის მისწრაფებებს გამოხატავდა. მისი წვლილი ეკონომიკურ მეცნიერებებში მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს, რამდენადაც იგი პრინციპულად სხვა გზებით მიდიოდა, ვიდრე ინგლისელი კლასიკოსები,

რომლებიც, აგრეთვე, ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ, მაგრამ სხვა ისტორიულ და სოციალურ პირობებში.

ფ. ლისტი მოითხოვდა და ასაბუთებდა გერმანიაში კაპიტალიზმის განვითარებას, მას სურდა ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიისგან განსხვავებული სისტემის შექმნა.

ფრიდრიხ ლისტი

ფ. ლისტი დაიბადა შვაბიაში, ქალაქ რეიტლინჰში, შეძლებული ხელოსნის (დაბაღის) ოჯახში. შემდეგში ფ. ლისტიც ფაბრიკის მფლობელი გახდა. 1819 წელს მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა **„გერმანელი მრეწველებისა და კომერსანტების გენერალური ასოციაცია“.** ფ. ლისტი იმდროინდელი გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობდა. მას პოლიტიკურ მეცნიერებათა კათედრა ეკავა ტიუბინჰენში. მანვე დაარსა **ჟურნალი „შვაბი ხალხის მეგობარი“,** თუმცა გამოცემა მალე დაიხურა. უფრო მეტიც, შექნილი მდგომარეობის გამო იგი იძულებული გახდა სამსახურისთვის თავი დაენებებინა. პარლამენტში ყოფნისას ოპოზიციის შექმნის აგიტაციისთვის მას 10 თვით პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ იგი დაპატიმრებას არ დაელოდა და საზღვარგარეთ გაიქცა. ფ. ლისტმა იმოგზაურა საფრანგეთში, შვეიცარიაში და 1825 წელს აშშ-ში ჩავიდა.

ამერიკაში ფ. ლისტმა ხელი მოჰკიდა კერძო მეწარმეობას. პირველ ხანებში მან დიდი მოგებაც მიიღო, მაგრამ ჭარბწარმოების კრიზისის გამო მისი წარმოება გაკოტრდა.

ამერიკაში ყოფნისას ფ. ლისტმა გამოაქვეყნა სტატიები, რომლებშიც მან ამერიკელი ეკონომისტის, ჰამილტონის თხზულებების, აგრეთვე თვით ამერიკული პროტექციონიზმის პრაქტიკის გავლენით, თავისი **პროეტქციონიტული მოსაზრებები** განამტკიცა. 1827 წელს საერთო სათაურით – „პოლიტიკური ეკონომიის თე-

ორიის ახალი ნარკვევები“ მან 12 წერილი გამოქვეყნა, რომლებშიც სისტემურად გადმოსცა საკუთარი შეხედულებები სავაჭრო პოლიტიკის პრინციპებზე.

1832 წელს ფ. ლისტი **გერმანიაში დაბრუნდა როგორც ამერიკის კონსული** და თავისი იდეების ენერგიულ პროპაგანდას შეუდგა. 1841 წელს მან გამოაქვეყნა თავისი მთავარი ნაშრომი: **„პოლიტიკური ეკონომიის ეროვნული სისტემა“,** რომელშიც ცენტრალური ადგილი გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებს უკავია.

თავის ნაწარმოებში იგი ფეოდალიზმის ნაშთების მოსპობას მოითხოვდა, რადგან გერმანიაში კაპიტალიზმის განვითარებას ხელს უშლიდა ფეოდალური ურთიერთობანი. ფ. ლისტის მტკიცებით, **გერმანიის გაერთიანებისა და აყვავების გზას მრეწველობის ზრდა წარმოადგენდა. გერმანიის მრეწველობა კი ძლიერი უცხოური კონკურენციისგან დაცვას საჭიროებდა** მაღალი საიმპორტო ბაჟებითა და სავაჭრო პოლიტიკის სხვა საშუალებებით.

ფ. ლისტმა გაილაშქრა კლასიკური სკოლის წარმოადგენელთა (პირველ რიგში, კი ა. სმითის) წინააღმდეგ, მან **სმითისეულ სისტემას კოსმოპოლიტური** უწოდა. იგი ამ სისტემას იმას უწუნებდა, რომ ვერ ხედავდა ცალკეული ქვეყნების განვითარების ეროვნულ თავისუბურებას და მათ პოლიტიკის ერთიან კანონებს და წესებს დოგმატურად თავს ახვევდა. ფ. ლისტი თავის მიერ წამოყენებული სიტემის დამახასიათებელ განსხვავებას ეროვნულ ხასიათში ხედავდა **„მთელი ჩემი შენობა ერის ბუნებას ეფუძნებაო“**, – წერდა იგი. ფ. ლისტმა თავისი კრიტიკა ბურჟუაზიული კლასიკური სკოლის **შრომითი ღირებულების თეორიის** წინააღმდეგ მიმართა და მას **მწარმოებლურ ძალთა თეორია** დაუპირისპირა. ის მწარმოებლურ ძალებში გულისხმობდა პოლიტიკურ და სამართლებრივ დაწესებულებებს, რელიგიას, მორალსა და სხვ.

მწარმოებლურ ძალთა თეორიაზე დაყრდნობით, ფ. ლისტი პროტექციონისტული პოლიტიკის დასაბუთებასა და გერმანიის მწარმოებლურ ძალთა განვითარების უზრუნველყოფას შეეცადა. ა. სმითის და დ. რიკარდოს შეხედულებები თავისუფალი ვაჭრობის აუცილებლობის შესახებ გერმანიის ბურჟუაზიისთვის მიუღებელი

იყო. ამიტომ, ფ. ლისტი თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკის გატარების საკითხებში მათ შეხედულებებს არ იზიარებდა და **პროტექციონისტულ პოლიტიკას** იცავდა, რომელიც გერმანიის ბურჟუაზიის ინტერესებს შეესაბამებოდა. ამით გამოიხატა ფ. ლისტის **დისიდენტური** პოზიცია.

ფ. ლისტიც ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა, მაგრამ მისი პროტექციონისტული პოლიტიკა გერმანიის ბურჟუაზიისთვის სასარგებლო იყო, ხოლო ინგლისის კლასიკური სკოლის წარმომადგენლთა მიერ **ფრიტრედერობის დაცვა** ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა. აქ განსხვავება ისაა, რომ **ფ. ლისტი უარყოფდა ბურჟუაზიული კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა ეკონომიკური პოლიტიკის უნივერსალურ ხასიათს.** ფ. ლისტის ეკონომიკურ შეხედულებებში ყველა საკითხი და პრობლემა გერმანიის ბურჟუაზიის სასარგებლოდაა დასმული და განხილული. მისი მოძღვრება **„აღმზრდელობითი პროეტექციონიზმის“** შესახებ გერმანიის ბურჟუაზიის იარაღს წარმოადგენდა ინგლისთან კონკურენციისას.

ფ. ლისტი გერმანიის ეროვნული მეურნეობის დასაცავად და გასაძლიერებლად ყველა ზომას იღებდა. **პოლიტიკური ეკონომიის საგნად იგი ეროვნულ მეურნეობას აცხადებდა.**

როგორც აღვნიშნეთ, **ფ. ლისტი პროეტექციონისტულ პოლიტიკას იცავდა.** მისი გატარებისთვის იგი **აუცილებელად მიიჩნევდა** გერმანიის იუნკრული **სახელმწიფოს როლის გაზრდას და მის ჩარევას ეკონომიკური საკითხების გადასჭრელად.** ასე რომ, იგი დიდ როლს ანიჭებდა სახელმწიფოს. რადგან ფ. ლისტისთვის მთავარი გერმანიის ბურჟუაზიისთვის სასარგებლო პოლიტიკის გატარება იყო, ამიტომ მან პირველ ადგილზე ეკონომიკური პოლიტიკა დააყენა. მის ეკონომიკურ სისტემაში ცენტრალური ადგილი ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებს უკავია. ხოლო მისი ეროვნული ეკონომიკა მწარმოებლურ ძალთა ყოველმხრივ განვითარებას ემსახურება. **ამ უკანასკნელ საქმეში ფ. ლისტი მთავარ როლს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობას ანიჭებდა** და გერმანელი ფაბრიკანტების ინტერესების დასაცავად ყველა ზომას იღებდა.

გერმანიის მრეწველობის, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის დაცვის მიზნით, ფ. ლისტმა ერის ეკონომიკური განვითარების ხუთი სტადია გამოყო:

1. ველურობის, ანუ მანადირეობის;
2. მომთაბარე მესაქონლეობის;
3. მიწათმოქმედების;
4. სამიწათმოქმედო მანუფაქტურული საქმიანობის;
5. კომერციული საქმიანობის.[1]

ამ სქემით ფ. ლისტის მიზანი იყო გერმანიის ყოველმხრივი განვითარების თეორიული დასაბუთება. მას სურდა, გერმანიის მრეწველობის ისეთი განვითარება, რომ მსოფლიო ასპარეზზე მას კონკურენტი არ ჰყოლოდა. იგი მიუთითებდა, რომ გერმანია განვითარების მესამე და მეოთხე ეტაპებს შუა პერიოდში იმყოფება და უმაღლეს, მეხუთე ეტაპზე გადასვლისთვის სახელმწიფოს მხრივ ისეთი **პროტექციონისტული ღონისძიებების გატარება** მიაჩნდა საჭიროდ, რომლებიც გერმანიის პირველობას უზრუნველყოფდა.

როცა გერმანია მძლავრი სამრეწველო სახელმწიფო გახდება, – მიუთითებდა ფ. ლისტი, – მას შესაძლებლობა ექნება მონაწილეობა მიიღოს ნედლეულისა და გასაღების სფეროების გადანაწილებაშიო. იგი ამართლებდა კოლონიურ პოლიტიკას, განსაკუთრებით საჭიროდ მიაჩნდა კოლონიური დაპყრობები აღმოსავლეთ ევროპაში, აგრეთვე, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სხვაგან.

ნაციონალური მეურნეობის შესახებ ფ. ლისტის შეხედულებები შემდგომში გამოიყენა გერმანულმა ფაშიზმმა.

2. ისტორიული სკოლა

გერმანიის ეკონომიკის სპეციფიკური მოტივები უფრო სრულყოფილად აისახა ისტორიული სკოლის წარმომადგენლების შრომებში.

ისტორიული სკოლა აღმოცენდა გერმანიაში XIX ს-ის 40-იან წლებში. ამ სკოლამ გამოიყენა ფ. ლისტის მოძღვრება საზოგადოების განვითარების შესახებ და მისი ისტორიული სქემა.

---

[1] ლისტი ფ., პოლიტიკური ეკონომიის ნაციონალურ სისტემა, სკპ, 1891, გვ. 48 (რუს).

ისტორიული სკოლა გერმანიის ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა და მოითხოვდა გერმანიის ერთიანი იუნკრული სახელმწიფოს შექმნას. ამ სკოლის წარმომადგენლები გადამწყვეტ როლს გარეშე ეკონომიკურ ფაქტორებს (სახელმწიფო, სამართალი, მორალი, რელიგია) ანიჭებდნენ.

ისტორიული სკოლა ისტორიულ პროცესებს იდეალისტურად ხსნიდა, **აღიარებდა ევოლუციონიზმს** და უარყოფდა საზოგადოების განვითარების დიალექტიკურ ხასიათს. იგი კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობებს და კერძო საკუთრებას მარადიულად აცხადებდა.

ფ. ლისტის მსგავსად, ისტორიული სკოლის წარმოდგენლებიც **პოლიტიკურ ეკონომიას განიხილავდნენ, როგორც მეცნიერებას ეროვნული მეურნეობის შესახებ.** ისტორიული სკოლის წარმოადგენლები **კლასიკური სკოლის დებულებებს კრიტიკულად ეკიდებოდნენ.** სამაგიეროდ, მათ ბევრი რამ გადაიღეს ინგლისისა და საფრანგეთის პესიმისტური და ოპტიმისტური თეორეტიკოსებისაგან.

ისტორიული სკოლის თეორეტიკოსებმა პოლიტიკურ ეკონომიაში განსხვავებული **ისტორიული მეთოდი** შექმნეს, რომელმაც შემდგომში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ მეცნიერების განვითარებაში გერმანიასა და აშშ-ში. ისტორიულმა სკოლამ ისტორიული მეთოდი სამართლის ისტორიული სკოლისგან გადაიღო, რომელიც გერმანიაში წარმოიშვა XIX ს-ის დამდეგს.

ისტორიული სკოლის მესვეურები უარს ამბობდნენ აბსტრაქტულ მეთოდზე და ეროვნული თავისებურებანი აბსოლუტურ პრინციპამდე დაჰყავდათ. **მათ ეკონომიკური თეორიის დამუშავება უარყვეს და საკმარისად ჩათვალეს ეკონომიკური ისტორია,** რომელიც ეკონომიკური ფაქტების შეგროვებითა და აღწერით შემოიფარგლებოდა.

ისტორიული სკოლა დროთა განმავლობაში ზოგიერთ თვისებას იცვლიდა. ამის მიხედვით განარჩევენ **ძველ ისტორიული სკოლას,** რომელიც XIX ს-ის შუა ხანებში ფუნქციონირებდა, ხოლო **ახალი, ანუ „ახალგაზრდა“ ისტორიული სკოლა** – XIX ს-ის 70-იან წლებში.

ა) ძველი ისტორიული სკოლა

ძველი ისტორიული სკოლის ფუძემდებლები იყვნენ პროფესორები **ვილჰელმ როშერი** (1817-1894), **ბრუნო ჰილდერბრანდი** (1812-1878) და **კარლ კნისი** (1821-1898).

ვ. როშერმა 1843 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი **„პოლიტიკური ეკონომიის მოკლე საფუძვლები ისტორიული მეთოდის თვალსაზრისით“.** მან გამოიყენა ჟ.ბ. სეის, ფ. ლისტისა და სხვ. ეკონომისტების შეხედულებები და თავისი მოსაზრებებით თავგამოდებით იცავდა გერმანიის ბურჟუაზიის ინტერესებს.

1854-1894 წწ-ში ვ. როშერმა გამოაქვეყნა ხუთტომიანი ნაშრომი **„სახალხო მეურნეობის სისტემა“,** რომელშიდაც სრულად ჩამოაყალიბა თავისი შეხხედულებები ისტორიული თვალთახედვით.

ვ. როშერის ისტორიული მეთოდი გულისხმობს **ევოლუციონიზმს,** რომელსაც თვით ვ. როშერი ზოგჯერ ანატომიურ-ფიზიოლოგიურ მეთოდს უწოდებდა. ამ მეთოდის გამოყენებით როშერი ხსნიდა ეკონომიკურ კატეგორიებს, **„ვარგისიანობის ხარისხს“,** რომლის მიხედვითაც, საგანი ჩევნს თვალში დოვლათად, ფასეულობად იქცევა, „საგნის **ღირებულებას ვუწოდებთ“**[1]**, –** წერდა როშერი. მან **ღირებულების ახსნას საფუძვლად მოთხოვნა დაუდო.** „თამბაქო არსებობდა უხსოვარი დროიდან, – წერს ვ. როშერი, – მაგრამ ის დოვლათად მას შემდეგ იქცა, როცა წარმოიშვა თამბაქოს შეყნოსვის და მოწევის მოთხოვნა და, როცა მისი ვარგისიანობა აღიარეს“.[2] იგი ერთმანეთში ურევდა საქონლის ღირებულებასა და სახმარ ღირებულებას.

ვ. როშერი **მოგების** წყაროდ კაპიტალისტი მეწარმის შრომას თვლიდა. **ფულს** როშერი სასიამოვნო საქონელს უწოდებდა.

მეორე გერმანელმა ეკონომისტმა **ბრუნო ჰილდებრანდმა** 1848 წელს გამოაქვეყნა წიგნი **„აწმყოსა და მომავლის პოლიტიკური ეკონომია“,** რომელშიც გერმანიის ბურჟუაზიის ინტერესებსა და **სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების პრუსიულ გზას იცავდა.** იგი კლასიკური სკოლის და უტოპიური სოციალიზმის წინააღმდეგ იბრძოდა.

---

1 როშერი ვ., სახალხო მეურნეობის საწყისები, ტ. 1, მ., 1860. გვ. 1 (რუს.)

2 იქვე, გვ. 6.

ბ. ჰილდებრანდმა შეითვისა ფ. ლისტისა და ისტორიული სკოლის სხვა წარმომადგენელთა ისტორიციზმი და ამის საფუძველზე შემოგვთავაზა სამეურნეო განვითარების პერიოდიზაცია, რომელიც სამი ფაზით განისაზღვრა:

1. ბუნებრივი მეურნეობა, რომლის ქვეშ გულისხმობდა შუა საუკუნეების ნატურალურ მეურნეობას;
2. ფულადი მეურნეობა;
3. საკრედიტო მეურნეობა.

ბ. ჰილდებრანდი ყველანაირად **იცავდა კერძო საკუთრებას.** ებრძოდა სოციალიზმს. სოციალისტთა მთავარ ნაკლად მათ მიერ კერძო საკუთრების მოსპობის საკითხის დააყენება მიაჩნდა. მას **საზოგადოება ვერ წარმოედგინა კერძო საკუთრების გარეშე,** რომელსაც მუდმივ და საზოგადოებისთვის აუცილებელ კატეგორიად თვლიდა.

გერმანული ისტორიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელია **კ. კნისი.** იგი ფრაიბურგის, შემდეგ კი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტების პროფესორი იყო.

კ. კნისის შეხედულებები გადმოცემულია მის ნაწარმოებებში: **„პოლიტიკური ეკონომია ისტორიული მეთოდის თვალთახედვით“** (1853), „ფული და კრედიტი“ (1873-1879).

პირველ წიგნში კ. კნისი ისტორიული სკოლის მეთოდს ავითარებს. იგი იწონებს და კომენტარს უკეთებს ვ. როშერის ისტორიულ მეთოდს და მთელი სკოლის მეთოდოლოგიურ პოზიციებს აყალიბებს. მეორე წიგნში კი ავტორი თავის შეხედულებებს გვთავაზობს ფულისა და კრედიტის შესახებ. **ფულის** აღმოცენება მან ნატურალური გაცვლის სირთულეების ფონზე ახსნა.

კ. კნისის შეხედულებას ფულის შესახებ ბევრი საერთო აქვს ფულის მეტალისტურ თეორიასთან. კრედიტის საკითხში კი იგი ნატურალისტურ თეორიას აყალიბებს.

ბ) ახალი ისტორიული სკოლა

ახალი ისტორიული სკოლა XIX ს-ის 70-იან წლებში წარმოიშვა გერმანიაში და ძველი ისტორიული სკოლის ტრადიციებს აგრძელებდა. ამ სკოლის წარმომადგენლები არიან **გუსტავ შმოლერი,**

ლუი ბრენტანო და სხვ. თავიანთი წინამორბედების მსგავსად, ისინი გერმანიის ბურჟუაზიულ-იუნკრული სახელმწიფო პოლიტიკის დაცვასა და დასაბუთებას განაგრძობდნენ.

თუ ძველი ისტორიული სკოლა აკრიტიკებდა ბურჟუაზიული კლასიკური სკოლის დებულებებს, ახალი ისტორიული სკოლის წარმომადგენლებმა თავიანთ მთავარ ამოცანად პოლიტიკურ ეკონომიაში მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა მიიჩნიეს.

XIX ს-ის 70-იან წლები, როდესაც ახალი ისტორიული სკოლა ასპარეზზე გამოვიდა, გერმანიის ისტორიაში გარდატეხის პერიოდი იყო. საფრანგეთ-პრუსიის ომში (1870-1871) გაიმარჯვა პრუსიამ, რომელმაც დაასრულა 1860-იან წლებში დაწყებული გერმანიის გაერთიანება ერთ ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ. ამ საქმეში პრუსიელ იუნკერებს (ხელისუფლებას) მხარში ედგა ბურჟუაზიაც.

გერმანიის ბურჟუაზიულ-იუნკრული სახელმწიფოს **რეიხსკანცლერი ოტო ფონ ბისმარკი** ბურჟუაზიისა და პრუსიულ იუნკერთა სასარგებლო პოლიტიკას ატარებდა. ბისმარკმა **პროტექციონისტული ტარიფები დააწესა** და **ხელი შეუწყო მრეწველობის განვითარებას.** იგი მოითხოვდა კოლონიური სამფლობელოების გაფართოებას.

ახალი ისტორიული სკოლის წარმომადგენლები გერმანიის ბურჟუაზიულ-იუნკრული სახელმწიფოს კოლონიურ პოლიტიკას იცავდნენ. **გ. შმოლერის** მეთაურობით მათ **ისტორიულ-ეთიკური მიმართულება** შექმნეს, რომელმაც ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების შესწავლა დაისახა მიზნად.

ახალი ისტორიული სკოლის წარმომადგენლებმა 1872 წელს დააფუძნეს „**სოციალური პოლიტიკის კავშირი**“, რომელშიც შედიოდნენ: ბ. ჰილდებრანდი, გ. შმოლერი, ა. ვაგნერი, ლ. ბრენტანო, ვ. ზომბარტი და სხვ. მათ მიზნად დაისახეს სოციალური პოლიტიკის ღონისძიებათა დამუშავება. ამ მიმდინარეობის პროგრამას გ. შმოლერის შეხედულებები დაედო საფუძვლად.

გუსტავ შმოლერი (1838-1917) პროფესორად მუშაობდა ჰალეს, სტრაბურგისა და ბერლინის უნივერისტეტებში. მისი თხზულებების დიდი ნაწილი სახალხო მეურნეობის ისტორიის საკითხ-

ებს ეთმობა. მათგან აღსანიშნავია „წვრილი ხელოსნური წარმოების ისტორია XIX საუკუნეში“ (1870), „**სახალხო მეურნეობა, მეცნიერება სახალხო მეურნეობის შესახებ და მისი მეთოდი**“ (1897) და სხვ.

ამ ნაშრომებში გ. შმოლერი მიზნად ისახავდა ცალკეული ისტორიული ფაქტების, სახალხო მეურნეობის ისტორიის საკითხების აღწერას. იგი პოლიტიკურ ეკონომიაში ისტორიულ-სტატისტიკური მეთოდის გამოყენებას მოითხოვდა.

ამ მეთოდის გამოყენებამ შმოლერი იქამდე მიიყვანა, რომ **პოლიტიკური ეკონომია უგულებელყო** და **სახალხო მეურნეობის ისტორია აღიარა.** „პოლიტიკური ეკონომიის მეთოდი, – წერს გ. შმოლერი, – არის მეცნიერული პრინციპებით ნაჩვენები გზა, რომელიც ემსახურება და უნდა ემსახურებოდეს კიდეც სახალხო მეურნეობის თანმიმდევრულ შესწავლას“.[1] მისი აზრით, „პოლტიკური ეკონომია არის მეცნიერება, რომელიც აღწერს სახალხო მეურნეობის მოვლენებს“.[2]

გ. შმოლერი უგულებელყოფდა წარმოებით ურთიერთობებს. განაწილების, მოხმარების და სხვა საკითხებს იგი ზნეობრივი და სამართლებრივი ურთიერთობებით ხსნიდა. პოლიტიკური ეკონომიის საკითხებს ფსიქოლოგიური და ეთიკური მსჯელობებით იკვლევდა.

ახალი ისტორიული სკოლის მეორე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი **ლუი ბრენტანო** (1844-1931) იყო. იგი ლექციებს კითხულობდა ბერლინის, ბრესლავლის, სტრასბურგის, ვენის, ლაიფციგის, მიუნჰენის და ჰაიდელბერგის უნივერისტეტებში. წაკითხული ლექციების საფუძველზე, მან გამოაქვეყნა დიდი მოცულობის ოთხტომიანი წიგნი „ინგლისის ეკონომიკური განვითარების ისტორია“. მისი სხვა ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „თანამედროვე მუშური გილდიები“ (1871-1872), „თანამედროვე სოციალური საჭიროების მიზეზების შესახებ“ (1889), „აგრარული პოლიტიკა“ (1897), „ცდა მოთხოვნილების თეორიისა“ (1908) და სხვ.

---

1 შმოლერი გ., სახალხო მეურნეობა, მეცნიერება სახალხო მეურნეობის შესახებ და მისი მეთოდი, მ., 1902, გვ. 17 (რუს).

2 იხ. იქვე, გვ. 12.

ლ. ბრენტანო, როგორც ისტორიული სკოლის წარმომადგენელი, უარს აცხადებდა თეორიულ ანალიზზე და ისტორიული ფაქტების ანალიზით კმაყოფილდებოდა.

ლ. ბრენტანოს შეხედულებებში ერთ-ერთი **ცენტრალური ადგილი მოთხოვნილების შესახებ მოძღვრებას** უკავია. მოთხოვნილების თეორია მან საფუძვლად დაუდო თავის მოძღვრებას სახალხო მეურნეობის შესახებ. ლ. ბრენტანოს თქმით, „მოთხოვნილების თეორია მეცნიერული საფუძველია მოძღვრების სახალხო მეურნეობის შესახებ“.[1]

ლ. ბრენტანო **შესაძლებლად თვლიდა სოციალურ ზავს.** მუშათა კლასის საკითხის გადაწყვეტა მას შესაძლებლად მიაჩნდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმებით. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რეფორმისტული პროფკავშირების მოღვაწეობასა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლს.

ლ. ბრენტანო კ. მარქსის ეკონომიკურ თეორიას ებრძოდა საერთოდ, კერძოდ კი – შრომითი ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების თეორიებს. მას უსაფუძვლოდ მიაჩნდა ღირებულების განსაზღვრა საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროით. **მისი მტკიცებით, ღირებულება განისაზღვრება ადამიანის დამოკიდებულებით ნივთთან.**

ლ. ბრენტანომ გაილაშქრა აგრეთვე, დ. რიკარდოს და კ. მარქსის რენტის თეორიის წინააღმდეგაც. მისი მტკიცებით, **რენტა** წმინდა შემოსავლის ნაწილია.[2]

აგრარულ საკითხში ლ. ბრენტანო ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონის მიმდევრებს ემხრობოდა და წვრილი წარმოების სიმყარის თეორიას იცავდა.

3. სახელმწიფო სოციალიზმი

გ. შმოლერი და ლ. ბრენტანო სახელმწიფო სოციალიზმის ფუძემდებლად ითვლებიან. ისინი დიდ იმედებს გერმანულ სახელმწიფოზე ამყარებდნენ და მის მიერ ეთიკური რეფორმების გატა-

---

1 ბრენტანო ლ., მოთხოვნილებათა თეორიის ცდა, კაზანი, 1921, გვ. 9 (რუს).

2 ბრენტანო ლ., აგრარული პოლიტიკა, მ., 1929, გვ. 179 (რუს.)

რების გზით შესაძლებლად მიაჩნდათ სახელმწიფო სოციალიზმის დამყარება.

სახელმწიფო სოციალიზმის დამცველთა საყრდენს „სოციალური პოლიტიკის კავშირი“ წარმოდგენდა, რომლის პირველი ყრილობა 1872 წლის 6 ოქტომბერს ეიზენახში ჩატარდა. „სოციალური პოლიტიკის კავშირში“, ისტორიული სკოლის წარმომადგენლების გარდა, გაერთიანებული იყვნენ სხვა ეკონომისტებიც (ა. ვაგნერი, ვ. ზომბარტი და სხვ.). **მათ მარქსიზმს სახელმწიფო სოციალიზმი დაუპირისპირეს.**

სახელმწიფო სოციალიზმის წარმომადგენლები უნივერსიტეტების კათედრებიდან კლასობრივ ზავს მოითხოვდნენ და სოციალური რეფორმის პროექტებს ამუშავებდნენ. მათ **კათედერ-სოციალისტების** სახელწოდება მიიღეს. ბურჟუაზიული სახელმწიფო მათ წამოდგენილი ჰქონდათ, როგორც ზეკლასობრივი ორგანიზაცია და მის მიერ გატარებული რეფორმებით შესაძლებლად მიაჩნდათ ანტაგონისტურ კლასთა შერიგება და სოციალიზმის თანდათან შემოღება. ამ იდეას განსაკუთრებით დიდ პროპაგანდას **ფერდინანდ ლასალი** უწევდა.

4. სოციალური მიმართულება

სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე დიდ იმედებს ამყარებდნენ სოციალური მიმართულების წარმომადგენლებიც. ამ მიმართულების გამოჩენილი თეორეტიკოსები იყვნენ: რ. შტოლცმანი, ა. ამონი, კ. დილი, ო. შპანი და სხვ. ეს მიმართულება ფართოდ გავრცელდა XX ს-ის პირველ ათწლეულში.

რუდოლფ შტოლცმანმა (1852-1930) წამოაყენა **კლასების ცვლის თეორია.** იგი ამტკიცებდა, რომ უმცირესი შემოსავლის მქონე ზღვრული კაპიტალის მდგომარეობა მცირედ განსხვავდება კარგი ხელფასის მქონე მუშის მდგმარეობისგანო. ასეთი კაპიტალისტი ადვილად შეიძლება გადაიქცეს მუშად, ხოლო მუშა ასევე ადვილად შეიძლება გახდეს კაპიტალისტიო.

კ. დილის სიტყვებით, კაპიტალისტური საზოგადოებაში ყველა შრომობს. კაპიტალისტი, მისი აზრით, შრომითი ფუნქციის მა-

ტარებელია, ხოლო მოგება არის კაპიტალისტის ნიჭის, ცოდნისა და ენერგიის შედეგი.

ავსტრიელი ეკონომისტი **ო. შპანი** სახელმწიფოს ზეკლასობრივ ორგანიზაციად თვლიდა. **იგი უარყოფდა ყოველგვარ დემოკრატიასა და პირად თავისუფლებას და ასაბუთებდა, რომ საერთო ინტერესები კერძო ინტერესებზე მაღალა დგასო**.

სოციალური მიმართულების წარმომადგენლები აცხადებდნენ სახელმწიფოს ზეკლასობრივ ორგანიზაციად, რომელიც საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებს იცავსო.

* * *

როგორც ვხედავთ, ბურჟუაზიული დისიდენტური სკოლის წარმოდგენლებმა იმ პერიოდში გაბატონებული ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპები არ გაიზიარეს და დაქუცმაცებული ფეოდალური გერმანიის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების რიგებში ჩასაყენებლად პროტექციონისტული პოლიტიკა აირჩიეს. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და სოციალური ღონისძებების ფართო სპექტრის გატარებით მათ თავის საწადელს მიაღწიეს. ხოლო შემდეგ, XX საუკუნეში, როდესაც დაინახეს, რომ ეკონომიკის სახელმწიფობრივი რეგულირება განვითარების მუხრუჭად იქცა, ფართო გზა გაუხსნეს ეკონომიკურ ლიბერალიზმს – ნეოლიბერალიზმს (1948).

ვითვალისწინებთ რა ასეთ გამოცდილებას რეკომენდაციას ვუწევთ მობილური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. როცა საჭიროა, უპირატესად უნდა გამოვიყენოთ პროტექციონისტული პრინციპი; როცა შესაძლებელი გახდება პრიორიტეტი მივანიჭოთ და გზა გავუხსნათ ფრიტრედერობას – ლიბერალიზმს.

ეკონომიკური განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე რომელიმე პრინციპის მექანიკური, კამპანიური გამოყენება სასურველ შედეგს ვერ მოიტანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
2. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973.
3. მარქსი კ., ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I,თბ., 1968.
4. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
5. ქოიავა ნ., ისტორიული სკოლა ეკონომიკურ მეცნიერებაში, თბ., 1924.
6. ჭანუყვაძე გ., ვულგარულ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ.1, თბ., 1962.
7. ხარიტონაშვილი ჯ., გერმანული აღმზრდელობითი პროტექციონიზმის ისტორიული გამოცდილება, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, № 2, 2002.
8. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., II , თბ., 1997.
9. ხარიტონაშვილი ჯ., პროტექციონისტული ეკონომიკური დოქტრინის ევოლუცია, თბ., 2008.
10. Hunt E. K. and Mark Lautzenheiser, History of Ekonomic Thought. Sird Edicion. A Critical Perspective. Armonk, New York, London, England, 2011.
11. Афанасьев В.С., Этапы развытия буржуазной полотической экономии (очерк теории), М., 1971.
12. Блауг М., Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.
13. Брентано Л., Аграрная политика, М., 1929.
14. Брентано Л., Опыт теорий потребностей, Казан, 1921.
15. Брентано Л., История хозяиственного развытия Англии, М., 1930.
16. Брентано Л., Причины экономического расстройства в Европе, Одесса, 1894.
17. Брентано Л., Классическая политическая экономия, С-П., 1900.
18. Гильдебранд Б., Политическая экономия настоящего и будущего, СПБ, 1860.
19. Всемирная история экономической мысли т.1, М., 1987.
20. Жидь Ш. и Ристь Ш., История экономических учений, М., 1918.
21. Зомбарт В., Современный капитализм, т.1, М.,1909.
22. Лист Ф., Национальная система политической экономий, СПб., 1891.
23. Рошер В., Начала народного хозяиства руководство для учащихся и для деловых дюдей. Т.1 и т.2, 1860.
24. Рошер В., Наука о народном хозяйстве во отношения к земледелию и другим отрослям первоначальной промишлености, М., 1870.
25. Шмолер Г., Народное хозяиство, наука о народном хозяйстве и ее методы, М.. 1902.

თავი XIV. XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ეკონომიკური აზრი

XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისის ქართველი მოღვაწეებისთვის დამახასიათებელი იყო ეკონომიკური საკითხებისადმი განსაკუთრებული ყურადღება. ეს განპირობებული იყო საზოგადოებრივ ურთიერთობათა სიმწიფით, რომელმაც ინტელიგენციის ყურადღების ცენტრში ეკონომიკური პრობლემები მოაქცია. ეკონომიკური განვითარების სფეროში ეს იყო ძველი ნატურალური ურთიერთობების რღვევისა და კაპიტალისტური მეწარმეობის თანდათანობით ჩამოყალიბების პერიოდი. განსახილველ პერიოდში საქართველო კაპიტალიზმის გზაზე დამდგარი აგრარული ქვეყანა იყო, სუსტად განვითარებული მრეწველობით.

ქართული ეკონომიკური აზრის წინაშე პრობლემების მთელი წრე იყო, რომელიც ნათლად გააზრებასა და გადაჭრას მოითხოვდა. ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს გამოჩენილმა ქართველმა მოაზროვნეებმა – დ. ყიფიანმა, ა. ორბელიანმა, კ. მამაცაშვილმა, ნ. ჭავჭავაძემ, მ. თუმანიშვილმა, გ. წერეთელმა, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, ა. ფურცელაძემ, გ. მაიაშვილმა, გ. თარხან-მოურავმა, ს. მესხმა, ა. ჯორჯაძემ, ა. წულუკიძემ და სხვებმა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისში ქართული ეკონომიკური აზრის წარმომადგენელთა შორის **გრანდებად მოჩანან ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე.** ამიტომ ჩვენ მათი ეკონომიკური შეხედულებების ზოგად ანალიზზე გავამხვილებთ ყურადღებას.

1. ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზების შესახებ

ილია ჭავჭავაძე (1837-1907) სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა 1857-1861 წლებში. საუნივერისტეტო არეულობის გამო მეოთხე კურსიდან გამოვიდა. შემდგომში ფართო პუბლიცისტურ, სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა.

ი. ჭავჭავაძე ქართველ ერში უპირველესად მოიხსენება, როგორც დიდი საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პუბლიცისტი: შემდეგ კი, როგორც ბრწყინვალე მწერალი და პოეტი. **იგი შემოქმედებითი ენთუზიაზმით იკვლევდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების გზებს და საშუალებებს.**

თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ი. ჭავჭავაძეს მხატვრულ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი თითქმის არაფერი შეუქმნია. **მთელი მისი ყურადღება საქართველოს კეთილდღეობის და მისი აღმავლობისკენ იყო მიმართული, რომლის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობად ეკონომიკური აღმავლობა მიაჩნდა. ი. ჭავჭავაძე** მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თბილისის საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკის მმართველი იყო.

ი. ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებანი გადმოცემულია პუბლიცისტურ წერილებში და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ნარკვევებში. ესენია: „**ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საზრუნავი**“ (1893); „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიკური მიზეზები“ (1897), „ძველი და ახალი ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებაში“ (1897), „პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან“ (1900), „ცხოვრება და კანონი“, „ხიზნების ღამე“; „ბატონ მეისნერის პროექტი“ და სხვ.

ი. ჭავჭავაძის ეკონომიკური ნაშრომები და მოსაზრებები საქართველოს მომავალი ცხოვრების სწორად წარმართვისკენ იყო მიმართული. მისი აზრით, **დაუღალავად შრომას, მშრომელ ხალხს და მათ მიერ შექმნილი დოვლათის სამართლიან, სწორ გამოყენებას შეეძლო ფეხზე დაეყენებინა დაჩაჩანაკებული საქართველო.** ეკონომიკურად წელში გამართული საზოგადოების ასაშენებლად ი. ჭავჭავაძე ყველასთვის სავალდებულო შრომის პრინციპს აღიარებდა.

ი. ჭავჭავაძის აზრით, ყოველი ადამიანი, რა წოდებისა და ხარისხისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, **შრომასა და გარჯაში უნდა ეძებდეს და ნახულობდეს თავისი ცხოვრების ჭეშმარიტ საგანს.**

ი. ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ქართველი ერის წინსვლისთვის უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიკური ცხოვრების გა-

უმჯობესებას, სხვადასხვა კლასებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის მოწესრიგებას, ქვეყნის სიმდიდრის ზრდას, დოვლათის სიუხვეს. საამისოდ, ზედმეტი იყო ლაპარაკი კულტურის სერიოზულ განვითარებასა და ხალხის სულიერი სიმდიდრის ზრდაზე.

ილია ჭავჭავაძე

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ერი მაშინაა ძლიერი, როცა მისი ყველა კლასი და ფენა შეძლებულია. 1883 წელს გამოქვეყნებულ წერილში „**წოდებათა თანასწორობა**“ ი. ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ის ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად, ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ცდილობს ცხოვრების გზა გაიკვლიოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდან ყველამ ერთად. **საყოველთაოდ ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლის, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავ-თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან“.**

„ტყუილა ფიქრობენ, – აგრძელებს ი. ჭავჭავაძე, – ვითომ კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელიმე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რაიმე ხეირი ნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა თუ აგებულობა საზოგადოების თუ ერის დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და ვითარცა ქვიშაზე აგებული სახლი, ქარის პირველ შებერვაზედვე დაიფუშება. ამისი მაგალითი და საბუთი ისტორიაში ერთი და ორი არ არის. ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო

იმ ერს გამოუტანია თავი ათასგვარი განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, როემლსაც თავის დროზე შეუტყვია და მიუგნია, რომ **ერთის რომელიმე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დაანრჩენი ერიც წინ არ წაწეულა“.**[1]

ერის გაძლიერებისა და გამდიდრების ერთდაერთ სამართლიან და დაუშრეტელ წყაროდ ი. ჭავჭავაძე **ეკონომიკურ წარმოებას** მიიჩნევს. თავის წერილში „ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიკური ცხოვრებისა“ აღნიშნავდა: „**ვაჭრობა არ ქმნის სიმდიდრეს“,** „ნუ დავივიწყებთ, – წერდა იგი, – რომ ჩვენ საქმე გვაქვს ჩარჩულ ფულთან, რომელიც ყოველ სხვა ფულზე უფრო უღონოა. **ჩარჩული ფული ბუნებით მხდალია, იმიტომ რომ ქურდბაცაცაა.** იქა მკის, საცა არ უთესია. იგი გასამჯელოს იქ იღებს, საცა არ ირჯება. იგი სუქდება მით, რომ სხვას ამჭლევებს, აჭლექებს. იგი თვითონ ივსება და სხვას აცარიელებს“. „ჩარჩული ფული არ ქმნის სარჩო-საბადებელს და მარტო თვლის თამასუქებს და სად ვის რა ასცინცლა. იგი ეკონომიკური წარმოებისათვის მკვდარია და, მაშასადამე, მკვდარია იმისთანა მოქმედებისთვის, რომელიც ერთადერთი სამართლიანი და მიუწვდომელი წყაროა გაღონიერებისა და თუნდ გაფულიანებისაც, **რაკი დღეს ფულია სიმდიდრედ აღიარებული“.**

ი. ჭავჭავაძე **აღნიშნავს ვაჭრობის დადებით მხარეებს.** იგი მიუთითებს საქონელმიმოქცევის უდიდეს როლზე საზოგადოებრივ განვითარებაში, მისი თქმით, ეს არის ერთადერთი მხოლობითი ეკონომიკური დამოკიდებულება კაცთა შორის და კაცობრიობამ ჯერ ამის გარდა სხვა ეკონომიკური დამოკიდებულება არ იცის“.

ი. ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვაჭრობას, როგორც ქვეყნის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე საქონლის განაწილების საშუალებას, რომლის დანიშნულებაც არის წარმოებული სქონლის დაყვანა მომხმარებლამდე.

„**ვაჭრობა,** რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისთვის, იმოდენად, რამოდენადაც იგი ეზიდება საქონელს იქიდან, საცა მეტია, იქ, საცა უჭირთ და ამ გზით შველის სიმდიდრის მოფენას და მორგებას ყველგან“.

---

[1] ჭავჭავაძე ი., წოდებათა თანასწორობა, რჩეული ნაწარმოებები, ხუთ ტომად, ტ. 5, თბ., 1987, გვ. 19.

ვაჭრობის დადებითი მხარეების გარდა, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს მის უარყოფით მხარეებზეც. ვაჭრობა, თვლის იგი, გარდაქმნის ადამიანის ბუნებასა და პირადი ცხოვრების პრინციპებს, და **ერი მარტო ვაჭრობით თუა დაკავებული, არის „გაქსუებული, გაფანტული“.** ი. ჭავჭავაძის აზრით ვაჭრობაში არის კიდევ ერთი უარყოფით მხარე, რომ კაპიტალისტური წყობილების პირობებში **ყველა ვაჭარი ცდილობს, დაძაბულობა შექმნას მიწოდება-მოხმარებას შორის და რაც შეიძლება ღირებულებაზე მაღლა გაყიდოს საქონელი.**

* * *

ილია ჭავჭავაძე დიდ გულისტკივილს გამოთქვამდა იმის გამო, რომ **ჩვენში მრეწველობა კუს ნაბიჯით მიდიოდა.** ი. ჭავჭავაძის თქმით, მრეწველობის ხელშეწყობა შესაძლებელი იყო კაპიტალური დაბანდების გაძლიერების გზით და ამ გზას კი ჩვენი შეძლებული ადამიანები გვერდს უვლიან, ფულს მხოლოდ მევახშეობისთვის იყენებენ და **მსესხებლებს ტყავს აძრობდნენ.** ამით ღარიბებს უფრო აღარიბებდნენ, ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას არაფერს მატებდნენ და მხოლოდ თვითონ ხეირობდნენ ცოტაოდენი სარგებლით. **მთელ მოქმედებას ფულიანი კაცებისას ერთი ჯიბიდან მეორეში ფულის გადატანა წარმოადგენდა.** აბა ერთი მიიხედ-მოიხედეთ ჩვენს გარშემო, – აღნიშნავდა ი. ჭავჭავაძე, – გვიჩვენეთ, რომ ერთ ვინმე მათგანს თითი გაენძრიოს ქვეყნის სიმდიდრის წასამატებლად. **ამ ყოვლად და მრავალგვარად მდიდარ ქვეყანაში, საცა ათასგვარი ფაბრიკა, ქარხანა და ერთობ ამის მაგვარი მრეწველობა დიდ ხელს მისცემს მრეწველობასაც და ქვეყანასაც გაამდიდირებს,** არც ერთ ფულიან კაცს გუნებაშიაც არ გაუტარებია, აზრადაც არ მოსვლია, რომ კაცმა თვითონაც იხეიროს და ქვეყანასაც არგოს რამეო.

იქვე აღნიშნულია იმის შესხებ, რომ ჩვენი შემძლე ადამიანები ფულს ჩარჩული მიზნით იყენებენ, ხალხის მოტყუებით უნდათ გამდიდრება და ის კი არ იციან, რომ ერთხელ მოტყუებული კაცი იმათ აღარ გაეკარება, მცირე სარგებელს სჯერდებიან და თავიანთი უმეცრებით თუ დოყლაპიობით დიდს ხელიდან უშვებენ. როცა

ქალაქში ცხენის – რკინიგზის გამართვას ცდილობდნენ, – ჩვენებურმა სოვდაგრებმა ვერ შეჰბედეს ამ საქმეს. ვერ შებედვა კიდევ არაფერია, საქმე ის არის, რომ მაგ გზის საქმე სიცილადაც აღარ ეყოთ და ამბობდნენ „რასაც მოიგებენ, ჩვენ წილს ნუ დაგვიდებენო, იძახოდნენ უმეცრების კმაყოფილებით და დაცინვით ჩვენი ფულიანი კაცები. **როცა ცხენის რკინიგზა(კონკა) სხვა ქვეყნიდან მოსულმა გამართა** და ნახეს, რომ ამ საქმეში კაი მოგება აქვს, მხოლოდ მაშინღა წამოჭყიტეს თვალები და წუწუნებდნენ, ვა ეს საქმე ხელიდან როგორ გავუშვითო“.

ასეთივე საქმე მოუვიდათ **შავი ქვის** (მანგანუმის) გამო – იქვე შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, – უცხო ქვეყნელებმა ეს აუარებელი სიმდიდრე ხელიდან გამოსტაცეს. ასეთივე საქმე დაემართათ **შაქრის ქარხნის** გამო, როემლსაც ეხლა სხვიდან მოსულები მართავენ სკრაში თ. კ. შალიკოვის მამულში. სოვდაგრები კი დუქანში თვლემას ვერ მოშორებიან... სწორედ ეს ამბავიც დაატყდებათ თავზე ღვინის ვაჭრობის გამოც... საითაც გინდათ მიიხედეთ და ყველგან ნახავთ, რომ **ჩვენებურ ფულიანებს არც გონება უჭრით, არც თვალი, რომ დასანახი დაინახონ ან ნამდვილად წყაროს სიმდიდრისას ხელი ჩაავლონ, თავის სახეიროდ ცალკე და ქვეყნის საკეთილდღეოდ ერთობა.**[1]

ი. ჭავჭავაძე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ **ჩვენში მეურნეობის გაძღოლა წინა პლანზე არ არის და ეს აღარიბებს ერს, აღატაკებს მშრომელებსო.**

მიუხედავად იმისა, რომ ი. ჭავჭავაძე მრეწველობის განვითარების მომხრე იყო, **საქართველოს მომავალი საზოგადოების საფუძვლად რაციონალურად მოწყობილი სოფლის მეურნეობა მიაჩნდა.** მისი თქმით, „თავდაპირველი შემოქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა ან იქნება კიდეც. ... საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს“. ი. ჭავჭავაძის აზრით მაშინდელი საქართველოს ეკონომიკური ხსნა სოფლის მეურნეობა იყო: **„ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერხანად მაინცო“.**

---

[1] სართანია ტ., ილია ჭავჭავაძე, თბ., 1992, გვ. 223.

ი. ჭავჭავაძე სოფლად მატერიალური სიუხვის შექმნის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა მეუნეობის **რენტაბელობას,** მიწის **რაციონალურ** დამუშავებას და **წარმოების ხარჯების შემცირებას.**

უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში ჩარჩულ კაპიტალს დაპყრობილი ჰქონდა საქართველოს სოფლის მეურნეობა, ამიტომ ი. ჭავჭავაძე კატეგორიულად მოითხოვდა მის წინააღმდეგ ორგანიზებულ ბძოლას **სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების შექმნის გზით:** „თუ ახლავე არ ვუშველით თავს, ჩვენი საქმე წასულია. ამიტომაც ყოველსავე ეკონომიკურ სარბიელზე ნაშრომს, ნაღვაწს, საწარმოებელს.. **ამხანაგური კრებული** უნდა ავუჩინოთ, **რაკი ცალ-ცალკე ამისთვის უღონონი ვართ**“, – წერდა ი. ჭავჭავაძე. მისი თქმით, **„იქ საცა თითოეული უღონოა, ღონიერნი არიან ყველანი ერთად“.**

ი. ჭავჭავაძე ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ იმ დროს გაძნელებული იყო სოფლად წარმოებული პროდუქტების რეალიზაცია. ამის მიზეზად ი. ჭავჭავაძე ასახელებდა ჩარჩ-ვაჭრების და დალალების აქტიურობას, რომლებსაც ხელთ უპყრიათ ბაზარი და გლეხისგან იაფად ნაყიდს იქ მამასისხლად ჰყიდიან. ამ მხრივ საყურაღებოა ი. ჭავჭავაძის წერილი **მეისნერის პროექტის** გამო. ქართველ თავად-აზნაურთა აღტაცებას, რომ უამრავ ფულს ჩაიგდებდნენ მეისნერის პროექტის მიღებით, ი. ჭავჭავაძე სხვა ქვეყნების მაგალითებით და ეკონომიკური მეცნიერების მოშველიებთ, სრულიად აქარწყლებდა ამ იმედებს. იგი ამტკიცებდა, რომ მარტო ფულს არ შეუძლია ქვეყნის გამდიდრება. ი. ჭავჭავაძე რჩევას იძლეოდა, რომ მიღებული არ ყოფილიყო მეისნერის პროექტი. **ჩვენს მეურნეობას ჩვენვე მოუაროთ, თორემ ეს გამოიწვევს ისეთ საშინელ შედეგებს,** რომ ჩვენსავე ღვინოს მამასისხლად გაგვიყიდიან, ჩვენც ასევე მოგვასყიდებენ და **ჩვენსავე გამრჯე ხალხს გაღატაკებულ პროლეტარიატად გადააქცევენ უცხო ადამიანებიო.**

ი. ჭავჭავაძის გამოსვლამ დიდი ზეგავლენა იქონია კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაზე, რომელმაც დიდი ბჭობის და ყოყმანის შემდეგ უარყო მეისნერის ერთი შეხედვით მიმზიდველი პროექტი, რომელიც საქართველოს მევენახეობის და მეხილეობის ძირითადი ნაწილის შესყიდვის და უცხო პირების მიერ ჩვენი ღვინის და ხილის რეალიზაციის საქმის მისაკუთრებას გულისხმობდა.

2. ი. ჭავჭავაძე ეკონომიკური კატეგორიების შესახებ

რაც შეეხება ი. ჭავჭავაძის მსჯელობას ეკონომიკური კატეგორიების შესახებ, აქ შემდეგი უნდა ითქვას:

ი. ჭავჭავაძეს თავისი მოსაზრებები ჰქონდა ისეთ რთულ ეკონომიკურ კატეგორიაზე, როგორიცაა **ღირებულება.** ი. ჭავჭავაძის თქმით, ღირებულება არის ის რაოდენობა, სხვადასხვაგვარ საქონელთა ერთმანეთის წინაშე, რომელიც შესაძლოს ხდის საქონლების ერთმანეთზედ ცვლას. მაგალითად, ორი თუნგი ღვინო იცვლება ერთ კოდ პურზე. ეს რაოდენობა, რომელიც შესაძლოდ ხდის ღვინის გაცვლას პურზე და პურისას ღვინოზე, მათი ღირებულებაა ერთმანეთის წინაშე. **ფასი** კი იგივე ღირებულებაა საქონლის, მხოლოდ ფულის რაოდენობით გამოთქმული“.

ი. ჭავჭავაძის აზრით, ღირებულება წარმოადგენს ადამიანის აბსტრაქტული შრომის შედეგს და მისი ოდენობა განისაზღვრება პროდუქტის ერთეულზე საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯით.

ი. ჭავჭავაძის აზრით, ღირებულების ცვალებადობა გულისხმობს ფასების ცვალებადობას, ხოლო ფასების ცვალებადობა არ გულისხმობს ღირებულების ცვალებადობას, რადგან მათ სხვადასხვა ფაქტორები განსაზღვრავენ. პირველის საფუძველია საქონელში განივთებული შრომა, ხოლო მეორის კი - ფულის კურსიო. და თუ საქონელი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფასით გამოისახება ანუ ადგილი ექნება საქონლის „სიძვირეს“ და „სიაფეს“, ამას ილია ჭავჭავაძე ხსნის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ხასიათით. **თუ ბაზარზე საქონელი ბევრია – ფასი ეცემა, ხოლო თუ საქონლის დეფიციტია – ფასი მატულობს. ი. ჭავჭავაძე იზიარებდა ინგლისური კლასიკური სკოლის, კერძოდ ადამ სმითის ღირებულების თეორიას, ასევე ლიბერალიზმის პრინციპს.**

ი. ჭავჭავაძეს ესმოდა, რომ **ფულის** კურსის სიმტკიცისთვის საჭიროა სახელმწიფომ გამოუშვას იმ რაოდენობის ამსახველი ფული, რა ღირებულების საქონელიც არის ბრუნვაში და რომ ამ პროპორციის დარღვევა ფულის კურსის ამაღლებას ან დაცემას იწვევს. **სასარგებლოა ფულის კურსის ამაღლება, ხოლო საზი-**

ანოა ფულის კურსის დაცემა, რადგან ამ დროს ხდება ფულის გაუფასურება და მოსახლეობის ძირითადი მასის მატერიალური პირობების გაუარესება.

ღირებულების და ფასის საკითხში ი. ჭავჭავაძის დასკვნითი აზრი ასეთია: „მეცნიერებაში დადგენილია კანონი, როცა საქონლის რიცხვი იგივეა, მაშინ რაც ქვეყანაში ფული ტრიალებს – ერთი-ორად რომ იქცეს, საქონლის ფასებიც ერთი-ორად აიწევს მხოლოდ, და რასაც მწარმოებელნი ამით მოიგებენ გასასყიდში, იმდენსავე წააგებენ სასყიდში. ასევე მოხდება, რომ ფულმა ამ შემთხვევაში ერთი-ორად იკლოს. მაშინ ფასები ერთი-ორად დაეცემა და მწარმოებელნი რამდენადაც წააგებენ გასასყიდში, იმდენს მოიგებენ სასყიდში. არც ერთ შემთხვევაში სასწორი გაცემის და აღების არ შეიშლება.

ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის გასაღების ბაზრის მოქმედების მექანიზმი, რომელიც აგრეთვე ხშირად ფულის კურსის ცვალებადობის მიზეზი ხდება და, მისი აზრით, ამ შემთხვევაში საჭიროა ახალი ბაზრების ძიება და ათვისება. თუ დღემდე არსებული ბაზარი არ იტევს საქონელს, მაშინ მეწარმე ამცირებს თავისი საქმიანობის მოცულობას. ი. ჭავჭავაძე იქვე მიუთითებს, რომ ფულის მასის დიდი რაოდენობით მოზღვავებას სახელმწიფოში მისი გამდიდრება არ მოაქვს. პირიქით, წარმოება ეცემა. მას მოჰყავს პრუსიის მაგალითი, რომელმაც დიდი რაოდენობით კონტრიბუცია (5 მილიარდი ფრანკი) წაართვა საფრანგეთს, მაგრამ ბევრმა ფულმა პრუსია არ გაამდიდრა. არამედ, გამოიწვია პრუსიელი ხალხის გახიზვნა სამშობლოდან. ამ მაგალითით ჭავჭავაძე ასაბუთებს, რომ **მარტო ფულს არ შეუძლია ქვეყნის გამდიდრება.**

ი. ჭავჭავაძეს ფრიად საყურადღებო შეხედულებები გააჩნდა **კრედიტის** საკითხში.

ი. ჭავჭავაძეს სურდა, სწორად ორგანიზებული ბანკის საშუალებით საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მოეხდინა.

ილიას აზრით, **კრედიტის ეკონომიკური საგანი ის არის, რომ იგი საზოგადოებაში მოხმარებული იქნეს წარმოების ასათვისებლად.** სწორედ ამით იზრდება „ქვეყნის ნივთიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე“, – აღნიშნავდა ის.

ი. ჭავჭავაძე, კრედიტის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, მოითხოვდა, რომ **ბანკიდან სესხი მხოლოდ ბეჯით ადამიანებს მისცემოდათ.** არავის არ უნდა ჰქონოდა იმედი, რომ ბანკი თავის სალაროებს უქნარებს გაუხსნიდა.

თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობას საფუძვლად ედო მთელი ქართველი ერის ინტერესები.

იმდროინდელი ქართველი მოწინავე საზოგადოება მთელ ყურადღებას ბანკებს აქცევდა და ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნის საქმეში მათ დიდ როლს ანიჭებდა.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა **კრედიტის** დიდ როლზე წარმოების გაფართოების საქმეში. თუ როგორ აწესრიგებს იგი ნედლეულის, მასალების და პროდუქციის განაწილებას წარმოების და მოხმარებისთვის, ქვეყნის ერთი ადგილიდან მეორეში.

ი. ჭავჭავაძის თქმით, კრედიტი, რომელიც წარმოების გასაძლიერებლად იხმარება, ზოგადი სიმდიდრის ერთი იმისთანა წყაროა, ურომლისოდაც საზოგადოების კეთილდღეობა ძნელად იგულისხმება. იმიტომ, რომ კრედიტს, გადააქვს რა კაპიტალისტურად თუ წარმოების მასალად, იარაღად, თუ სხვაგვარს სახმარ ნივთად, გადააქვს იქიდან, საცა ყოველივე ეს მუქთად აწყვია და იქ საცა საჭიროა წარმოების გასაძლიერებლად. ამ სახით ჩამოარიგებს ხოლმე კაპიტალს ყოველგან და ყოველგანვე იმ სარგებლობას მოატანინებს, რისთვისაც კაპიტალი დანიშნულია.

3. ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური აზრი

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის გამოჩენილ ეკონომისტს და პუბლიცისტს წარმოადგენდა **ნიკო ნიკოლაძე** (1843-1928). მისი მოღვაწეობა სცილდებოდა საქართველოსა და რუსეთის ფარგლებს. იგი წერდა ქართულ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. სამოცდაათიოდე წლის მანძილზე ნ. ნიკოლაძე საოცარი ერუდიციით დაუღალავად ეხმაურებოდა იმ პერიოდის ცხოვრებაში წამოჭრილ კულტურულ და საგანმანათლებლო, პოლიტიკურ,

ადმინისტრაციულ, საზოგადოებრივ და ეკონომიკურ მოვლენებს.[1] მის წინაშე წამოჭრილ ყველა პრობლემას იგი განიხილავდა მეცნიერული და ადამიანური კეთილსინდისიერებით და ასევე კეთილსინდისიერად გამოთქვამდა თავის აზრს.[2]

ნ. ნიკოლაძე 1861 წელს შევიდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ სტუდენტურ გამოსვლებში მონაწილეობისთვის იმავე წელს გარიცხეს უნივერსიტეტიდან. შემდგომში სწავლობდა სორბონის და ციურიხის უნივერისტეტებში. ეს უკანასკნელი მან წარმატებით დაამთავრა 1868 წელს. იმავე წელს ციურიხში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „განიარაღება და მისი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა“. მასში იგი მხარს უჭერდა განიარაღებას და მიუთითებდა, რომ „მუდმივი ჯარი სოციალური ორგანიზმის უბედურებაა“.[3]



ნიკო ნიკოლაძე

ნ. ნიკოლაძე სამეცნიერო ასპარაზზე გამოვიდა როგორც განმანათლებლობის იდეოლოგი. იგი ერთ-ერთი გამოჩენილი მეთაური იყო ბურჟუაზიულ-პროგრესული დასის (მეორე დასი), რომელმაც XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ისტორიული მისია შეასრულა.[4]

ნ. ნიკოლაძე მრავალი ნაშრომის და პუბლიცისტური წერილის ავტორია, რომლებიც გამოქვეყნებულია მისი დროის ქართულ, რუსულ, უცხოურ პერიოდულ გამოცემებში და ცალკე წიგნების სახით.

---

1 გუგუშვილი პ., ნიკო ნიკოლაძე, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1963, №19. გვ. 81.

2 კაკულია რ., ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიიდან, თბ., 1969, გვ. 18.

3 ნიკოლაძე ნ., თხზ. ტ, 1, თბ. 1960, გვ. 491.

4 აბზიანიძე გ., ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრვი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. 33.

პოლიტიკური ეკონომიის საგნის გაგებაში **ნ. ნიკოლაძე კლასიკური სკოლის თეორეტიკოსებს** ეთანხმებოდა. ინგლისელი ა. სმითის მსგავსად, მას პოლიტიუკრი ეკონომია ისეთ მეცნიერებად მიაჩნდა, რომელიც იკვლევს, რარიგად გროვდება ხალხის სიმდიდრე და რა მიზეზებზეა დამოკიდებული ხალხის კარგი ან ავი მდგომარეობა. ამ მეცნიერებას საზოგადო (სოციალური, პოლიტიკური) ეკონომია ჰქვია.[1]

ნ. ნიკოლაძის მტკიცებით, პოლიტიკურ ეკონომიას კაცობრიობის მთელი ისტორიული ცხოვრების და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ყოფის თავისებურებათა ურთიერთდამოკიდებულების ანალიზის პროცესში „ისეთი სამეცნიერო კანონები დაუნახავს, რომელთაც ყოველთვის და ყველგან ემონება კაცობრივი საზოგადოება.[2] მისი თქმით, პოლიტიკური ეკონომია „იკვლევს, თუ რა გზით უფრო სასარგებლოდ შეიძლება სხვადასხვა სიმდიდრის შეძენა, ერთი სიმდიდრის მეორეში გაცვლა, რანაირად უნდა მოქმედებდეს ამ შემთხვევაში საზოგადოება და მისი წარმომადგენელი მმართველობა და რა განწყობილებაა გამოსადეგი ამ საქმეებში“.[3]

„პოლიტიკური ეკონომიის და საზოგადოებრივი ცხოვრების კანონები“, – წერდა ნ. ნიკოლაძე, – იმგვარადვე აუცილებელი და შეურყვნელნი არინ, როგორც თვით ბუნების კანონები. როგორც ამ კანონების ძალით კაცი რამდენიმე წამის მეტს ვერ გაძლებს წყალში, რომ თავიანად ჩაიყურყუმელაოს, ასე **ვერც საზოგადოება და ვერც კერძო პირი ვერ იცხოვრებს დიდხანს ვალის აღებით.**[4] შემდეგ ნ. ნიკოლაძე აგრძელებს, რომ საზოგადოების განვითარების კანონები „...ერთი საქვეყნო ბუნების კანონს ჩამოგავან და როგორც ბუნებაში ყველაფერი ბუნების კანონს ემონება და მისგან იღებს თავის ძალას და სიცოცხლეს, ისე საზოგადო ცხოვრება თავის უნებურად და უცოდინელად ასრულებს საზოგადოების მეცნიერების კანონებს და უსაყვედუროდ, აუცილებლად მისდევს მის ნებას“. იგი დაასკვნის, რომ „**პოლიტიკური ეკონომიის**

---

1 ნიკოლაძე ნ., თხზ., ტ. 2, თბ., 1962, გვ. 88

2 იქვე, გვ. 395.

3 იქვე, გვ. 393.

4 იქვე, გვ. 395-396.

კანონები შეუცვლელნი არიან“ ბუნების კანონების მსგავსად და ისინი „ობიექტურ ხასიათს ატარებენ“.

ნ. ნიკოლაძეს და, საერთოდ, თერგდალეულებს პოლიტიკური ეკონომიის ამოცანად აწმყოს ეკონომიკურ მოვლენათა აღწერა და სტატისტიკური დალაგება კი არ მიაჩნდათ, არამედ მოცემული სოციალურ-ეკონომიკური ყოფის ანალიზის საფუძველზე ეკონომიკური პროცესების დინამიკის ჩვენება და, რაც მთავარია, **მომავლის განვითარების წინასწარხედვა**. სწორედ ამ უკანასკნელში ხედავდნენ ისინი პოლიტიკური ეკონომიის მთავარ ამოცანას.[1]

ნ. ნიკოლაძე მიუთითებდა, რომ „როგორც ავადმყოფისთვის ნაპოვნია სხვადასხვაგვარი საშუალება, რომლის ძალით ავადმყოფობა ხან წაღმა და ხან უკუღმა ბრუნდება, და ავადმყოფი კარგი მოვლით და აქიმობით რჩება, ან უფრო დიდ ხანს ცხოვრობს, ისე ეკონომიკური ცხოვრებისთვისაც მოძებნილია და გამოკვლეულია სხვადასხვაგვარი საშუალებები გაჭირვებულ მდგომარეობაში გამოსაყენებლად. **ერთჯერ და ორჯერ კი არ მომხდარა მარტო, რომ ჩვენს საზოგადოებაზე უარეს მდგომარეობაში მყოფი ხალხი ჩინებულად გასულიყოს თავისი გაჭირვებისგან და შემდგომში შესანიშნავი ძალა და შეძლება შეეძინოს.**

როგორც სოფლის მკურნალისგან და მკითხავისგან მოწამლული ავადმყოფი უკანასკნელ წამში ნამდვილ ექიმს ეკითხება, **ჩვენი საზოგადოებაც უნდა დაეკითხოს ნამდვილ ექიმს,** რომელსაც მისი მოვლა და იქნება, შველაც შეეძლოს. ეს **ექიმია** ის მეცნიერება, რომელსაც მიზნად საზოგადოების განწყობილება და კანონების გამოკვლევა აქვს და სახელად „**პოლიტიკური** (ანუ სოციალური) **ეკონომია** ჰქვია“. [2]

ნ. ნიკოლაძეს **საინტერესო მოსაზრებები აქვს შრომის დანაწილების საკითხში.** ამ საკითხს იგი სმითისგან განსხვავებულად უდგებოდა. ნ. ნიკოლაძე მომხრე იყო შრომის ისეთი დანაწილების, **„როცა კაცმა ორი სამი ხელობა იცის და ხან ერთს ჰკიდებს ხელს და ხან მეორეს“.** ასეთ პირობებში მისი შრომა უფრო

---

1 თოდუა გ., XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, ნაწ. 1, გვ. 193.

2 ნიკოლაძე ნ., თხზ. ტ. 3, თბ., 1963, გვ. 23-24.

ხალისიანი და ნაყოფიერია, და მშრომელს უფრო ნაკლები დრო ეკარგება იმიტომ, რომ შრომის გამოცვლა დასვენებას ედრება“.[1] შრომისადმი ასეთი მიდგომა მიღებულია **მეტა-ეკონომიკის** თეორიაში, რომელიც ცდილობს თავიდან აიცილოს მუშის რობოტიზაციის პროცესი.

ნ. ნიკოლაძე დაბეჯითებით მიუთითებდა, რომ „მარტო ჩვენი საკუთარი ნიადაგი, **დაუშრეტელი და დაუღალავი შრომა მოგვცემს კეთილდღეობას და წარმატებას აღირსებს ჩვენს ქვეყანას“.** მისი აზრით, „შრომა პატივის და ღირსების მოსახვეჭ უფლებად უნდა ითვლებოდეს“[2] და იქვე შენიშნავს, რომ „**შრომას პირველად ცოდნა უნდა, მეორედ იარაღი“.**[3]

ნ. ნიკოლაძის მოსაზრება **საქონლის ფასზე** ასეთია: იგი წერდა, რომ ამა თუ იმ საქონლის გაყიდვის ფასი უდრის თვითღირებულების ფასს მივუმატოთ ვაჭრობაში ჩადებული კაპიტალის სარგებელი, პლუს ხარჯები გატანის, საწყობში შენახვის, საქონლის ღირსების დაკარგვის, გადასახადების, პლუს შუამავალთა გასამრჯელო, ასე თუ ისე აუცილებელი პლუს ერთგვარი თანხა, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია **ბაზრის მდგომარეობაზე, ე.ი. მიწოდების და მოთხოვნის რაოდენობაზე“.**[4]

4. ნ. ნიკოლაძე საქართველოში ვაჭრობის, საბანკო საქმის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ

ნ. ნიკოლაძის აზრით, **ვაჭარი** იმთავითვე ისევე საჭირო და სასარგებლო იყო ხალხისთვის, როგორც პურის მომყვანი და მხედარი, მაგრამ იგი მოტყუებაზე აგებული ვაჭრობის წინააღმდეგი იყო.

ნ. ნიკოლაძის აზრით, ვაჭართა ძარცვისგან თავის დაღწევა იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მშრომელები ამხანაგობებს შექმნიან და ვაჭრებს ერთიანი ძალით დაუპირისპირდებიან. იგი მოითხოვ-

---

1 ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 4, თბ., 1964, გვ. 368.

2 ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 1, თბ., 1962, გვ. 252-260.

3 ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 2, გვ. 44.

4 ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, თბ., 1964, გვ. 386.

და, რომ **ქართველ ახალგაზრდობას მოხერხებული, გონიერი და პატიოსნად ვაჭრობა ესწავლა.**

ნ. ნიკოლაძე დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოში ფინანსურ-საკრედიტო ურთიერთობის განვითარებას. ის **პროტექციონისტული** საბანკო პოლიტიკის გატარებას მოითხოვდა.

ნ. ნიკოლაძის აზრით, **ბანკის შემოსავალი უნდა მოხმარდეს ჩვენი საზოგადოების საჭიროებას, მისი შვილების აღზრდა-განათლებას, მდგომარეობის გაუმჯობესებას და სხვა".**

ნ. ნიკოლაძე მიუთითებდა **მრეწველობის განვითარების** დონის მნიშვნელობაზე. იგი მას **„ხალხის მოქმედების ძლიერ ბერკეტს** უწოდებდა".[1] **ის ფაბრიკა-ქარხნების განვითარებას მიესალმებოდა.** ნ. ნიკოლაძე მიუთითებდა, რომ **ეკონომიკურად ჩამორჩენილი ერები ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ექსპულატაციის ობიექტი ხდებიანო.** ნ. ნიკოლაძის თქმით, **თუ გვსურს ჩვენი ერის დაცვა უცხოური კაპიტალისგან, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიავაქციოთ მრეწველობის საქმეს.** იგი ბეჯითად იმეორებდა, რომ **საქართველოს ცხოვრებაში თვალსაჩინო ცვლილება ვერ მოხდება მრეწველობის განვითარების გარეშე,** რომლის უქონლობა ჩამორჩენილობის უტყუარი ნიშანია. **მრეწველობის საშუალებით შეიძლება უცხოელებისადმი მონური დამოკიდებულებისგან თავის დახსნა,** საზოგადოებრივ-პოლი-ტიკური თავისუფლება ეკონომიკური საფუძვლის გარეშე თავისუფალი მონობაა და სხვა არაფერი. **ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ერებს პოლიტიკურად ადგილობრივი ხელისუფალნი იმონებენ, ეკონომიკურად კი – უცხოელი მრეწველნი.** ქვეყანა, სადაც მრეწველობა არ არსებობს და ვაჭრობა ხალხის მატერიალურ დაუძლურებას იწვევს თანდათანობით, იქ **ერის დიდი ნაწილი დაბალი მუშაა დაწინაურებულ უცხოელთა, რომელნიც „ეკონომიკური კანონების ძალით" მათ ტყავს აძრობენ.**[2]

ნ. ნიკოლაძე ჯეროვან ყურადღებას უთმობდა **საქართველოს სოფლის მეურნეობის** საქმეს.

---

1 ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 4, თბ., 1964, გვ. გვ. 265.

2 თოდუა გ., XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, ნაწ. 2, თბ., 1987, გვ. 123.

ნ. ნიკოლაძე უჩიოდა სოფლის მეურნეობის ტექნიკის დაბალ დონეს. იგი წერდა: „ჩვენი მხარის სოფლის მეურნეობის გამოუკლებლივ ყველა დარგი ახლა იმავე პრიმიტიულ მდგომარეობაში იმყოფება, **როგორც ის დატოვა წინაპარმა ნოემ.** ადგილობრივი შრომის იარაღები გამოირჩევიან მოუხეშაობით და არადამაკმაყოფილებელი კონსტრუქციით. ამასთან ერთად, მოითხოვენ უამრავ მუშა და გამწევ ძალას. შრომის იარაღები გამოირჩევიან სრული ჩამორჩენილობით და არასრულყოფით“.[1]

ნ. ნიკოლაძე შიშს გამოთქვამდა, რომ **უცხოელთა მოძალებას ის მოჰყვება, რომ ქართულ მიწა-წყალს უცხოელი ვაჭრები და კაპიტალისტები დაეპატრონებიან, რომელნიც საქართველოს მტაცებლური ექსპლუატაციის და ძარცვის ობიექტად გადაიქცევიანო.** სწორედ „ამ მოსულების ეშინია ჩვენს ხალხს, და ეშინია საფუძვლიანად, იმიტომ, რომ ისინი დაუზოგავად სარგებლობენ ჩვენი ხალხის და საზოგადოების სისუსტით, დაუზოგავად ყვლეფენ და აღარიბებენ მას“.[2] მდგომარეობიდან გამოსავალს ნ. ნიკოლაძე ხედავდა სპეციალური **საკრედიტო** ორგანიზაციების დაარსებაში. ეს უკანასკნელნი სამამულო მეურნეობის დაცვის და განვითარების მოთავეები უნდა ყოფილიყვნენ. „საზოგადოებრივი ბანკები – წერდა ნ. ნიკოლაძე, – იმისთვის არიან დაარსებულნი, რომ ურთიერთის შეერთებით და თავდებით თანხა და ნდობა მოიპოვონ, და დაიხსნან გაჭირვებული ხალხი“.[3]

მდგომარეობიდან გამოსავალს ნ. ნიკოლაძე ხედავდა აგრეთვე სახელმწიფოს მხრივ გლეხობის დახმარებაში. მთავრობას გლეხებისთვის საჭირო კრედიტი უნდა მიეცა.

* * *

ვინაიდან დღევანდელ სინამდვილეში ხშირად მეორდება წინა ეპოქის შტრიხები, სასურველია გავითვალისწინოთ XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების გაკვეთილები. **საჭიროა გამოვიყენოთ ჩვენი სა-**

---

1 ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ.4, თბ., 1964, გვ. 266.

2 იქვე, გვ. 388.

3 იქვე, გვ. 420-421.

ხელოვანი წინაპრების ეკონომიკური იდეები, რომლებიც გზის მანათობელ ლამპრად შეიძლება გამოდგეს.

დღესდღეისობით, ეტყობა, საბაზრო ეკონომიკა, ბაზრის ავტომატიზმი ვერ გადაწყვეტს თავისით ჩვენს პრობლემას. საბაზრო ეკონომიკას ექსტრემალურ სიტუაციებში არ შეუძლია დარღვეული წონასწორობის აღდგენა და ეკონომიკური ზრდა. ასეთ ვითარებაში **უპირატესად უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკის რეგულირების პროტექციონისტული (მფარველობითი) პოლიტიკა.** მით უმეტეს, რომ ამ მიმართულებით მსოფლიოში დიდი გამოცდილებაა დაგროვილი. ვითვალისწინებთ რა ამ გამოცდილებას, **რეკომენდაციას ვუწევთ მობილური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, – საწყის პერიოდში და ექსტრემალურ სიტუაციებში უპირატესად უნდა გამოვიყენოთ პროტექციონისტული პრინციპი, ხოლო შემდგომში შესაძლებელი გახდება, გზა გავუხსნათ ფრიტრედერობას – თავისუფალ მეწარმოებას და თავისუფალ ვაჭრობას.**[1]

დღეს ჩვენი საზოგადოების წევრთა მნიშვნელოვან ნაწილს თვალი რჩება საზღვარგარეთულ ქვეყნებში შექმნილ ეკონომიკურ ყოფა-ცხოვრებაზე, მაგრამ **ყველას უნდა ესმოდეს, რომ ძლიერი ეკონომიკის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ბეჯითი შრომით და წარმოების კარგი ორგანიზაციით.** ისიც უნდა ითქვას, რომ საჭიროა შრომის პირობების შექმნა და სათანადო დაინტერესება. თუ შეიქმნება წარმოების განვითარების სათანადო პირობები, მაშინ შესაძლებელი გახდება მოწინავე საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარებაც, უცხოური კაპიტალის მოზიდვა, ერთობლივი საწარმოების შექმნა და ა.შ.

უცხოური გამოცდილების გასაზიარებლად სასურველია მოვიწვიოთ გამოცდილი მეწარმე-მენეჯერები. მათ შევუქმნათ შრომის და დაინტერესების სათანადო პირობები. მაგრამ **არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვაქციოთ ჩვენი ეკონომიკის უზურპატორებად.** მათ კი არ უნდა ჩავუგდოთ ხელში ჩვენი საწარმოების და კორპორაციების საკონტროლო პაკეტი და მართვის სადავეები, არამედ ჩვენ უნდა გვეპყრას ისინი ხელთ.

---

[1] ხარიტონაშვილი ჯ., ჩარჩული ფული ქურდბაცაცაა, გაზ. „სიმართლე“, 1993, აპრილი, №5. გვ. 4.

გასათვალსიწინებელია **კომპრადორული (შემთანხმებლური) ბურჟუაზიის** როლის საკითხიც. **კომპრადორი** თავისი პირადი გამორჩენის საფასურად ადვილად გაურიგდება უცხოელებს ეროვნული სიმდიდრის განიავებაზე.

დიდ ყურადღებას მოითხოვს უცხოეთის ბანკების და ინვესტორებისგან აღებული სესხების ეფექტიანად გამოყენების საკითხიც. ეს **თანხები უპირატესად უნდა გამოვიყენოთ წარმოების განვითარების საჭიროებისთვის,** სხვა შემთხვევაში, კვლავ დაზარალდება მოსახლეობის ფართო ფენები. საბოლოო ჯამში, მათ კისერზე გადავა სესხის თავნის და პროცენტის გადახდის სიმძიმე.

როგორც ვხედავთ, კარგი ეკონომიკური ცხოვრების შესაქმნელად, დაუღალავი და გააზრებული მუშაობაა საჭირო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბზიანიაძე გ., ნარკვევები, XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959.
2. ბახტაძე ვ., ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1959.
3. ბახტაძე ვ., ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1958.
4. ბერაძე ს., ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1958.
5. გუგუშვილი პ., ნიკო ნიკოლაძე, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1963, №9.
6. ვეშაპიძე შ., ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები.
7. თოდუა გ., XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, ნაწ. I., 1983, ნაწ. II, თბ., 1987.
8. კაკულია რ., ქართული ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1969.
9. ნიკოლაძე ნ., თხზ., ტ.1, თბ.,1960.
10. ნიკოლაძე ნ., თხზ., ტ. 2, თბ.,1962.
11. ნიკოლაძე ნ., თხზ., ტ. 3, თბ.,1963.

12. ნიკოლაძე ნ., თხზ., ტ. 4. თბ.,1964.
13. რატიანი პ., ქართველ თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, თბ., 1962.
14. სართანია ტ., ილია ჭავჭავაძე, თბ., 1992.
15. სართანია ტ., ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებათა შესახებ, ცხინვალი, 1971.
16. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
17. ქისტაური შ., ილია ჭავჭავაძე – დიდი ქართველი ბანკრი, ფინანსისტი, თბ., 1998.
18. ჩადუნელი ე., გაზეთ „დროების“ პუბლიცისტთა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ შეხედულებანი, თბ., 1978.
19. ჩადუნელი ე., ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიიდან, თბ., 1978.
20. ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. III, V, VII.
21. ჭავჭავაძე ი., წოდებათა თანასწორობა, რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1987.
22. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., II , თბ., 1997.
23. ხარიტონაშივლი ჯ., ჩარჩული ფული ქურდბაცაცაა, გაზ. „სიმართლე“, 1993, აპრილი, №5. გვ. 4.
24. ხარიტონაშვილი ჯ., პროტექციონისტული ეკონომიკური დოქტრინის ევოლუცია, თბ., 2008.
25. ხარიტონაშვილი ჯ., ჭავჭავაძის შეხედულებები ეკონომიკური ლიბერალიზმის და პროტექციონიზმის შესახებ, ჟურნ. „ეკონომიკა“, № 10, 2002.
26. ხარიტონაშვილი ჯ., ნიკო ნიკოლაძე, სახელმწიფოებრივი პროტექციონიზმის ბაირახტარი, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, №3, 2009.
27. Мегрелишвили Г., Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, Тб., 1960.

თავი XV. მარჟინალიზმის წარმოშობა. ნეოკლასიციზმი

მარჟინალიზმი (ფრანგ. Marginal – ზღვრული) ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც ეკონომიკური კვლევის დროს ზღვრული სიდიდეების ანალიზს ემყარება.

XIXს-ის 70-იან წლებში გაძლიერდა კაპიტალიზმის კრიტიკა. კარლ მარქსმა ისეთი მიმართულება მისცა კლასიკურ დოქტრინას, რომ მან შეშფოთება გამოიწვია.

წარმოიშვა მოძრაობა, რომელიც კლასიკური სკოლისთვის დამახასიათებელი ობიქტივიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. **კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული რეალური დანახარჯების ანალიზი უარყოფილ იქნა და უპირატესობა დანახარჯების ფსიქოლოგიურ განმარტებას მიენიჭა.** ეს გააკეთა მარჟინალისტურმა სკოლამ.

მარჟინალიზმის თეორიის ფუძემდებლებად თითქმის ერთდროულად გამოჩნდნენ **უილიამ სტენლი ჯევონსი** (ინგლისი), **ლეონ ვალრასი** (შვეიცარია) და **კარლ მენგერი** (ავსტრია).[1]

1. უ. ჯევონსის და ლ. ვალრასის მარჟინალიზმი

უილიამ სტენლი ჯევონსი (1835-1882) მიიჩნევდა, რომ კლასიკური სკოლის შეხედულებათა ბატონობა სერიოზულად უშლიდა ხელს პოლიტიკური ეკონომიის შემდგომ განვითარებას. როგორც ჯევონსი ამტკიცებდა, პოლიტიკურ ეკონომიაში წინ გადაიდგა ნაბიჯი არა რიკარდოდან ჯონ სტიუარტ მილზე გადასვლით, არამედ სმითიდან მალთუსის და სენიორისკენ სვლით.

უ. ჯევონსის მნიშვნელოვან ნაშრომს პოლიტიკურ ეკონომიაში 1871 წელს გამოქვეყნებული „**პოლიტიკური ეკონომიის თეორია წარმოადგენდა**“.

უ. ჯევონსის თეორიაში მთავარ როლს სუბიექტური საზღვრითი სარგებლიანობა თამაშობს.

უ. ჯევონსის თეორიის ძირითადი პოსტულატი გვაუწყებს, რომ ღირებულება საზღვრითი სარგებლიანობიდან წარმოიშობა.

[1] ქსე, ტ. 6, გვ. 453.

საცვლელი ღირებულების განსაზღვრის მთავარ ფაქტორს მოთხოვნა წარმოადგენს და არა წარმოების ხარჯები, როგორც კლასიკური სკოლის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ.

უ. ჯევონსი ილაშქებდა შრომითი ღირებულების თეორიის წინააღმდეგ და **საქონლის ფასეულობას განსაზღვრავდა ნივთის იშვიათობით.** იგი იზიარებდა და იცავდა **მოთხოვნა-მიწოდების თეორიას.**

მარჟინალიზმის ფუძემდებლად ითვლება ასევე შვეიცარიელი ეკონომისტი, ლოზანის უნივერისტეტის პროფესორი **ლეონ ვალრასი** (1834-1910).

ლ. ვალრასმა თავისი ეკონომიკური შეხედულებები ჩამოაყალიბა შემდეგ ნაშრომებში: **„სოციალური ეკონომიის გამოკვლევა“** (1896), „გამოყენებითი პოლიტიკური ეკონომიის გამოკვლევა“ (1898), „პოლიტიკური ეკონომია და სამართალი“ და სხვ.

ლ. ვალრასის მოძღვრებაში მთავარი ადგილი ეკონომიკური წონასწორობის თეორიას უკავია.

ლ. ვალრასის მიერ შემუშავებული ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის მოდელი ასახავს მზა პროდუქციის ბაზრებისა და წარმოების ფაქტორთა ბაზრების ურთიერთკავშირს მეურნეობის საბაზრო მექანიზმის პირობებში სრულყოფილი კონკურენციით, რომელიც მრავალი ბაზრის ერთადერთ წონასწორობას იწვევს.[1]

2. ავსტრიული სკოლა. კარლ მენგერი, ფრიდრიხ ფონ ვიზერი, ოუგენ ბემ-ბავერკი

ფასეულობის სუბიექტური თეორია. ფასეულობის ობიექტური თეორია

XIX ს-ის 70-იან წლებში ეკონომიკურ აზრში ჩამოყალიბდა ავსტრიული სკოლა. ამ მიმართულების მთავარი წარმომადგენლები **კარლ მენგერი, ფრიდრიხ ფონ ვიზერი და ოუგენ ბემ-ბავერკი** ავსტრიაში მოღვაწეობდნენ, ისინი ვენის უნივერსიტეტის პროფესორები იყვნენ. ამ სკოლის სახელწოდებაც მათი მოღვაწეობის

[1] იადგაროვი ი. ს., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თ., 2014, გვ. 255.

ადგილიდან წარმოდგება. **ავსტრიულ სკოლას ვენის ფსიქოლოგიურ სკოლასაც უწოდებენ.**

ავსტრიული სკოლის მეთოდოლოგიურ საფუძველს იდეალისტური ფილოსოფია და სუბიექტური სოციოლოგია წარმოადგენდა. მისთვის დამახასიათებელია ინდივიდუალისტური, სუბიექტურ-ფსიქოლოგიური მეთოდი. ამ სკოლის წარმომადგენლები საზოგადოებას განიხილავენ, როგორც ინდივიდთა მექანიკურ ჯამს. მათი მტკიცებით, ეკონომიკური თეორია წარმოდგენილია, როგორც მეცნიერება სუბიექტის დამოკიდებულებისა საგანთან სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ავსტრიულმა სკოლამ შრომითი ღირებულების კლასიკურ თეორიას საზღრითი სარგებლიანობის თეორია დაუპირისპირა. ამ თეორიის მიხედვით საქონლის ღირებულება განისაზღვრება არა უბრალო სარგებლიანობით, არამედ ნივთის საზღვრითი სარგებლიანობით. ავსტრიული სკოლის მიხედვით, **საქონლის საზღვრითი სარგებლიანობა არის საქონლის იმ ერთეულის სარგებლიანობის სუბიექტური შეფასება, რომელიც საქონლის მარაგის მოცემული სიდიდისას ინდივიდის ყველაზე ნაკლებ საარსებო მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.** ამა თუ იმ ნივთის საზღვრითი სარგებლიანობის დონე მის მოთხოვნასა და იშვიათობაზეა დამოკიდებული.

რაც უფრო იშვიათად მოიპოვება საქონელი, მით უფრო მაღალია მისი ღირებულება. საქონლის ღირებულების სიდიდეს ნივთის იშვიათობის პრინციპი უდევს საფუძვლად.

ავსტრიული სკოლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი **კარლ მენგერი** (1840-1921) იყო**.** იგი იურისპრუდენციას სწავლობდა პრაღისა და ვენის უნივერისტეტებში. 1867 წლიდან მან ეკონომიკური თეორიის შესწავლას მოჰკიდა ხელი. 1871 წელს გამოაქვეყნა „**პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები**“, რამაც მას აღიარება მოუპოვა. კ. მენგერი სამუშაოდ ვენის უნივერსიტეტში მიიწვიეს, სადაც 1903 წლამდე მუშაობდა. 1883 წელს მეორე მთავარი ნაშრომი გამოაქვეყნა – „გამოკვლევა საზოგადოებრივ მეცნიერებათა და, განსაკუთრებით, პოლიტიკური ეკონომიის მეთოდის შესახებ“, რომელშიც კ. მენგერი ერთადერთ სწორ მეთოდად **აბსტრაქციის**

მეთოდს აღიარებდა. კ. მენგერის ნაშრომებს წითელ ზოლად გასდევს ზღვრული სარგებლიანობის პრინციპი. მისი გამოკვლევების ამოსავალ პუნქტს ადამიანის მოთხოვნილებანი წარმოადგენდა, რომლებიც გარმომცველ სივრცესთან ადამიანის შეგუების დროს წარმოიშობა.

კ. მენგერის აზრით, მოთხოვნილებას განსაზღვრავს ინდივიდის ჩვევები და მისი ხასიათის თავისებურებანი. კ. მენგერის მიხედვით, თუ საგნები მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოსადეგია, მისი ამ თვისების ცოდნა მას სამეურნეო დოვლათად გადააქცევს. კ. მენგერმა დოვლათი და მოთხოვნილება მიზეზშედეგობრივად დააკავშირა. დოვლათი არის მიზეზი, მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი – შედეგი. კ. მენგერი ყურადღების ცენტრში აყენებდა სუბიექტის დამოკიდებულებას ნივთთან, წარმოების სფეროს შესწავლას უგულებელყოფდა. კ. მენგერს სამომხმარებლო დოვლათი პირველხარისხოვნად მიაჩნდა, მწარმოებლური დოვლათი კი – მეორე და მესამეხარისხოვნად.

კ. მენგერმა შემოიღო ეკონომიკური და არაეკონომიკური დოვლათის ცნება. **ეკონომიკურ დოვლათად** მას ის დოვლათი მიაჩნდა, რომლის მიწოდებაც მოთხოვნილებაზე ნაკლებია, ხოლო **არაეკონომიკურად** – დოვლათი, რომლის მიწოდებაც მოთხოვნილებაზე მეტია. ეკონომიკურ და არაეკონომიკურ კატეგორიებს შორის დოვლათის გადასვლა სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით ხდება. კერძოდ, მოსახლეობის ზრდით, მომხმარებლის გემოვნებით, რესურსების გამოფიტვით და ა.შ.

მენგერის აზრით, ღირებულება მოწოდების სიდიდით განისაზღვრება. დოვლათის რაოდენობის შემცირების და გადიდებისას მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი და აქედან მოცემული დოვლათის ღირებულება იცვლება. დოვლათის რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, მის დამატებით ერთეულებს უფრო ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, დაიკმაყოფილონ მოთხოვნილებანი. ეს არის **კ. მენგერის მიერ შემუშავებული კლებადი საზღვრითი სარგებლიანობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, დოვლათის ღირებულება განისაზღვრება უკანასკნელი ანდა ნაკლებად მნიშვნელოვანი ერთეულით.** კ. მენგერის აზრით, ღირებულე-

ბის განსაზღვრა სუბიექტური შეფასებით ხდება. მან ერთმანეთთან გააიგივა საცვლელი ღირებულება და სუბიექტური შეფასება. კ. მენგერი არ ცნობს წარმოების ფაქტორს. როგორც ამერიკელი ეკონომისტი ბ. სელიგმენი აღნიშნავს, „მარჟინალიზმმა ხარჯები გადააქცია სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ მოვლენად, რადგან ფაქტორების ფასი უნდა განისაზღვროს გაცვლის პროცესში მყიდველის მხრიდან მათი ზღვრული სარგებლიანობით. ამიტომ მოწოდებაც ფსიქოლოგიურ მოვლენად იქცევა. ე.ი. ზღვრული სარგებლიანობის პრინციპი მთელ ეკონომიკას მართავს“.[1]

კ. მენგერის ფასების თეორია ეკვივალენტურ გაცვლას არ ითვალისწინებდა. მისი აზრით, გაცვლის პირობები დამოკიდებულია ადამიანების და დოვლათის რაოდენობაზე. გაცვლის საბოლოო მიზანი საზღვრითი სარგებლიანობაა, რომლის მიხედვითაც გაცვლის პროპორციები განისაზღვრება.

კ. მენგერის აზრით, **კაპიტალი** არის მოძრავი ფონდი, რომლის განსახიერებას ქონების ღირებულება წარმოადგენს ფულად ფორმაში. კაპიტალად მას ბუნებრივი დოვლათი მიაჩნდა. კ. მენგერის მტკიცებით, წარმოება მომავალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მაგრამ ამისთვის საჭიროა წარმოების საშუალებები და მათი გამოყენების უფლება. სწორედ ეს უფლება მიაჩნდა კ. მენგერს კაპიტალად.

ფულის საკითხში კ. მენგერი ნომინალისტურ თეორიას ემხრობოდა, ის აღნიშნავდა, რომ ეკონომიკური განვითარების ყოველ სტადიას გარკვეული ფულადი მიმოქცევა შეესაბამება. კ. მენგერის აზრით, ფულის თეორიას სუბიექტური ხასიათი აქვს. თავის თეორიას მან საფუძვლად საქონლის გაყიდვის უნარი დაუდო. მისი პოზიცია რაოდენობრივი თეორიისგან განსხვავდებოდა, რომელიც ისეთ აგრეგატებს იყენებს, როგორებიცაა: ფასი, წარმოების სიდიდე და საქონელბრუნვა. კ. მენგერის მიხედვით, ფულის მსყიდველობთი უნარი შეიძლება სტაბილური გახდეს ოქროს წარმოებისა და მიმოქცევაში არსებული ბანკნოტების რაოდენობის რეგულირების გზით.

---

[1] სელიგმენი ბ., თანამედროვე ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი, მ., 1968, გვ. 162(რუს).

კ. მენგერი ყურადღებას არ აქცევდა სოციალურ პრობლემებს და მათგან აბსტრაჰირებას ახდენდა.

კ. მენგერის მემკვიდრე ეკონომიკურ თეორიებში **ფრიდრიხ ფონ ვიზერი** (1851-1926) იყო. იგი 1903 წლიდან ვენის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. მისი ეკონომიკური მოძღვრება გადმოცემულია შემდეგ ნაწარმოებებში: „სამეურნეო ფასეულობის წარმოშობისა და მთავარი კანონის შესახებ“(1844), „ბუნებრივი ფასეულობა“ (1889), „საზოგადოებრივი მეურნეობა“ (1914), „ძალაუფლების კანონი“(1926).

ფ. ვიზერმა თავის ნაშრომებში გამოიყენა აბსტრაქციის მენგერისეული მეთოდი.

ფ. ვიზერი, ერთი მხრივ, საზოგადოებისთვის წარმოების მნიშვნელობას აღიარებდა, მეორე მხრივ, წარმოებას ეკონომიკას არ მიაკუთვნებდა. **ეკონომიკის მთავარ და გადამწყვეტ სფეროდ ფ. ვიზერი გაცვლას მიიჩნევდა.** მისი თქმით, ეკონომიკური თეორიის ცენტრალურ იდეას სარგებლიანობა წარმოადგენს, რომელიც ყველა მოვლენას მოიცავს.

ფ. ვიზერმა აჩვენა **ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის, კომერციული საქმიანობისა და სახელმწიფო რეგულირების ურთიერთდამოკიდებულება,** რომელთა საფუძვლად მიაჩნდა საზღვრითი სარგებლიანობის პრინციპის გამოყენება საზოგადოების მასშტაბით მიმდინარე მოვლენებისადმი.

ფ. ვიზერი **სამეურნეო საქმიანობის საფუძვლად სარგებლიანობას** მიიჩნევდა და დოვლათის იშვიათობის ფაქტორს დიდ ყურადღებას უთმობდა. ფ. ვიზერის აზრით, კეთილდღეობა არის მოცემული დოვლათის მოხმარების უფრო ნაკლები საზღვრითი სარგებლიანობის მიღწევა, რომლის დროსაც, უფრო მაღალი საზღვრითი სარგებლიანობა არ იკარგება. ფ. ვიზერმა აჩვენა, რომ საზღვრით სარგებლიანობას ადგილი აქვს ერთეულოვანი ფაქტის დროს.

ფ. ვიზერის აზრით, **ფასი** არა მარტო სარგებლიანობის გამოხატულება, არამედ ფულის სამომხმარებლო და საცვლელ ღირებულებას შორის წონასწორობის დამდგენი საშუალებაა. წონასწორობა მაშინ დგება, როცა საბაზრო ვაჭრობაში მონაწილეობას ზღვრული მყიდველები ღებულობენ.

ფასის თეორიას ფ. ვიზერი სუბიექტურად განმარტავდა. **ფ. ვიზერს საზოგადოებრივი ურთიერთობები არ აინტერესებდა.** იგი კვლევისთვის ინდივიდუალიზმს ირჩევდა და სუბიექტურ მეთოდს პრიორიტეტს ანიჭებდა.

ფ. ვიზერს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა დასაშვებად მიაჩნდა. მისი აზრით, სახელმწიფოს ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი წარმოების განვითარების პირობების დაცვა უზრუნველყოს. ის პროგრესული დაბეგვრის წინააღმდეგი იყო.

კ. მენგერისგან განსხვავებით, ფ. ვიზერი სოციალური საკითხებით დაინტერესებული იყო. მისი აზრით, წარმოება სიმდიდრის გაზრდის მიზნით უნდა ხორციელდებოდეს. ფ. ვიზერი საზოგადოებაში სწორი გადაწყვეტილების მომხრე იყო.

თავის ნაშრომში „საზოგადოებრივი მეურნეობა“ ფ. ვიზერი ცდილობდა, მთელი საზოგადოება ინდივიდუალური ეკონომიკის მოდელად წარმოედგინა და მასში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენები ამით აეხსნა.

ფ. ვიზერმა საზოგადოება წარმოგვიდგინა, როგორც ფუნქციონირებადი ორგანიზმი და შეეცადა, იგი შეეცნო. **ფ. ვიზერი კაპიტალიზმის მომხრე იყო, მაგრამ მისი სიმპათიები შერეული ეკონომიკისკენ იხრებოდა.**

ფ. ვიზერის მარჟინალისტურ იდეებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ელისი, აფტალიონი, პიგუ, ჟამსი და სხვები.

ავსტრიული სკოლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი **ოუგენ ბემ-ბავერკი** (1851-1914) იყო, ის პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი იყო ჯერ ინსბრუკის, შემდეგ კი ვენის უნივერსიტეტებში. ბემ-ბავერკი წლების განმავლობაში **იყო ავსტრიის ფინანსთა მინისტრი.** 1911 წელს **აირჩიეს ვენის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად.**

ო. ბემ-ბავერკის მთავარი ნაწარმოებებია: „**სამეურნეო დოვლათის ფასეულობის თეორიის საფუძვლები**“ (1886), „კარლ მარქსის თეორია დ მისი კრიტიკა“ (1896).

ე. ბემ-ბავერკის თვალთახედვის ამოსავალ წერტილს კ. მენგერის თეორია წარმოადგენდა. იგი **აბსტრაქციის მეთოდს** ემყარებოდა.

ო. ბემ-ბავერკმა განავითარა მარჟინალური თეორია. ეკონომიკური თეორიის მთავარ ამოცანად მან ადამიანს და ნივთს შორის ურთიერთობა გამოაცხადა. ო. ბემ-ბავერკი უპირატესობას მოხმარებას ანიჭებდა და წარმოების როლს უგულებელყოფდა. მას განაწილების ფუნქციონალური მხარე აინტერესებდა. მისი აზრით, განაწილებაში მნიშვნელობა არა აქვს სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებს. ისინი განაწილებაზე არ მოქმედებს.

ო. ბემ-ბავერკის **ღირებულების თეორია** ემყარებოდა კ. მენგერის თეორიას და იგი სუბიექტური ხასიათის იყო. ო. ბემ-ბავერკის აზრით, რადგან საზღვრითი სარგებლიანობა მოცემულ დარგში კლებულობს, საერთო ღირებულება ყველა ერთეულის ღირებულებათა ჯამს უდრის. მისი აზრით, ღირებულება არ წარმოიქმნება მანამ, სანამ სამომხმარებლო ღირებულება იშვიათობას არ შეეხამება. ო. ბემ-ბავერკის თქმით, დოვლათის ღირებულება ყველაზე ნაკლები საზღვრითი სარგებლიანობით განისაზღვრება, ანუ დოვლათს ის ღირებულება აქვს, რომ დოვლათის არარსებობა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ამცირებს.

ო. ბემ-ბავერკის ეკონომიკურ სისტემაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი კაპიტალის თეორიას უკავია. **კაპიტალად** მას მხოლოდ მატერიალური დოვლათი მიაჩნია. მან კაპიტალი დაყო წარმოების საშუალებებად და კაპიტალი, როგორც წმინდა შემოსავალი. კაპიტალი მან განაცალკევა კერძო კაპიტალად და საზოგადოებრივ კაპიტალად. კერძო კაპიტალი არის არსებობის საშუალებების ფონდი, რომელიც მუშებს ეძლევათ, ხოლო საზოგადოებრივი კაპიტალი – საწარმოო მოწყობილობანი და ნედლეული. ო. ბემ-ბავერკის აზრით, კაპიტალი ხელს უწყობს წარმოების დროის შემცირებას. ამ შეხედულებამ დინამიკური კაპიტალის კონცეფციას დაუდო სათავე.

მოგების განსაზღვრის საკითხში ო. ბემ-ბავერკი სენიორის თეორიას ეყრდნობოდა და ისიც მოგების წყაროდ „თავშეკავებას“ აცხადებდა. **პროცენტის** დონე ო. ბემ-ბავერკმა დამატებითი შემოსავლით განსაზღვრა, რომელსაც წარმოების გაფართოების ბოლო შესაძლებლობა იძლევა. მისი თქმით, ამ პროცესში სამი ელემენტი მონაწილეობს:

1. საარსებო საშუალებების ფონდის სიდიდე;
2. მუშათა არსებული რაოდენობა;
3. ამ მომენტში მიღწეული წარმოების დონე.

ო. ბემ-ბავერკის მიხედვით, არსებობს სამეურნეო დოვლათის ორი სახე:

სუბიექტური

ობიექტური

სუბიექტური ფასეულობა არის სამეურნეო დოვლათის ფასეულობა მოცემული სუბიექტისთვის, ხოლო **ობიექტური** ფასეულობა საქონლის საბაზრო ფასია.

ფასეულობის სუბიექტურ თეორიას საფუძვლად ინდივიდის შეფასება უდევს. ფასეულობას (ღირებულებას) ო. ბემ-ბავერკი განსაზღვრავს, როგორც ნივთის სარგებლიანობას ინდივიდისთვის. „ფასეულობა, – წერს ო. ბემ-ბავერკი, – არის ნივთის მნიშვნელობა ადამიანის კეთილდღეობისთვის“.[1]

ფასეულობის ობიექტური თეორია ო. ბემ-ბავერკმა მოთხოვნა-მიწოდების თეორიის ბაზაზე შექმნა. ფასეულობის ობიექტური თეორიით ო. ბემ-ბავერკი მიზნად ისახავდა საბაზრო ფასების განსაზღვრას. ო. ბემ-ბავერკის მიხედვით, ერთიანი საბაზრო ფასი მყიდველების და გამყიდველების სუბიექტური შეფასებებით მყარდება. ფასი უკანასკნელი მყიდველის სუბიექტური შეფასებით განისაზღვრება, რომელიც თანახმაა იყიდოს საქონელი, და პირველი გამყიდველის, რომელიც თანახმაა გაყიდოს საქონელი. **მყიდველების სუბიექტური შეფასება ო. ბემ-ბავერკს ფასის ამაღლების საზღვრად მიაჩნია.** მაგრამ გამყიდველიც იძლევა გასაყიდი ნივთის შეფასებას, რასაც ო. ბემ-ბავერკი ნივთის ფასის უდაბლეს ზღვარს უწოდებს.

ო. ბემ-ბავერკის აზრით, ფასებს შემდეგი ოთხი ფაქტორი წარმოქმნის:

1. საქონლის მსურველთა რაოდენობა;
2. მყიდველის მიერ საქონლის შეფასების დონე;
3. გასაყიდად განკუთვნილი საქონლის რაოდენობა;
4. გამყიდველების მიერ საქონლის შეფასების დონე.

---

[1] ბემ-ბავერკი ო., სამეურნეო დოვლათის ფასეულობის თეორიის საფუძვლები, მ., 1929, გვ. 29 (რუს).

3. კემბრიჯის სკოლა. ალფრედ მარშალი

ინგლისური ანუ კემბრიჯის სკოლის მეთაური **ალფრედ მარშალი** (1842-1824) იყო, რომელმაც კლასიკური სკოლის მოძღვრება განავითარა და **ნეოკლასიკურ მიმართულებას დაუდო სათავე**.

ა. მარშალი რიგი ნაშრომების ავტორია, რომელთაგან მთავარია: „მრეწველობის ეკონომიკა“ (1879), „**ეკონომიკური მეცნიერების პრინციპები**“ (1890), „მრეწველობა და ვაჭრობა“ (1919), „ფული, კრედიტი და ვაჭრობა“ (1923) და სხვა.

ა. მარშალს დასაწყისში საუნივერსიტეტო კოლეჯის პრინციპალის თანამდებობა ეკავა ბრისტოლში, ხოლო 1885-1908 წლებში კომბრიჯის უნივერსიტეტში კათედრას ხელმძღვანელობდა. აქ მან თავისი საუკეთესო სტუდენტების უმრავლესობა მუშაობაში ჩააბა. ამ ცენტრის საფუძველზე ჩამოყალიბდა **კემბრიჯის სკოლა.** ა. მარშალის გარდა, ამ სკოლაში მოღვაწეობდნენ ჯ. კეინზი, რ. ჰაროდი, ი. ფიშერი, ტ. კარვერი და სხვ. კემბრიჯის სკოლას სუბიექტურ ფსიქოლოგიურ სკოლასაც უწოდებენ. ა. მარშალის ნაწარმოებებში მნიშვნელოვანი ადგილი კრიზისების და სავაჭრო დეპრესიის პრებლემების ახსნას უკავია. კრიზისების და დეპრესიების მიზეზებს ა. მარშალი წარმოების და კრედიტის ორგანიზაციაში ხედავდა.



ალფრედ მარშალი

ა. მარშალი ერთ-ერთი პირველი ტრადიციონალისტი იყო, რომელიც პოლიტიკურ ეკონომიას ევოლუციურ მეცნიერებად მიიჩნევდა. **ის რევოლუციურ ცვლილებებს უარყოფდა და დიდ იმედებს რეფორმებზე ამყარებდა.** ამაზე მეტყველებს მისი ხშირი მიმართვა ზრდის და დაცემის ბიოლოგიური კატეგორიებისადმი. მას სურდა, ეკონომიკური განვითარება „ორგანული“ ზრდის კატეგორიებში აეხსნა.[1]

---

[1] სელიგმენი ბ., დასახელებული ნაშრომი. გვ. 299.

ა. მარშალის სუბიექტურ-ფსიქოლოგიური სკოლა საზღვრითი სარგებლიანობისა და საზღვრითი ნაყოფიერების თეორიებს იყენებდა, ასევე სოციალურ დარვინიზმს.

ა. მარშალმა სცადა ღირებულების სამი სხვადასხვა სახის თეორიის – „მოთხოვნისა და მიწოდების“, „საზღვრითი სარგებლიანობისა“ და „წარმოების ხარჯების“ თეორიების – შეხამება. მის მოძღვრებაში უხვად არის გამოყენებული ჟ. ბ. სეის და ავსტრიული სკოლის წარმომადგენლების თეორიები. როგორც ამერიკელი ეკონომისტი ბ. სელიგმენი აღნიშნავს, ა. მარშალს ფილანთროპული მიდრეკილება ჰქონდა, კეთილი საქმე ეკეთებინა. მას შეეძლო, სოციალისტების დასკვნები მოესმინა, მაგრამ მათკენ მხოლოდ ჰუმანური ელემენტი იზიდავდა. მას შეეძლო, მათი მოქმედების მოტივების მიმართ თანაგრძნობის გამოხატვა, მაგრამ მათი იდეები მისთვის მიუღებელი იყო.[1]

ა. მარშალის მოძღვრებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ავსტრიული სკოლიდან ნასესხებ შეხედულებას სუბიექტის და მისი ფსიქოლოგიის შესახებ. **სუბიექტის ფსიქოლოგიას ა. მარშალი პოლიტიკური ეკონომიის ამოსავალ პუნქტად თვლიდა.** სუბიექტურ-ფსიქოლოგიური მიდგომით ხსნიდა ა. მარშალი ისეთ ეკონომიკურ კატეგორიებს, როგორებიცაა: ფასი, ღირებულება, მოგება, ხელფასი, რენტა, ეროვნული შემოსავალი, კრიზისები და სხვ.

ა. მარშალის ნაწარმოებებში განსაკუთრებით დიდი ადგილი ფასების საკითხს აქვს დათმობილი. ა. მარშალი **ფასს** უმაღლეს და უმთავრეს ეკონომიკურ მოვლენად თვლიდა. ფასების ანალიზი მას სუბიექტის და მთელი საზოგადოების ბუნების შესწავლის საფუძვლად მიაჩნდა. **ფასს იგი განსაზღვრავდა არა ღირებულებით, არამედ ადამიანის ფსიქოლოგიური შეფასებით, მოთხოვნა-მიწოდებით.**

მთელი გადატრიალება ღირებულების საკითხში, რომელიც ა. მარშალმა განახორციელა, ისაა, რომ მან ფასი განსაზღვრა, როგორც მოთხოვნა-მიწოდების ფუნქციასთან დამოკიდებულების სიდიდეზე. მოთხოვნას იგი ავსტრიული სკოლის **იშვიათობის** პრინციპით განსაზღვრავდა. ისიც იმეორებდა ავსტრიული სკო-

[1] სელიგმენი ბ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 297.

ლის წარმომადგენელთა მტკიცებას იმის შესახებ, რომ რაც უფრო დიდი რაოდენობით არის ესა თუ ის საქონელი, მით უფრო დაბალია მისი ფასი და, პირიქით, რაც უფრო იშვიათია საქონელი, მით უფრო მაღალია მისი ფასი.

ა. მარშალის თეორია – ესაა, ძირითადად, **ფასების თეორია კონკურენციულ პირობებში.**

ა. მარშალთან თავისუფალი მეწარმეობის სისტემა მტკიცედ ემყარება კონკურენციას, რამდენადაც მის საფუძველზე არსებობს ბაზარი, სადაც ბევრი წვრილი მეწარმეობრივი ერთეული მოქმედებს, რომელთაგან ყველას არ შეუძლია ზემოქმედება საერთო მოთხოვნასა და საბაზრო ფასზე. ამ აზრით, თავისუფალი მეწარმეობა მონოპოლიისგან მხოლოდ ხარისხით განსხვავდება და არა პრინციპით, ვინაიდან ის მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენს. საბაზრო რეფორმების სპექტრში, ა. მარშალის მიხედვით, მონოპოლიის ელემენტი გარდაუვლად ძევს ნებისმიერ კონკურენციულ სისტემაში. ა. მარშალის შეხედულებების საფუძველზე შემდეგში მონოპოლისტური კონკურენციის თეორია ჩამოყალიბდა.

ა. მარშალი თავის ნაშრომებში ერთმანეთს უკავშირებდა ეროვნული შემოსავლის ზრდას და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას. მისი აზრით, ეროვნული შემოსავლის ზრდასთან ერთად, მუშათა კლასის წილიც იზრდება და მისი მატერიალურ-კულტურული დონე მაღლდება. ა. მარშალი ამტკიცებდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოების გაფართოებისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის ხარჯზე **ხელფასის გადიდების შესაძლებლობას**.

ა. მარშალმა ბევრი რამ გადაიღო „წარმოების სამი ფაქტორის“ სეისეული თეორიიდან. ამ თეორიის გამოყენებით, ის შემოსავლის შემდეგ კატეგორიებზე მიუთითებდა – რენტა, ხელფასი, სარგებელი და მოგება. შრომით და არაშრომით შემოსავალს იგი არ განასხვავებდა. კაპიტალისტთა **მოგებას** ა. მარშალი წარმოების ხარჯების ნაწილად, კაპიტალისტთა გასამრჯელოდ თვლიდა. მარშალმა სპეციალური წიგნი მიუძღვნა ფულის, კრედიტისა და ვაჭრობის საკითხებს. **ფულის** ახსნის საკითხში აშკარად ჩანს ეკ-

ლექტიზმი. იგი ნომინალისტიც იყო და ფულის რაოდენობრივი თეორიის მომხრეც.

მარშალს ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ატრიბუტად **ფული** მიაჩნდა. **ესაა – ცენტრი,** რომლისკენაც ყველა ადამიანური მოქმედებაა მიმართული. ის უშვებდა, რომ შეიძლება მოტივი ფულთან არ იყოს დაკავშირებული, მაგრამ ძირითადად მაინც ამ უკანასკნელით ინტერესდება.

ა. მარშალი თავის ბოლოდროინდელ ნაშრომებში დიდ ადგილს უთმობდა კრიზისების, დეპრესიისა და საგარეო ვაჭრობის საკითხებს. თუ ადრინდელ ნაშრომებში ის მონოპოლიების წინააღმდეგ გამოდიოდა, შემდგომში მსხვილი მონოპოლიური გაერთიანებების შექმნას მოითხოვდა და მათ ინტერესებს გამოხატავდა.

ა. მარშალმა ეკონომიკური მოვლენების და კატეგორიების ახსნას სხვადასხვა **მათემატიკური გაანგარიშებანი** დაუდო საფუძვლად. ახალგაზრდობაში ა. მარშალს ძალიან იზიდავდა მათემატიკა, მაგრამ მამა – უილიამ მარშალი, რომელიც ინგლისის ბანკში მოლარედ მუშაობდა, მას მათემატიკაში მეცადინეობას უკრძალავდა და ძველი ევროპული ენების შესწავლას აიძულებდა. შემდგომში ა. მარშალს შესაძლებლობა მიეცა, კემბრიჯში მათემატიკაში ემეცადინა. 1865 წელს სტუდენტურ კონკურსში მათემატიკის ხაზით მან მეორე ადგილი დაიკავა.

თუ ა. მარშალამდე ეკონომიკურ ნაშრომებში მათემატიკა იშივიათად გამოიყენებოდა, მას შემდეგ მათემატიკური ფორმულების გამოყენებას ეკონომიკური თეორიის არც ერთი წიგნი არ უვლის გვერდს. ა. მარშალს შეეძლო, საქმის ცოდნით გამოეყენებინა მათემატიკური ფორმულები, **მაგრამ იგი შეგნებულად გაურბოდა მათ უზომო გამოყენებას.** მათემატიკური მეთოდის ეკონომიკაში გამოყენების მთავარ ნაკლს ის მის მექანიკურობაში ხედავდა. ორგანული ბიოლოგიური ცნებებისგან განსხვავებით, მას შეუძლია ის იდეა გამოხატოს, რომ ეკონომიკა – ესაა პროცესი.

მრავალმხრივი კრიტიკის მიუხედავად, თანამედროვე ეკონომიკური თეორია მნიშვნელოვანწილად ა. მარშალის მიერ დამუშავებული იდეებიდან გამოდის.

4. ამერიკული სკოლა. ჯონ ბეისტ კლარკი

XIX ს-ის დამლევს წარმოიშვა საზღვრითი სარგებლიანობის თეორიის თავისებური ვარიანტი, რომლის ფუძემდებელიც ამერიკელი პროფესორი **ჯონ ბეისტ კლარკი** (1847-1938) იყო. მართალია, აშშ-ში მარჟინალური თეორია საზღვარგარეთიდან იქნა შეტანილი, მაგრამ ჯ.ბ. კლარკმა, ჯევონისგან და ავსტრიული სკოლისგან დამოუკიდებლად, ამ დოქტრინის თავისებური ვარიანტი დაამუშავა.



ჯონ ბეისტ კლარკი

ჯ. ბ. კლარკს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა შემდეგმა შრომებმა: „**სიმდიდრის ფილოსოფია**“ (1886), „**სიმდიდრის განაწილება**“ (1899), „მონოპოლიების პრობლემა“ (1901), „ეკონომიკური თეორიის არსებითი ნიშნები“ (1907), „თანამედროვე განაწილების პროცესი“ (1919) და სხვ. ამ ნაწარმოებებში ჯ. ბ. კლარკი შეეცადა, თავისი წინამორბედების – ჟ.ბ. სეის, კ. კნისის, ო. ბემ-ბავერკის და სხვ. თეორიები შეეზავებინა, რათა ახალი ეფექტიანი კონცეფცია შეექმნა.

1894-1895 წლებში ჯონ ბეისტ კლარკი აშშ-ის **ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტი** იყო.

აშშ-ში ყველაზე წარმატებულ ეკონომისტს ჯ. ბ. კლარკის მედალს ანიჭებენ, რომელიც, ფაქტობრივად, ნობელის პრემიაზე წარდგენის პრელუდიას წარმოადგენდს.

ჯ. ბ. კლარკი აცხადებდა, რომ სურდა ეკონომიკურ მეცნიერებაში დაშვებული მრავალრიცხოვანი შეცდომები აღმოეფხვრა. კერძოდ, უარეყო წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი სახის შრომა მწარმოებლურს არ წარმოადგენს. იგი ამტკიცებდა, რომ **ყველა სახის შრომა მწარმოებლურ ხასიათს ატარებს.**

ჯ. ბ. კლარკმა მთელი თავისი ძალისხმევა კაპიტალიზმის დროს სოციალური სამართლიანობის დასამტკიცებლად წარმართა. **იგი ირწმუნებოდა, რომ კაპიტალიზმის კანონები ბუნებრი-**

ვია. ისინი მუდმივად მოქმედებს და წარმოებასა და მოხმარებაში კლასებს შორის ჰარმონიულ ურთიერთობას ამყარებს.

ამ მიზნის მისაღწევად ჯ. ბ. კლარკმა კვლევის თავისებური მეთოდი აირჩია. ეკონომიკური მეცნიერება მან სამ ნაწილად დაყო:

პირველი ნაწილი უნივერსალური კანონების ძიებას მიუძღვნა. იგი იკვლევდა იზოლირებულ მეურნეობას და მომხმარებელთა ფსიქოლოგიას. ამის საფუძველზე მან სამი უნივერსალური კანონი ჩამოაყალიბა. ესენია:

1. **საზღვრითი სარგებლიანობის კანონი;**
2. **სპეციფიკური მწარმოებლურობის კანონი;**
3. **კლებადი ნაყოფიერების კანონი.**

ეკონომიკური მეცნიერების **მეორე განყოფილება** მან მიუძღვნა ეკონომიკის ანალიზს **სტატიკურ მდგომარობაში,** ხოლო **მესამე განყოფილება** – მისი **დინამიკის კანონების** გამოკვლევას.[1]

ჯ. ბ. კლარკმა წარმოების სამი ფაქტორის თეორიას წარმოების ფაქტორების საზღვრითი ნაყოფიერების თეორიის სახე მისცა. ამ თეორიით იგი ბურჟუაზიული საზოგადოების სხვადასხვა კლასთა ინტერესების ჰარმონიის იდეებს ამტკიცებდა. ჯ. ბ. კლარკის **საზღვრითი ნაყოფიერების** თეორია კაპიტალის ნაყოფიერების თეორიისა და ავსტრიული სკოლის საზღვრითი სარგებლიანობის თეორიის იდენტურია. ჯ. ბ. კლარკი თვითონვე მიუთითებდა, რომ **სინთეტიკური ეკონომიკური თეორიის** ავტორია.

ჯ. ბ. კლარკის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებები შემდეგია: სამეურნეო სისტემა კერძო საკუთრებასა და ინდივიდუალურ თავისუფლებას ემყარება; ღირებულება სარგებლიანობიდან გამომდინრეობს; **სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკაში ცალკეული მონაწილეების იძულებით უნდა შემოფარგლოს, რათა მათ თამაშის წესები დაიცვან;** ნავარაუდევია, რომ კაპიტალი და შრომა მობილური ელემენტებისგან შედგება, რომლებიც ადვილად შეიძლება ერთმანეთს შეერწყან. ჯ. ბ. კლარკისთვის ნათელი იყო, რომ განაწილების პრობლემა სოციალურ ხასიათს ატარებს. საზოგაოდებრივი პროდუქტი გარკვეული წესით უნდა განაწილდეს მის შექმნაში მონაწილე სხვადასხვა ჯგუფებს

[1] მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორია, ტ. 3, მ., 1989, გვ. 143 (რუს).

და ქვეჯგუფებს შორის. ასეთი სისტემა ბუნებრივი კანონებითაა განპირობებული. შრომა თავის წილს მიიღებს, კაპიტალისტი კი – თავისას. განაწილების შედეგად წარმოების ყველა მონაწილე ზუსტად იმ რაოდენობის სიმდიდრეს მიიღებს, რამდენიც მან აწარმოა. **ესაა სპეციფიკური მწარმოებლურობის კანონის არსი.** ამერიკელი ეკონომისტი **ბ. სელიგმენი** მიუთითებს, „რომ ასეთი წარმოდგენანი გამართლების ელემენტს ატარებდა, და მართლაც ისინი დაახასიათეს, როგორც აპოლოგეტიკის ერთ-ერთი ფორმა“.[1]

ჯ. ბ. კლარკმა მთელი პოლიტიკური ეკონომია **სტატიკად და დინამიკად** დაყო. მისი ეკონომიკურ სტატიკა წონასწორობის თეორიას ემსახურება. ისევე, როგორც სტატიკა მექანიკაში არის მოძღვრება სხეულის წონასწორობის შესახებ.

ეკონომიკური **სტატიკა,** ჯ. ბ. კლარკის აზრით, სტაციონარულ საზოგადოებას, ე.ი. ისეთ საზოგადოებას უნდა სწავლობდეს, სადაც ყოველგარი ცვლილებები (ე.ი. მოსახლეობა, კაპიტალი, მოთხოვნილება და სხვა სიდიდეები უცვლელია)გამორიცხულია.

ეკონომიკური **დინამიკის** შესწავლას და გამოკვლევას, ჯ. ბ. კლარკის აზრით, შემდგომმა თაობამ უნდა მოჰკიდოს ხელი. თავის წიგნში „ეკონომიკური თეორიის არსებითი ნიშნები“ დინამისტების ამოცანად ჯ. ბ. კლარკმა დააყენა საკითხი დინამიკურ ცვლილებათა ხუთი მთავარი მიზეზის შესწავლის აუცილებლობის შესახებ, ეს მიზეზებია:

1. **მოსახლეობის ზრდა;**
2. **წარმოების ახალი ტექნიკა;**
3. **საწარმოების ორგანიზაციული ფორმების ცვლილება;**
4. **კაპიტალის დაგროვება;**
5. **მომხმარებლის გემოვნების ცვლილება.**

ამრიგად, ჯ. ბ. კლარკის მიხედვით, **სტატიკის მიზანია წონასწორობის შესწავლა,** ე.ი. იმ ძალების აღწერა, რომლებიც კაპიტალისტური ეკონომიკის წონასწორობას იწვევს. ხოლო **დინამიკა უნდა იკვლევდეს წონასწორობის დამრღვევ უწონასწორობის მიზეზებს და იმ ძალებს, რომლებიც წონასწორობას აღადგენენ.**

---

[1] სელიგმენი ბ., დასახელებული ნაშრომი, გვ.19.

ჯ. ბ. კლარკის სტატიკის და დინამიკის თეორიამ შემდგომში ფართო გავრცელება ბურჟუაზიულ ეკონომისტებში პოვა. XX ს. 50-იანი წლებიდან განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა დინამიკის თეორია, მან ეკონომიკური ზრდის თეორიების სახელწოდება მიიღო. მას იცავდნენ ე. დომარი, რ. ჰაროდი, ფ. პერუ და სხვ.

ჯ. ბ. კლარკი ხელფასის, რენტის, მოგების, სარგებლის კატეგორიების განსაზღვრისას საზღვრითი ნაყოფიერებისა და კაპიტალის კლებადი ნაყოფიერების თეორიებს ემყარებოდა. შრომის ნაყოფიერების დაცემით მას ხელფასის დაწევის დასაბუთება უნდოდა. ჯ. ბ. კლარკს შესაძლებლად მიაჩნდა მუშათა კლასის ხელფასის გადიდება. ამ გარემოებასაც საზღვრითი ნაყოფიერების თეორიაზე დაყრდნობით ხსნიდა.

თავის შეხედულებათა საილუსტრაციოდ ჯ. ბ. კლარკს ასეთი მაგალითი მოჰყავს: ხუთკაციან საწარმოში პირველი მუშა 10 დოლარის ღირებულების პროდუქტს ქმნის, მეორე – 8 დოლარის, მესამე – 6 დოლარის, მეოთხე – 4 დოლარის, მეხუთე – 2 დოლარის. ჯ. ბ. კლარკის მიხედვით, მუშის ხელფასი შრომის საზღვრითი ნაყოფიერებით უნდა განისაზღვროს, ე.ი. მისი მაგალითის მიხედვით – 2 დოლარით. რადგან ხუთივე მუშა ერთნაირი ინტენსივობით და ერთნაირი ხანგრძლივობით მუშაობს, ამიტომ ხუთივემ ერთნაირი ხელფასი, ე.ი. თითოეულმა 2 დოლარი უნდა მიიღოს. ხელფასი მიისწრაფვის, საზღვრითი შრომის პროდუქტს გაუტოლდეს, ე.ი. 2 დოლარის ღირებულებას. - წერს ჯ. ბ. კლარკი.[1] მაგრამ მუშების მიერ შექმნილი პროდუქტის ღირებულება (10+8+6+4+2) = 30 დოლარს. მათი ხელფასის საერთო რაოდენობა კი – 10 დოლარს (5x2)). სხვაობა მუშების მიერ შექმნილ პროდუქტის ღირებულებასა და მათ ხელფასს შორის 20 დოლარს (30 – 10 = 20) შეადგენს. ეს ოცი დოლარი, დასძენს ჯ. ბ. კლარკი, კაპიტალისტმა უნდა მიიღოს, რადგანაც მის შექმნაში კაპიტალი მონაწილეობდა.

[1] კლარკი ჯ. ბ., სიმდიდრის განაწილება , მ., 1934, გვ. 101 (რუს).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანიკინი ა., მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
2. ჭანუყვაძე გ., ვულგარულ-ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 1, თბ., 1962.
3. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973.
4. მარქსი კ., ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, თბ., 1968.
5. ქართული ენციკლოპედია, ტ. 6.
6. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
7. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., II , თბ., 1997.
8. იადგაროვი ი. ს., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 2014.
9. Hunt E. K. and Mark Lautzenheiser, History of Ekonomic Thought. Sird Edicion. A Critical Perspective. Armonk, New York, London, England, 2011.
10. Jewons W. S., Theory of Political Economy, London, 1886, ხელახალი გამოცემა, New York, 1957.
11. Бем Баверк О., Основы теории ценности хозяиственных благ, М.,1929.
12. Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, М., 1994.
13. Всемирная история экономической мысли т.1, М., 1987.
14. Жидь Ш. и Ристь Ш., История экономических учений, М., 1918.
15. Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, М., 1968.
16. Кларк Дж. Б., Распределене богатства, М.,1934.
17. Маршал А., Принципы экономической науки (в 3-х книгах), М., 1993.

ნაწილი IV

თანამედროვე ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი

თავი XVI. ინსტიტუციონალური მოძღვრებები

1. ამერიკული ინსტიტუციონალიზმი XXს-ის 20-30-იან წლებში

ინსტიტუციონალიზმი თანამედროვე ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. იგი ჩამოყალიბდა XX ს-ის 20-იან წლებში აშშ-ში. ამ მიმართულების სახელწოდება წარმოდგება ლათინური სიტყვისგან „ინსტიტუციო“ (სწავლება). **ინსტიტუციონალისტები მოითხოვენ ისეთი ინსტიტუტების შესწავლას, როგორიცაა სახელმწიფო, კონკურენცია, გადასახადები, კერძო საკუთრება** და სხვ.

ტერმინი „ინსტიტუციონალიზმი“ პირველად აშშ-ის ეკონომისტმა **ჰამილტონმა** გამოიყენა თავის ნაშრომში „მოხსენება მანუფაქტურების შესახებ“, რომელშიც მოითხოვდა ა. სმითისა და დ. რიკარდოს აბსტრაქტული მეთოდის უარყოფას და მის ნაცვლად ეკონომიკური მოვლენების შესწავლაში სტატისტიკურ-აღწერილობითი მეთოდის გამოყენებას. **ჰამილტონი მხარს უჭერდა კაპიტალიზმის ეკონომიკურ ევოლუციას ინდივიდუალისტური ეკონომიკიდან სოციალურ-რეგულირებადი ეკონომიკისკენ**. ინსტიტუციონალიზმის კვლევის მეთოდი უახლოვდება XIX ს-ში გერმანიაში არსებული ისტორიული სკოლის თეორეტიკოსების მიერ გამოყენებულ ისტორიულ მეთოდს. ამის შესახებ ხაზმასმით აღნიშნავს ფრანგი ეკონომისტი ე. ჟამსი. მისი თქმით, „ინსტიტუციონალიზმი მოგვაგონებს 1850 წლის გერმანულ ისტორიზმს: იგივე საყვედურები კლასიკოსების მისამართით, აბსტრაქტული და დედუქციური მეთოდების იგივე კრიტიკა, იგივე რეკომენდაცია

ეკონომიკურ ცხოვრებაზე ახლოდან დაკვირვების შესახებ".[1] მაგრამ მათ შორის გარკვეული განსხვავებაც იყო. თუ ისტორიული სკოლის წარმომადგენლები თავიანთი კვლევების ცენტრში წარსულის აღწერას და შესწავლას აყენებდნენ, ინსტიტუციონალისტებმა გამოკვლევის მიზნად მომავლის პრობლემებიც დააყენეს. ამისთვის მათ სტატისტიკის გამოყენება დაიწყეს. ინსტიტუციონალისტების მეთოდოლოგიად აღწერილობით-სტატისტიკური და ისტორიულ-გენეტიკური მეთოდების გამოყენება იქცა. **თავიანთ კვლევა-ძიებაში ისინი პრიმატს ფსიქოლოგიურ ფაქტორებსა და სამართლებრივ ნორმებს ანიჭებდნენ უპირატესობას.**

ინსტიტუციონალიზმის მიმდინარეობა არაერთგვაროვანია. განარჩევენ მის სამ სახესხვაობას:

1. სოციალურ-ფსქილოგიური;
2. სოციალურ-სამართლებრივი;
3. კონიუნქტურულ აღწერილობითი.

ეს მიმართულებანი ძირითადად ამერიკულ ინსტიტუციონალიზმში არსებობს. ინსტიტუციონალიზმის ცალკე სახეობად შეიძლება განვიხილოთ ინგლისელი ჯ. ჰობსონის შეხედულებანი.

ა) ტ. ვებლენის სოციალურ-ფსიქოლოგიური ინსტიტუციონალიზმი

ინსტიტუციონალიზმის ყველაზე რადიკალურ ფორმას ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის **ტორსტეინ ვებლენის** (1857-1929) შეხედულებები წარმოადგენს. სკანდინავიური წარმოშობის ტ. ვებლენმა საწყისი ეკონომიკური განათლება მიიღო ამერიკაში, კარლტონის კოლეჯში **ჯონ ბეისტ კლარკისგან.** აქედან ტ. ვებლენი სასწავლად ჯერ ბალტიმორის, ხოლო შემდეგ იელის უნივერსიტეტში გადავიდა, რათა **ნ. პორტერის და უ. სამნერის** ხელმძღვანელობით ემუშავა. უ. სამნერი საზოგადოებრივ მეცნიერებაში ევოლუციური მიდგომის მომხრედ გამოდიოდა და დიდად აფასებდა სოციალურ დარვინიზმს. უ. სამნერის მოძღვრებამ დი-

[1] ჟამსი ე., XX ს. ეკონომიკური აზრის ისტორია, ლენინგრადი, 1959, გვ. 93 (რუს).



ტორტსტეინ ვებლენი

დი შთაბეჭდილება მოახდინა ტ. ვებლენზე და შემდგომში ისიც ევოლუციონიზმის პოზიციაზე დადგა, – წერს ამერიკელი ეკონომისტი ბ. სელიგმენი.[1] იელის უნივერსიტეტში **ტ. ვებლენმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ი. კანტის ეთიკის შესახებ.** შემდგომში იგი ფართოდ იყენებდა კანტის იდეალისტურ ფილოსოფიასა და პრაგმატიზმს.

ტ. ვებლენი საკმაოდ უიღბლო პედაგოგად მოღვაწეობდა კორნელის, ჩიკაგოს, მისურისა და კალიფორნიის უნივერსიტეტებში. ამასთან ერთად, იგი სამეცნიერო ნაშრომებს ქმნიდა. მისი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: „**მეცნიერების ადგილი თანამედროვე ცივილიზაციაში**“, „თანამედროვე გაცვლითი სისტემის ნარკვევები“, „უქმი კლასების თეორიები“, „მეწარმეობის თეორია“, „შრომითი ინსტიქტი“, „კაიზერის გერმანია და სამრეწველო რევოლუცია“, „მსოფლიო მოწესრიგების ხასიათი“, „პრივილეგირებული ჯგუფები და სამრეწველო ტექნიკის მდგომარეობა“, „ინჟინრები და ფასთა სისტემა“, „**აბსენტეისტური საკუთრება**“ და სხვ.

თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობით **ტ. ვებლენი იდეალისტი იყო** და გადაჭრით გამოდიოდა მარქსისტული ფილოსფიური მატერიალიზმისა და, საერთოდ, მატერიალიზმის წინააღმდეგ. ამასთან ერთად, მან დიდი პოპულარობა მოიპოვა როგორც **თანამედროვე კაპიტალიზმის,** მსხვილი კაპიტალისტური ბიზნესის, ფინანსური ოლიგარქიის ბატონობის ენერგიულმა **კრიტიკოსმა.** როგორც ბ. სელიგმენი აღნიშნავს, „ეკონომიკური თეორია, ანუ ყოვლისმომცველი ვებლენის სოციალური მოძღვრება პროტესტს გამოხატავს აზროვნების გაბატონებული კანონების წინააღმდეგ და ამიტომ ის ყოველთვის მოაზროვნე ადამიანების ყურადღებას მიიპყრობს“..[2] მაგრამ **ტ. ვებლენი საქმის არსით კა-**

---

1 სელიგმენი ბ., თანამედროვე ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი, გვ. 59 (რუს).

2 იქვე, გვ. 56.

პიტალიზმის პოზიციებს იცავდა და მოითხოვდა მის რეფორმირებას.

ტ. ვებლენმა თავისი ანალიზი ეკონომიკური თეორიის გავრცელებული კანონების კრიტიკული შეფასებით დაიწყო. ის ამტკიცებდა, რომ ეკონომისტებმა მხედველობიდან სრულიად გამოტოვეს ევოლოციური მიდგომის მნიშვნელობაო. კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ არჩევანი სამურნეო პროცესების ტერმინებზე გააკეთა და ისინი ფულად კატეგორიებში აღწერა. „ადამ სმითი, დევიდ რიკარდო და ალფრედ მარშალი შეეცადნენ ძირითადი ეკონომიკური იდეები მხოლოდ იმ მასალების დახმარებით განეხილათ, რომლებსაც, მათი წარმოდგენით, ეკონომიკა წონასწორობის ნორმალური მდგომარეობისკენ მიჰყავდა. ამ ეკონომიკურ თეორიებში განვითარების იდეისათვის ადგილი არ იყო“.[1] თავის „უქმი კლასების თეორიაში“ ტ. ვებლენი ამბობს: „ადამიანის ცხოვრება საზოგადოებაში ზუსტად ისევე, როგორც სხვა სახეობის ცხოვრება, არის ბრძოლა არსებობისთვის და, მაშასადამე, შერჩევისა და შეგუების პროცესს წარმოადგენსო. საზოგადოებრივი სტრუქტურის ევოლუცია არის ინსტიტუტების ბუნებრივი შერჩევის პროცესი“. როგორც ბ. სელიგმენიც აღნიშნავს და ამ ციტატიდანაც ნათლად ჩანს **ვებლენის მეთოდი იყო ევოლუციონიზმის, მაგრამ არა სოციალური დარვინიზმის სულისკვეთების.**[2] ქართველი ეკონომისტი **გ. ჭანუყვაძე** კი, პირიქით, მიიჩნევდა, რომ **ვებლენის ევოლუციური მეთოდი სოციალური დარვინიზმის თეორიას** ეყრდნობოდა.[3]

სოციალური დარვინიზმის თეორია XIX საუკუნის ბოლოს აღმოცენდა. მას იყენებდნენ ბიოლოგები, ეკონომისტები, სოციოლოგები. ისინი დარვინიზმის ზოგიერთ დებულებას (ბრძოლა არსებობისთვის) ადამიანთა საზოგადოებაზე ავრცელებენ და ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმის დროს არსებული წინააღმდეგო-

---

1 ვებლენი ტ., მეცნიერების ადგილი თანამედროვე ცივილიზაციაში, ნიუიორკი, 1919, გვ. 175. (რუს).

2 სელიგმენი ბ., თანამედროვე ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი, გვ. 61.

3 ჭანუყვაძე გ., ვულგარული ბურჟუზიული პოლირიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. I, გვ, 200.

ბანი ბუნების კანონებითაა გამოწვეულიო. კაპიტალიზმის დროს არსებული კრიზისები, ომები და სხვ. სოციალურმა დარვინისტებმა ბუნებრივ მოვლენად გამოაცხადეს. **კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბრძოლა არსებობისთვის და ბუნებრივი შერჩევა მათ ადამიანთა საზოგადოების მამოძრავებელ ძალად მიიჩნიეს.** როგორც რუსი ეკონომისტი ი. ბლუმინი აღნიშნავს, ინსტიტუციონალისტები ბიოლოგიურ და სოციალურ მოვლენებსა და პროცესებს ერთიმეორისგან არ განასხვავებენ.

ტ. ვებლენი კაპიტალისტურ საზოგადოებას ორ სფეროდ ყოფს: **ინდუსტრიისა** და **ბიზნესის სფეროებად.** ტ. ვებლენი საზოგადოების მამოძრავებელ ძალად ტექნიკას აცხადებს. იგი მთავარ **იმედს ტექნიკურ ინტელიგენციაზე** ამყარებდა და კაპიტალიზმის რეფორმირება ტექნიკური გარდაქმნებით სურდა. ტ. ვებლენმა წამოაყენა **ტექნიკოსთა საბჭოს** შექმნის იდეა. ტექნიკოსთა საბჭოს წარმოებაში ტექნიკური გარდაქმნები უნდა გაეტარებინა და ამ გზით კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი დაეძლია. ტექნიკოსთა საბჭომ რჩევა-დარიგება უნდა მისცეს მთავრობას ანტიკრიზისული ღონისძიებების გასატარებლად, წარმოების მართვა-რეგულირებისთვის და სხვ.

ტ. ვებლენი ეკონომიკურ განვითარებაში პრიმატს ფსიქოლოგიურ ფაქტორებს აკუთვნებდა. იგი ადამიანთა სამ მამოძრავებელ ინსტინქტს გამოყოფდა, ესენია: **მშობლიური გრძნობის, ოსტატობის და წმინდა ცნობისმოყვარეობის ინსტინქტები.** მისი აზრით, ეს ძალები ამოძრავებს ადამიანს და მწარმოებლური ეკონომიკური მოღვაწეობისადმი სურვილს აღუძრავს. მშობლიური გრძნობისა და ოსტატობის ინსტინქტები მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და გვარის გაგრძელებისკენ სწრაფვას განსაზღვრავს. ცნობისმოყვარეობა კი, რომელიც ბიოლოგიურად თამაშის ინსტინქტთანაა დაკავშირებული, ყველანაირი კვლევის საფუძველია, რადგან ის ადამიანს აიძულებს, დაინტერესდეს წმინდა მეცნიერული პრობლემებით.

საზოგადოების განვითარების **ფუნდამენტურ სიახლედ ტ. ვებლენს აბსენტეისტური საკუთრების** წარმოშობა მიაჩნდა. მასში ის კოორპორაციულ, აქციონერულ საკუთრებას გულისხმობდა,

რომლის საფუძველზეც კაპიტალისტური საზოგადოება ფორმირება უნდა მომხდარიყო. მისი აზრით, **ეს იქნებოდა საზოგადოების საბოლოო განაჩენი.** ამგვარი საკუთრება უმნიშვნელოვანესი კაპიტალისტური ინსტიტუტი გახდებოდა, რომლის დახმარებითაც ბიზნესმენს შეეძლება საკუთარი მცირე კაპიტალის საფუძველზე სხვისი საშუალებანი გამოიყენოს; მშრომელი ფენებიც შეურიგდებიან თავიანთ მდგომარეობას, რადგან მათი ყოფაც საგრძნობლად გაუმჯობესდება.

ბ) ჯონ კომონზის სოციალურ-სამართლებრივი ინსტიტუციონალიზმი

ინსტიტუციონალიზმის სოციალურ-სამართლებრივი ნაირსახეობის წარმომადგენელი იყო XX ს-ის არანაკლებ ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი **ჯონ რ. კომონზი** (1862-1945).

ერთ-ერთ პირველ ნაშრომში „საზოგადოებრივი რეფორმები და ეკლესია“ მან გამოთქვა მოსაზრებანი, რომლებმაც სოციალისტის რეპუტაცია მოუპოვა. მაგრამ მან რადიკალური იდეები არ გაიზიარა, ვინაიდან ეჩვენებოდა, რომ მათში **პიროვნების როლი** უარყოფილი იყო. ის მხოლოდ ამბობდა, რომ სოციალური **პროგრესის მიზანი ხალხის ენერგიის გამოფხიზლება იყო.** ამისთვის კი აუცილებლად მიაჩნდა ისეთი სამთავრობო ღონისძიებები, რომლებიც ხალხს შესაძლებლობათა თანასწორობის გარანტიას მისცემდა.[1]

ჯ. კომონზის ხელმძღვანელობით ეკონომისტთა ჯგუფმა 1911 წელს ათ ტომად გამოაქვეყნა „სამრეწველო საზოგადოების დოკუმენტური ისტორია“ და „მუშათა კლასის ისტორია აშშ-ში“. პირადად, ჯ. კომონზმა გამოაქვეყნა ცნობილი წიგნები „**კაპიტალიზმის სამართლებრივი საფუძვლები**“ (1932), „**ინსტიტუციონალური ეკონომიკა**“ და სხვა.

ჯ. კომონზი, როგორც ინსტიტუციონალიზმის ტიპური წამოამდგენელი, მთავარ ყურადღებას ადამიანის ფსიქიკურ მხარეებსა და თვისებებს აქცევდა. ადამიანთა ფსიქიკას და სამართალს

[1] სელიგმენი ბ., თანამედროვე ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი, გვ. 76.

ის საზოგადოების საფუძვლად მიიჩნევდა. ტ. ვებლენის მსგავსად, ჯ. კომონზიც დიდ მნიშვნელობას წარმოების ტექნიკურ მხარეებს ანიჭებდა. პოლიტიკური ეკონომიის საგანს, ჯ. კომონზის აზრით, ეკონომიკური ინსტიტუტების შესწავლა წარმოადგენს.

ჯ. კომონზის შეხედულებებში აქცენტი კოლექტიური მოქმედებების შესწავლაზეა გაკეთებული. ის ირწმუნებოდა, რომ **კოლექტიური მოქმედება საწინააღმდეგო ინტერესების შესარიგებლად ერთადერთ საშუალება იყო.** იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ **ეკონომიკაში კოლექტიური სწრაფვა სამართლის მეშვეობით გამოიხატება. ყველა დასაშვები გადაწყვეტილებების შეჯახებისგან თავის დაღწევა შესაძლებელია იურიდიული პროცედურის გამოყენებით.**

ჯ. კომონზი ყველა პროცესს მისი ისტორიული საფუძვლებიდან გამომდინარე განიხილავდა. მისი აზრით, ეს ეკონომიკას ევოლუციურ მეცნიერებად აქცევდა და, პირველ რიგში, მოითხოვდა უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის სასამრთლო გადაწყვეტილებების კვლევას, რათა ნათელი წარმოდგენა შექმნილიყო, თუ როგორ შეზღუდეს კოლექტიურმა მოქმედებებმა ინდივიდუალური მოქმედებები. ჯ. კომონზის მიხედვით, **ინტერესთა შეჯახების დაძლევა და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება უმაღლესი სასამართლოს მეშვეობით ხდება.** ის ამბობდა, რომ **აშშ-ში უმაღლესი სასამართლო პოლიტიკური ეკონომიის პირველი კათედრაა.** ასე რომ, კერძო საკუთრების ახსნისას ჯ. კომონზი სამართლებრივ ნორმებს ეყრდნობოდა. აშშ-ის ეკონომიკის განვითარების უმთავრეს ძალად მას უმაღლესი სასამართლო მიაჩნდა.

ჯ. კომონზი აკრიტიკებდა წინამორბედ ეკონომისტებს, რადგან ისინი **სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ.** ჯ. კომონზის შეხედულებებში მთავარი აქცენტი ისეთი კატეგორიების შესწავლაზე კეთდება როგორებიცაა: ოჯახი, მონოპოლიური გაერთიანებები, სახელმწიფო და სხვ. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა **სამეურნეო საქმიანობაში ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარევის საკითხებს.** სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში მას კლასთა ინტერესების ჰარმონიის მიღწევის შესაძლებლობად მიაჩნდა.

თავის ნაშრომებში, ჯ. კომონზი დიდ ყურადღებას მიმოქცევისა და ფასების საკითხებს უთმობდა – **ფასების დონე ამერიკის სოციალური და პოლიტიკური ისტორიის ხერხემლად მიაჩნდა.**

გ) უესლი კლერ მიტჩელის კონიუნქტურულ-აღწერილობითი ინსტიტუციონალიზმი

ამერიკული ინსტიტუცინალიზმის მესამე სახეობის წარმომადგენელი იყო უესლი კლერ მიტჩელი (1874-1948).

უ. მიტჩელი სწავლობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში, სადაც იგი გაეცნო ტ. ვებლენს და მისი მოწაფე გახდა. იგი მუშაობდა ბერკლისა და კალიფორნიის უნივერისტეტებში, ნიუ-ორკის სოციალური გამოკვლევების სკოლაში და სხვ.

უ. მიტჩელის შეხედულებები ჩამოყალიბებულია მის თხზულებებში: „გრინბეკების ისტორია“ (1903), „**ეკონომიკური ციკლები**“ (1913), „ეკონომიკური ციკლი, პრობლემა და მისი დასმა“ (1927). 1946 წელს ა. ბერნსთან ერთად მან გამოაქვეყნა „ეკონომიკური ციკლის გაზომვა“, „ეკონომიკურ პროგრესში მეცნიერული გამოკვლევების როლი“ (1947). ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა „რა ხდება ეკონომიკური ციკლის დროს?“

თავის ნაწარმოებებში, სხვა ინსტიტუციონალისტების მსგავსად, უ. მიტჩელიც დედუქციურ მეთოდით შესრულებულ ანალიზს კრიტიკულად უყურებდა. უ. მიტჩელის თქმით, თეორიამ რეალობა რომ ადეკვატურად ასახოს, საკმარისი არ არის მხოლოდ ლოგიკა. ამისთვის აუცილებელია თეორია ფაქტის შემოწმებული ახსნა გახდეს და არა ლოგიკაში ვარჯიში. ფაქტობრივად, იგი აღწერილობით სტატისტიკურ მეთოდს იყენებდა. მის მუშაობას სიზუსტე, კონკრეტულობა და დეტალიზაცია ახასიათებდა. იგი იყო, აგრეთვე, ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდის გამოყენების ინიციატორი.

უ. მიტჩელი ცნობილია, როგორც **ეკონომიკური ციკლების სპეციალისტი.** კაპიტალისტური საზოგადოების შენარჩუნების პირობებში მას შესაძლებლად მიაჩნდა **ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილება ან შერბილება.** უ. მიტჩელი თავის ნაწარ-

მოებებში თითქმის არც კი ლაპარაკობს „კრიზისის“ შესახებ. **„კრიზისის“ ნაცვლად იგი ხმარობს ტერმინებს „პანიკა“, „რეცესია“.** იგი ეკონომიკურ ციკლს ოთხ ფაზად ჰყოფს:

1. **დეპრესია;**
2. **გამოცოცხლება;**
3. **აყვავება;**
4. **რეცესია.**

უ. მიტჩელის აზრით, ცნება „კრიზისი“ გამორიცხული არ არის, მაგრამ „რეცესია“ შეიძლება არ გადავიდეს კრიზისის ფაზაში.

ეკონომიკური კრიზისები რომ არ გაჩნდეს, უ. მიტჩელის მიხედვით, **საჭიროა კრიზისის საწინააღმდეგო ზომების მიღება. მათგან ყველაზე დიდი მნიშვნელობას ავტორი საბანკო-საკრედიტო სისტემის რაციონალურ ორგანიზაციას ანიჭებდა**.

უ. მიტჩელი კონიუნქტურათმცოდნედ ითვლება. კონიუნქტურათმცოდნეების მიზანია, დაამტკიცონ კაპიტალიზმის დროს ეკონომიკური კრიზისების შეუძლებლობა. ისინი ასაბუთებენ, რომ შესაძლებელია კაპიტალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების ეკონომიკური კონიუნქტურის წინასწარ განსაზღვრა; მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია კაპიტალისტურ ციკლში მოსალოდნელი ცვლილებები იწინასწარმეტყველონ და კრიზისები თავიდან აიცილონ.

უ. მიტჩელი იმედოვნებდა პროგნოზირების განხორციელებას და **ეკონომიკის ანტიკრიზისულ რეგულირებას,** ფულადი მიმოქცევის კორექტირებასა და დასაქმების დონის განსაზღვრას.

კონიუნქტურის თეორიის საფუძველზე ჩამოყალიბდა ცნობილი **„ჰარვარდის ბარომეტრი“,** რომელსაც კაპიტალისტური კონიუნქტურის სვლა უნდა ეწინასწარმეტყველა.

ჰარვარდის სკოლა და მისი ბარომეტრი ჩამოყალიბდა ჰარვარდის ცნობილ უნივერსიტეტში. ჰარვარდელების მიხედვით, ეკონომიკის ცვლილების ოთხი ფორმა არსებობს:

1. **საუკუნობრივი;**
2. **ციკლისებური;**
3. **სეზონური;**
4. **ირეგულარული ცვალებადობა, ანუ რხევა.**

ჰარვარდელი კონიუნქტურამცოდნეები თავიანთი გამოკვლევებისა და დაკვირვებების შედეგებს ბარომეტრის სახელწოდებით აქვეყნებენ. ბარომეტრში მოცემულია სამი მრუდი:

1. **სპეკულაციის ინდექსი (საბანკო ოპერაციების კურსი);**
2. **ბიზნესის ინდექსი (საქონლის ფასები, ანგარიშსწორების ოპერაციები);**
3. **ფულადი სახსრების ინდექსი (სესხი, დეპოზიტები, სარგებლის დონე).**

2. ინსტიტუციურ-სოციალური მიმართულება

ა) ინდუსტრიული საზოგადოების თეორიები. როი არონი, ჟაკ ელიული, ჯონ ჰელბრეითი

XX ს-ის 50-60-იან წლებში ჩამოყალიბდა ინსტიტუციონალურ-სოციალური მიმართულება. ამ მიმართულების წარმოშობა იმ მეცნიერულ-ტექნიკურმა ძვრებმა განაპირობა, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში მიმდინარეობდა..

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ბურჟუაზიულ ეკონომიკურ მეცნიერებაში ასახულია „**ინდუსტრიული საზოგადოების**“ თეორიასა და მის სხვადასხვა ვარიანტში.[1]

ინდუსტრიული სისტემის, ინდუსტრიული წყობილების ცნებები ბევრად ადრე გამოჩნდა, ვიდრე ინდუსტრიული საზოგადოების თანამედროვე თეორიები. ეს ტერმინები პირველად ა. სენ-სიმონმა და მისმა მიმდევრებმა შემოიღეს საუკუნე-ნახევრის წინ. ინდუსტრიული კონცეფციის სენ-სიმონისეული კონცეფცია ნაკლებგანვითარებული კაპიტალიზმის საფუძველზე შეიქმნა. ის წარმოიშვა, როდესაც სამრეევწლო რევოლუცია საფრანგეთში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, და, არსებითად, მიმართული იყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ.

ინდუსტრიული საზოგადოების თანამედროვე თეორია კი XX ს-ის 40-იან წლებში აღმოცენდა. მის ფუძემდებლად ამერიკელი **პიტერ დრაკერი** ითვლება. ინდუსტრიული საზოგადოების კონ-

[1] ხრომუშინი გ. ბ., პოლიტიკური ეკონომიის ბურჟუაზიული თეორიები, მ., 1971. გვ. 146 (რუს).

ცეფცია მის შრომებში გაიშალა: „მომავალი ინდუსტრიული ადამიანი“ (1942), „კორპორაციის იდეა“ (1946), „მსხვილი ბიზნესი“ (1947), **„ახალი საზოგადოება ინდუსტრიული წყობილების ანატომია“** (1949).

პ. დრაკერის მიერ საფუძველჩაყრილი ინდუსტრიული საზოგადოების თეორია ფართოდ გავრცელდა XX ს-ის 50-იან წლებში. მისი პოპულარობა დაკავშირებულია **ტ. პარსონსის** სახელთან. ინდუსტრიული სისტემის დახასიათებას ტ. პარსონსმა მიუძღვნა თავისი წიგნები: „სოციალური სისტემა“ (1951) და **„სტრუქტურა და პროცესი თანამედროვე საზოგადოებაში“ (1960).**

მაგრამ ინდუსტრიული საზოგადოების თეორია ყველაზე დასრულებული ფორმით გამოჩნდა 60-იან წლებში ამერიკელი სოციოლოგიისა და ეკონომისტის უოლტ როსტოუს, ფრანგი სოციოლოგების რაიმონდ არონის, ჟაკ ელიულის და ამერიკელი ეკონომისტის ჯონ ჰელბრეითის შრომებში.

რაიმონდ არონის ინდუსტრიული საზოგადოების კონცეფცია სისტემური სახით ჩამოყალიბებულია მის თხზულებებში: „18 ლექცია ინდუსტრიული საზოგადოების შესახებ“ (1962) და **„სამი ნარკვევი ინდუსტრიული ეპოქის შესახებ“** (1966).

თავის მოძღვრებას ინდუსტრიული საზოგადოების შესახებ რ. არონი იწყებს ამ ცნების საერთო განსაზღვრებით და იმ ნიშან-თვისებების გამოყოფით, რომლებიც, მისი აზრით, ასეთი საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. „შეიძლება, – წერს ის, – წარმოვიდგინოთ ინდუსტრიული საზოგადოების უბრალო განსაზღვრება: საზოგადოება, სადაც მრეწველობა, **მსხვილი მრეწველობა,** წარმოების ყველაზე დამახასიათებელ ფორმას წარმოადგენს“.[1]

რ. არონი გამოყოფს ინდუსტრიული ეკონომიკის ხუთ ნიშანს:

1. საწარმო სავსებით გაცალკევებულია ოჯახისგან;

2. სამრეწველო საწარმოს შრომის დანაწილების თავისებური საშუალება – შრომის ტექნოლოგიური დანაწილება შემოაქვს,

---

[1] ბრეგელი ე. ი., ბურჟუაზიული მოძღვრებების კრიტიკა თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკური სისტემების შესახებ, მ., 1972, გვ. 247-248 (რუს).

რომელიც თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანია;

3. სამრეწველო საწარმო კაპიტალის დაგროვებას ვარაუდობს;

4. ყოველგვარი ინდუსტრიული საზოგადოება მკაცრ ეკონომიკურ ანგარიშს შეიცავს;

5. ყოველგვარ ინდუსტრიულ საზოგადოებაში, როგორიც უნდა იყოს წარმოების იარაღზე საკუთრების სტატუსი, მუშათა კონცენტრაცია არსებობს.[1]

რ. არონი მიიჩნევს, რომ **ინდუსტრიულ საზოგადოების მიზანია კაცობრიობის ბატონობა ბუნებაზე**, დოვლათის რაოდენობის სიმრავლე, რათა დაკმაყოფილდეს საზოგადოების მოთხოვნილებები.

ინდუსტრიული საზოგადოების თეორიის განსაკუთრებულ ვარიანტს წარმოადგენს ფრანგი **ჟაკ ელიულის** მიერ წამოყენებული **ტექნოლოგიური საზოგადოების თეორია.** მას საფუძვლად უდევს ეკონომიკური და სოციალური მოვლენების ტექნოლოგიური ახსნა.

ჟ. ელიულის თქმით, ტექნიკას არა მარტო საწარმოო და, საერთოდ, ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, არამედ იგი ეკონომიკური ცხოვრების სფეროს შორს სცდება. ის ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს.

ჟ. ელიულის მტკიცებით, „ტექნოლოგიურ საზოგადოებაში ტექნიკა არის მეთოდების ტოტალური ერთობლიობა, რომლებსაც რაციონალურად მივმართავთ და, რომლებსაც **ადამიანური საქმიანობის ნებისმიერ სფეროში აბსოლუტური ეფექტიანობა აქვს** (განვითარების მოცემული სტადიისთვის)“.[2]

ჟ. ელიულის მთავარი ამოსავალი იდეა არის დებულება ტექნიკის ავტონომიის შესახებ და იმის მტკიცება, რომ ტექნიკა ბატონობს ადამიანებსა და ადამიანთა საზოგადოებაზე. იგი ტექნოლოგიურ სამყაროს ადამიანთა პირადი და სულიერი ცხოვრებისთვის

---

1 ბრეგელი ე. ი., ბურჟუაზიული მოძღვრებების კრიტიკა თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკური სისტემების შესახებ, მ., 1972, გვ. 256-257 (რუს).

2 იქვე.

საშიშს უწოდებს. აღნიშნავს, რომ თანამედროვე ადამიანები მხოლოდ ტექნიკური მოვლენებით ინტერესდებიან, მანქანამ ადამიანთა გული და გონება დაიპყრო. სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში ჟ. ელიული უშუალოდ ტექნიკის განვითარებას უკავშირებს. მისთვის **ტექოლოგიური საზოგადოება – ესაა ცენტრალიზებული ეკონომიკის საზოგადოება.**

ინდუსტრიული საზოგადოების მოძღვრების ერთ-ერთი ვარინტი ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა **ჯონ კენეტ ჰელბრეითმა** დაამუშავა, რომელსაც **ახალ ინდუსტრიულ საზოგადოებას** უწოდებენ.

XX ს-ის 30-იანი წლებიდან ჯ. კ. ჰელბრეითის სახელი ფართოდაა ცნობილი ეკონომიკურ ლიტერატურაში. მისი ყველაზე დიდი ნაშრომები – **„ამერიკული კაპიტალიზმი: გამათანაბრებელი ძალების კონცეფცია“ და „სიუხვის საზოგადოება“ –** ეკონომიკურ წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჯ. ჰელბრეითი წარმოშობით კანადელია. იგი მეორე მსოფლიო ომამდე კალიფორნიის, პრისტონისა და ჰარვარდის უნივერსიტეტბში ასწავლიდა. მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ის ფასებზე კონტროლის სამმართველოში მუშაობდა. 1943 წლიდან სათავეში ედგა ამერიკული სტრატეგიული ავიაციის ეკონომიკურ ბიუროს. 1947 წელს მუშაობდა სახელმწიფო დეპარტამენტის ეკონომიკური პოლიტიკის სამმართველოში. 1961-1963 წლებში იყო აშშ-ს ელჩი ინდოეთში. დიპლომატიური სამუშაოდან წასვლის შემდეგ იგი ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორია.

1967 წელს ჯ. კ. ჰელბრეითმა გამოსცა წიგნი **„ახალი ინდუსტრიული საზოგადოება“,** რომელიც მაშინვე ყურადღებისა და კამათის საგანი გახდა. ჟურნალმა „ფორჩუნმა“ ჯ. კ. ჰელბრეითს **თანამეროვე კეინზი უწოდა.** თავის ნაშრომში ჯ. კ. ჰელბრეითი ცდილობდა სინთეტიკური თეორია შეექმნა, რომელიც თანამედროვე კაპიტალიზმის ყველა უმნშვნელოვანეს კანონზომიერებას მთლიანად მოიცავდა. იგი ცდილობდა, გაეანალიზებინა კორპორაციის როლი, სახელმწიფოს როლი, წარმოებისა და შემოსავლების სახელმწიფოებრივი რეგულირების პრობლემები, ცვლილებები

კლასობრივ სტრუქტურაში თანამედროვე კაპიტალიზმის დროს. ჯ. კ. ჰელბრეითის მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკური სტრუქტურის ყოველმხრივი ანალიზი.[1]

ბ) პოსტინდუქტრიული საზოგადოების თეორია

ინდუსტრიული საზოგადოების თეორიების მოდერნიზაციისკენ მისწრაფება კონცენტრირებულია პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიაში, რომლის ძირითადი დებულებები ყველაზე სრულად ამერიკელმა **დანიელ ბელმა** გადმოსცა თავის წიგნში **„პოსტინდუსტრიული საზოგადოების კარიბჭე“.**[2] დ. ბელის გარდა, პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიის შემქმნელებად ითვლებიან ამერიკელები: პ. კანი, ა. ვინერი, ბ. ბრიუს-ბრიგესი, ო. ტოფლერი, ფრანგი ა. ტურენი, იაპონელი – კ. ტომინაგა, დასავლეთგერმანელი – რ. დარენდორფი და სხვ. ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორია დ. ბელის მიერ სამ ძირითად ეტაპზე დაიყვანება: **ინდუსტრიულამდელი; ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული.**

ინდუსტრიულამდელი საზოგადოების ეკონომიკა, დ. ბელის აზრით, ჭარბი მომპოვებელი მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით ხასიათდება. ასეთ საზოგადოებას დ. ბელი მიაკუთვნებდა აზიის, აფრიკის, და ლათინური ამერიკის ყველა სახელმწიფოს (იაპონიის გამოკლებით).

ინდუსტრიული საზოგადოება დ. ბელის მიერ წარმოდგენილია როგორც საზოგადოება, რომლის ეკონომიკური საქმიანობაც, უმთავრესად, საქონელთა წარმოებისკენაა მიმართული. მის ეკონომიკაში წამყვანი პოზიციები დამამუშავებელ მრეწველობას უკავია. განვითარების ინდუსტრიულ სტადიაზე, როგორც დ. ბელი თვლის, იმყოფება ევროპის ყველა ქვეყანა და იაპონია. დ. ბელი **პოსტინდუსტრიულ საზოგადოებად მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებას მიიჩნევს.**

---

1 თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტების (ჯ. კ. ჰელბრეითის, გ. მიურდალის, ლ. ერჰარდის) თეორიების კრიტიკა, მ., 1971., გვ. 5 (რუს).

2 ბელი დ., „პოსტინდუსტრიული საზოგადოების კარიბჭე“, ნიუ-ორკი, 1973 (ინგ).

პ. კანი და ა. ვინერი პოსტინდუსტრიული საზოგადოების დახასიათებისას, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას აქცევენ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონეს. მათი აზრით, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დონე წარმოადგენს საზოგადოების განვითარების კლასიფიკაციის ძირითად კრიტერიუმს. ჰ. კანი და ა. ვინერი ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული პროდუქტის სიდიდის მიხედვით საზოგადოების სტადიური განვითარების შემდეგ სქემას იძლევიან:

1. წინა ინდუქტრიული – 50-დან 200 დოლარამდე;
2. ნაწილობრივ ინდუსტრიული ანუ გარადმავალი – 200-დან 600 დოლარამდე;
3. ინდუსტრიული – 600-დან 1500 დოლარამდე;
4. მასობრივი მოხმარების ანუ განვითარებული ინდუსტრიული – 1500-დან 4000 დოლარამდე.
5. პოსტინდუსტრიული – 4000-დან 20000 დოლარამდე.[1]

მათი აზრით, საზოგადოება პოსტინდუსტრიული მაშინ გახდება, როდესაც ტექნიკური და მეცნიერული პროგრესი ეროვნული პროგრესის ისეთ განსაზღვრულ დონეს შექმნის, რომელიც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე 4000-დან 20 000 დოლარმადე მოდიოდეს.

პოსტინდუსტრიული საზოგადოება, მისი დამცველების მტკიცებით, **ისეთი საზოგადოებაა, რომლის ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს მომსახურების სფერო თამაშობს,** უმთავრესად, ჯამრთელობის დაცვა, მეცნიერული კვლევა. მისთვის დამახასიათებელია წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვის კონტროლი და ინტელექტუალური ტექნოლოგიის გამოჩენა, მისი მეთოდებისა და საშუალებების სრულყოფა, ინფორმაციის მიღება, გამოყენება და ა.შ.

დ. ბელი მიუთითებს პოსტინდუსტრიული საზოგადოების შემდეგ ნიშნებზე:

1. გადამამუშავებელი დარგების ეკონომიკიდან მომსახურების ეკონომიკაზე გადასვლა;
2. სპეციალისტების და ტექნიკოსების კლასის გამოკვეთილი სიჭარბე;

---

[1] კანი პ., ვინერი ა., 2000 წელი: მონახაზი მომავალი 33 წლის აზროვნებისთვის, ნიუ-იორკი-ლონდონი, 1967, გვ. 58 (ინგ).

3. თეორიული ცოდნის, როგორც სიახლის დანერგვის და პოლიტიკის ფორმულირების საფუძვლის წამყვანი როლი;

4. ორიენტაცია მომავალში ტექნოლოგიის კონტროლსა და შეფასებაზე;

5. გადაწყვეტილების მიღება ახალი ინტელექტუალური ტექნოლოგიის ბაზაზე.[1]

პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიის დამცვლები თავიანთ შეხედულებებს საფუძვლად უდებენ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების სამეურნეო სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს, იმ პირების ხვედრითი წილის დაცემას, რომლებიც უშუალოდ წარმოებაში არიან დასაქმებულნი; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში ეკონომიკაში მეცნიერების გამოყენების მზარდ მნშვნელობას. ამ კონცეფციის თეორეტიკოსები ემხრობიან კორპორაციის მართვის გადაცემას დაქირავებულ მმართველ-მენეჯერებზე და ამტკიცებენ, რომ დასავლეთის საზოგადოება უკაპიტალისტებო საზოგადოებაა, ვინაიდან წარმოების კონტროლი და მართვა დირქტორებისა და ადმინისტრატორების ხელში გადავიდა. ხოლო მოსახლეობაში აქციების გავრცელებით თვით საწარმოები და კორპორაციებიც მთელ საზოგადოებას ეკუთვნისო. ისინი მიუთითებენ, რომ „ეკონომიკური ურთიერთობანი, საკუთრებითი ურთიერთობანი, ამერიდან საზოგადოებაში აღარ არიან კონფლიქტების ცენტრები“.[2]

დ. ბელი მიუთითებს კორპორაციული საზოგადოების გაფართოებაზე და აღნიშნავს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მიმდინარეობს სოციალიზაციის პროცესი.

პოსტინდუსტრიალიზმის თეორეტიკოსები ახალი საზოგადოებრივი სისტემის ფორმირებაში განსაზღვრულ მნიშვნელობას მომსახურების სფეროს გაფართოებას აკუთვნებენ, ხაზს უსვამენ დასაქმებულთა ჭარბ რაოდენობას მატერიალური წარმოების სფეროს მიმართ. მათი აზრით, ახალ საზოგადოებრივ სისტემაში წინა პლანზე წამოიწევა არა ადამიანებსა და მანქანებს შორის, არამედ ადამიანთა შორის ურთიერთობა.

---

1 ბელი დ., „პოსტინდუსტრიული საზოგადოების კარიბჭე“, ნიუ-ორკი, 1973, გვ. 14 (ინგ).

2 იქვე, გვ. 104 (ინგლ).

მომსახურების სფეროზე გადასვლა შეცვლის პიროვნების დეფორმირებულ ხასიათს, რომელიც ინდუსტრიალიზაციისთვისაა დამახასიათებელი. ისინი მიიჩნევენ, რომ მომსახურების სფეროში შრომა ადამიანს ინდუსტრამდელი შრომის ფორმებზე დაბრუნებს და მას შესაძლებლობას მისცემს, თავისი საქმიანობის მიზანი შეიცნოს.

გ) კონვერგენციის თეორია[1]

XX ს-ის 50-60-იან წლებში როდესაც სათანადო პარიტეტი დამყარდა კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების ეკონომიკურ შეჯიბრებაში, ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მიმდინარეობის ეკონმისტებმა კონვერგენციის[2] თეორია ჩამაოყალიბეს. **კონვერგენცია გულისხმობს ორი სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის (კაპიტალიზმისა და კომუნიზმის) მიახლოებას, შერწყმას და ერთიანი ტექნოინდუსტრიული სისტემის შექმნას.**

ორი სისტემის კონვერგენციის მთავარი თეორეტიკოსები იყვნენ: რ. არონი, ჟ. ფურასტიე, ა. ლალეფი, ფ. პერუ, პ. სოროკინი, ი. ტინბერგენი, ჯ. ჰელბრეითი და სხვ. ისინი კაპიტალისტური და კომუნისტური სისტემების დაახლოების გადაწყვეტ ფაქტორად ტექნიკურ პროგრესსა და მსხვილი წარმოების ზრდას მიიჩნევდნენ. მათი მტკიცებით, კაპიტალიზმის დროს სახელმწიფოს როლი ძლიერდება, სოციალიზმის დროს კი მცირდება. კაპიტალისტურ და კომუნისტურ ქვეყნებში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები ცენტრალიზებული, გეგმიანი საწყისებიდან საბაზრო ურთიერთობისკენ დაბრუნებას მოასწავებდა.

კონვერგენციის თეორიის დამცველები ყურადღებას აქცევდნენ კაპიტალისტურ რეგულირებასა და სოციალურ დაგეგმვას, სოციალური დაგემვისა და კაპიტალისტური რეგულირების შევსებასა და ურთიერთშერწყმას.

კონვერგენციის თეორეტიკოსები საჭიროდ მიიჩნევდნენ ცენტრალიზებული დაგეგმვიდან ინდიკატორულ დაგეგმვაზე გადასვლას. დაგეგმვის ასეთი ტიპი დღესდღეისობით მოქმედებს საფ-

---

1 ხარიტონაშვილი ჯ., კონვერგენციის თეორია, ქსე, ტ. 5. 1980.

2 კონვერგე – ლათინურად მიახლოებას, ერთმანეთთან შეყრას ნიშნავს.

რანგეთში და სხვაგან. კონვერგენტული დაგეგმვის საინტერესო მოდელები მოქმედებს ჩინეთსა და სამხრეთ კორეაში.

კონვერგენციის როლი იზრდება თანამედროვე პერიოდში, როდესაც ლაპარაკობენ კაპიტალიზმის გადაფასების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973.
2. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
3. ჭანუყვაძე გ., ბურჟუაზიული ვულგარულ პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 1, თბ., 1962.
4. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., II, თბ., 1997.
5. ხარიტონაშვილი ჯ., კონვერგენციის თეორია, ქსე, ტ. 5, 1980.
6. Bell D., The Post – industrial Society: The Evolution of Idea, London, 1971.
7. Bell D., The coming of Post – industrial Society: A venture in social Forecasting, New-York, 1973.
8. Bell D., Capitalism today, New-York-London 1971.
9. Bell D., Toward the Year 2000, Work in progress, Boston, 1968.
10. Hunt E. K. and Mark Lautzenheiser, History of Ekonomic Thought. Sird Edicion. A Critical Perspective. Armonk, New York, London, England, 2011.
11. Kahn H., Wiener A., The Year 2000: a Framework for Speculation on the Next 33 Year, New-York-London, 1967.
12. Veblen T., Place of Sience in Modern Civilization, New York, 1919.
13. Блауг М., Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.
14. Блюмин И.Г., Очерки современной буржуазной политической экономии США, М., 1956.
15. Брегель Э.Я., Критика буржуазных учении об экономических систем капитализма, М., 1972.
16. Всемирная история экономической мысли т.1, М., 1987.
17. Жамс Е., Экономической мысль XX века, Л., 1959.
18. Критика теории современных буржуазных экономистов (Дж. Гелбреита, Г. Мюрдаля, Л. Эрхарда) М., 1971.
19. Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, М., 1968.
20. Хромушин Г.Б., Экономические теории политической экономии, М., 1972.

თავი XVII. რეგულირებადი ეკონომიკის კეინზური და ნეოკეინზური მოძღვრებები

1. ჯონ მეინარდ კეინზის მაკროეკონომიკური მოდელი

XX ს-ის დასაწყისში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. შეცვლილ ვითარებაში ნიადაგი გამოეცალა ძველ ფრიტრედერულ თეორიებს. **ეკონომიკური ლიბერალიზმის ადგილი რეგულირებადი ეკონომიკის მოძღვრებამ დაიკავა.**

ბურჟუაზიული ეკონომისტებიც იძულებული გახდნენ, ეღიარებინათ კაპიტალიზმის ისეთი წინააღმდეგობების არსებობა, როგორებიცაა: ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისები, ქრონიკული უმუშევობა და სხვ. ამიერიდან, მათ უნდა გამოეძებნათ ახალი საშუალებანი ამ წინააღმდეგობების დასაძლევად.

კაპიტალიზმის გაჯანსაღების ახალი რეცეპტების ძიება თავიანთ თავზე აიღეს კეინზური მიმდინარეობის ეკონომისტებმა.

რეგულირებადი ეკონომიკის კეინზური მოძღვრებისთვის შემდეგი ძირითადი ნიშნებია დამახასიათებელი:

ა) კაპიტალიზმის შინაგანი ძალების არასაკამრისი მოქმედების იძულებითი აღიარება და რწმენის დაკარგვა თავისუფალ კონკურენციაზე, როგორც კაპიტალისტური ეკონომიკის ავტომატურ რეგულატორზე;

ბ) ყურადღების გადატანა არაეკონომიკური ფაქტორების ანალიზზე. კეინზური ანალიზის ძირითადი ელემენტები არეკონომიკური ფსიქოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარეობს;[1]

გ) სახელმწიფოს გამოცხადება კაპიტალისტური ეკონომიკისთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა დაძლევის ძირითად პირობად. ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს სულ უფრო აქტიური ჩარევის აშკარა გამართლება. თუ თავისუფალი კონკურენციის ეპოქაში სახელმწიფოს მთავარ დანიშნულებად კერძო მეწარმეობის ყოველნაირი წახალისება ითვლებოდა, კეინზელებმა ახალ ვითარებაში სახელმწიფოს ეკონომიკური კრიზისების და

[1] სელიგმენი ბ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 503.

მასობრივი უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის პასუხისმგებლობაც დააკისრეს;

დ) ანტიკრიზისული ღონისძიებების, პროგრამების და რეცეპტების დამუშავებაში მათემატიკური აპარატის ფართოდ გამოყენება.

კეინზური მიმდინარეობის სულისჩამდგმელი XX საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტი ჯ.მ. კეინზი იყო. იგი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორიაში. როგორც ბ. სელიგმენი აღნიშნავს მისი გავლენა საზოგადოებრივ აზრზე ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა სმითის, რიკარდოს და მარქსის შემდეგ.

ჯონ მეინარდ კეინზი (1883-1946) კემბრიჯში დაიბადა. 1906 წლიდან იგი კემბრიჯის უნივერსიტეტში მუშაობდა, სადაც ა. მარშალის შეხედულებები ბატონობდა. ჯ, კეინზი თავის თავს ა. მარშლის მოწაფედ თვლიდა, მაგრამ „კემბრიჯის სკოლის“ კრიზისის შემდეგ მან ა. მარშალის შეხედულებათა კრიტიკა დაიწყო.

ჯ. მ. კეინზის მოღვაწეობა დიდი მრავალმხრივობით გამოირჩეოდა. ის თავგამოდებით იცავდა ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებს სხვადასხვა კონფერენციაზე, აქტიურად მონაწილეობდა ინგლისის მმართველი წრეების ეკონომიკურ და პოლიტიკურ საქმიანობაში. **მას ინგლისის ბანკის დირექტორის თანამდებობა ეკავა** და ინდოეთის საქმეთა სამინისტროში სახელმწიფო ხაზინის მრჩევლად მუშაობდა. ჯ. მ. კეინზი მოანაწილეობდა ვერსალის საზავო კონფერენციის მუშაობაში და ანტანტის უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოში, აგრეთვე, გენუის კონფერენციის მუშაობაში. 1944 წელს ამერიკის ქალაქ



ჯონ მეინარდ კეინზი

ბრეტონ-ვუდსში ჩატარებულ სავალუტო კონფერენციაზე სათავეში ედგა დიდი ბრიტანეთის დელეგაციას. მისი აქტიური მონაწილეობით აღნიშნულმა კონფერენციამ ჩამოაყალიბა „**საერთაშორისო სავალუტო ფონდი**“ და „**რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი**“.

ჯ. მ. კეინზის საქმიანობა ინგლისის მმართველმა წრეებმა უმაღლესი შეაფასება მისცეს და მას მიანიჭეს პერის წოდება ლორდის ტიტულით.

ჯ. მ. კეინზი მრავალი ნაშრომის ავტორია, რომელთაგან აღსანიშნავია „ინდოეთის ვალუტა და ფინასნები“ (1913), „ვერსალის საზავო ხელშეკრულების ეკონომიკური შედეგები“ (1919), „საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა“ (1921), „მისტერ ჩერჩილის ეკონომიკური შედეგები“ (1925), „ტრაქტატი ფულის რეფორმის შესახებ“ (1923), „გამოკვლევა ფულის შესახებ“ (1933) და 1936 წელს გამოქვეყნებული მისი მთავარი ნაშრომი „**დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია**“. ამ წიგნზე მუშაობის დროს 1935 წელს იგი ბ. შოუს წერდა, რომ მისი თეორია მნშვნელოვნად გაარევოლუციონირებდა ეკონომიკური პრობლემების მიმართ დამოკიდებულებას მსოფლიოში. იგი **იმედოვნებდა** აგრეთვე, რომ ამ თეორიით **თავდაყირა დააყენებდა რიკარდო-მარქსის თეორიას.** უფრო ადრე, 1931 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში ჯ. კეინზი აღნიშნავდა, რომ კ. მარქსის „კაპიტალი“ მოძველებული ეკონომიკური სახელმძღვანელოა და ამიტომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თანამედროვე პირობებშიო.

ჯ. მ. კეინზის ნაწარმოებებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ფულის **თეორიის საკითხებს.** ჯერ კიდევ ნაშრომში „ინდოეთის ვალუტა და ფინანსები“ იგი ფულის ნომინალურ თეორიას იცავდა.

რეგულირებადი ვალუტის შექმნის პროგრამა ჯ. კეინზმა წამოაყენა წიგნში „ტრაქტატი ფულის რეფორმის შესახებ“, იგი მოითხოვდა ინგლისში არსებული ფულის მიმოქცევის იმ სისტემის შეცვლას, რომელიც ოქროს სტანდარტის პრინციპებს ემყარებოდა. ჯ. კეინზს შესაძლებლად მიაჩნდა კაპიტალისტურ მეურნეობაში ქაღალდის ფულის მიერ ფულის ფუნქციების შესრულება ოქროს შინაარსის გარეშე. ჯ. კეინზი მოითხოვდა ოქროზე გადა-

უხუდავებელი ქაღალდის ფულის შემოღებას. იგი ერთდროულად ფულის ნიმინალური და რაოდენობითი თეორიის იდეებს იცავდა და მათი სინთეზის საფუძველზე შექმნა **რეგულირებადი ვალუტის თეორია.**

1926წ. გამოქვეყნებულ სტატიაში „**ლესე ფერის**“ **დასასრული**“ – ჯ. კეინზმა გააკრიტიკა ეკონომიკური ლიბერალიზმის ძველი დოქტრინა, რომლის მიხედვითაც, ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს. ჯ. კეინზმა კატეგორიულად მოითხოვა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ ცხოვრებაში არა მარტო ფულის მიმოქცევის რეგულირების, არამედ მთელი სახალხო მეურნეობის რეგულირების მიზნით.

ჯ. კეინზმა და მისმა მიმდევრებმა ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპებთან ერთად დაიწუნეს ამ პრინციპების შესაბამისი მეთოდოლოგიაც. კეინზელობა იკვლევდა არა მხოლოდ მაკროეკონომიკურ მოვლენებს, არამედ ისეთ ერთობლივ სიდიდეებს, როგორებიცაა: **ეროვნული შემოსავალი, საერთო დასაქმება, ერთობლივი მიწოდება, ერთობლივი მოთხოვნა, დაზოგვა, ინვესტირება** მაკროეკონომიკურ ასპექტში.

ჯ. კეინზს სახელი მოუხვეჭა ნაშრომმა „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადმა თეორიამ“. ამ წიგნის გამოქვეყნებას წინ უძღოდა 1929-1933 წლებში ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისი, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი დასაქმებისა და ანტიკრიზისულ პრობლემებს.

ჯ. კეინზმა აღნიშნა, რომ უმუშევრობისა და კრიზისების ძველი თეორიები უძლური აღმოჩნდა ახალი პრობლემების წინაშე და მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდნენ. ძველი თეორიების ნაცვლად კეინზმა ახალი დოქტრინა წამოაყენა, რომელსაც **რეგულირებადი ეკონომიკის შექმნის საფუძვლად ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევა მიაჩნდა.**

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ჯ. კეინზი მთლად ორიგინალური არ იყო. მისი თეორია წინამორბედების მდიდარ გამოცდილებაზე აღმოცენდა. ჯ. კეინზი თავის წინამორბედებად აღიარებდა მონტესკიეს, ჰოუტრის, რობერტსონს, ვიქსელს, ჰობსონს,

პ. მარტინს, დ. რაიდლს და სხვ. მაგრამ ყველა ამ ეკონომისტის გავლენა მხოლოდ უმნიშვნელო ხასიათის იყო. მათი თეორიები მხოლოდ ეკონომიკურ მასალას შეიცავდა. ჯ. კეინზმა მათ სისტემური სახე მისცა.

ჯ. კეინზის აზრით, **უმუშევრობისა და კრიზისების მიზეზი მოთხოვნილების არასკმარისი დონეა. მისი რეცეპტით ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ უნდა გაზარდოს მოთხოვნილება და უმუშევრობაც მოისპობა.**

ჯ. კეინზის მიხედვით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადამიანების მოთხოვნილება მოხმარების საგნებზე არასაკმრისია. შექმნილ მდგომარეობას იგი ძირითადი **ფსიქოლოგიური კანონით ხსნიდა.** ამ კანონის მიხედვით, ადამიანებს მოხმარებისგან თავშეკავების მიდრეკილება აქვთ და შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს ზოგავენ.

ჯ. კეინზის აზრით, მოხმარებისგან თავშეკავებისა და დაზოგვის 8 ძირითადი სუბიექტური სტიმული არსებობს:

1. რეზერვების შექმნა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის;

2. ოჯახის წევრების უზურუნველყოფა, ზრუნვა მათზე მოხუცებულობის ან სხვა შემთხვევაში;

3. სარგებლის გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

4. ადამიანებს სურთ უფრო და უფრო უკეთ ცხოვრება, ამიტომ მოსალოდნელია ხარჯების გაზრდა მომავალში. ეს კი მოხმარებისგან თავშეკავებას, დაზოგვას მოითხოვს;

5. დამოუკიდებლობის სურვილი;

6. სპეციალური ფონდის შექმნა სპეკულაციური და კომერციული პროექტების განსახორციელებლად;

7. შთამომავლობისთვის ქონების დატოვების სურვილი;

8. დაგროვების გრძნობის დაკმაყოფილება.

მათ ჯ. კეინზი, შესაბამისად, უწოდებს სიფრთხილეს, წინდახედულობას, ანგარიშიანობას, მისწრაფებას უკეთესისკენ , დამოუკიდებლობას, მეწარმეობას, სიამაყესა და სიძუნწეს.

ჯ. კეინზს მიაჩნდა, რომ საზოგადოებისადმი მიდრეკილების რეალიზაცია ანუ დაზოგვა, რაც, პრაქტიკულად, მოხმარების

ფონდიდან შემოსავლის გარკვეული ნაწილის გამოქვითვას და მის დაგროვებას (ფულის სახით) გულისხმობს, ამცირებს სამომხმარებლო მოთხოვნას და, შესაბამისად, მოხმარების მოცულობას. ამის კვალობაზე კი წარმოების საშუალებებზე მოთხოვნა მცირდება და ასეთ პირობებში **ინვესტიციები** და, მაშასადამე, **წარმოების მოცულობა** არა თუ ვეღარ ფართოვდება, არამედ **იკვეცება** კიდევაც და მოსახლეობის სულ უფრო დიდი ნაწილი დაუსაქმებელი რჩება.

კეინზის აზრით, ინვესტიციების გადიდებით მწარმოებლები დაინტერესებულები არ არიან, აგრეთვე, იმიტომ, რომ მოგების ნორმა დაბალია და, მაშასადამე, დამატებითი კაპიტალდაბნდებები სასურველ მოგებას არ იძლევა. **მოგების ნორმის გადიდების ერთ-ერთი ხელისშემშლელ ფაქტორად მას სარგებლის მაღალი ნორმა მიაჩნია,** რომელიც მოგების ნორმის, ანუ ინვესტიციების „საზღვრითი ეფექტიანობის“ შემცირების პირობებშიც კი სტაბილური რჩება.

ამ მოვლენების თავიდან აცილების, ე.ი. კრიზისების და უმშევრობის ლიკვიდაციის, დასაქმებისა და, საერთოდ, საზოგადოების ნორმალური განვითარების უზრუნველსაყოფად კეინზს მიზანშეწონილად მიაჩნია სახელმწიფოს აქტიურად ჩარევა სამეურნეო ცხოვრებაში, ე.ი. **ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება.** ამით იგი უარყოფს წინამორბედი ეკონომისტების თეორიას, რომლებიც ავტომატური რეგულირების (ანუ თვითრეგულირების) უპირატესობას და მიზანშეწონილობას აღიარებდა. ჯ. კეინზს, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა **სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების რეგულირება,** კერძოდ, **მათი მოცულობის გაზრდა და ამით სრული დასაქმებისთვის რეალური პირობების შექმნა.** ამ მიზნით, იგი ფიქრობს, რომ სახელმწიფომ ისეთი ღონისძიებები უნდა გაატაროს, რომელთა შედეგადაც **შემცირდება სარგებლის ნორმა, ამაღლდება კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობა (მოგების ნორმა)** და, შესაბამისად, გაძლიერდება მწარმოებელთა დაინტერესება ინვესტიციების გაზრდის მიზნით. ეს კი გამოიწვევს, როგორც სამომხმარებლო, ისე წარმოების

საშუალებათა ბაზრის გაფართოებას, რაც, თავის მხრივ, გაზრდის ერთობლივ მოთხოვნას და, საბოლოო ანგარიშით, მოხმარებას.

ჯ. კეინსი დანხარჯების ორ სახეს გამოყოფს:

1. დანახარჯები მოხმარებაზე;
2. დანახარჯები დაზოგვაზე.

მოხმარებაზე დანახარჯების მოცულობა ფსიქოლოგიურ ფაქტორებზეა დამოკიდებული, რომლებიც მოქმდებს როგორც დამოუკიდებელი ცვლადი. ამ ფაქტორს კეინზი მოხმარებისკენ მიდრეკილებას უწოდებს და ორი თვალსაზრისით განიხილავს:

1. „მიდრეკილება მოხმარებისკენ“, რომელსაც იგი განსაზღვრავს როგორც ფუნქციონალურ დამოკიდებულებას ხელფასში გამოხატულ შემოსავლის დონეს XR და Cs შორის, ეს უკანასკნელი დანახარჯებია მოხმარებაზე მოცემული შემოსავლის დონის დროს, ასე რომ, Cs = X[Rs].[1]

2. კეინზს შემოაქვს ტერმინი „ზღვრული მისწრაფება მოხმარებისკენ“, რომელიც წარმოადგენს შეფარდებას შემოსავლის ზრდასა და მოხმარების შესაბამის ზრდას შორის, სადაც ორივე სიდიდე ხელფასის ერთეულებშია მოცემული. ეს თანაფარდობა გამოიხატება ფორმულით:

$$\frac{\Delta Cs}{\Delta Rs}$$

მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება ექვემდებარება ძირითად ფსიქოლოგიურ კანონს. ჯ. კეინზის მტკიცებით, ადამიანებს აქვთ მიდრეკილება, გაადიდონ მოხმარება შემოსავლის ზრდასთან ერთდ, მაგრამ არა იმ დონით, რა დონითაც იზრდება შემოსავალი. ამ შემთხვევაში $\frac{\Delta Cs}{\Delta Rs}$ ნულზე მეტია, მაგრამ ერთზე ნაკლები.[2] შემოსავლის ზრდის დროს ეს თანაფარდობა, როგორც წესი, იკლებს. მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების

---

1 კეინზი ჯ. მ., დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია, მ., 1949, გვ. 84 (რუს).

2 იქვე, გვ. 90.

ახსნა ჯ. კეინზმა მულტიპლიკატორის[1] თეორიას დაუკავშირა. ცნება „**მულტიპლიკატორი**“ ეკონომიკურ მეცნიერებაში პირველად რ. კანმა გამოიყენა. ამ ტერმინს ეკონომისტები რიცხვითი კოეფიციენტის აღსანიშნავად იყენებენ, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ გაიზრდება შემოსავალი ინვესტიციათა მოცემული ზრდის დროს. რ. კანის განმარტებით, მულტიპლიკატორი გვიჩვენებს მოხმარების რაოდენობრივ დამოკიდებულებას წარმოების მოცულობის ცვლილებისადმი. რ. კანის აზრით, ყველა დანახარჯი ქმნის რა პირველად დასაქმებას, იწვევს ახალ მსყიდველობითუნარიანობას მუშებისა და წარმოების მხრიდან და ამით ახალ მოთხოვნილებას ქმნიან, რომელიც თვითონ ხდება ახალი დასაქმების წყარო. ასეთი მექანიზმით მეორეული და ა.შ. დასაქმების წარმოება ხდება, რომელიც წინა დასაქმების წარმოებულია.

მულტიპლიკატორის კეინზური თეორია ურთიერთდამოკიდებულებას ადგენს საერთო დასაქმებას, შემოსავალსა და ინვესტიციის მოცულობას შორის. მულტიპლიკატორის პრინციპი შემოსავლის ნამეტის ჯერად გადიდებას გულისხმობს დასაქმებისა და მოხმარების ინვესტიციათა ნამეტთან.

მულტიპლიკატორი, ე.ი. კოეფიციენტი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ახლად შექმნილი დასაქმების დროს, დამოკიდებულია ყოველ ახალ ეტაპზე დახარჯულ თანხებზე. ამ ნაწილის K-თი აღნიშვნის შემდეგ ჯ. კეინზმა გამოიყვანა მულტიპლიკატორის შემდეგი ფორმულა:

$$K = \frac{1}{1-K}$$

ჯ. კეინზის მულტიპლიკატორს დაგროვების მულტიპლიკატორი ეწოდება. იგი ადგენს, თუ რამდენად იზრდება შემოსავალი ახლად წარმოებულ კაპიტალდაბანდებებთან თანაფარდობაში.

მულტიპლიკატორის დანიშნულება ისაა, რომ ინვესტიციების ზრდასთან ურთიერთდამოკიდებულებით, შემოსავლის ზრდა დაახასიათოს. მულტიპლიკატორის თეორიის თანახმად, ინვესტი-

[1] მულტიპლიკატორი – მამრავლი; ხელსაწყო რომელიც ბევრ ასლს იძლევა.

ციების ზრდა იწვევს შემოსავლის გადიდებას, რომელიც უდრის: ინვესტიციათა ნამეტი გამრავლებული მულტიპლიკატორზე.

მულტიპლიკატორის თეორია პროპორციების დამყარებას ცდილობს მოთხოვნას, დასაქმებას, შემოსავალს და ინვესტიციებს შორის. მულტიპლიკატორის თეორია მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევასაც, რათა პროპორციულად გაიზარდოს ერთობლივი მოხმარება, ინვესტიციები და შემოსავალი.

2. ამერიკული კეინზელობა

ჯ. კეიზსის მოძღვრება, მისი იდები და რეცეპტები იმთავითვე საფუძვლად დაედო არა მხოლოდ ინგლისის, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, შვედეთის და სხვა სახელმწიფოების ეკონომიკურ პოლიტიკას. მათ პრაქტიკულ რეალიზაციას ისახავდა მიზნად ჯერ კიდევ XX ს-ის 40-იან წლებში გამოცემული კანონები „სრული დასაქმების“, „დაგეგმვის“. „ნაციონალიზაციის“, ხელფასისა და სხვა პრობლემების შესახებ.

ჯ. კეინზის ეკონომიკურმა მოძღვრებამ ფესვები განსაკუთრებით ღრმად აშშ-ის ეკონომიკურ ლიტერატურაში გაიდგა. ამერიკელმა კეინზელებმა თავიანთი მასწავლებლის ძირითადი თეორიული დებულებები უმუშევრობისა და ეკონომიკური კრიზისების მიზეზების ახსნაში, სახელმწიფოს გადამწყვეტი როლის შესახებ ეკონომიკის რეგულირების საქმეში, მულტიპლიკატორის შესახებ და სხვ. მთლიანად გაიზიარეს. ამასთან ერთად, აშშ-ის ეკონომიკის სპეციფიკური ნიშნებიდან გამომდინარე მთელი რიგი ახალი დასკვნებით შეავსეს ის.

ამერიკელი კეინზელების ლიდერი ჰარვარდის უნივერისტეტის პროფესორი **ელვინ ჰანსენი** (1887-1975) გახლდათ.

1933-1934 წლებში ე. ჰანსენი იყო აშშ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ეროვნული პოლიტიკის საკითხთა გამომკვლევი კომისიის დირექტორი, 1934-1935 წლებში – სოციალური უზრუნველყოფის საკითხთა საკონსულტაციო საბჭოს სპეციალური ეკონომიკური კონსულტანტი.

ე. ჰანსენი მრავალი ნაშრომის ავტორია, რომელთაგან აღსანიშნავია „თავისუფალი პოლიტიკური და საქმიანი ციკლები“ (1941), „ეკონომიკური პოლიტიკა და დასაქმება“ (1947), „კეინზის გზის მაჩვენებელი“ (1953) „ამერიკის ეკონომიკა“ (1957), „**ამერიკის ომისშემდგომი ეკონომიკა**“ (1966) და სხვ.

ე. ჰანსენის ნაწარმოებები, პირველ რიგში, კაპიტალისტური კვლავწარმოებისა და ციკლის საკითხებს ეხება. მან ჩამოაყალიბა **ციკლის ინვესტიციური თეორია“.** ე. ჰანსენის ნაშრომებში განხილულია ასევე ეროვნული შემოსავლის, ფულის, ფისკალური პოლიტიკის, დასაქმებისა და სხვა საკითხები.

ე. ჰანსენი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე იზიარებდა ჯ. კეინზის იდეებს, მაგრამ, საბოლოოდ, გადასვლა კეინზელების მხარეს და კრიზისების საკუთარი თეორიის ჩამოყალიბება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადაწყდა. ე. ჰანსენი „რეგულირებადი კაპიტალიზმის“ ერთ-ერთი დიდი პროპაგანდისტი იყო აშშ-ში. ჯ. კეინზის მსგავსად, ისიც დიდ როლს ანიჭებდა სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს. სახელმწიფოს მეშვეობით ის მოთხოვნისა და ინვესტიციების გადიდებას ცდილობდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ საკითხში ე. ჰანსენი ჯ. კეინზს არ ეთანხმებოდა. მაგალითად, სარგებლის როლის და ინფლაციის საკითხებში.

მეცნიერულ კვლევაში ე. ჰანსენი ფართოდ იყენებდა კეინზურ ფსიქო-ეკონომიკურ კატეგორიებს. თავის ეკონომიკურ მოდელში იგი მიზნად ისახავდა კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობა შეწყობილ, შეთანხმებულ და შრომისუნარიან სისტემად გადაექცია; აგრეთვე, იგი ოცნებობდა მსოფლიოში წესრიგის დამყარებაზე, როცა ჰუმანურად განათლებულ ცივილიზაციას შესაძლებლობა ექნება, ისევ განვითარდეს და აყვავდეს.

ე. ჰანსენს სურდა კაპიტალისტური ეკონომიკის გათავისუფლება წარმოების ანარქიისა და ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისებისგან.

ე. ჰანსენი ითვლება **სტაგნაციის თეორიის** შემქმნელად. ამ თეორიის სახელწოდება წარმოდგება ლათინური სიტყვისგან „სტაგნუმ“, რაც უმოძრაო, მდორე წყალს ნიშნავს. ამ ტერმინში ეკონომიკურ ლიტერატურაში მოიაზრება მრეწველობისა და ვაჭ-

რობის შეჩერება, საზოგადოებრივი წარმოების ერთ დონეზე გაყინვა, უმოძრაობა. სტაგნაციონალისტები – ე. ჰანსენი, პ. სუიზი, ბ. ჰიგინსი – XX საუკუნის 30-იან წლებში ამტკიცებდნენ, რომ აშ-შ-ის ეკონომიკა ისე მომწიფდა, რომ მისი განვითარების ტემპები მომავალში თანდათან დაეცემაო.

ეკონომიკურ სტაგნაციას ისინი სამი მიზეზით ხსნიდნენ:

1. მოსახლეობის ზრდის ტემპების შემცირებით;

2. ექსპანსიისთვის საჭირო გეოგრაფიულ შესაძლებლობათა შეზღუდულობით, ბაზრების შემცირებით და

3. კაპიტალის დაგროვების მასშტაბების შეკვეცით.

მაგრამ სტაგნაციონალისტები მთლიანად არ უარყოფდნენ კაპიტალსიტური წარმოების ზრდას. მათი აზრით, პროგრესი შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის აუცილებელია ღონისძიებების მიღება, **სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევა** და ა.შ. ამ გზით ისინი, **შერეული ეკონომიკის** ჩამოყალიბებას ისახავენ მიზნად.

ამერიკელი კეიზელების მეორე ცნობილი წარმომადგენელია **სეიმურ ჰარისი** (1897-1976). თავის ნაშრომში **„ახალი ეკონომიკა“** (1948) იგი ატარებდა აზრს, რომ სრული დასაქმებისთვის აუცილებელია ბურჟუაზიული სახელმწიფოს მიერ სახსრების დიდი რაოდენობით გამოყოფა სამხედრო წარმოების გასაფართოებლად, რადგან მოთხოვნა საომარ მასალებზე ყოველთვის იქნებაო.

ს. ჰარისმა 1949 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი **„ეკონომიკური დაგეგმვა“,** რომელშიც კაპიტალისტური ეკონომიკის დაგეგმვის ერთ-ერთ მთავარ პირობად გადასახადების გადიდება მიიჩნია. ამერიკელი კეინზელები ეკონომიკის დისპროპორციულობის დაძლევასა და კრიზისების წინააღმდეგ ბრძოლაში ფართოდ იყენებენ აქსელერაციის პრინციპს.

აქსელერატორი (ამაჩქარებელი) მოწყობილობაა, რომელიც აწესრიგებს საწვავის ნარევის მიწოდებას კარბურატორიდან შიგაწვის ძრავას ცილინდრში ბრუნვათა რაოდენობის შესაცვლელად. ეკონომიკურ ლიტერატურაში აქსელერატორი გამოხატავს შეფარდებას საბოლოო პროდუქტებსა (მოხმარების საგნებს) და მათ საწარმოებლად საჭირო წარმოების საშუალებების ცვლილებებს შორის. აქსელერაციის პრინციპის მიხედვით, წარმოების

გასაფართოებლად დიდი მასშტაბით პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებაა აუცილებელი, რომლებიც რამდენიმე ხნის შემდეგ მოგვცემს ეფექტს.

აქსელერატორის თეორეტიკოსების აზრით, წონასწორობის (I=S), ე.ი. უკრიზისო ციკლის შესანარჩუნებლად საჭიროა აქსელერაციის პრინციპის გამოყენება.

აქსელერაციას გამოხატავენ ფორმულით:

$$\Delta i = V\Delta y,$$

სადაც Δi ინვესტიციების ნამეტია, Δy – შემოსავლის ნამეტი, ხოლო V – ინვესტიციების კოეფიციენტი.

სახელმწიფო უნდა აჩქარებდეს ან ანელებდეს კაპიტალდაბანდებებს იმისდა მიხედვით, თუ როგორია გადახრა.

3. ეკონომიკური ზრდის ნეოკეინზური თეორიები

ჯ. კეინზის ეკონომიკურმა მოძღვრებამ კაპიტალისტურ ეკონომიკას მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მისი ზოგიერთი დებულება მკაცრი კრიტიკის ქვეშ აღმოჩნდა. კაპიტალისტურმა ეკონომიკამ სტრუქტურული ცვლილებები განიცადა. აღმოცენდა კეინზის დროს არარსებული მონოპოლისტური ჯგუფები, რომლებმაც ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი სრულად შეცვალა და ჯ. კეინზის მოძღვრება მოძველებულად იქნა მიჩნეული.

ჯ. კეინზის მოძღვრებას ზოგიერთი ეკონომისტი შეეხიდა, რომლებმაც ჯ. კეინზის კრიტიკოსთა შენიშვნები გაითვალსიწინეს და კეინზის თეორიას ახალი ძალები შემატეს. **მათ მძლავრი ნეოკეინზური სკოლა ჩამოაყალიბეს.**

ნეოკეინზურ კონცეფციებს შორის დიდი ადგილი უკავია **ეკონომიკური ზრდის თეორიებს.** ისინი ფართოდ მას შემდეგ გავრცელდა, რაც მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სფეროში მომხდარი ძვრების შედეგად კაპიტალიზმის დაცვა სტატიკური წონასწორობის კეინზურ იდებზე დაყრდნობით უკვე შეუძლებელი გახდა. ეკონომიკური ზრდის

თეორიები კეინზელობის ევოლუციის შედეგად მეოცე საუკუნის 40-იან წლების დამდეგისთვის აღმოცენდა, როგორც ამ უკანასკნელის ნაირსახეობა და ლოგიკური გაგრძელება.

ეკონომიკური ზრდის თეორიამ ჯ. კეინზისგან მემკვიდრეობით შეიძინა

1. კონცეფცია, რომ კაპიტალისტური ეკონომიკა, როდესაც კარგავს ავტომატურ თვითრეგულირების უნარს შეიძლება გაჯანსაღდეს ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის გზით;

2. ეკონომიკურ კვლევა-ძიებაში ფსიქოლოგიური ფაქტორებს განსაკუთრებული მნიშვნელობის ენიჭება.

ეკონომიური ზრდის თეორიების მთავარი დანიშნულებაა შეიმუშაონ კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდის მექანიზმის სრულყოფის საშუალებანი.

ეკონომიური ზრდის მიმდიევრებმა ჯ. კეინზი იმაში დაადანაშაულეს, რომ ის ყოველთვის საზოგადოების სტატიკური, ანუ უცვლელი მდოგმარეობიდან გამოდიოდა და არ ითვალისწინებდა ცვლილებებს ტექნიკისა და ასევეა ეკონომიკის დარგში.

ეკონომიკის ზრდაში ეროვნული შემოსავლის მუდმივ მატებას ითვლიან ერთ სულ მოსახლეზე გაანაგარიშებით.

ეკონომიკური ზრდის დამცველთა თვალსაზრისით, **წარმოების ზრდის ტემპს სამი ფაქტორი განსაზღვრავს, ესენია: ინვესტიციები, ტექნიკური პროგრესი და მოსახლეობის მატება.**

ეკონომიური ზრდის თეორიები რგულირებადი კაპიტალიზმის კეინზური თეორიის მოდიფიკაციაა და ნეოკეინზურ დინამიკურ მაკროეკონომიკას წარმოადგენს.

მართალია, ეკონომიური ზრდის თეორიები განიხილება როგორც კეინზელობის ლოგიკური გაგრძელება, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ზრდის თეორიებს, ჯ. კეინზის გარდა, სხვა წინამორბედებიც ჰყავდა.

ეკონომიური ზრდის თეორიების ერთ-ერთი პირველი წარმოადგენელი იყო **იოზეფ შუმპეტერი.** მან ჯერ კიდევ 1912 წელს დაწერა წიგნი „**ეკონომიკური განვითარების თეორია**“, რომელშიც

შეიმუშავა დებულებები დინამიკური მეწარმის, დინამიკური ინდივიდის, დინამიკურად მოაზროვნე სუბიექტის, დინამიკური მმართველობის და სხვათა შესახებ. ეკონომიკური ზრდის თეორიების საფუძვლის ჩაყრაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ფრანგმა ეკონომისტმა **ალბერტ აფტალიონმა** (1874-1939), ამერიკელმა **ჯონ მორის კლარკმა** (1884-1963) და შვედმა **გუსტავ კასელმა** (1886-1944). ამ უკანასკნელმა 1918 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „თეორიულ სოციალური ეკონომიკა" პირველმა სისტემატიზებული სახით ჩამოაყალიბა მოძღვრება დინამიკური წონასწორობის შესხებ.[1] ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1931 წელს **რ. კანმა** შექმნა ეკონომიკური ზრდის თეორიის კიდევ ერთი ინსტრუმენტი **მულტიპლიკატორი** და ა.შ.

ნახსენებმა ეკონომისტებმა მხოლოდ საფუძველი ჩაუყარეს ეკონომიკური ზრდის თეორიებს. მისი მთელი შენობა ააგეს ინგლისელმა ეკონმისტმა **რ. ჰაროდმა** და ამერიკელმა **ე. დომარმა.**[2]

ა) როი ჰაროდის ეკონომიკური დინამიკის თეორია

ნეოკეინზური მიმართულების მამამთავრად მიჩნეულია ჯ. კეინზის თვალსაჩინო მიმდევარი, ინგლისელი ეკონომისტი **როი ჰორბს ჰაროდი** (1900-1978)**.** რ. ჰაროდი იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ინგლისის სამეფო ეკონომიკური საზოგადოების პრეზიდენტი და ა.შ. იგი ეკონომიკური დინამიკის გამოჩენილი თეორეტიკოსია. ეკონომიკური დინამიკის თეორეტიკოსების მიზანია დინამიკური კაპიტალიზმის მოდელის შექმნა. ამისათვის ისინი აუცილებლად ეკონომიკაში გარედან ჩარევას, ბიძგის, იმპულსის მიცემას მიიჩნევენ. რ. ჰაროდმა მიზნად დაისახა თავისი მასწავლებლის, **ჯ. კეინზის სტატიკური თეორიისთვის დინამიკური ხასიათი მიეცა.**

ეკონომიკური დინამიკის შესახებ თავისი კონცეფცია რ. ჰაროდმა შემდეგ ნაშრომებში ჩამოაყალიბა: „სავაჭრო ციკლი" (1936),

---

1 ჭანუყვაძე გ., ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 4, თბ., 1969, გვ. 236.

2 ახალი მოვლენები თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიკაში, ტ. 2, მ., 1963, გვ. 30.

„ეკონომიკური დინამიკის თეორიისათვის“ (1948), „დინამიკური ეკონომიკა“ (1949), „ჯონ მეინარ კეინზის ცხოვრება“ (1951), „ეკონომიკური ნარკვევები“ (1952), „მსოფლიო ფულადი სისტემის რეფორმა“ (1965).

რ. ჰაროდის ეკონომიკური დინამიკის თეორია, მართალია, სახელმწიფოებრივ დირიჟიზმს გულისხმობს, მაგრამ ის ტოტალური დირიჟიზმის წინააღმდეგ გამოდის. იგი არ უარყოფს თავისუფალ მეწარმეობას. რ. ჰაროდის აზრით, კერძო კაპიტალისტური მეწარმეობა თვით ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს. რ. ჰაროდის თქმით, **კერძო მეწარმეობა ნიშნავს დემოკრატიას, ხოლო ტოტალიტარიზმი – თავისუფლების ლიკვიდაციას.**

თავის ნაშრომებში რ. ჰაროდი აქცენტს დინამიკურ წონასწორობაზე აკეთებს, სტატიკურ წონასწორობას კი უგულებელყოფს. „სტატიკური წონასწორობა – წერს რ. ჰაროდი, – უქმად ყოფნის მდგომარეობას სრულიადაც არ ნიშნავს, ესაა პროცესი, როცა წარმოება გრძელდება ყოველდღე, ყოველწლიურად, მაგრამ მისი მოცულობა არც ფართოვდება და არც მცირდება“.[1]

სტატიკურ წონასწორობაში რ. ჰაროდი გულისხმობს მარტივ კვლავწარმოებას, ხოლო დინამიკურ წონასწორობაში – გაფართოებულ კვლავწარმოებას.

რ. ჰაროდის ეკონომიკური დინამიკის თეორიის მიხედვით, ეკონომიკურ განვითარებას საფუძვლად სამი ფაქტორი უდევს, ესენია :

1. მოსახლეობის ზრდა;
2. ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის გადიდება;
3. დაგროვილი კაპიტალის ოდენობა.

რ. ჰაროდის დინამიკური წონასწორობა გულისხობს წარმოების ზრდის მყარ ტემპს, განუწყვეტელ გაფართოებულ კვლავწარმოებას. რ. ჰაროდი განასხვავებს ზრდის ფაქტიურ ტემპსა (g) და ბუნებრივ ტემპს (gr). მას შემოაქვ,ს აგრეთვე, ახალი ფსიქოლოგიური კატეგორია – ზრდის გარანტირებული ტემპი (gw), ანუ დინამიკური წონასწორობის ტემპი.

---

[1] ჰაროდი რ., ეკონომიკური დინამიკის თეორიისათვის მ., 1959, გვ. 41 (რუს).

რ. ჰაროდმა ტემპის ფორმულა შემდეგნაირად წარმოადგინა:

$$g = \frac{S}{Cr}$$

სადაც g ზრდის ტემპია, S – დაზოგვის წილი (კოეფიციენტი) ეროვნულ შემოსავალში, Cr – აქსელერტორის კოეფციენტი. ეს შეფარდება ზრდის ძირითად ფორმულას წარმოადგენს, რომლის თანახმად, კაპიტალისტური ეკონომიკა ისეთი ტემპით უნდა გაიზარდოს, რომლის დროსაც ყველა არსებული რესურსი სრულად გამოიყენება. ამისთვის აუცილებელია, რომ დაგროვების რესურსები სრულად იხარჯებოდეს როგორც წარმოებით, ისე არაწარმოებით სფეროებშიც.

ბ) ევსეი დომარის ეკონომიკური ზრდის თეორია

ეკონომიური ზრდის თეორიების ერთ-ერთ ფუძემდებლად პოლონური წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი **ევსეი დევიდ დომარი** ითვლება (1914-1997). ე. დომარმა 1957წ. ნიუ-იორკში გამოაქვეყნა წიგნი „**ნარკვევები ეკონომიკური ზრდის შესახებ“,** რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია ეკონომიკური ზრდის შესახებ.

ე. დომარი, ძირითადად, კეინზელობას ემყარება, მაგრამ რ. ჰაროდის მსგავსად, კეინზის სტატიკური წონასწორობა არ მოსწონს და დინამიკური წონასწორობის დამყარებას ცდილობს. ამ მიზნის მიღწევას იგი ეკონომიკური ზრდის თეორიაში პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების გაწონასწორებით ცდილობს.

ე. დომარის ეკონომიკური ზრდის თეორიაში რეალიზაციისა და დაგროვების პრობლემა წარმოების ზრდის საკითხებამდეა დაყვანილი. ე. დომარის აზრით, პროდუქციის ზრდა უდრის ინვესტიციების ჯამს გამრავლებულს ამ ინვესტიციათა საშუალო საზოგადოებრივ ნაყოფიერებაზე.

გ) ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური თეორია

XX ს-ის 50-იანი წლების შუახანიდან ეკონომიკური ზრდის თეორიაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. ყურადღება დინამიკური წონასწორობის პრობლემების მიმართ შესუსტდა. წინა პლანზე პოტენციურად შესაძლებელი ტემპებისა და მათი განმსაზღვრელი ფაქტორების პრობლემამ წამოიწია. ამასთან ერთად, ამ პრობლემის კვლევის თეორიული საფუძვლები შეიცვალა. მისი გადაწყვეტის ამოსავალი წერტილი **წარმოების ნეოკლასიკური თეორია** გახდა.

როგორც ნეოკეინზური თეორია აღმოცენდა კეინზის თეორიის კრიტიკიდან, ასევე ზრდის ნეოკლასიკური თეორია ზრდის ნეოკეინზური თეორიების კრიტიკის საფუძველზე განვითარდა.

ზრდის ნეოკლასიკური თეორიის წარმომადგენლები ნეოკეინზურ კონცეფციას არ ეთანხმებიან იმის გამო, რომ ის ზრდის მხოლოდ ერთ ფაქტორს – კაპიტალის დაგროვებას – განიხილავს და ტექნიკურად ახალი წამოწყების, განათლების, კვალიფიკაციის ზრდის, ორგანიზაციის გაუმჯობესების და სხვა მოვლენების შედეგებს უგულებელყოფს.

ზრდის ნეოკლასიკურ თეორიაში საინტერესოა **წარმოებითი ფუნქცია.** წარმოებითი ფუნქციის ერთ-ერთ გავრცელებულ ტიპს **კობა-დუგლასის მოდელი** წარმოადგენს.

1928 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა პ. დუგლასმა მათემატიკოს კობას დახმარებით სცადა აშშ-ის დამამუშავებელ მრეწველობაში ემპირიული გზით განესაზღვრა კაპიტალისა და შრომის დანახარჯების გავლენა პროდუქციის სიდიდეზე. მათ სურდათ შეემოწმებინათ, არსებობდა თუ არა საზღვრითი მწარმოებლურობის კანონები.

დასახული მიზნის მისაღწევად სამი ინდექსი იქნა გამოყენებული, რომლებიც 1899-1922 წლებში, ოცდაოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში, ძირითადი კაპიტალის, მუშათა და ნამუშევარი კაცსაათების რაოდენობის და პროდუქციის ფიზიკური მოცულობის დინამიკას ასახავდა აშშ-ის დამამუშავებელ მრეწველობაში.

კობა-დუგლასის ფუნქციაში ამოსავალი წანამძღვრების სახით გათვალისწინებულ იქნა შემდეგი პირობები:

1. პროდუცია მხოლოდ ორი ფაქტორის – შრომის და კაპიტალის ფუნქციას წარმოადგენს, რომლებსაც შეუზღუდავად შეუძლიათ შეცვალონ ერთმანეთი;

2. შრომისა და კაპიტალის ყოველი ერთეულის გაცემა მუდმივია;

3. შრომისა და კაპიტალის გამოყენების ინტენსიურობის დონე მუდმივია;

4. დამოკიდებულება წრფივ ხასიათს ატარებს, ე.ი. ორივე ფაქტორი m-ჯერ გაიზრდება.

დ) ნეოკლასიკური სინთეზი. პოლ სამუელსონი

ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი **პოლ სამუელსონი** (1915-2009) მიუთითებს, რომ ეკონომისტთა უმრავლესობა დასავლეთში იმის მიღწევას ცდილობს, რასაც ის ნეოკლასიკურ სინთეზს უწოდებს. ისინი ცდილობენ, ეფექტიანი საკრედიტო-ფულადი და ფისკალური პოლიტიკის გზით, ა. სმითისა და ა. მარშლის **კლასიკური მიკროეკონომიკის შეერთებას შემოსავლის დონის განსაზღვრის თანამედროვე მაკროეკონომიკასთან**, ორივე მიდგომაში არსებული ყოველგვარი ჯანსაღი ფაქტორების გათვალისწინებით.

პოლ სამუელსონი

პ. სამუელსონის მიხედვით, ნეოკლასიკური სინთეზი ეს, არსებითად, თანამედროვე ნეოკეინზურ და ნეოლიბერალურ დებულებათა შეხამებაა მათ წინამორბედ, ადრინდელ ნეოკლასიკოსებთან და, ასევე, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთ პოსტულატთან, უპირ-

ველეს ყოვლისა კი, შემოსავლების ფორმირების თანამედროვე თეორიებთან დაკავშირებით.

ნეოკლასიკური სინთეზის დებულება ისაა, რომ ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის თანამედროვე მოდელი ერთდროულად ემყარება **მაკრო- და მიკროეკონომიკურ გამოკვლევას**, რამდენადაც მისი აგებისთვის იყენებენ ინსტრუმენტარიუმს, რომელიც მაკრო- და მიკროეკონომიკური ანალიზის ადეკვატურია.[1]

ე) ეკონომიკური ზრდის ინსტიტუციური თეორია

ეკონომიკური ზრდის ინსტიტუციური თეორიის შემქმნელები – უ. როსტოუ, ვ. ლუსი და სხვ.- ყურადღებას ამახვილებენ განვითარების ტენდენციებზე.

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორმა **უოლტ უიტმენ როსტოუმ** (1916-2003) ეკონომიკური ზრდის სტადიების თეორია შექმნა. ეს თეორია მან შემდეგ ნაშრომებში ჩამოაყალიბა: „**ეკონომიკური ზრდის სტადიები, არაკომუნისტური მანიფესტი“,** „საბჭოთა გამოწვევა და ამერიკის შეერთებული შტატები“ და სხვ.

უ. როსტოუს ეკონომიკური ზრდის თეორიის ამოსავალ კრედოს ისტორიული განვითარების განმსაზღვრელ ძალად წმინდა ტექნიკურ-ეკონომიკური, უპირატესად, სუბიექტურ-ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ფაქტორების აღიარება წარმოადგენს.

კაცობრიობის ისტორიას უ. როსტოუ განვითარების ხუთ სტადიად ყოფს:

1. **ტრადიციული საზოგადოება;**
2. **გარდამავალი საზოგადოება;**
3. **ნახტომის,** ანუ **სტარტის საზოგადოება;**
4. **მომწიფებული საზოგადოება;**
5. **მასობრივი მოხმარების საზოგადოება.**

ტრადიციული საზოგადოებაში უ. როსტოუ აგრარულ საზოგადოებას გულისხმობს, სადაც, უპირატესად, სოფლის მეურნეობაა განვითარებული. ეს სტადია მთელ კაპიტალიზმამდელ ისტორიას მოიცავს, საზოგადოების წარმოშობის დროიდან XVII ს-ის

[1] იადგაროვი ი. ს., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 2014, გვ. 328-331.

დამლევამდე. ტრადიციული საზოგადოების კრიტერიუმად მოსახლეობის ზრდასთან შედარებით კაპიტალდაბანდებათა დაბალი დონეა გამოცხადებული (ეროვნული შემოსავლის 5%).

გარდამავალი საზოგადოება ამზადებს პირობებს ტრადიციული საზოგადოებიდან გამოსვლისთვის. ის ტრადიციული საზოგადოებისგან კაპიტალდაბანდებათა დონით გარკვეულად განსხვავდება. **ნახტომის პერიოდის** დროს კაპიტალდაბანდება მკვეთრად მატულობს და ეროვნული შემოსავლის 5 პროცენტიდან 10 პროპცენტამდე იზრდება. მესამე სტადია ორი-სამი ათწლეულის განმავლობაში გრძელდება. ინგლისში იგი არსებობდა XVIII ს-ის ორი უკანასკნელი ათწლეული, საფრანგეთსა და აშშ-ში – რამდენიმე ათეული წელი, 1860 წლამდე, რუსეთსა და კანადაში 1814 წლის წინამორბედი მეოთხედი საუკუნე.[1] მეოთხე სტადიას უ. როსტოუ უწოდებს მოძრაობას მომწიფებისკენ და მას უკავშირებს ცნებას – **ინდუსტრიული საზოგადოება.** ამ ეტაპზე კაპიტალდაბანდებათა ოდენობა ეროვნული შემოსავლის 10-20 პროცენტს აღწევს. მეოთხე სტადია დაახლოებით სამოც წელს გრძელდებოდა. ინგლისში იგი იწყება XIX ს-ის დასაწყისიდან, საფრანგეთსა და აშშ-ში – XIX ს-ის 60-იანი წლებიდან, გერმანიაში – XIX ს-ის 70-იანი წლებიდან, რუსეთსა და კანადაში – 1914 წლის შემდეგ.

მეხუთე სტადიის, ანუ **მაღალი მასობრივი მოხმარების** ეპოქის კრიტერიუმად უ. როსტოუ მოხმარების ზრდას ითვალისწინებს. ამ სტადიაზე აშშ XX ს-ის ოციან წლებში გადავიდა, დასავლეთ ევროპის ქვეყნები და იაპონია – 50-იან წლებში, ხოლო სსრ კავშირი – 60-იან წლების დასაწყისში. უ. როსტოუმ მონაწილეობა მიიღო პრობლემის განხილვაში – როგორი მომავალი ელოდება კაცობრიობას? ამ კითხვას მან უპასუხა ეკონომიკური ზრდის მეექვსე სტადიის აღმოჩენით. უ. როსტოუმ განაცხადა, რომ მეხუთე სტადიაზე აშშ-ში შემცირდება ინტერესი მასობრივი მოხმარების საგნების შეძენაზე, სამაგიეროდ, გაიზრდება შობადობის კოეფიციენტი. ზრდის **მეექვსე სტადიად** მან **შვილოსნობის ბუმის** პერიოდი გამოცხადა.[2]

---

1 ბრეგელი ე. ი., ბურჟუაზიული მოძღვრებების კრიტიკა თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკური სისტემის შესახებ, გვ. 249.

2 ჭანუყვაძე გ., ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 4. გვ. 263.

4. ეკონომეტრიკული მოდელები. ვასილ ლეონტიევი

ნეოკეინზურ ეკონომიკურ აზრში ფართოდ გავრცელებულ მიმართულებას ეკონომეტრიკა წარმოადგენს. ეკონომეტრიკის თეორიულ ბაზა რეგულირებადი კაპიტალიზმის თეორიაა. თავის მხრივ, ეკონომეტრიკულ მოდელებს ფართოდ იყენებენ ეკონომიკის რეგულირების პროგრამების და მეთოდების შემუშავებისთვის.

ეკონომეტრიკა სხვადასხვა ეკონომეტრიკული მოდელის წარმომადგენლებს აერთიანებს. პირველ რიგში ის ინსტიტუციონალიზმსა და მათემატიკურ ეკონომიკასთანაა დაკავშირებული.

ტერმინი **ეკონომეტრიკა** პირველად **პ. ჩიოპამ** გამოიყენა 1910 წელს გამოქვყნებულ ნაშრომში „ეკონომეტრიკის და ბუღალტერიის ბუნებრივი თეორიის ნარკვევი, რომელიც პოლიტიკურ ეკონომიას ემყარება“. სახელწოდება ეკონომეტრიკა, როგორც ახალი მიმართულების მაჩვენებელი, მას შემდეგ გავრცელდა, რაც 1926 წელს **რაგნარ ფრიშმა** ამ საკითხზე სპეციალური სტატია გამოაქვეყნა. ეკონომეტრიკის ფუძემდებლად მიიჩნევენ ამერიკელ ეკონომისტებს **გ. მურს** და **ი. ფიშერს.**

ეკონომეტრიკული მიმართულება ორგანიზაციულად 1930 წლის ბოლოს კლივლენდში ჩატარებულ დამფუძნებელ კონგრესზე ჩამოყალიბდა. ამ კონგრესის ინციატორები ნორვეგიელი ეკონომისტი რ. ფრიში, ამერიკელი ეკონომისტები ი. ფიშერი და ჩ. რუსი იყვნენ. კონგრესს ი. შუმპეტერი თავმჯდომარეობდა.

საერთაშორისო ეკონომეტრიკული საზოგადოების პირველი წევრები იყვნენ: უ. მიტჩელი, ა. ბერნსი, ი. ტინბერგენი, რ. ფრიში, რ. როია, ფ. დივიზია, ვ. ლეონტიევი, ლ. კლეინი, ი. მარშაკი, ტ. კუპმანი და სხვ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ეკონომეტრიკას განიხილავენ, როგორც სამი დისციპლინის ნაერთს. ესენია:

1. **ეკონომიკური თეორია,**
2. **მათემატიკური ანალიზი;**
3. **სტატისტიკა.**

ზოგიერთ ეკონომისტი იმასაც აღნიშნავს, რომ ეკონომეტრიკა არის ზღვრული სარგებლიანობა პლუს სტატისტიკა. ეს იმაზე

მიანიშნებს, რომ ეკონომეტრიკოსები მარჟინალიზმის პოზიციაზე დგანან.

ეკონომეტრიკის მეთოდოლოგიურ-თეორიულ და ინტეგრალურ საფუძველს სტოქასტურ-ნეოპოზიტივისტური კონცეფცია წარმოადგენს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ეკონომეტრიკის ორი ძირითადი მიმართულებაა გამოყოფილი:

1. **თეორიული ხასიათის ეკონომეტრიკული მოდელები;**
2. **გამოყენებითი ხასიათის ეკონომეტრიკული მოდელები.**

თეორიული ხასიათის ეკონომეტრიკული მოდელებიდან აღსანიშნავია

ა) თამაშთა თეორია;

ბ) ციკლის ეკონომიკური მოდელები;

გ) ეკონომიკური ზრდის მოდელები;

დ)ეკონომეტრიკული მოდელები, რომელიც მოთხოვნის ანალიზს ეძღვნება.

გამოყენებითი ხასიათის ეკონომეტრიკული მოდელებიდან ძირითადია: **ვასილ ლეონტიევის დანახარჯები-გამოშვების მოდელი** და **წრფივი პროგრამირების მოდელი.**

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

თამაშთა თეორიის მთავარი წარმომადგენელია ამერიკელი მათემატიკოსი **ო. მორგერშტერნი.**

თავისი არსით, თამაშთა თეორია ემყარება მოთამაშეთა ჯგუფის შეთანხმებას, რომელთაგან თითოეული თავისი მიზნების მისაღწევად სტარტეგიის შემუშავებას იმ დაშვებიდან გამომდინარე ცდილობს, რომ გამარჯვების მისაღწევად მოწინააღმდეგეები მასავით მოქმედების საუკეთესო ხაზს გამოიყენებენ.[1]

ეკონომეტრიკოსების აზრით თამაშთა თეორია მათემატიკური ტექნიკაა, რომლის გამოყენება შეიძლება კონკურენციულ ბრძოლაში, საბირჟო სპეკულაციასა და სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში. თამაშის პროცესში მონაწლეობენ ეკონომიკური სუბიექტები, რომელთა შორისაც კონკურენციული ბრძოლაა გაჩაღებული. თამაშში მონაწილეობს აგრეთვე სახელმწიფო – ყველა ცალკეულ გადაწყვეტილებების კოორდინატორი.

---

[1] ვინერი ნ., კიბერნეტიკა და საზოგადოება, თბ., 1962, გვ. 224.

თამაშთა თეორიის პროპაგანდისტების აზრით, **ეკონომიკურ საქმიანობას და პოკერის თამაშს ერთნაირი ხასიათი აქვს,** რადგან ორივე შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები წაგების რისკი. ეკონომიკური სუბიექტები, ისევე, როგორც ბანქოს მოთამაშეები, ერთმანეთს მოქმდების საერთო გეგმას, თამაშის საკუთარ სტრატეგიას უპირისპირებენ. ამის მეოხებით, თითოეული თავისი მოგების გაზრდასა და მოწინააღმდეგის მოგების შემცირებას ცდილობს. თითოეული მოთამაშის წარმატება სამი ფაქტორით განისაზღვრება:

1. **მოთამაშის უნარით,**
2. **მის ხელთ არსებული ინფორმაციის ხარისხით** და
3. **შემთხვევითობით.**

ასეთი თამაშია გაჩაღებული საფონდო ბირჟაზეც. ბირჟის მოხელეთა საქმიანობა ატარებს იმ სპეკულანტებს შორის გაჩაღებული თამაშის ხასიათს, რომელთა ერთი ნაწილი თავის თამაშს წარმართავს აქციებისა და ობლიგაციების კურსის დაწევაზე, ხოლო მეორე ნაწილი – აწევაზე.

თამაშთა თეორიის დამცველთა მტკიცებით, მთელი საზოგადოება ჰგავს თანასწორუფლებიან მოთამაშთა კაზინოს. თამაშთა თეორიაში კაპიტალისტი და მუშა განხილულია, როგორც ტოლფასოვანი მოთამაშე და პარტნიორი.

ციკლის ეკონომეტრიკული მოდელების ბაზას რეგულირებადი კაპიტალიზმის დოქტრინა შეადგენს. ციკლის მაკროეკონომიკური მოდელები მოიცავს როგორც მეურნეობის ცალკეულ დარგებს (დარგობრივი ხასიათის ეკონომეტრიკული მოდელები), ასევე კაპიტალისტურ კვლავწარმოებას მთლიანად (კაპიტალისტური კვლავწარმოების ეკონომეტრიკული მოდელები).

ციკლის მაკროეკონომიკური მოდელები კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ ყველაზე უფრო არსებით მოვლენებს ასახავს. ამ ტიპის მოდელები ახასიათებს ისეთ სახალხომეურნეობრივ მაჩვენებლებს, როგორებიცაა: ეროვნული შემოსავალი, საერთო მოხმარება, დაზოგვა, ინვესტიციები, ფულის მიმქცევა და სხვ.

მოდელების მეორე ტიპი ეკონომიკური სისტემების მოდელირებასთანაა დაკავშირებული. ამგვარ მოდელებს იყენებენ დარ-

გთაშორის მიმდინარე კავშირურთიერთობის, კაპიტალური და შრომითი დანახარჯების, რაიონთაშორისი კავშირების ანალიზისთვის.[1]

ზრდის ეკონომეტრიკური მოდელებიდან საყურადღებოა ნორვეგელი ეკონომისტის, **ტ. ჰააველმოს,** მოდელი. იგი თვლის, რომ რაციონალური ხასიათის მოდელის ასაგებად ოთხი ცვლადია საკმარისი:

1. **წარმოების მოცულობა;**
2. **მოსახლეობის როდენობა;**
3. **კაპიტალის საერთო დაგროვების მოცულობა;**
4. **განათლებისა და ტექნიკური ცოდნის დაგროვილი დონე.**

ამ ოთხი მომენტის ვითარებაში ტ. ჰააველმო შესაძლებლად მიიჩნევს მსოფლიოს ნებისმიერი ტერიტორიული რაიონის ეკონომიკური ზრდის ეკონომეტრიკული მოდელის აგებას.

საყურადღებოა **ი. ტინბერგენის** და **ჰ. ბოსის** ეკონომიკური ზრდის მოდელიც. მასში აქცენტი გამახვილებულია დაგეგმვის საკითხებზე, რომლებიც სუბიექტური იდეალიზმის პოზიციიდანაა განხილული.

ი. ტინბერგენი დაგეგმვის უნივერსალიზაციის კონცეფციას იცავს და კონვერგენციის თეორიის პოზიციებზე დგას.

ი. ტინბერგენის და ჰ. ბოსის აზრით დაგეგმვა ანუ სამეურნეო განვითარების პროგრამირება დისპროპორციების თავიდან აცილებაში ნაწილობრივ მაინც გვეხმარება.[2]

ეკონომეტრიკული შრომების ერთი ნაწილი **მოთხოვნის შესწავლას** ეთმობა. ამ ხასიათის მოდელები ავსტრიული და მათემატიკური სკოლების მოთხოვნა-მიწოდების კონცეფციებს ეყრდნობა. მათი ავტორები მოთხოვნას ეკონომიკური მაჟინალიზმისა და კეინზური ძირითადი ფსიქოლოგიური კანონის გამოყენების საფუძველზე სწავლობენ. მოთხოვნის ეკონომეტრიკულ მოდელებში

---

1 ახალი ტენდენციები თანამედროვე პოლიტიკურ ეკონომიაში, სოფია, 1965. გვ. 130-131.

2 ტინბერგენი ი., ბოსი ჰ., ეკონომიკური ზრდის მათემატიკური მოდელები, მ., 1967, გვ. 19 (რუს).

ეკონომიკური პრობლემები ზღვრული სამართლიანობის კონცეფ-ციის პოზიციებიდანაა განხილული.

გამოყენებითი ხასიათის ეკონომეტრიკული მოდელების უმეტესობა დანახარჯების და პროდუქციის გამოშვების ბალან-სის პრობლემებს ეთმობა. ანალიზი დანახარჯებისა და პროდუქ-ციის გამოშვების ბალანსის მეთოდის მიხედვით, მიზნად ისახავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგს შორის წარმოებრივ-ეკონომიკური კავშირურთიერთობის შესწავლას. დანახარჯები-გამოშვების მთა-ვარი თეორეტიკოსია ნობელის პრემიის ლაურტი **ვასილ ლეონტი-ევი** (1906-1999).

ვასილ ლეონტიევი დაიბადა 1906 წელს მიუნხენში, იზრდებოდა პეტერბურგში. მან მოღვაწეობა პეტრბურგის უნივერსიტეტში დაიწყო. შემდეგ დისერტაციის დასამ-თავრებლად ბერლინის უნივერსიტეტ-ში წავიდა. ის 1931 წელს ამერიკაში ჩავიდა, 1946 წლიდან კი ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. **დანახარჯები-გამოშვების მოდელი** ვ. ლეონტიევმა 40-იან წლებში შექმნა. თავის კვლევაში მან ლ. ვალრასის ეკო-ნომიკური წონასწორობის თეორია გა-მოიყენა.

ვასილ ლეონტიევი

ვ. ლეონტიევის მოდელს საფუძ-ვლად უდევს **ჭადრაკული ცხრილი,** რომლის **ქვემდებარეს** სახალხო მეურ-ნეობის დარგები წარმოადგენს, რომ-ლებიც პროდუქციას აწარმოებენ, ხოლო **შემასმენელი** პროდუქ-ციის მომხმარებელი დარგებია. მის მოდელში გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ტექნიკური განვითარების მოცემულ დონეზე განსაზღვრული კავშირია სხვადასხვა წარმოებრივ დანახარჯებსა და აღებული დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულო-ბას შორის. ეს ურთიერთდამოკიდებულება ფიქსირებულია რო-გორც ტექნიკური კოეფიეციენტები, რომლებიც ვ. ლეონტიევის ეკონომეტრიკული მოდელის ძირითად შინაარსს შეადგენს.

ვ. ლეონტიევის მოდელი პრაქტიკულად სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენეს. აშშ-ში ამ მეთოდით შეისწავლეს 1919, 1929, 1939, 1947, 1958 და ა.შ. წლების ეკონომიკის სტრუქტურული კავშირები. თვითონ ვ. ლეონტიევი აღნიშნავს, რომ მისი **მოდელი მეტი წარმატებით იაპონიაში გამოიყენება.**

ვ. ლეონტიევის მეთოდს **წრფივი პროგრამირების** მეთოდი ენათესავება. წრფივი პროგრამირება ეკონომეტრიკაში თვალსაჩინო როლს ასრულებს. წრფივი პროგრამირება ისეთი სამეურნეო პროგრამის შედგენას გულისხმობს, რომელიც არსებული რესურსებისა და ფასების პირობებში ყველაზე უფრო ოპტიმალურ შედეგებს იძლევა.

წრფივი პროგრამირების ფუძემდებელია ამერიკელი **ჯონ დანცინგი.** XX ს-ის 40-იანი წლების დამლევს ჯ. დანცინგმა წრფივი პროგრამირების ძირითადი ამოცანის რიცხობრივი გადაწყვეტისათვის სიმპლექს-მეთოდი შეიმუშავა. ამ მეთოდის გამოყენებით ის ეკონომეტრიკულ ამოცანებს წყვეტს.

ჯ. დანცინგის მიერ შედგენილი ერთ-ერთი ამოცანის შინაარსი ასეთია: ხუთი სულისგან შემდგარი ოჯახი ცხოვრობს ოჯახის უფროსის მცირე ხელფასზე. მუდმივ ამოცანას წარმოადგენს ყოველკვირეული მენიუს შედგენა ისე, რომ სათანადოდ იყოს განხილული ოჯახის მოთხოვნილებანი და გემოვნება, ფასები პროდუქტებზე. ოჯახის უფროსმა დღეში უნდა მიიღოს 3000 კალორია, ცოლმა 1500 (დიეტაზეა გახდომისთვის), ბავშვებმა კი (3 ბავშვი) ასაკის შესაბამისად 3000, 2700 და 2500 კალორია.

ამოცანა მოითხოვს პროდუქტებზე, **ხუთშაბათის ფასებზე** დაყრდნობით, მენიუ შედგეს მინიმალური დანახარჯებით. დასაშვებ პროცესებს სხვადასხვა სახის პროდუქტთა ყიდვა წარმოადგენს. პროგრამას შეადგენს სხვადასხვა პროდუქტის რაოდენობა, რომლებიც შეიძლება იყიდონ. ამოცანაში შეზღუდვას წარმოადგენს ოჯახის წევრთა მოთხოვნილებები კალორიებსა და ვიტამინებზე, აგრეთვე ექიმის მიერ გამოწერილი ნახშირწყლების, ცილებისა და ცხიმების რაოდენობათა ზედა და ქვედა ზღვარი, რომლებიც შეიძლება მოიხმაროს ოჯახის თითოეულმა წევრმა. ამ შეზღუდვათა დამაკმაყოფილებელ საკვებ პროდუქტთა კომბი-

ნაცია დიდია. მაგრამ დასაშვები გეგმებიდან ზოგიერთი დაკავშირებულია უფრო მაღალ ხარჯებთან, ვიდრე სხვები. ამოცანა ისაა, რომ ისეთი კომბინაცია მოიძებნოს, რომელსაც მინიმალური სრული ღირებულება ექნებოდა.[1]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ., მაკროეკონომიკური წონასწორობა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში, თბ., 2010.
2. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. II, თბ., 1973.
3. ვინერი ნ., კიბერნეტიკა და საზოგადოება, თბ., 1962.
4. კახნიაშვილი ჯ., მაკროეკონომიკა, ნაწ. I, თბ., 1996; ნაწ. II, თბ., 1997.
5. კეინზი ჯ. მ., დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგადი თეორია, ქუთაისი, 1995წ.
6. პაპავა ვ., საბაზრო თანასწორობის დქტრინა, თბ., 1999.
7. სამუელსონი პ., ნორდჰაუსი უ., ეკონომიქსი, თბ., 2000.
8. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
9. ჭანუყვაძე გ., ბურჟუაზიული ვულგარულ პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. I, თბ., 1962.
10. ჭანუყვაძე გ., ბურჟუაზიული ვულგარულ პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. IV, თბ., 1969.
11. ჭითანავა ნ., საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პრობლემები) ნაწ. 1, თბ., 1995, ნაწ., II, თბ., 1999.
12. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., II , თბ., 1997.
13. ხარიტონაშვილი ჯ., ნეოკეინზელობა, ქსე, ტ. 7, 1984.
14. Hunt E. K. and Mark Lautzenheiser, History of Ekonomic Thought. Sird Edicion. A Critical Perspective. Armonk, New York, London, England, 2011.
15. Kharitonashvili Jemal Vsili, Regulation again, Материалы Международной научно- практической Конференции, Минск, 2016.
16. Kharitonashvili Jemal, State Protectionism as a modern Alternative to economic Liberalism, Monograph, Assotiation 1901, “SEPIKE“, Inovation in Education and Economy. 2016, Nordestedt, Deut-Chland. Poitiers, Franse.

[1] დანცინგი ჯ., წრფივი პროგრამირება, მისი გამოყენება და განზოგადება, მ., გვ. 11 (რუს.)

17. Аллен Р., Математическая экономия, М., 1963.
18. Блауг М., Экономический мысль в ретроспективе, М., 1994.
19. Брегель Э.Я., Критика буржуазных учении об экономических систем капитализма, М., 1972.
20. Данцинг Дж., Линейное програмирование. Его применение и обшения М., 1966.
21. Всемирная история экономической мысли т.1, М., 1987.
22. Жамс Е., Экономической мысль XX века, Л., 1959.
23. Кеинс Дж., Экономические последствия версальского мирового договора, М., 1922.
24. Ланкастер К., Математическая экономия, М., 1973.
25. Немчинов С., Экономико-математические методы и модели, М., 1962.
26. Новые явления в современной буржуазной политической экономии М., 1962,
27. Новые тенденциив соременной буржуазной политической экономии в связи с экономической политикой, София 1965.
28. Осадчая И. М., Современное кейнсионства, М.., 1971.
29. Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, М., 1968.
30. Тинберген Я., Бос Х., Математические модели экономического роста, М., 1967.
31. Федоренко Н. П., Экономика и математика, М., 1967.
32. Хромушин Г. Б., Экономические тории политической экономии, М.,1972.
33. Хансен Э., Экономические цикли и национальный доход, М.,1959.
34. Хансен Э., Послевоенная экономика США, М., 1966.
35. Харод Р., К теории экономической динамики, М., 1959.
36. Шляпентох В.Э., Эконометрика и проблеми экономического роста, М., 1966.

თავი XVIII. ახალი ლიბერალური მოძღვრებები (ნეოლიბერალიზმი)

1. ახალი ლიბერალიზმის (ნეოლიბერალიზმის) წარმოშობა

თანამედროვე ეკონომიკური აზრის ერთ-ერთ მთავარ მიმდინარეობას **ახალი ლიბერალიზმი** წარმოადგენს.

ეკონომისტთა ერთი ნაწილი არ დაეთანხმა კეინზელობის მოთხოვნებს და ლიბერალიზმის პოზიციებზე დარჩა. მაგრამ მათ დაინახეს, რომ ძველი ფორმით შეუძლებელი იყო ლიბერალური იდეების დაცვა. ამიტომ დაიწყეს ძველი ლიბერალური (პალეოლიბერალური) მოძღვრების რევიზია, მისი ევოლუციური განვითარების გზით.

ახალი ლებერალიზმი XX ს-ის 30-იან წლებში წარმოიშვა. ის განსაკუთრებით ფართოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გავრცელდა. რევიზონისტული ლიბერალიზმის სკოლები გაჩნდა გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, იტალიაში და სხვ.

1936 წელს თავისუფალი მეწარმოების დამცველმა **უოლტერ ლიპმანმა** გამოქვეყნა წიგნი „თავისუფალი ადამიანების საზოგადოება და თავისუფალი ქალაქი". ამ ნაშრომში მან ახალი შეხედულება წამოაყენა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ. იგი თავისუფალი მეწარმოების პოზიციებზე რჩებოდა, მაგრამ ამავე დროს შესაძლებლად მიაჩნდა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა ისე, რომ ლიბერალური მეურნეობის ძირითადი პრინციპები ძალაში რჩება.

უ. ლიპმანმა მოითხოვა ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარევის ისეთი ფორმა, რომელიც თავისუფალი ბაზრის ფარგლებში უზრუნველყოფდა საბაზრო ეკონომიკას. მან დაინახა, რომ **კაპიტალისტური ბაზარი,** განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისების და ომის დროს, **თავისუფალი აღარ იყო.** ძალთა თავისუფალი თამაში ბაზარზე – ბაზრის მექანიზმი – დარღვეული იყო. მან მოითხოვა **საბაზრო ეკონომიკისკენ უკან დაბრუნება არა „ლესე-ფერ-**

“-ის პრინციპებით, არამედ განსაზღვრული დოზითა და მასშტაბით სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობით.

1938 წელს პარიზში შედგა ეკონომიკური ლიბერალიზმის წარმომადგენელთა **საერთაშორისო კონფერენცია,** რომელზედაც განიხილეს უ. ლიპმანის აღნიშნული წიგნი. კონფერენციამ **ლიპმანის კოლოქვიუმის** სახელწოდება მიიღო. მისი მიზანი იყო „ლესე ფერ“-ის თეორიისა და პრაქტიკის გადასინჯვა. ლიპმანის კოლოქვიუმში მონაწილეობდნენ რ. არონი, რ. ობანი, ლ. ბოდენი, ლ. მარჟოლინი, ლ. რუჟიერი, ჟ. რიუეფი, ა. პიატერი, ა. დეტოფი, ბ. ლავერენი, რ. მარლიო (საფრანგეთიდან), ფ. კონდლიფი (ინგლისიდან), ჰალპერინი (პოლონეთიდან), ვან ზეელანდი (ბელგიდან), ავსტრიული სკოლის წარმოამდგენლები ფ. ჰაიეკი, ლ. მიზესი, ვ. რეპკე და სხვა.

ლიპმანის კოლოქვიუმი ნიშნავდა **ძველი ლიბერალიზმიდან ახალ ლიბერალიზმზე – ნეოლიბერალიზმზე** – გადასვლას. ეკონომიკური ლიბერალიზმის თეორეტიკოსთა პარიზის საერთაშორისო შეკრებამ საჭიროდ ჩათვალა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფო ჩარევის პოზიტიური მხარეების შესახებ მსჯელობა.

ლიპმანის კოლოქვიუმის მონაწილე ეკონომისტებმა შეიმუშავეს ღონისძებათა სია, რომელსაც უწოდეს **„აგენდა“**.

„აგენდა“ მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

1. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს და დაიცვას ეკონომიკური განვითარების წესები და ჩარჩოები;

2. სახელმწიფომ არ უნდა შემოიღოს ისეთი წესები, რომლებიც თავისუფალ კონკურენციასა და საბაზრო ეკონომიკას დაუპირისპირდება. ამ გზით ისინი იმედოვნებდნენ არ დაეშვათ დიქტატურის დამყარება.

3. სახელმწიფოს ჩარევა სამეურნეო ცხოვრებაში აუცილებელია მაშინ, თუ დაირღვა მოთხოვნა-მიწოდების ელასტიკურობა, ე.ი. ბაზრის ავტომატიზმი. მას შემდეგ რაც აღდგება ეკონომიკური წონასწორობა, საჭირო აღარაა სახელმწიფოს ჩარევა;

4. „აგენდა“ უარყოფდა ფასებზე კონტროლს. იგი განასხვავებდა ჭეშმარიტ და ფორმალურ ტაქსირებას (ფასების დადგენას), წინააღმდეგია ჭეშმარიტი ტაქსირებისა.

5. „აგენდა“ განასხვავებს საბაზრო რეგულირებასა და და საბაზრო წესრიგს. იგი მეტისმეტი საბაზრო რეგულირების წინააღმდეგია.[1]

ლიპმანის კოლოქვიუმზე ჩამოყალიბებული ახალი ლიბერალური იდეები ფართოდ ვერ გავრცელდა მეორე მსოფლიო ომის წინ. ისინი უნიადაგოდ დარჩა ომის პერიოდში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლიპმანის ნეოლიბერალიზმი განვითარდა და ფართოდ გავრცელდა.

2. ნეოლიბერალიზმის გავრცელება გფრ-ში. ვ. ოიკენი, ლ. ერჰარდი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალი ლიბერალიზმის მოძღვრება ყველაზე ფართოდ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გავრცელდა. ამ ქვეყნაში ის საბოლოოდ გაფორმდა ნაცისტების დამარცხების შემდეგ.

ჰიტლერული რეჟიმის დროს ლიბერალიზმის იდეები გერმანიაში ვერ გავრცელდა. უფრო მეტიც, ფაშისტები მხარს უჭერდნენ ჯ. კეინზის რეგულირებადი კაპიტალიზმის იდეას. მათ გერმანულად თარგმნეს და 1937 წელს ი. შახტის რედაქციით გამოაქვეყნეს ჯ. კეინზის მთავრი ნაშრომი „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“. მასზე დაყრდნობით, ფაშისტებმა შეიმუშავეს სახალხო მეურნეობის განვითარების ოთხწლიანი გეგმა. მაგრამ ომში ფაშიზმის დამარცხებამ ხალხში სახელი გაუტეხა კეინზურ დირიჟისტულ ღონისძიებებს. ამან ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა იმისათვის, რომ ნეოლიბერალური მოძღვრება გფრ-ის ოფიციალურ სახელმწიფო დოქტრინად ქცეულიყო.

გერმანელმა ნეოლიბერალებმა გააკრიტიკეს ტოტალიტარიზმის იდეები და დაიწყეს თავისუფალი მეწარმეობის, ეკონომიკური თავისუფლების იდეების პოპულარიზაცია.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნეოლიბერალიზმის მთავარი თეორეტიკოსები იყვნენ ვ. ოიკენი, ვ. რიოპკე, ლ. ერჰარდი და სხვა.

---

[1] ე. ჟამსი, XX ს. ეკონომიკური აზრის ისტორია, გვ. 229-232.

ვალტერ ოიკენმა ჯერ კიდევ 30-იან წლებში ფრაიბურგის უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ეკონომისტთა ჯგუფი, რომელმაც ეკონომიკური ლიბერალიზმის რევიზია დაიწყო. ამ ჯგუფმა მიიღო „ფრაიბურგის წრის“ სახელწოდება. მასში შედიოდნენ ვ. ოიკენი, პ. დოერტი, და ფ. ბემი. წრეში შემდეგ გაერთიანდნენ ლ. მიკში, კ. მაიერი, ა. რიუსტოვი. კ. ჰენზელი, ვ. ოიკენ-ერდზიკი (ვ. ოიკენის მეუღლე) და სხვ.

„ფრაიბურგის წრესთან“ ურთიერთობა ჰქონდა „ნიურბერგის წრეს“, რომელსაც ფ. ფერშოფენი მეთაურობდა, ხოლო ლ. ერჰარდი ამ წრის წევრი იყო.

ახალი ლებრალიზმის გერმანული სკოლა საბოლოოდ მას შემდეგ ჩამოყალიბდა, როდესაც **1948 წელს ვ. ოიკენისა** და **ფ. ბემის მეთაურობით შეიქმნა თეორიული ორგანო „ორდო-წელიწდეული“.**[1] **„ორდო“** არის წელიწდეული ეკონომიკისა და საზოგადოებრივი წყობილების შესახებ. მის გარშემო შემოიკრიბნენ სხვადასხვა ქვეყნის ნეოლიბერალები, რომლებიც „ორდოს“ საშუალებით პროპაგანდას უწევდნენ ლიბერალურ იდეებს.

დასავლეთგერმანული ნეოლიბერალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო **ვალტერ ოიკენი** (1891-1950).

ვ. ოიკენი მრავალი შრომის ავტორია, რომელთაგან აღსანიშნავია „კრიტიკული მოსაზრებანი გერმანიაში ფულის პრობლემებზე“, „სახელმწიფოს სტრუქტურული ცვლილებანი და კაპიტალიზმის კრიზისი“, „რისთვის ნაციონალეკონომია?“, „ნაციონალეკონომიის საფუძვლები“, „ჩვენი თაობის მარცხი“, „ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები“ და სხვ. ამ ნაშრომებში ცენტრალური ადგილი უკავია მოძღვრებას **„მეურნეობის იდეალური ტიპების შესახებ“**.

ვ. ოიკენი განასხვავებდა მეურნეობის **ორ იდეალურ ტიპს: „საბაზრო მეურნეობას“** და **„ცენტრალურ-მართულ მეურნეობას“.** კერძო საკუთრებაზე დამყარებული საქონელწარმოება, რომელიც ბაზრის მქანიზმის მეშვეობით წარიმართება, წარმოადგენს თავისუფალ საბაზრო მეურნეობას. ხოლო მონათმფლობელური

1 ჭანუყვაძე გ., ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. 2, თბ., 1968 გვ. 261.

ლატიფუნდიები, ფეოდალური მეურნეობა, ნაცისტური ტოტალიტარიზმი და გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკა, – ვ. ოიკენის თქმით, – მიეკუთვნება „ცენტრალურ-მართულ მეურნეობას“. ვ. ოიკენი ამ უკანასკნელის ორ ფორმას განარჩევს:

1. ცენტრალურ-მართული მეურნეობა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებით;

2. ცენტრალურ-მართული მეურნეობა წარმოების საშუალებებზე კოლექტიური საკუთრებით.

ვ. ოიკენი, მეურნეობის ორი იდელაური ტიპიდან, უპირატესობას აძლევს **თავისუფალ საბაზრო მეურნეობას.** მას უწოდებს **ნეოლობერალურ „მესამე გზას“**, რომელიც არც კაპიტალისტურია და არც სოციალისტური. მისი თქმით, იგი ეკონომიკური ჰუმანიზმისა და ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის გამოხატულებაა.

ა) სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორია

საბაზრო მეურნეობის ერთ-ერთი საყურადღებო ვარიანტს სოციალური საბაზრო მეურნეობის მოდელი წარმოადგენს. ტერმინი **„სოციალური მეურნეობა“** პირველად გამოიყენა გერმანელმა ეკონომისტმა **ალფრედ მიულერ-არმარკმა.** 1848 წელს მან გამოქვეყნა წიგნი „სამეუნეო მართვა და საბაზრო მეურნეობა“. ა. მიულერ-არმარკმა ისაუბრა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობაზე და ამ გზით ჩამოყალიბებულ **„სოციალურ საბაზრო მეურნეობაზე“.** სოციალური საბაზრო მეურნეობა პალეოლიბერალიზმისგან იმით განსხვავდება, რომ იგი ცნობს სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევას, რეფორმებისა და სოციალური ღონისძიებების გატარებისთვის.

საბაზრო მეურნეობაშ ჩამატებული სიტყვა „სოციალური“ მიანიშნებს სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის დოზას, ფორმას და მასშტაბს.

სოციალური საბაზრო მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დამცველი ცნობილი გერმანელი ეკონომისტი **ლუფვიგ ერჰარდი** (1897-1977) იყო.

ლ. ერჰარდი ავტორია წიგნებისა: „გერმანიის დაბრუნება მსოფლიო ბაზარზე“, **„კეთილდღეობა ყველასათვის“** და „გერმანი-

ის ეკონომიკური პოლიტიკა. სოციალური საბაზრო მეურნეობის გზა“. სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორიას და პრაქტიკას ლ. ერჰარდი მთელი საზოგადოების კეთილდღეობის, საყოველთაო კეთილდღეობის წყობილების შექმნის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა.

ლუდვიგ ერჰარდი

სოციალური საბაზრო მეურნეობის პრაქტიკული განხორციელების შედეგად გფრ-ის თანამედროვე კაპიტალიზმმა შეიცვალა თავისი არსი, გახდა სახალხო კაპიტალიზმი, რომელშიც დაიქსაქსა საკუთრება და განხორციელდა კაპიტალიზმის დემოკრატიზაცია, სამუდამოდ აღმოიფხვრა ეკონომიკური კრიზისები, გაქრა კლასები და კლასობრივი წინააღმდეგობანი,[1] – ირწმუნებოდა ლ. ერჰარდი.

ლ. ერჰარდი და მისი მიმდევრები აღნიშნავენ, რომ სოციალური საბაზრო მეურნეობა წარმოადგენს ეკონომიკური დემოკრატიის პრაქტიკულ განხორციელებას, ხოლო გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკა (ცენტრალურ-მართული მეურნეობა) – პიროვნების თავისუფლების უარყოფასო. მათი აზრით, მოგებას ქმნის შეჯიბრებაზე დამყარებული თავისუფალი საბაზრო მეურნეობა. ასეთი მეურნეობის პირობებში, მათი აზრით, ფაქტობრივად, აღმოფხვრილია მონოპოლიების ძალაუფლება.

ლ. ერჰარდმა სოციალური საბაზრო მეურნეობის განვითარება გერმანიის ფედრაციულ რესპუბლიკაში ეტაპებად დაყო. პირველი ეტაპი მოიცავდა 1948-1957 წლებს, ხოლო 1957 წლიდან დაიწყო მეორე ეტაპი.

უნდა ითქვას, რომ სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორია გავრცელდა გფრ-ის სწრაფი აღმავლობის პირობებში, XX ს-ის 50-იან წლებში, რომელიც **დასავლეთ გერმანულ ეკონომიკურ სასწაულად** იწოდებოდა. ლ. ერჰარდმა მიღწეული წარმატებები

[1] თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტების (ჯ. ჰელბრეითის, გ. მიურდალის, ლ. არჰარდის) თეორიების კრიტიკა, მ., 1971. გვ. 155 (რუს).

მთლიანად მიაწერა თავისი თეორიის პრაქტიკულ რეალიზაციას. მაგრამ 60-იან წლებში მდგომარეობა შეიცვალა და გფრ-ის ეკონომიკური განვითარების ტემპები მნიშვნელოვნად დაეცა. სამრეწველო პროდუქციის წლიურმა ზრდამ წინა წელთან შედარებით პროცენტულად შეადგინა: 1960 წელს – 11,2; 1961 წელს – 5,7; 1962 წელს – 4,3; 1963 წელს – 3,85; 1964 წელს – 8,0; 1965 წელს – 5,6; 1966 წელს – 1,8.[1] 1966 წლის უკანასკნელ კვარტალში კრიზისი დაიწყო.

შექმნილმა მდგომარეობამ განაპირობა დასავლეთ-გერმანული ნეოლიბერალიზმის კრახი. ამ ფონზე მკაფიოდ გამოჩნდა მთელი ნეოლიბერალური მოძღვრების კრიზისი. ის ნეოკეინზური იდეების გავლენის ზრდის ანარეკლს წარმოდგენდა.

ბ) გლობალური რეგულირების კონცეფცია

XX ს-ის 60-70-იან წლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტრუქტურული პოლიტიკა წინანდელისგან განსხვავდებოდა თავისი გლობალური ხასიათით. ეს დაკავშირებული იყო არა მარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც ნეოლიბერალიზმიდან ნეოკეინზურ კონცეფციაზე გადასვლის პროცესით, რომლის შედეგად შეიქმნა კანონები სტაბილიზაციის შესახებ. 1966-1967 წლებში **ეკონომიკურმა კრიზისმა** აჩვენა, რომ წინანდელი სტრუქტურული და რეგიონული პოლიტიკა უძლური აღმოჩნდა, თავიდან აეცილებინა ეკონომიკური რყევა. ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა, სოციალ-დემოკრატმა კარლ შილერმა საფუძველი ჩაუყარა გლობალური რეგულირების იდეას.

გლობალური რეგულირების იდეა კ. შილერმა წამოაყენა „დიდი კოალიციის“ (ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი – გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია) მთავრობის დროს, მაგრამ ამ პოლიტიკაზე უარი არ უთქვამს „მცირე კოალიციის“ მთავრობასაც (გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია – თავისუფალი დემოკრატული პარტია).

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ დამუშავებული გსდპ-ის ეკონომიკურ-პოლიტიკური ორიენტაციის პრო-

[1] კაპიტალისტური და განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა 1968 წ და 1969 წ. დასაწყისის მიმოხილვა, მ., 1969, გვ. 9 (რუს).

ექტი 1973-1985 წლებში[1] ითვალისწინებდა სახელმწიფო ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების ფართო სპექტრს, რომელთა მიზანი იყო შინაგანი რეფორმების დახმარებით გამოსავალი ეპოვა კაპიტალისტური წინააღმდეგობებიდან.

გლობალური რეგულირების განხორციელების მიზნით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყო ეკონომიკის და ფინანსების რეგულირებისკენ.

გლობალური რეგულირების შილერისეული გეგმა ემსახურებოდა „**მაგიური ოთხკუთხედის**“ ამოცანის გადაჭრას. ესენია:

1. საგარეო ეკონომიკური წონასწორობის მიღწევა;
2. სრული დასაქმება;
3. ფასების სტაბილიზაცია;
4. ეკონომიკური ზრდა.

გლობალური რეგულირების შილერისეული გეგმა ღონისძიებებისა და მეთოდების, სულ ცოტა, ოთხ კომპლექსს მოიცავდა:[2]

1. ანტიციკლურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ემყარებოდა, როგორც ფულად-საკრედიტო, ისე ფინანსურ პოლიტიკას; ეს ღონისძიებები ითვალისწინებდა დეფიციტურ დაფინანსებას, მრავალი კონიუნქტურული ფონდის შექმნას, ცვლილებას საგადასახადო პოლიტიკაში.

2. საშუალოვადიანი ფინანსური დაგეგმვა. ფინანსური გეგმები ამ დროს მოძრავია, ისინი გადაისინჯებოდა ყოველ წელს და კვლავ მტკიცდებოდა ხუთი წლისთვის. მაგალითად, პირველი გეგმა მიღებულ იქნა 1967-1971 წლებისთვის, შემდეგი – 1968-1972 წლებისთვის და ა.შ.

3. სახელმწიფო ინდიკატორული საერთო გეგმა. ის მოიცავდა მიზნობრივ პროექციებსა და საორიენტაციო მონაცემებს. როგორც საშუალოვადიანი ფინანსური გეგმა, საერთო გეგმაც ხუთი წლისთვის დგება. ეს გეგმაც მოძრავია, ე.ი. კორექტირებას განიცდის ყოველ წელს. გეგმა ორიენტაციისთვის იძლევა მონა-

---

1 გსდპ ეკონომიკურ-პოლიტიკური ორიენტაციის პროექტი 1973-1985 წწ. ბონი - ბად-გოდესბერგი. 1972, (გერ).

2 კლაუს ო. ვ. მიულერი, ნეოკეინსელობა, ბერლინი , 1972, გვ. 193-19(გერ).

ცემებს. ეროვნული პროდუქტის მოსალოდნელი მატების, მისი განაწილების სტრუქტურული ცვლილების შესახებ. გეგმის მიზნობრივი პროექცია ითვალისწინებს აგრეთვე ფასების მოსალოდნელ ცვლილებებს, საგარეო ეკონომიკურ პირობებს.

4. **„კონცერტული მოქმედება“** – ხელფასით ურთიერთობა მეწარმეებსა და პროფკავშირებს შორის. „კონცერტული მოქმედების“ მიზანია შეასუსტოს შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობა, მიაღწიოს იმას, რომ პროფკავშირებმა შეასუსტონ ხელფასის გაზრდის მოთხოვნები და ხელფასები ეკონომიკურ კონიუნქტურას შეუგუონ.

გლობალური რეგულირების მთავარ ინსტრუმენტს საშუალოვადიანი ფინანსური დაგეგმვა წარმოადგენდა, რომელშიც აქცენტი სამხედრო ხარჯებზე, მეცნიერულ კვლევაზე, განათლებას და ტრანსპორტის პრობლემებზე კეთდებოდა. ზრდის ყველაზე სწრაფი ტემპი გათვალისწინებულია ხარჯებისთვის, რომლებიც მეცნიერულ გამოკვლევებს ხმარდება.

გ) ნეოლიბერალიზმიდან ნეოკეინზელობისაკენ

ომისშემდგომის გერმანიის ეკონომიკური აზრის თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ თუ ნეოლიბერალიზმი შეიძლება ჩაითვალოს გერმანულ ფენომენად, მაშინ ნეოკეინზელობა მნშვნელოვანი დოზით ნასესხებია ანგლოსაქსური ქვეყნებიდან.

გერმანელმა ეკონომისტებმა **ე. შნაიდერმა** და **ვ. ჰოფმანმა** ბევრი დრო და ენერგია დახარჯეს, რათა პოპულარული გაეხადათ ნეოკეინზელობა.

ნეოკეინზელობის შეღწევამ და გერმანის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნეოკეინზელობის ჩამოყალიბებამ ორი ეტაპი განვლო:

1. XX ს-ის 50-იანი წლების შუახანებამდე;

2. 50-იანი წლების შუახანებიდან 70-იანი წლების შუახანებამდე.

პირველი პერიოდი ხასიათდებოდა მხოლოდ კამათით კეინზის შესახებ. მეორე პერიოდში კეინზელობა ერთ-ერთ მიმართულებად იქცა.

1952 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ხელახლა გამოიცა ჯ. კეინზის მთავარი ნაშრომი „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“. 50-იან წლებში გერმანულ ენაზე ითარგმნა პ. სამუელსონის მონოგრაფიაც. **ვ. შნაიდერმა** გამოსცა კეინსური იდეებით გაჟღენთილი სამტომიანი ნაშრომი, ხოლო **ა. პაულსონმა** – ოთხტომიანი კვლევა.

60-იანი წლების დასაწყისიდან ნეოკლასიკური მიმდიანრეობის მომხრეებმა მოითხოვეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერება. მსჯელობა დაიწყეს პროგნოზირებისა და დაგეგმვის აუცილებლობის შესახებ. 1964 წელს ქვეყანაში ორი დისკუსია ჩატრდა: ერთი – „ლისტის საზოგადოების“ მიერ თემაზე: „დაგეგმვა გეგმიური მეურნეობის გარეშე“, მეორე – „ბერგერდორფის წრის“ მიერ თემაზე: „დაგეგმვა თავისუფალ საბაზრო მეურნეობაში“.

„ბერგედორფის წრის“ დისკუსიაში გამოსულმა შვეიცარიელმა ეკონომისტმა **ე. სალინმა** მიუთითა რიგ სფეროებზე, სადაც დაგეგმვა სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს და იმპერატიულ ხასიათს უნდა ატარებდეს. რაც შეეხება დარგებს, სადაც კერძო კაპიტალი ბატონობს (მრეწველობა, ვაჭრობა, საკრედიტო სისტემა, მოსმახურების სფერო) ,აქ მხოლოდ ინდიკატორული დაგეგმვა შეიძლება იყოს.

„ლისტის საზოგადოებისა“ და „ბერგერდორფის წრის“ მიერ დაწყებული დისკუსია გაგრძლდა 1966 წელს „სოციალური პოლიტიკის საზოგადოების“ მიერ. ამ დისკუსიაზე გამოსული **პ. არნდტი** თავის მოხსენებაში „დაგეგმვა, როგორც საბაზრო ეკონომიკის პრობლემა“ აღნიშნავდა, რომ საბაზრო მეურნეობა ორიენტირდება მხოლოდ მოგებაზე და განვითარებისთვის საჭირო სამეურნეო სტრუქტურას ვერ უზრუნველყოფს; კონკურენციულ ბრძოლას კი ყოველთვის არ მივყავართ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისკენო. პ. არნდტი მიუთითებდა, რომ კონკურენციული ბრძოლებიდან აღმოცენდება მონოპოლიები, რომლებიც საბაზრო მექანიზმს არღვევნო. იგი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივი კაპიტალის ინტერესები წინააღმდეგობაში მოდიან ინდივი-

დუალური კაპიტალების ინტერესებთან, ამან კი შეიძლება წარმოშვას კრიზისი.

პ. არნდტი ძალიან ფრთხილად ეკიდებოდა დაგეგმვის აუცილებლობას. იგი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო და მეურნეობა ჯერ კიდევ მზად არ იყვნენ ამ ღონისძიებებისთვის.

ნეოკეინზელების ერთ-ერთი ბურჯი გფრ-ში, ე. **შნაიდერიც,** აღნიშნულ დისკუსიაში გამოსვლისას ასაბუთებდა სახელმწიფოებრივი დაგეგმვის აუცილებლობას ორ ასპექტს: **იმპერატიულს – სახელმწიფო სექტორში** და **ინდიკატორულს – კერძოში.**[1]

აღნიშნულმა დისკუსიებმა ხელი შეუწყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეკონომიკური ზრდის ნეოკეინზური მიმდინარეობის ჩამოყალიბებას. 70-იან წლებში გფრ-ში გამოჩნდნენ ეკონომიკური ზრდის თეორიის ადგილობრივი ეკონომისტები: ე. პრაიზერი, გ. გირში, კ. ჰოფმანი, კ. ვაიცზეკერი, ა. ოტი, ე. ჰელმშტედტერი, კ. კიონგი, ვ. კრაუზი, გ. როზე, ე. მელერი, ვ. მაინჰოლდი, ე. ნიჰანსი და სხვ. ისინი ცდილობდნენ თანაბარზომიერი ეკონომიკური ზრდის მოდელი დაემუშავებინათ და ამისათვის სახელმწიფოებრივი დაგეგმვის რეცეპტებს იძლეოდნენ. მათ ნაშრომებში დიდი ადგილი ეკონომიკური პროგნოზირების საკითხებს უკავია.

XX ს-ის 70-იან წლებში ეკონომიკური განვითარების პროგნოზებზე გერმანიის ფედერაციულ რეზპუბლიკაში მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მუშაობდა. მაგალითად, ქ. კილის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტი, დუსელდორფის ეკონომიკურ მეცნიერებათა პროფკავშირული ინსტიტუტი, ჰამბურგის ეკონომიკური პროგნოზების სპეციალური ინსტიტუტი და სხვ. გარდა ამისა, გფრ-ის სპეციალურ დაკვეთებს ბაზელის პროგნოზების სააქციო საზოგადოება ამუშავებდა.

დ) ნეოლიბერალიზმის აღორძინება XX ს-ის 80-იან წლებში. ნეო-ნეოლიბერალიზმი

გერმანელი ნეოკეინზელების ცდებმა, წარმოების ზრდის მყარი ტემპი უზრუნველეყოთ, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ამის ლოგიკურ შედეგად, მარცხი განიცადა ბურჟუაზიულმა რე-

[1] იხ. „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა,“ მ., 1973, გვ. 218-221.

ფორმისტულმა კეინზური მიმართულების თეორიებმა, რომელთა დახმარებითაც თეორეტიკოსები XX ს-ის 30-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ კაპიტალიზმის გაჯანსაღებას ცდილობდნენ.

ამან თავისუფალი მეწარმეობის პრინციპის ხელახალი აღორძინება განაპირობა. მას **ნეო-ნეოლიბერალიზმს** უწოდებენ. ნეოკლასიკური მიმართულების ეკონომისტები წმინდა ნატურალურ ანალიზს ამჯობინებენ შემფასებლური დასკვნების გარეშე. ეს ეკონომისტები კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკას იცავენ სხვა მხრიდან – საერთო საბაზრო წონასწორობის თეორიის მხირიდან.

ნეოკეინზური ეკონომიკური მოძღვრების სხვადასხვა განშტოებას შორის გაჩნდა ეკონომისტთა ჯგუფები, რომლებიც წმინდა თეორიიდან კაპიტალიზმის პროგრესულობის მტკიცებისკენ შემობრუნდნენ მთლიანად. ასეთი მტკიცების ამოსავალი ბაზა 70-იანი წლების მეორე ნახევრის ეკონომიკური კონიუნქტურა გახდა, როდესაც კაპიტაკლიზმმა 1974-1975 წლებში კრიზისიდან გამოსვლა დაიწყო.

ამ პერიოდში მონოპოლისტურმა კორპორაციებმა დააჩქარეს ისეთი დარგების განვითარება, რომლებიც ყველაზე მეტ მოგებას იძლეოდნენ, ნეოკლასიკური მიმართულების წარმომადგენლები კი კაპიტალისტური ეკონომიკის გაძღოლის ოპტიმალური ვარიანტის ძიებას განაგრძობდნენ.

გფრ-ის კანცლერის პოსტზე **ჰელმუტ კოლის** მისვლის შემდეგ (1979) თავისუფალმა მეწარმეობამ ფართო გასაქანი პოვა. **ახალი ნეოლიბერალიზმი** არა მარტო გერმანიაში გაბატონდა, არამედ გავრცელდა ინგლისში, აშშ-ში და სხვაგან. ინგლისში იგი ცნობილია „**ტეტჩერიზმის“,** ხოლო ამერიკაში – „**რეიგანეკონომიკის**“ სახელწოდებით. რეიგანეკონომიკა მოიცავდა ეკონომიკური პოლიტიკის შემდეგ ოთხ მიმართულებას:

1. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ზრდა შეჩერდა სოციალური ცხოვრების დონის შენარჩუნების პროგრამებზე დანახარჯების შემცირების და გაყინვის ხარჯზე. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაცვის ხარჯები.

2. მნიშვნელოვნად შემცირდა კერძო მეწარმეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების მასშტაბები;

3. ადმინისტრაცია ფედერალურ სარეზერვო სისტემას სტიმულს აძლევდა ფულადი მასის ზრდის ტემპი არაინფლაციურ დონეზე შეენარჩუნებინა, რომელიც ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად საკმარისი იქნებოდა;

4. 1981 წლიდან დაწყებული პირადი საშემოსავლო გადასახადის და კორპორაციათა მოგების გადასახადის განაკვეთები მკვეთრად შემცირდა. 1987 წელს საგადასახდო სისტემა იმნაირად იქნა რეფორმირებული, რომ გადასახადის ზღვრული განაკვეთი შეძლებული გადამხდელებისთვის 50-დან 28%-მდე დაეცა.

1981 წლის ძირითადი დებულებები მოცავდა:

1. პირადი საშემოსავლო გადასახადის 25%-იან შემცირებას სამი წლის განმავლობაში;

2. კაპიტალის ზრდაზე გადასახადის განაკვეთების შემცირებას, და

3. გადასახადებთან შედარებით ახალ შენობებსა და ნაგებობებზე მეწარმეთა დანახარჯების დაჩქარებულ ჩამოწერას.

„ამ ღონისძიებათა მიზანი საგადასახადო „სოლის“ შემცირება იყო და, რაც ყველაზე მთავარია, შრომის დაზოგვისა და ინვესტრებისადმი სტიმულირების განმტკიცება“, – აღნიშნავენ თანამედროვე ეკონომისტები კემბელ რ. მაკკონელი და სტენლი ლ. ბრიუ.[1] თუმცა, ისინი იქვე მიუთითებენ, რომ **„რეიგანეკონომიკის პროგრამის ხანგრძლივვადიანი შედეგები მოცემულ ვარიანტში ბოლომდე ნათელი როდია“.**[2]

საბაზრო ეკონომიკის შექმნას ცდილობდნენ აგრეთვე ყოფილი სოციალიზმის ბანაკის მთელ რიგ ქვეყნებში. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადადგეს იუგოსლაველმა და ჩეხოსლოვაკიელმა თეორეტიკოსებმა ე. კარდელმა, ვ. ბაკარიჩმა, ზ. ჩეპომ, ო. შიკმა, გაეკმა, ი. სვიტაკმა და ა.შ. მათ ჯერ კიდევ 60-იან წლებში ტოტალიტარული, დიქტატორული სოციალიზმის წინააღმდეგ გაილაშქრეს. მათი ანტიტოტალიტარიზმი გულისხმობს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შემცირებას, თვითმმართველობაზე

---

1 კემპბელ რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ, ეკონომიქსი, ტ. II, თბ., 1993, გვ. 414-41.

2 იქვე.

გადასვლას, წვრილი საწარმოების გახსნას, კოლმეურნეობების დაშლასა და განსაზოგადოებული მიწების გადაცემას კერძო მესაკუთრეებისთვის და სხვ.

1985 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში ე.წ. „**პერესტროიკის**“ დაწყებისას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ინიციატორებად გამოვიდნენ მოსკოვში კონსულტანტებად მოწვეული ცნობილი ამერიკელი ეკონომისტები – ნობელის პრემიის ლაურეატი **ვასილ ლეონტიევი** და **ჯონ ჰელბრეითი.** საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რეკომენდაციებს გვაძლევდა ასევე ნობელის პრემიის ლაურიატი, ამერიკელი **მილთონ ფრიდმენი.**

საბაზრო ეკონომიკის შესახებ დიდი მსჯელობა და აჟიოტაჟი დაიწყო. თავდაპირველად მას „რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა“ უწოდეს, შემდეგ სიტყვა „რეგულირებადი“ ამოიღეს. თითქმის ყველა ვარაუდობდა, რომ საბაზრო ეკონომიკა დაძლევდა სიტუაციას, რომელსაც წინაკრიზისულს უწოდებდნენ, მაგრამ საზოგადოება გადაიჩეხა კრიზისის საშინელ უფსკრულში, რომლიდანაც თავისით ამოსვლა მას არ ძალუძს.

ზემოთ აღნიშნულმა ეკონომიტებმა ხუთი წლის შემდეგ აღიარეს, რომ მათი იდეები არ გამართლდა და ხელი აიღეს კონსულტაციაზე.

* * *

ჩვენი ცოდნით და მიღებული გამოცდილებით შეიძლება დავასკვნათ, რომ თავისუფალი მეწარმეობა უკვე გამართულ მეურნეობას ერგება კარგად. **სუსტი ეკონომიკის გასაძლიერებლად ყოველთვის პროტექციონისტულ პოლიტიკას იყენებდნენ.** ასე იყო კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების დროს, როდესაც მერკანტილურ პოლიტიკას ატარებდნენ; ასევე ხდებოდა გასულ საუკუნეში გერმანიაში, სადაც ფ. ლისტი და ისტორიული სკოლის წარმომადგენლები პროტექციონისტული მეთოდებით ცდილობდნენ ეკონომიკის აღმავლობას. ასეთივე მეთოდი გამოიყენეს კეინზელებმა XX ს-ის 30-იან წლების დიდი დეპრესიის დასაძლევად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთლად ძველი მეთოდებით ხელმძღვა-

ნელობაც კარგ შედეგს ვერ მოიტანს. უმჯობესი იქნება დღევანდელ ვითარებაში სუსტი ეკონომიკის გასაჯანსაღებლად **ნეოკლასიკური სინთეზის** გამოყენება.

3. ნეოლიბერალიზმის სხვადასხვა მიმიდნარეობები

ნეოლიბერალიზმის სკოლები ჩამოყალიბდა **ავსტრიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთში.** განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

ა) ავსტრიული ნეოლიბერალიზმი

თანამედროვე რევიზიონისტული ლიბერალიზმის ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი ავსტრიული სკოლის თანამედროვე წარმომადგენლებმა შეიტანეს. ამ სკოლას „**ემიგრირებულ ვენის სკოლასაც**“ უწოდებენ. ვინაიდან მათი წარმოამდგენლების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოეთში მოღვაწეობდა.

ავსტრიული ნეოლიბერალებიდან აღსანიშნავია **ლ. მიზესი, ფ. ჰაიეკი, გ. ჰაბერლერი, ფ. მაჰლუპი.**

ლ. მიზესის და ფ. ჰაიეკის მოძღვრება ძველი ლიბერალიზმიდან ახალ ლიბერალიზმზე გარდამავალ ეტაპს წარმოადგნს.

ლუდვიგ ფონ მიზესი (1881-1973) ქ. ლვოვში დაიბადა. **მისი შეხედულებები ძველ და ახალ ლიბერალებს შორის დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს**. მისი ლიბერალური პროგრამა მოითხოვს საკუთრებას, თავისუფლებას და მშვიდობას. **იგი დასაშვებად მიიჩნევდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ლიბერალურ ჩარევას.**

ლ. მიზესის თქმით, ლიბერალური მოძღვრება სახელმწიფოს საკუთრების თავისუფლებისა და მშვიდობის დაცვის ამოცანას განუსაზღვრავს. ლ. მიზესი იყო ლიბერალიზმის ისეთი წარმოადგენელი, რომელიც რევიზიას უკეთებდა ლიბერალიზმს და ხელმძღვანელობდა ოდნავ მოძველებული ლიბერალური პრინციპებით.

ლ. მიზესი ძირითადად იცავდა „ლესე-ფერის“ ძველ პრინციპებს, ამიტომ იგი მიჩნეულია „**ლესე ფერის**“ **დოქტრინის მოჰიკანად.**

ძველიდან ახალ ლიბერალიზმზე გარდამავალი პოზიცია ეკავა **ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკსაც** (დაიბადა 1899). ავსტრიელი ნეოლიბერალების რიცხვის მიეკუთვნება **გოტფრიდ ჰაბერლერი.** იგი ნეოლიბერალურ იდეებს იცავს ციკლთა თეორიის დარგში. **ფრიც მაჰლუპიც** ნეოლიბერალიზმის ავსტრიულ სკოლას ეკუთვნის. იგი იცავდა ნეოლიბერლურ კონცეფციას მეურნეობის იდეალური ტიპების შესახებ. ავსტრიელი ნეოლიბერალი **რაინჰარდ კამაცი** იცავს სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორიას.

ბ) ამერიკული ნეოლიბერალიზმი. ჩიკაგოს სკოლა. მილთონ ფრიდმენი

ნეოლიბერალური იდეები ფართოდაა გავრცელებული აშშ-ში. ამ ქვეყანაში ნეოლიბერალურ იდეებს იცავს „**ჩიკაგოს ჯგუფი**“, რომელიც **ფ. ნიატმა** შექმნა. ამ ჯგუფში შედიან: **გ. სიმონსი, ა. დირექტორი, გ. შტიგლერი, მ. ფრიდმენი** და სხვ. ისინი **წინააღმდეგი არიან** ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს მესტისმეტი **ჩარევის**, ანუ **სტეიტიზმის**. ამერიკელი ნეოლიბერალების თანახმად, თავისუფლების აუციელებელ პირობას კერძო საკუთრება და კონკურენცია წარმოადგენს. ამერიკელი ნეოლიბერალებიდან ბოლო ხანებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს **მილთონ ფრიდმენი** (1912-2006). მ. ფირდმენის შეხედულებები კარგად არის გადმოცემული მის ორ წიგნში „**კაპიტალიზმი და თავისუფლება**“ (1962) და „**არჩევანის თავისუფლება**“ (1980). ის იმათ წინააღმდეგ გამოდის, ვინც საბჭოური ეკონომიკური ორგანიზაციის არსებით ნიშნებს იღებს, მაგრამ სურს **ინდივიდუალური თავისუფლება უზრუნველყოს პოლიტიკური დაწესებულებე-**



მილთონ ფრიდმენი

ბის მეშვეობით. მ. ფირდმენის მიხედვით, ეკონომიკური თავისუფლება – ესაა კერძო მეწარმეობრივი გაცვლითი ეკონომიკა, ის, რასაც ჩვენ კონკურენციულ კაპიტალიზმს ვუწოდებთ.

მ. ფირდმენი სახელმწიფოს განიხილავს როგორც თავისუფალი მეწარმეობის დაცვის იარაღს. მაგრამ მისი თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს საქმიანობის სფერო შემოსაზღვრული უნდა იყოს. მისი მთავარი ფუნქცია მდგომარეობს თავისუფლების კანონებისა და წესრიგის დაცვაში. კერძო კონტრაქტების სტიმულირებასა და კონკურენციული ბაზრების წახალისებაში.

მ. ფირდმენი თავის პრაქტიკულ რეკომენდაციებში ავტომატური მექანიზმების შექმნისკენ მოუწოდებს, რომლებიც სახელმწიფოს ჩარევას სამუდამოდ გამორიცხავდეს. მისი მთავარი თეზისი ისაა, რომ საბაზრო ეკონომიკა მაშინ ფუნქციონირებს საუკეთესოდ, როცა მას არ აწუხებენ.

მ. ფირდმენმა ომის შემდგომ პერიოდში ნელ-ნელა აღმოაჩინა **მონეტარიზმი,** რომელსაც მიაჩნია, რომ **ფულადი მასის ზრდა ინფლაციას განსაზღვრავს და ამიტომ ფულადი ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს ფულადი მასის შეზღუდვისა და სტაბილიზაციისკენ.**

მ. ფირდმენის დამსახურებაა, რომ XX ს-ის 70-იანი წლებიდან ფართო აღიარება პოვა მონეტარიზმმა.

მონეტარიზმის ერთ-ერთი ყველაზე დამახასითებელ ნიშანთვისებას წარმოადგენს რწმენა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების სრულყოფილებაში. მონეტარისტების აზრით, ბაზრები საკმარისად კონკურენტული არიან და საბაზრო კონკურენციის სისტემა მაკროეკონომიკური სტაბილურობის მაღალ დონეს უზრუნველყოფს.

მონეტარიზმი სათავეს კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში იღებს, რომლის მიხედვითაც, საბაზრო კონკურენციით უზრუნველყოფილი ფასებისა და ხელფასის მოქნილობა იმას იწვევს, რომ ერთობლივი ხარჯების მერყეობა ზემოქმედებს პროდუქციისა და რესურსების ფასებზე და არა წარმოებისა და დასაქმების დონეზე. ამგვარად, საბაზრო სისტემა, თუ ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახემწიფოს ჩარევას არ განიცდის, მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ სტაბილურობას უზრუნველყოფს. მონეტარისტების თვალ-

საზრისით, პრობლემა ისაა, რომ კანონი ხელფასის მინიმალური განაკვეთის შესახებ, საკანონმდებლო ქმედებანი პროფკავშირების ინტერესებისთვის, სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე ფასების შენარჩუნება, კანონმდებლობა მონოპოლიების შესახებ და სახელმწიფოს სხვა ღონისძიებანი ხელს უწყობს და აძლიერებს ფასებისა და ხელფასის მოქნილობას შემცირების მხრივ. სახელმწიფო თავისი მოუქნელი და მოუფიქრებელი ცდებით – დაასტაბილუროს ეკონომიკა დისკრეტული ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დახმარებით ხელს უწყობს სისტემის არასტაბილურობას და აძლიერებს ციკლურ რხევებს.

მონეტარისტები, მ. ფრიდმენის მეთაურობით, ირწმუნებიან, რომ მხოლოდ თავისუფალი მეწარმეობის პირობებში შეიძლება პოლიტიკური თავისუფლების, ეკონომიკური ეფექტიანობისა და ეკონომიკური ძალის გადანაწილებაში თანასწორობის მიღწევა. მ. ფრიდმენის პროგრამა ითვალისწინებს 100%-იან სარეზერვო სისტემას, რომელიც ფულად მასაზე კონტროლის შესაძლებლობებს შეზღუდავს. სახელმწიფო ხარჯების შეზღუდვა ისეთი დონით, რომელიც შეესაბამება საზოგადოების სურვილს, მოთხოვნილებასა და მზადყოფნას გადაიხადოს, საზოგადოებრივი სამსახურებისთვის; ტრანსფერული გადასახადების ფიქსირებულ სისტემას, რომლებიც ციკლურ რყევებს არ ემორჩილება; საგადასახადო სისტემას, დაფუძნებულს პროგრესული გადასახადების განაკვეთების უცვლელ სტრუქტურაზე.

მ. ფირდმენის აზრით, ეს არაჩვეულებრივად მკაცრი სისტემა ძალზედ ეფექტიანია და ანტიციკლურ ქმედებას ახდენს. სხვა თანამედროვე ეკონომიკური მიმდინარეობის მსგავსად, მონეტარიზმი თავის ანალიზს სპეციალურ განტოლებაზე აფუძნებს. მონეტარიზმის ძირითად განტოლებას გაცვლის განტოლება წარმოადგენს:

$$MV = PQ$$

სადაც: M - ფულის მიწოდებაა;

V – შემოსავალთა წრებრუნვაში ფულის მიმოქცევის სისწრაფე, ანუ ის საშუალო რაოდენობა, რამდენჯერაც ფული იხარჯება

წელიწადის განმავლობაში მზა საქონლისა და მომსხურების შესაძენად;

P – ფასების დონე, ან უფრო ზუსტად, ფასი, რომლიდ მიხედვითაც წარმოების ფიზიკური მოცულობის თითოეული ერთეული იყიდება;

Q – საწარმოო საქონლისა და მომსხურების ფიზიკური მოცულობა.

განტოლების მარცხენა ნაწილი (MV) წარმოადგენს მყიდველთა ხარჯების საერთო მოცულობას საწარმოო ნაწილის შესაძენად, როცა მარჯვენა ნაწილი (PQ) – ამ მოცულობის ამონაგებს.

მონეტარისტები დარწმუნებულები არიან, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა დიდად განსაზღვრავს ეკონომიკური აქტივობის დონეს. ისინი ფულის მიწოდებაში ერთადერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ხედავენ, რომელიც წარმოების, დასაქმებისა და ფასების დონეს განსაზღვრავს. მონეტარისტთა აზრით, ფულის მიწოდების გაზრდა აქტივების ყველა სახეობაზე – რეალურსა თუ ფინანსურზე, აგრეთვე წარმოების მიმდინარე მოცულობაზე ზრდის მოთხოვნას. ამის შედეგად, სრული დასაქების პირობებში, ყველა ფაქტორზე ფასები გაიზრდება. გარდა ამისა, მონეტარისტები ფულის მიმოქცევის სიჩქარეს სტაბილურად თვლიან იმ გაგებით, რომ მისი რყევები მცირეა და ის ფულადი მიწოდების ცვილების პასუხად არ იცვლება. ამრიგად, ფულის მიწოდების ცვლილება ნაწინასწარმეტყველებ ზეგავლენას მოახდენს ნორმალურ წეპ (=PQ)-ს დონეზე. უფრო კონკრეტულდ, M-ის გაზრდა P-ს და Q-ს გაზრდას ან, როგორც P, ასევე Q-ს გაზრდას გამოიწვევს, ან როგორც P, ასევე Q გარკვეული კომბინაციით გაიზრდება. M-ის შემცირება საწინააღმდეგო შედეგს მოგვცემს.

მონეტარისტების მიხედვით, M-ის შეცვლას შეუძლია გამოიწვიოს წარმოებისა და დასაქმების რეალური მოცულობის მოკლევადიანი ცვლილებანი, რამდენადაც ბაზარი ამ ცვლილებას ეგუება, გრძელვადიან პერსპექტივაში M-ის ცვლილება ფასების დონეზე ზემოქმდებს. მონეტარისტული გადამცემი მექანიზმი შემდეგნაირად გამოსახება:



ამ საქმეში მონეტარისტების მიერ ფულის მიწოდების ცვლილება განიხილება როგორც ფაქტორი, რომელიც უშუალოდ ერთობლივი მოთხოვნების ცვლილებაზე ზემოქმედებს, რომელიც წეპ-ს ცვლის. გარდა ამისა, მონეტარისტების აზრით, ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება გავლენას ახდენს ნომინალურ წეპ-ზე გრძელვადიან პერსპექტივაში ძირითადი ფასების დონის ცვლილების სახით და არა წარმოების რეალური დონის ცვლილების სახით.

მონეტარისტებისთვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მნიშვნელობის შეფასების ქვაკუთხედს წარმოადგენს მტკიცება ფულის მიმოქცევის სიჩქარის (V) სტაბილურობის შესახებ. ისინი ამტკიცებენ, რომ საკმაოდ სტაბილურია ადამიანების მოთხოვნა ფულზე მიმდინარე წარმოების საყიდლად სხვა ფინანსურ აქტივებთან და ხარჯებთან შედარებით, რომლის ქონაც სურთ კერძო პირებს და საწარმოებს თითოეულ მოცემულ მომენტში. ისინი დამოკიდებული არ არიან ფულის მიწოდებაზე. რაც მთავარია, ფულის რაოდენობა, რომლის ქონაც მოსახლეობას სურს, ნომინალური წეპ-ის დონით განისაზღვრება.

გ) რაციონალური მოლოდინის თეორია

მიკროეკონომიკის ჩიკაგოს სკოლის ლიბერალური შეხედულებების დამატებით არსებობს მაკროეკონომიკის ანალოგიური სკოლა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ჩიკაგოელმა ნობელის პრემიის ლაურიატმა **რობერტ ლუკასმა** და მინესოტელმა ეკონომისტმა **თომას სარჯენტმა.** მათ დამსახურებად ითვლება რაციონალური მოლოდინის თეორიის შექმნა. ეს თეორია ფართოდ გავრცელდა XX ს-ის 70-იანი წლების შუახანებიდან. რაციონალური მოლოდინის თეორიის თანახმად, ადამიანები რაციონალურად

რობერტ ლუკასი

იქცევიან. მომხმარებელები და მუშები ჩვეულებრივ შეიგნებენ, როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა და თავიანთი ინტერესების დასაცავად არსებულ ინფორმაციას საკმაოდ ეფექტიანად იყენებენ და თავიანთ მდგომარეობას განამტკიცებენ კიდევაც.

საბაზრო სუბიექტები აგროვებენ და გაიზიარებენ, ინფორმაციას იმ მოვლენების მოლოდინის ფორმირებისას, რომლებიც მათთვის ფულად ინტერესს წარმოადგენს. თუ მაგალითად ფასიანი ქაღალდების მფლობელები საფონდო ბირჟაზე ფასების შემცირებას მოელიან, მაშინ ამის გათვალისწინებით, ისინი თავიანთ საპაიო შენატანებს ყიდიან. აქციების მიწოდების ზრდა მისი კურსის დაცემას იწვევს. თუ ბაზარზე მომხმარებლები გაიგებენ, რომ გვალვების შედეგად სურსათზე ფასების ზრდაა მოსალოდნელი, ისინი ფასების მომატებამდე მოიმარაგებენ სასურსათო საქონელს. ამრიგად, მოლოდინი იწვევს საბაზრო მოთხოვნის გაფართოებას, რაც, თავის მხრივ, სურსათზე ფასების ზრდას განაპიროებებს ჯერ კიდევ მოსავლის აღებამდე.

მაგრამ რაციონალური მოლოდინის თეორიის მომხრეები ამ მაკროეკონომიკურ მაგალითზე უფრო შორს მიდიან. ისინი ამტკიცებენ, რომ მეწარმეებმა, მომხმარებლებმა და მუშებმა იციან, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა და შესაძლებელობა აქვთ, გადაწყვეტილების მისაღებად ხელმისაწვდომი ინფორმაცია გამოიყენონ, რომლებიც მათ კერძო ინტერესებს ყველაზე უკეთ შეესაბამება. ადამიანები, უბრალოდ, კი არ აღადგენენ წარსულის გამოცდილებას მომავლისათვის, ამის გარდა, ისინი გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის სავარაუდო ზეგავლენას აფასებენ ეკონომიკის მომავალზე; მოკლედ, რომ ვთქვათ, „რაციონალური“ ადამიანები მთელ არსებულ ინფორმაციას გამოიყენებენ, იმ ინფორმაციის ჩათვლით, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიკა და სახელმწიფო როგორ ატარებს ეკონომიკურ პოლიტიკას. ეს მათ

საშუალებას აძლევს, წინასწარ განჭვრიტონ ეკონომიკაში ცვლილებათა შედეგები იმის დამოუკიდებლად, ეკონომიკური პოლიტიკითაა ისინი გამოწვეული თუ სხვა რაიმეთი და შესაბამისად, მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც მათი კეთილდღობას უზრუნველყოფს. ამაშია რაციონალური მოლოდინის არსი.[1]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერაძე ს., ჭანუყვაძე გ., კრავცოვი ი., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. II, თბ., 1973.
2. მაკკონელი კემპბელ რ., ბრიუ სტენლი ლ., ეკონომიკსი, ტომი I და II, 1993.
3. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
4. ჭანუყვაძე გ., ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ.1, თბ., 1962.
5. ხარიტონაშვილი ჯ., „ფირმირებული საზოგადოების“ კონცეფცია და მისი კრიტიკა, ჟურნ. „ეკონომისტი“, №4, 1976.
6. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ., II , თბ., 1997.
7. Dieter Wolf, Nart, pluralistishe Gesellschaft, Hannover, 1969.
8. Erhard L., Deutsche Wirstschaftspolitik. Der Weg der sozialen Marktwirtchaft, dusseldorf – Wien, Econ, Frankfurt, 1962 .
9. Erhard L, Die Formiete Gesellschaft. “Gesellschaftspolitische Komentare”, 1965.
10. Erhard L., Eine Gesellschaft des Dynamischen Ausgleichs, - „Bulleten des Presse – und Informnacionsametzes“, Bonn, 1965, 10 Aprel.
11. Erhard L., „Program fur Deutschlsnd”, Referat auf dem 13 Bundesparleitag der CDU, 31 Marz 1965 “Geselshafspolitische Komentare”, 1965.
12. Erhard L., Wohlstand fur alle, Dusseldorf, Econ, 1976.
13. Hunt E. K. and Mark Lautzenheiser, History of Ekonomic Thought. Sird Edicion. A Critical Perspective. Armonk, New York, London, England, 2011.
14. Klaus O.W., Muller Neokejnesianismus, Berlin, 1972.
15. Kharitonashvili J., State Protectionism as a modern Alternative to economic Liberalism, Monograph, Assotiation 1901 „SEPIKE“, Inovation in Education and Economy. 2016, Nordestedt, Deutchland. Poitiers, Franse.
16. Kharitonashvili Jemal Vsili, Regulation again, Материалы Международной научно- практической Конференции, Минск, 2016.

[1] კემპბელ რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ. ეკონომიკსი, ნაწილი 2, 1993, გვ. 349-35.

17. Mottel C., Gesellschaft Staat und Wirstschaft fon der sozialen Marlctwirstschaft zur „Formierten Gesellschaft“ - ORDO iarbuch fur die ordnung von Wirstschaft und Gesellschaft, Bd. 17, Dusseldorf und Munchen 1966.
18. Mundige Gesellschaft, Die SPD zur. Zukunf der Nation, Hannover, 1967.
19. Putter W., H. Kolbe, Die Konzeption der SPD – Fuhrung von der mundigen Gesellschaft VDWI Berichte, 1967. N1.
20. Riek W. Schuste I, Wiihelmi R., 12 Thesen fur „Formierten Gesellschaft“ Zur Verstandnis der Konzeption Erhard L, Die Formiete Gesellschaft. „Gesellschafts-politische Komentare“, 1965.
21. Жамс Е., Экономической мысль XX века, Л., 1959.
22. Критика буржуазных теории современных буржуазных экономистов (Дж Гелбреита, Г. Мюрдаля, Л. Эрхарда).
23. Федеративная республика Германии, М., 1973.
24. Котов В.Н., Западногерманский неолиберализм, М., 1976.
25. Экономическое положение капиталических и развивающихся стран, М., 1969.
26. Эрхард Л., Благосостояние для всех, М., 1991.

თავი XIX. მოძღვრებები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის შესახებ

დღევანდელ მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით ქვეყნების სამი ჯგუფი გამოიყოფა: **განვითარებული ქვეყნები, ყოფილი სოციალისტური ქვეყნები** და **„მესამე სამყაროს“, ანუ განვითარებადი, ქვეყნები**.

განვითარებული ქვეყნები განსაზღვრავენ მსოფლიოს გლობალურ ეკონომიკურ სიტუაციას. მათ შეუძლიათ არა მარტო საკუთარ ქვეყანაში, არამედ სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესებიც არეგულირონ, რამაც გამოიწვია განვითარებული ქვეყნების მიმართ ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური დამოკიდებულება.

განვითარებადმა ქვეყნებმა, უკვე კარგა ხანია, მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. პოლიტიკური გათავისუფლება უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე საერთო-ეროვნული ამოცანების გადაჭრისა და სოციალური პროგრესის აუცილებელ წანამძღვრებს ქმნის. ისაა ის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც უზურუნველყოფს ამ ქვეყნების უზარმაზარი ბუნებრივი და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ეკონომიკური ჩამორჩენილობის აღმოფხვრას.

„მესამე სამყაროს“ ქვეყნები თავიანთი შემდგომი განვითარების გზაზე მნიშვნელოვან სიძნელეებს აწყდებიან. ყოფილი მეტროპოლიები ცდილობენ, ისინი თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ქვეშ მოაქციონ. განვითარებული ქვეყნები აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს კვლავ ნედლეულის ბაზად, თავიანთი კაპიტალდაბანდებების სფეროდ და გასაღების ბაზრად მიიჩნევენ.

„მესამე სამყაროს“ ქვეყნები, ბუნებრივია, ვერ ურიგდებიან „სანედლეული დანამატის“ როლში ყოფნას. საკუთარი ეკონომიკური თეორიებით ისინი აქტიურად ცდილობენ თავი დააღწიონ ეკონომიკურ დამოკიდებულებას და შექმნან საკუთარი წარმატებული ეროვნული მეურნეობის სტრუქტურა.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ პრობლემებს უკავია.

განვითარებად ქვეყნებსა და მათი ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებზე მრავალი მოძღვრება შეიქმნა, რომლებიც თვით საკითხების აქტუალურობითაა გამოწვეული.

განვითარებად ქვეყნებზე შექმნილ მოძღვრებებში სამ მიმართულებას გამოყოფენ. ესენია: **კონსერვატიული, ლიბერალური და ლიბერალურ-დემოკრატიული.**

კონსერვატიული მიმართულება დაკავშირებულია მონოპოლისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიასთან. **ლიბერალური** მიმართულების მიმდევრებისა და, გარკვეული ზომით, **ლიბერალ-დემოკრატებისთვისაც** დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობის მიმართ კრიტიკულ მიდგომა, თუმცა, საბოლოო ჯამში, არც ისინი მოითხოვენ არსებული თანაფარდობის შეცვლას მსოფლიოში.

განვითარებადი ქვეყნების პრობლემების დამუშვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ნეოკენზელებმა (კილდლებერგი, სტეილი და სხვ.) ისინი განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენას შინაგანი ფაქტორებით ხსნიდნენ.

ეკონომისტთა დიდი ნაწილი **განვითარებადი ქვეყნებისთვის თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების** დაცვის აუცილებლობას მოითხოვს. ისინი მიიჩნევენ, რომ განვითარებადი ქვეყნები აგრარულ-სანედლეულო სპეციალიზაციას უნდა დასჯერდნენ, რომ მათთვის საჭირო არ არის პროტექციონიზმი და ფიქსირებული ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა.

განვითარებადი ქვეყნების შესახებ შექმნილი თეორიებიდან პოპულარულია რამდენიმე, მათ შორის: **ნაადრევი დამოუკიდებლობის დოქტრინა, ურთიერთდამოკიდებულების დოქტრინა, სიღატაკის მოჯადოებული წრის თეორია, წარმოების შედარებითი ხარჯების თეორია, პერიფერიული ეკონომიკის თეორია.**

1. ნაადრევი დამოუკიდებლობის დოქტრინა

ნაადრევი დამოუკიდებლობის დოქტრინის შემქმნელები არიან ამერიკელები **ჯ. კ. კინგი** და **ჯ. ფ. დალესი.** ისინი მიიჩნევენ, რომ განვითარებადი ქვეყნები ჯერ კიდევ არ არიან მზად თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარებისათვის. მათ აკლიათ მეწარმეობრივი სულისკვეთება და დამოუკიდებლობა ნაადრევად მიენიჭათო. ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნები დამოუკიდებლები მაშინ უნდა გახდნენ, როცა, განვითარებული ქვეყნების ხელმძღვანელობით, ისინი საამისოდ მზად იქნებიან.

ნაადრევი დამოუკიდებლობის დოქტრინის დამცველები ამგვარ დამოკიდებულებას იმით ხსნიან, რომ თანამედროვე ტექნიკის გამოყენება მაღალ კვალიფიკაციას, ცოდნას მოითხოვს რაც განვითარებად ქვეყნებს არ აქვთ. ისინი ჯერ კიდევ საამისოდ არ მომწიფებულანო.

გერმანელი **კ. შმიდი** აღნიშნავს, რომ განვითარებადი ქვეყნების ხალხები ძალიან სუსტად ერკვევიან ეკონომიკურ საკითხებში. **ისინი უფრო მეტ მიდრეკილებას იჩენენ იმის მოხმარებისკენ, რაც გააჩნიათ, ვიდრე იქითკენ, რომ სარგებელი მიიღონ თავიანთი რესურსებისგან.**

გერმანელი ეკონომისტი **ცახი** კი აცხადებს, რომ ბევრი განვითარებადი ქვეყანა თავისი ეკონომიკური, კლიმატური და კულტურული სტრუქტურის გამო გამოუსადეგარია იმისთვის, რომ ინდუსტრიული ქვეყანა გახდესო.

ამერიკელი ეკონომისტების – დ. ტერჰერისა და ვ. ნილის, გერმანელების – ს. კერბერის, ტ. ბერგმანის და სხვათა აზრით, **განვითარებადმა ქვეყნებმა მრეწველობის ის დარგები უნდა განავითარონ, რომლებიც მოხმარების საგნებს ამზადებენ.**

გერმანელი **მ. შმიტი** კი მოითხოვს, რომ **განვითარებადმა ქვეყნებმა განავითარონ სოფლის მეურნეობა, ხე-ტყის წარმოება, ხელი მოჰკიდონ პირველადი გადამუშავების საქმეს და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას.**

გერმანელი ნეოლიბერალები **განვითარებად ქვეყნებში მძიმე მრეწველობის განვითარების წინააღმდეგნი** არიან. ისინი აღ-

ნიშნავენ, რომ **ინდუსტრიალიზაცია განვითარებადი ქვეყნებისთვის საშიში გზაა,** ვინაიდან **იგი გაზრდის პროლეტარიატის რიგებს და ამ ქვეყანაში ადვილად გაავრცელებს კომუნიზმის ბაცილებს.**

2. ვაკუუმის დოქტრინა

ვაკუუმის დოქტრინის დამცველები აცხადებენ, რომ მსოფლიოს ბევრ რეგიონში კოლონიალიზმის მოსპობამ ვაკუუმი, სიცარიელე წარმოშვა და საჭიროა მისი შევსება.

ვაკუუმის თეორეტიკოსებს ჩამოყალიბებული აქვთ თავიანთი პროგრამა. მათი აზრით, **განვითარებად ქვეყნებში ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს.** ამასთან, ისინი **განვითარებად ქვეყნებში თანამედროვე ტექნიკის შეტანას შეუძლებლად მიიჩნევენ, რადგანაც ეს გზა ისედაც დიდ უმუშევრობას გაზრდის.**

დასავლეთის ეკონომისტებს **ვაკუუმის შევსების საშუალებად** ის გარემოება მიაჩნიათ, რომ ქვეყნებს, რომლებმაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს და ინგლისელი, ფრანგი, ბელგიელი და სხვ. კოლონიზატორებისგან გათავისუფლდნენ, ახლა ეკონომიკურ დახმარებას სთავაზობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კაპიტალისტები.

3. ურთიერთდამოკიდებულების თეორია

ურთიერთდამოკიდებულების დოქტრინის დამცველები აღნიშნავენ, რომ თუ განვითარებული ქვეყნებისთვის საჭიროა ბაზრები სამრეწველო ნაწარმის გასაღებისა და ნედლეულის შესყიდვისთვის, განვითარებად ქვეყნებსაც სჭირდებათ როგორც სასოფლო-სამეურნეო ნაწარმისა და ნედლეულის გასაღების ბაზარი, ასევე სამრეწველო ნაწარმის შესყიდვაც. აქედან გამომდინარე, ისინი ასკვნიან, რომ **განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები ურთიერთდამოკიდებული არიან, ისინი თანასწორ პარტნიორებს წარმოადგენენ, ვინაიდან საერთო ინტერესები აქვთ.**

გ. შპინდლერმა სპეციალური წიგნიც გამოსცა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, მან განაცხადა, რომ განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნებს შორის ურთიერთბრძოლის ნაცვლად პარტნიორობა უნდა დამყარდეს.

ურთიერთდამოკიდებულებისა და პარტნიორობის ერთ-ერთი ვარიანტია **ევროაფრიკის ინტეგრაცია.** ამ იდეის პროპაგანდისტების მტკიცებით, ევროპის ინტეგრირებულ სახელმწიფოებსა და აფრიკის განვითარებად ქვეყნებს შორის ორივე მხარისთვის სასარგებლო კავშირები მყარდება: ჩვენ ისე გვჭირდება განვითარებადი ქვეყნების ხალხები, როგორც ჩვენ ვჭირდებით მათ, – აცხადებენ ისინი, – ჩვენ მათ ვთავაზობთ იმას, რის ნაკლებობასაც განიცდიან (მანქანები, კრედიტი, ტექნიკური და კომერციული ცოდნა, წარმოების ხელმძღვანელობის ცოდნა და სხვ.), ისინი კი ჩვენ გვაძლევენ ნედლეულს, რომლის ნაკლებობასაც ევროპა განიცდის და, ამავე დროს, ბაზარს უხსნიან ჩვენი მრეწველობის სხვადასხვა დარგის ნაწარმის გასაღებას. ევროაფრიკული ინტეგრაციის მომხრეთა საბოლოო დასკვნა ასეთია: „აფრიკა ევროპისთვის არის ეკონომიკური საკუჭნაო, ხოლო ევროპა აფრიკისათვის – ტექნიკური სახელოსნო“.[1]

როგორც ვხედავთ, ურთიერთდამოკიდებულების დოქტრინა შრომის ახალი საზოგადოებრივი დანაწილების პათოსითაა განსმჭვალული. შრომის ასეთი დანაწილება რიგ შემთხვევაში ურთიერთხელსაყრელია, მაგრამ არც ის უნდა იქნეს დავიწყებული, რომ **მოწინავე კაპიტალისტური სახელმწიფოები კვლავინდებურად შეეცდებიან განვითარებადი ქვეყნები დატოვონ „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში.**

ზემოთ აღნიშნული განაპირობებს იმ გარემოებას, რომ კაპიტალისტურ ინტეგრაციასა და ვაჭრობის ლიბერალიზაციას ბევრი ახალგაზრდა სუვერენული ქვეყანა უპირისპირებს **პროტექციონიზმს** – სამამულო მრეწველობის მფარველობის (დაცვის) პოლიტიკას.

---

[1] ჭანუყვაძე გ., ვულგარული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. III, თბ., 1964, გვ. 390-391.

თვით განვითარებადი ქვეყნებიც მიმართავენ რეგიონალურ კავშირებს, ინტეგრაციას. **ეგვიპტემ, ერაყმა, იორდანიამ, სირიამ** შექმნეს თავიანთი „საერთო ბაზარი“, ლათინური ამერიკის „საერთო ბაზარში“ (მერკოსური) კი გაერთიანდნენ **არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაია** და **პარაგვაი.** კიდევ ერთი საერთო ბაზარი შექმნა ცენტრალური ამერიკის ოთახმა სახელმწიფომ: **გვატემალამ, ჰონდურასმა, ნიკარაგუამ** და **სალვადორმა.**

ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა შექმნეს საერთაშორისო სანავთობო კარტელი **(ოპეკი).** მისი წევრები არიან: **ირანი, ერაყი, ქუვეითი, საუდის არაბეთი, ვენესუელა, კატარი, ინდონეზია, ლიბია, აბუ-დაბი, ალჟირი, ნიგერია, ეკვადორი, გაბონი.**

4. სიღატაკის მოჯადოებული წრის თეორია

სიღატაკის მოჯადოებული წრის თეორიის დამცველები არიან ამერიკელი ეკონომისტები ელისი, ბიუკენენი, ჰიგინსი, რენდოლი, ნურქსე და სხვ. მათი მტკიცებით, განვითარებადი ქვეყნები იმიტომ ვერ აღწევენ პროგრესს, რომ ღარიბები არიან. სიღარიბის მიზეზად კი ისინი აცხადებენ კაპიტალის სიმცირეს, შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეს. ამრიგად, სიღატაკის მოჯადოებული წრის თეორიის მიხედვით, ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნები წონასწორობის მახეში არიან გაბმულები. ისინი ჩამორჩენილები არიან იმიტომ, რომ არა აქვთ კაპიტალი. სიღარიბის ლიკვიდაციისა და კაპიტალის დაგროვებისთვის საჭირო ეკონომიკური ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად საჭიროა სიღარიბის მოსპობა. მართლაც, გამოდის რაღაც მოჯადოებული წრე. ამ წრის გარღვევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ განვითარებადი ქვეყნები დახმარებისთვის მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს მიმართავენ. მონოპოლისტური კაპიტალისგან მიღებული ეკონომიკური დახმარება კი, არც თუ იშვიათად, ნიშნავს განვითარებადი ქვეყნების დატოვებას „მსოფლიო სოფლის“ მდგომარეობაში.

ამერიკელი რ. როზენშტეინ-როდანი მიუთითებს: „ქვეყნის გადაყვანა დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითარების გზაზე მოგვაგონებს თვითმფრინავის მოწყვეტას მიწიდან. თვითმფრინა-

ვი რომ მიწას მოწყდეს და ჰაერში აფრინდეს, ამისათვის ჯერ საჭიროა მიწაზე კრიტიკული სიჩქარის მიღწევა“.[1]

განვითარებადი ქვეყნების გამოსვლა ჯადოსნური წრიდან შეიძლება დიდი ნახტომით. მაგრამ ამ ქვეყნებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ ამ ნახტომის გაკეთება. მათ ბიძგი გარედან უნდა მისცენ. გარედან ბიძგის მიცემ ძალად კი უცხოური კაპიტალია მიჩნეული.

გარედან ბიძგის მიცემის შემდეგ განვითარებადი ქვეყნები სტარტს აიღებენ და შემდეგ მაღალი, მასობრივი მოხმარების საზოგადოებაში გადავლენ.

5. წარმოების შედარებითი ხარჯების თეორია

წარმოების შედარებითი ხარჯების თეორიის დანიშნულება იმის დაასაბუთებაა, რომ მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის **არსებული შრომის დანაწილება აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს.**

წარმოების შედარებითი ხარჯების თეორიის თანამედროვე დამცველები – ჯ. ვაინერი, გ, ჰაბერლერი, ფ. ტაუსიგი, ჩ. კინდელბერგი და სხვები – კვლავ ბეჯითად ირწმუნებიან, რომ **განვითარებადი ქვეყნებისთვის უფრო ხელსაყრელია სპეციალიზაცია სასურსათო და სანედლეულო პროდუქტებზე. მათთვის აზრი არა აქვს საკუთარი სამრეწველო წარმოების შექმნას. სამრეწველო პროდუქციის შეძენა მათ შეუძლიათ მსოფლიო ბაზარზე თავიანთი პროდუქციის გაცვლის შედეგად.**

წარმოების შედარებითი ხარჯების თეორიის დამცველები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის მონოკულტურული განვითარების გზას იცავენ. მათი მტკიცებით, განვითარებადი ქვეყნები ღარიბია კაპიტალით, მაგრამ მდიდარია სამუშაო ძალით, ამიტომ **მათ აქცენტი უნდა გააკეთონ შრომატევად წარმოებაზე, უპირატესად კი, სანედლეულო პროდუქტებზე.** განვითარებად ქვეყნებს ეს დაეხმარება, ისარგებლონ წარმოების ფაქტორით –

---

[1] ახალი მოვლენები თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში, ტ, I, მ., 1972. გვ. 288-289.

საერთაშორისო შრომის დანაწილებაში მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ შრომის ფაქტორით, სამაგიეროდ კი, ისარგებლებენ კაპიტალის ფაქტორით.

წარმოების შედარებითი ხარჯების თეორეტიკოსები რეკომენდაციას იძლევიან, განვითარებულმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა განავითარონ წარმეობა მაღალი ტექნოლოგიების საფუძველზე, ხოლო **განვითარებადმა ქვეყნებმა შექმნან პერიფერიული წარმოება, სადაც განვითარდება უფრო შრომატევადი და მრეწველობის ეკოლოგიურად მავნე დარგები.**

6. შეხედულებანი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს როლის შესახებ

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერებასთან, კერძოდ, კი სახელმწიფოს მხრიდან პერსპექტიული განვითარების პროგრამის განხორციელებასთან. ფინანსური რესურსების შეზღუდულობა, მათი უფრო ნაყოფიერად გამოყენების საჭიროება უცილობლად მოითხოვს ეკონომიკურ მშენებლობაში მთავრობის მონაწილეობას. ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნები ისწრაფვიან, სახელმწიფო გამოიყენონ როგორც უმნიშვნელოვანესი იარაღი ეკონომიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისთვის.

განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერების აუცილებლობა ფართოდაა აღიარებული ეკონომიკურ ლიტერატურაშიც. ინდოელი ეკონომისტი, კალკუტის უნივერსიტეტის პროფესორი ა. გხოში წერს: „ეკონომიკური განვითარება მთავრობის ისეთ ფუნქციას წარმოადგენს, როგორც კერძო ინიციატივა, მაგრამ სახელმწიფოს როლი უფრო მნიშვნელოვანი ხდება ჩამორჩენილ ქვეყნებში“.[1]

---

[1] ახალი მოვლენები თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში, ტ, I, მ., 1972, გვ. 306.

ინდოელი ეკონომისტი რ. ჩატერჯი სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შემდეგ შეფასებას იძლევა: „სახელმწიფომ აქტიური როლი უნდა ითამაშოს, შეიძლება წამყვანი როლიც, ეკონომიკური და სამრეწველო განვითარების ჩვენს პროგრამაში, თუ გვსურს ავამაღლოთ იგი“.[1]

ამრიგად, **განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფოს როლის გაძლიერება უნდა შეფასდეს, როგორც პროგრესული მოვლენა, რომელიც საერთო ეროვნულ ინტერესებს პასუხობს თანამედროვე ეტაპზე.**

სუვერენული სახელმწიფოების საქმიანობის სწორედ ეს მხარე ბევრი ბურჟუაზიული ეკონომისტის წინააღმდეგობას იწვევს. ისინი გამოდიან თავისუფალი მეწარმეობის, კერძო ინიციატივის დაცვის პოზიციით, რომელმაც, მათი აზრით, ძირითადი როლი უნდა ითამაშოს ყოფილი კოლინიების განვითარებაში. მათ ნაშრომებში სახელმწიფოს დამხამრე როლი მიეკუთვნება, მისი საქმიანობა უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კომუნალური მომსახურების სფეროს ზოგიერთი დარგით, რომლებითაც დაინტერესებული არაა კერძო კაპიტალი.

ამერიკელი ეკონომისტები ნ. ბიუკინენი და ჰ. ელისი რეკომენდაციას აძლევენ სახელმწიფომ განვითარებად ქვეყნებში ჯანდაცვის, განათლების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციას მოჰკიდოს ხელი.

ჰ. ობრეი, პ. ჩენერი და სხვა ეკონომისტები აღიარებენ განვიათრებად ქვეყნებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერებას, მაგრამ მხოლოდ იმ მიმართულებით, რომლითაც სახელმწიფო სექტორი კერძო მეწარმეობის ინტერესებს დაექვემდებარება. ამიტომ სახელმწიფოს ძირითად ეკონომიკურ ფუნქციად კერძო კაპიტალისთვის სასურველი პირობების შექმნას აცხადებენ. ისინი სრულიად უარყოფენ ყველაფერს, რაც სახელმწიფოს საქმიანობაში შეიძლება კერძო კაპიტალისთვის მიუღებელი აღმოჩნდეს.

ამრიგად, ბურჟუაზიული ეკონომისტები საკითხს აყენებენ არა სახელმწიფოს როლის შესახებ განვითარებად ქვეყნებში, არა-

---

[1] ახალი მოვლენები თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში, ტ, I, მ., 1972, გვ. 306.

მედ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დასაშვები საზღვრებისა და მისაღები ფორმების შესახებ. **სახელმწიფოს საქმიანობის საზღვრებად ისინი, ჩვეულებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას** გულისხმობენ.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ **ექსტრემალურ სიტუაციებში შეესაძლებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გზით ეკონომიკური წონასწორობის მიღწევა.**

საბაზრო ეკონომიკა გეზს იღებს მხოლოდ მოგებისკენ და განვითარებისთვის საჭირო სამეურნეო სტრუქტურას ვერ უზრუნველყოფს. კონკურენციულ ბრძოლას ყოველთვის არ მივყავართ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისკენ. კონკურენციული ბრძოლიდან ხშირად აღმოცენდება მონოპოლიები, რომლებიც საბაზრო მექანიზმს არღვევენ.

საზოგადოებრივი კაპიტალის ინტერესები ინდივიდუალური კაპიტალის ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდიან. ეს კი წარმოშობს **კრიზისს.** მის **დასაძლევად აუცილებელია სახელმწიფოებრივი დაგეგმვა განხორციელდეს ორი ასპექტით: იმპერატიულით – სახელმწიფო და ინდივიდუალურით – კერძო სექტორში.**

სოციალური საბაზრო მეურნეობის ბევრ სფეროში დაგეგმვა აუცილებელია. მაგალითად, ინფრასტრუქტურის, განათლებისა და ჯანდაცვის დაგეგმვა სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს და იმპერატიულ ხასიათს უნდა ატარებდეს. რაც შეეხება დარგებს, სადაც კერძო კაპიტალი ბატონობს (მრეწველობა, ვაჭრობა, საკრედიტო სისტემა, მომსახურების სფერო), აქ შეიძლება ინდივიდუალური დაგეგმვა.[1]

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მნიშვნელოვან იარაღს სახელმწიფო საკუთრება წარმოადგენს. **სახელმწიფო საკუთრების ობიექტს უნდა წარმოადგენდეს: რკინიგზა, საავტომობილო გზები, მიწის ნაკვეთები, ფოსტა, ენერგეტიკა, საკრედიტო დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი, ზოგიერთი სამრეწველო საწარმო და სხვ.**

---

[1] ხარიტონაშვილი ჯ., დაგეგმვა სოციალურ საბაზრო მეურნეობაში. „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები.“ თბ., 1996. 33-34.

საკუთრების საკუთარი ბაზის გარეშე სახელმწიფო ვერ შეძლებს მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების სოციალურ დაცვას. გასათვალისწინებელია, რომ სოციალური დაცვის საყურადღებო მოდელებია შექმნილი შვედეთში, გერმანიაში და სხვ.

განვითარებადი ქვეყნებიდან სოციალური დაცვის საინტერესო მოდელი არსებობს ეგვიპტეში.[1]

ეგვიპტეში ფუნქციონირებადი პრივატიზაციის კონცეფცია სახელმწიფო სექტორის ეფექტიანობის გაძლიერებას გულისხმობს. ეგვიპტელებს გაცნობიერებული აქვთ, რომ **სახელმწიფო სექტორიდან კერძო სექტორში საკუთრების გადასვლა მიზანი კი არა, არამედ საშუალებაა.** ამ ღონისძიებების დანიშნულებაა კონკურენციის პრინციპის დანერგვა, რასაც სახელმწიფო სექტორში შექმნილი ადრინდელი მონოპოლიზმი გამორიცხავდა. ამასთან, ეგვიპტეში ითვალისწინებენ იმ გარემოებასაც, რომ კონკურენციას თან ახლავს უარყოფითი შედეგებიც. ერთ-ერთ ასეთია უმუშევრობა. ეგვიპტის 60 მილიონზე მეტი მოსახლიდან მხოლოდ 1,5 მილიონი უმშევარია.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, ეგვიპტის მთავრობამ შექმნა სოციალური ფონდი იმ მუშების სარეაბილიტაციოდ, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს. მათ შესაძლებლობას აძლევენ წვრილი საწარმოები ჰქონდეთ, ანდა ადრე გავიდნენ პენსიაზე. შექმნილია, ასევე, მუშათა კავშირები, რომლებიც იმ საწარმოების აქციების 95%-ს შეიძენენ, რომლებშიც ისინი მუშაობდნენ, თანაც 20%-იანი ფასდაკლებით.[2]

საინტერესო და გასაზიარებელი პრაქტიკა აქვთ ეგვიპტელებს ფასების საკითხშიც. ეგვიპტის მთავრობა ახერხებს მთელ რიგ სტრატეგიულ საქონელზე ფასების კორექტირებას. **სახელმწიფო ფასების ზრდას ფრთხილად უდგება.**

ჰუმანურობის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს **მტკიცე ფასები სამკურნალო (წამლები) საშუალებებზე.** მედიკამენტების

---

1 მისი გაცნობის შესაძლებლობა მოგვეცა 1996 წლის 1-22 აპრილს კაიროში ჩატარებულ საერთაშორისო სემინარში მონაწილეობის დროს – ჯ. ხ.

2 ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკური რეფორმების ეგვიპტური გამოცდილება, ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, № 1, 2001.

სფეროში მოქმედ კომპანიებს უფლება არ აქვთ, უცბად გაზარდონ ფასი წამლებზე. ეს პროცესი შეიძლება ნელ-ნელა განხორციელდეს.

მნიშვნელოვანი შედეგებია ეკონომიკის სხვა სფეროებშიც, რომლებიც შეიძლება ჩვენ გავიზიაროთ და გამოვიყენოთ.

არ შეიძლება დავეთანხმოთ მოარულ აზრს, თითქოს უცხოური კაპიტალის მოძალება ჩვენს ეკონომიკურ პრობლემებს ავტომატურად გადაჭრის. **არც ერთი ქვეყანა არ დაგეხმარება, რომ მისი კონკურენტი გახდე. საკუთარი წარმატების გასაღები თვითონ უნდა იპოვო.**

მსოფლიო ცივილიზაციის გამოცდილების გაზიარების პარალელურად, საჭიროა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

7. პერიფერიული ეკონომიკის თეორია. პ. პრებიში, ს. ფურტადო

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ლიტერატურაში დიდი პოპულარობითა და ავტორიტეტით სარგებლობს პერიფერიული ეკონომიკის თეორია.

პერიფერიული ეკონომიკის თეორია შეიქმნა XX ს-ის 40-50-იან წლებში ლათინურ ამერიკაში. ამ თეორიის აღიარებული წარმომადგენელია **პაულ პრებიში** (არგენტინა). სხვა თეორეტიკოსებიდან აღსანიშნავია ს. ფურტადო (ბრაზილია), მ. ბალბოა, ა. ფერერი (არგენტინა), ვ. ურკიდი, ხ. ნოიოლა, ო. ფლორესი (მექსიკა), ხ. მაიობრე (ვენესუელა), ხ. აუმადა, ა. პინტო, გ. მარტნერი, ო. სუნკელი, კ. მარტესი (ჩილე). სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ **ეს არის განვითარებადი ქვეყნების პირველი საკუთარი თერიული ეკონომიკური სკოლა.**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლათინური ამერიკის ბევრი მეცნიერ-ეკონომისტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათი **განვითარების მიმართულებები და კონცეფციები უშუალოდ მათ ქვეყნებში უნდა დამუშავდეს და არა ამერიკასა თუ დასავლეთ ევროპაში.** ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყნაში აღიზარდა საკუთარი კადრები. საზღვარგარეთულმა თეორიულმა განათლებამ და

საკუთარი ქვეყნის რეალურმა ცხოვრებამ ადგილობრივი მეცნიერ-ეკონომისტები ძალზე განავითარა და ისინი აქტიურად მონაწილეობენ ეკონომიკური მშენებლობის პრაქტიკაში.

ლათინური ამერიკის ეკონომისტთა თეორიების ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა რესურსების განაწილების კრიტერიუმის მოძიებაა. დასავლეთელი ავტორები, ტრადიციულად, მიიჩნევენ, რომ მსოფლიო ბაზარი შედარებით სარგებლინობის კრიტერიუმის მეშვეობით უზურუნველყოფს რესურსების ყველაზე კარგ განაწილებას და ყველა პარტნიორის სარგებლიანობას. ლათინო-ამერიკელმა თეორეტიკოსებმა კლასიკური სკოლის ეს შეხედულება უარყვეს და და იგი არასრულფასოვნად ჩათვალეს, რადგან, ამის მიხედვით, განვითარებული ქვეყნები ყოველთვის აიძულებდნენ განვითარებად ქვეყნებს, რომ მათ მუდმივი ტენდენცია ჰქონდეთ წონასწორობის დარღვევისკენ.

პერიფერიული ეკონომიკის თეორიის თანახმად, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა მხოლოდ არსებული საერთაშორისო დანაწილების კარდინალური გარდაქმნების საფუძველზე შეიძლება.

პ. პრებიშის მიერ ფორმულირებულ იქნა ცნება – „ცენტრი“ (მოწინავე კაპიტალისტური სახლემწიფოები, ციკლური რყევის წყაროები) და „პერიფერიები“ (მსოფლიოს ეკონომიკურად ჩამორჩენილი რაიონები). ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების ანალიზმა ადგილობრივი მკვლევრები დაარწმუნა, რომ ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ ჩარჩოებში ზრდის პერიფერიული ეკონომიკის დაკავშირების ხარისხს ცენტრის ეკონომიკასთან. **განვითარდა იდეა ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების შესახებ, რაც გულისხმობდა იმპორტის შეცვლას ინდუსტრიალიზაციით.** იგი დაკავშირებული იყო წარმოების საშუალებათა მწარმოებელი ეროვნული დარგების შექმნასთან.

ლათინო-ამერიკელ თეორეტიკოსებს ხშირად უწოდებენ კეინზისა და მანჰეიმის მიმდევრებს. ისინი იყენებენ აგრეთვე, ვ. ლეონტიევის, დიუზენბერის, ნურკსესა და სხვათა იდეებს.

ბრაზილიელი **ფურტადო,** პერუელი **ბრეზანო** და სხვა ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ინდუსტრიალიზაციამ და სოციალ-ეკონომიკურმა გარდაქმნამ ადამიანთა არსებობისათვის მინიმალური პირობები უნდა უზრუნველყოს; „მესამე სამყაროს“ ადამიანებს მისცეს ფიზიოლოგიური და ეკონომიკური დოვლათის მინიმუმი. ისინი აუცილებლად თვლიან **„შიმშილის ეკონომიკის“ შეცვლას „ადამიანის ეკონომიკით“.**

ადამიანის ეკონომიკის თეორია მხოლოდ სოციალური დანახარჯებისა და სიკეთეების ჩამოთვლით, კალორიების გაზომვით და ა.შ. არ იფარგლება. მისი მომხრეები განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: პიროვნება, ჰუმანიზმი და სხვ.

პერიფერიული ეკონომიკის თეორიები ყურადღებას ამახვილებს ფინანსების სტაბილურობის საკითხზეც. **ხ. ნოიოლამ** შეადგინა ინფლაციის წარმოშობისა და გავრცელების ფაქტორები. მათ შორის იგი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გამოყოფს ექსპორტის რყევასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების არასაკმარის განვითარებას. ინფლაციის გავრცელების მექანიზმში მას შეჰყავს საგადასახადო სისტემის რეგრესულობა, საკრედიტო მექანიზმი, ფასებისა და შემოსავლების კორექტირების მექანზმი და ა.შ.

პერიფერიული ეკონომიკის თეორიებს არაერთგვაროვნად აფასებენ დასავლეთელი ეკონომისტები: ჯ. პაულსონი, ჯ. სმითი, რ. ნურკსე, პ. როზენშტეინ-როდანი, ი. ტინბერგენი, ა. ლუისი და სხვ. ამერიკელი ჯ. პაულსონი პერიფერიული ეკონომიკის თეორას გაურკვეველს და, ამასთან, ინტუიციურად კორექტულს უწოდებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბახტაძე ლ., გარდამავალი ხანის ეკონომიკა, თბ., 2006.
2. გრიშიკაშვილი ა., გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, პრობლემები პერსპექტივები, თბ., 1998.
3. კრუგმანი პ., ობსფელდი მ., მელიტცი მ., საერთაშორისო ეკონომიკა, თეორია და პოლიტიკა, მეათე გამოცემა, თბ., 2017.
4. ჭანუყვაძე გ., ბურჟუაზიული ვულგარულ პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. III, თბ., 1964.

5. ხარიტონაშვილი ჯ., ალტერნატივის ძიება გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში, ჟურნ. „კავკასიის მაცნე“, №3, 2001.
6. ხარიტონაშვილი ჯ., დაგეგმვა სოციალურ საბაზრო მეურნეობაში. იხ. კრებული „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები“, თბ., 1996.
7. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ. II , თბ., 1997.
8. ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკური რეფორმების ეგვიპტური გამოცდილება, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, № 1, 2001.
9. ხარიტონაშვილი ჯ., პერიფერიული ეკონომიკის თეორიული პრობლემები, ჟ. „ეკონომიკა“, № 12, 2002.
10. ხარიტონაშვილი ჯ., რეგიონული ეკონომიკის თანამედროვე პრობლემები, კრებული „მესხეთი: ისტორია და თანამედროვეობა“, ახალციხე, 2002.
11. Новые явления в современной буржуазной политической экономии, М.,1963.
12. Мюрдаль Г.С., Современные проблемы «третьего мира» М., 1992.
13. Харитонашвили Дж. В., Еволюция теории сравнительних издержек производство, Ж. «Кавказоведение», Caucasiology, № 2, М., 2002.
14. Ярошевский Б.Е., Теория периферийной экономики, М.,1973.

გამოცემაზე მუშაობდნენ :
ნათია დვალი
დალი გერმანიშვილი
თამარ გულბანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი, 2019

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
www.press.tsu.edu.ge